ჯვრეული

ლალი კონცელიძე
ფანარი თოვლში

1 2022

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
22001
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 64-ე წელი | იანვარი-თებერვალი | №1 | 2022 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2022

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ალექსანდრე პოტიომკინი – ლეგენდები, რომლებიც აკნინებს ცნობიერებას 3
დავით თედორაძე – კავშირი გულთა შორის 10
ავთანდილ ყურაშვილი – ლექსები 25
ელგუჯა თავბერიძე – ბალიასტომის ქვეყანა (ავტობიოგრაფიული ნოველები) 37
ზეინაბ მეტრეველი – ლექსები 50
პაატა აბაშიძე – ლექსები 54
სალომე გოგოლაძე – ლექსები 59
დალი თედორაძე – როგორ გაჩნდნენ დევები (ზღაპარი) 65
ნატალი დარასელია – ლექსები 70
მიხეილ გელაძე – ლექსები 73
გიორგი ტულუში – ლექსები 77

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ბექა ახალაია – თანამედროვე ქართული კონვენციური ლექსი 79
მაია ჯალიაშვილი – ახალი დიალოგი დანტესთან 81
– ცხოვრების გამოცანები 84
ნინია სადღოგელაშვილი – აველუმ, მშვიდობით! (ეძღვნება ოთარ ჭილაძის ხსოვნას) 89
მიხეილ სურგულაძე – ლექსით მოთხრობილი ბიოგრაფია 93
ცირა ბარბაქაძე – ლიტერატურული ფრაქტალები და ფრაქტალური ლიტერატურა 101

ფოლკლორი

მამია ფაღავა, თინა შიოშვილი – რთვლობის შრომითი ტრადიცია საქართველოში
და ტაოური „ქოღოცას“ დღესასწაული 105

რეცენზია

ნატო ბერძული – „თევზის ტირილი“ – ადამიანად ყოფნის სევდა 112

ინტერვიუ

ჰერმან შრაიბერი – მარტო ცხოვრების საფრთხეებსა და შანსებზე
(ინტერვიუ მწერალ პეტერ ჰანდკესთან. ინტერვიუ ჟურნალ „შპიგელიდან“ თარგმნა ხათუნა პატაშურმა) 115



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ

ალექსანდრე პოტიომკინი აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი მეცნიერია. ამჟამად მოღვაწეობს ესპანეთსა და გერმანიაში. წინამდებარე წერილი აფხაზეთში დაბადებული ადამიანის გულისტკივილია, რომელიც მეცნიერულად ამტკიცებს ჭეშმარიტებას, რომ აფხაზეთი საქართველოს ძირძველი კუთხე და განუყოფელი ნაწილია.

ალექსანდრე პოტიომკინი,
შლეზვიგ-ჰოლშტაინი,
გერმანია.
თარგმანი გერმანულიდან

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲙᲜᲘᲜᲔᲑᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲡ

მიმართვა საქართველოს პარლამენტარებს, ჟურნალისტებს,
საჯარო დიპლომატიას, საზოგადოებრიობას, უფლებადამცველებს,
„აფსუას“ ეთნოსს

„აფხაზი“ ეს არ არის ეროვნული კუთვნილება, არამედ ქართული ეთნონიმია, ტოპონიმიც კი. ეს შინაარსობრივად ისეთი ტოპონიმების ტოლფასია, როგორიცაა „თბილისელი“, „ბერლინელი“, „ვარშაველი“, „როსტოველი“.

სიტყვა „აბხა“ – ეს მათთვის, ვინც არ იცის ან დაავიწყდა – მეგრულად და ლაზურად, და მაშასადამე – ქართულად, ნიშნავს „ბეჭს“ და „კიდეს“. ამ სიტყვისგან წარმოიშვა „აფხაზეთი“ (რუსულად – „Абхазия“ – ადგილის სახელწოდების პირველი თარგმანი XIII საუკუნის დამლევს გამოიყენეს).

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის დამდეგს შეიქმნა ცნობილი ქართული სამეფო „აფხაზეთი“ (რუსულად „Абхазия“), დედაქალაქი იყო ქუთაისი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა – ქართული, რელიგია – ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა, ღვთისმსახურება წარმოებდა ქართულ ენაზე. მთელი დასავლეთ საქართველო – აფხაზეთი – ეს არის სამეგრელო, გურია, სვანეთი, იმერეთი, ეგრისი, ლაზიკა – მის შემადგენლობაში შედიოდა. ანუ აფხაზები (სიტყვის რუსული ვერსიით „абхазы“) – ეს დასავლელი ქართველები არიან. აფხაზეთის სამეფო ჩვენი წელთაღრიცხვის 746 წელს დააარსა ერისთავმა (რაც ქართულიდან თარგმანში ნიშნავს „управляющий князь“, სიტყვა-სიტყვით, ერი – „нация“, თავი – „голова“, ანუ „глава нации“) ლეონ I-მა, ეროვნებით ქართველმა, რომლის მშობლიური ენა იყო ქართული, სარწმუნოება კი ქრისტიანული. ლათინურად და ბერძნულად „ლეონი“ ნიშნ-

ავს „ლომს“. შემდეგ აფხაზეთის პირველი მეფე იყო ლეონ II, ლეონ I-ის ძმისწული, შთამომავლობით ერისთავი, მის შემდეგ კი თეოდოს II (ლეონ II-ის ვაჟი), დემეტრე (ლეონ II-ის ვაჟი) ერისთავები. 861 წელს აფხაზეთის მეფე ხდება იოვანე, მერე ადარნასე, მერე კი ბაგრატ I (სახელი ბაგრატი სპარსულად „ღვთის რჩეულს“ ნიშნავს). შემდეგ: კონსტანტინე (ბაგრატ I-ის ვაჟი), გიორგი (კონსტანტინეს ვაჟი), ლეონი (გიორგის ვაჟი) და ასე შემდეგ.

აფხაზეთის მეფეები მუდამ მხოლოდ ქართველები იყვნენ, დედაქალაქი კი იყო ქუთაისი, სახელმწიფო სამეტყველო ენა და დამწერლობა მხოლოდ ქართული, რელიგია – მხოლოდ ქრისტიანული, მართლმადიდებლური. იმხანად მეფეებს დიდებული და მნიშვნელობის შემცველი სახელები ერქვათ: ლეონი – „ლომი, ნადირთა მეფე“, გურგენი – მეგრულად და ლაზურად „ჭექა-ქუხილი“, ტიგრანი – სპარსულად „ვეფხვი“, ბაგრატი...

აფხაზეთის ყველა მეფე იყო ქართველი.

აფხაზეთის მხარე ისტორიულად ქართული მხარეა, ქართველთა გარდა, იქ ცხოვრობდნენ სხვა მცირერიცხოვანი ეთნოსები – ბიზანტიელები, პონტოელი ბერძნები, თურქები, სპარსელები, აზერები (აზერბაიჯანელები) და სხვა მცირე კავკასიელი ტომები. ეთნოსს სახელად „აფსუა“ არავინ იცნობდა. სიტყვა „აფსუა“ პონტოურ ბერძნულად ნიშნავს „უსულოს“. ასო „ა“ ბერძნულად უარყოფას ნიშნავს, ხოლო „ფსია“ – „ფსუა“ ნიშნავს სულს, ცნობიერებას, ამ სიტყვისგან წარმოიშვა მეცნიერების დარგების „ფსიქოლოგიის“, „ფსიქიატრიის“ სახელწოდებანი. ქალაქ სოხუმის უძველესი სახელწოდება მომდინარეობს მეგრული სიტყვისგან „აკუჯიხა“.

„აკუ“ მეგრულად ნიშნავს „ზღვას“, „ჯიხა“ – „ციხესიმაგრეს“. სიტყვა „სოხუმი“ მეგრული წარმოშობისაა: „თევზი“ მეგრულად არის „ცხუმი“.

ქალაქის სახელწოდება „სოხუმი“ XIII საუკუნის დამლევს წარმოიშვა. ბერძნები ადრე მას „დიოსკურიას“ უწოდებდნენ, თურქები – „სოხუმ-კალეს“, სპარსელები „ბაგრატ- კალეს“, ქართველები „ცხუმს“.

მაგრამ ისტორიაში არასდროს ჰქონია ქალაქს სახელწოდება „აფსუას“ ენაზე. მათ ენაზე ამ შესანიშნავ ადგილს XIII საუკუნიდან დღემდე ეწოდება „აკუა“ – პირველი ნაწილი ძველი მეგრული სახელწოდებისა „აკუჯიხა“.

არსებობს ათასობით ისტორიული წყარო: სიტყვა „აფხაზეთი“ ეს ძირძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს დასავლეთ საქართველოს და შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე ქართული ეთნოსის და არა „აფსუას“ ტომის განსახლების ადგილს. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულიდან დასავლეთ ამიერკავკასიაში სჭარბობს ქართველური ეთნოსი. ამ მოსაზრებას განამტკიცებს კოლხეთში არგონავტების ჩამოსვლის შესახებ ბერძნული მითოლოგიის მონაცემები და ბერძნული წერილობითი წყაროები (სტრაბონი, ჰეკატეოს მილეთელი, სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი), რომლებშიც მითითებულია, რომ კოლხეთის სამეფო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს, სადაც ძირითადი ეთნოსი იყო ქართული.

მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში ბერძნულ წერილობით წყაროებში ერთი სტრიქონით მოიხსენიება ლაზიკის („აფხაზეთის“) ჩრდილოეთით მცხოვრები მცირე ტომები – აფსილები და აბაზგები.

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების რუსული და ევროპული მატიანეები მიუთითებენ, რომ იბერები (ქართველები) და აფხაზები (ქართველები) ერთი ხალხია, ერთი დამწერლობის და ერთი კულტურის მქონე. ამ მოსაზრებას განამტკიცებს პლინიუსის, არიანე ფლავიუსის, ჟან შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, ევლია ჩელების ისტორიული კვლევითი მასალები.

ცხუმელი მქადაგებელი პიეტრო გერალდი 1330 წელს მოქალაქეებისადმი მიწერილ წერილში ჩამოთვლის ქალაქის მცხოვრებთ: ქართველებს, ბერძნებს, მუსლიმანებს და ებრაელებს.

ვატიკანის XV საუკუნის რუკაზე მდინარე კელასურის შესართავთან (ცხუმის გარეუბანი) მითითებულია პუნქტი „პორტო მიგრელო“, ხოლო ქალაქ გუდაუთის რაიონში პორტი „კავო დე ბუქსო“.

ცნობილი თურქი გეოგრაფი და ისტორიკოსი ევლია ჩელები წერდა, რომ „აფსუას“ ტომი „არ იცნობს ყურანს და საერთოდ არ აქვს არანაირი რელიგია“ და დამწერლობა.

რა თქმა უნდა, როგორც ძველი, ისე ახალი წელთაღრიცხვის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში იბერიის (საქართველოს) ვრცელ ტერიტორიაზე ხდებოდა ტომების გადასახლება, მაგრამ ისინი იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ ქვეყნის ისტორიაში კულტურული კვალი არ დაუტოვებიათ.

XVIII საუკუნიდან აფსუას ტომები (რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებამდე მდინარე ყუბანის კალაპოტის გასწვრივ მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ), აბაზგები (ჩერქეზულ-ადიღეური ტომები), სხვა ჩრდილოკავკასიელი მთიელები მცირე ჯგუფებად სახლდებიან ამ რაიონებში, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ ქართველ და რუს მეფეთა შორის პირველი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების გამოძახილია.

XVI საუკუნის დამდეგიდან სპარსელები და თურქები კავკასიელ ტომებს უწოდებენ „აბაზას“, რაც სპარსულად „სპილენძის მონეტას“ ნიშნავს. სპარსელი ისტორიკოსების კომენტარებში ეს სიტყვა „იაფი მუშახელის“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი – საქართველოს საზღვარი კავკასიის ქედზე გადის. საქართველოს შეერთების შემდეგ, სახელმწიფოს სახელწოდების „საქართველოს“ ამოძირკვის მიზნით, რუსეთი მის ტერიტორიას ტიფლისისა და ქუთაისის გუბერნიებად ჰყოფს. შიდა ქართლის პროვინცია (ქართლი აღმოსავლეთ საქართველოა, აფხაზეთი – დასავლეთ საქართველო) შედის თბილისის გუბერნიაში, ხოლო აფხაზეთი – ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქში. ქუთაისი აფხაზ მეფეთა ისტორიული სატახტო ქალაქი იყო.

ისმის კითხვა: რატომ უწოდებთ თქვენ, ქართველები, „აფსუას“ მცირე უცხო ეთნოსს აფხაზებს? ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენს წინაპრებს, ბილწავთ საკუთარ ისტორიას, აკნინებთ და სახელს უტეხავთ თქვენს მრავალრიცხოვან ეთნოსს. აფხაზები ეს თქვენ ხართ, ქართველები – მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, კოლხები, იბერები და ასე შემდეგ, ხოლო „აფსუები“ ეს მოსული მცირერიცხოვანი ტომია, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოვიდა და დაფუძნდა ამ მიწაზე XIX საუკუნის დამდეგს, რუსეთ-კავკასიის ომის დროს, რომელიც გენერალმა ერმოლოვმა დაასრულა. იმხანად ისლამის მიმდევარი ათასობით კავკასიელი მთიელი გადასახლდა თურქეთში, ხოლო ისინი, ვინც ეს ვერ მოახერხა – ადიღელები, აბაზგები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომები, შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრდნენ – ოჩამჩირიდან ანაპამდე. 1917 წლის რევოლუციამდე მათი განსახლების ადგილს ეწოდებოდა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის სამხედრო ოლქი. ძალაუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ამ რეგიონს შეუცვალეს სახელი, რომელსაც საფუძვლად დაედო ადგილის ისტორიული სახელწოდება – აფხაზეთი. ამ მომენტიდან ქართული ტოპონიმი „აფხაზეთი“, როგორც რეგიონის აღმნიშვნელი საკუთარი სახელი, დამკვიდრდა და დღემდე არსებობს, ხოლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მეორე და მესამე თაობის ახალმოსახლეს ეწოდა ეთნონიმი „აფხაზი“. ახალი სახელწოდებით გაერთიანებულ მცირე ეროვნებათა რაოდენობრივი შემადგენლობა არასდროს აღემატებოდა 30-35 ათას კაცს. არადა, „აფხაზეთის“ საერთო მოსახლეობა დაახლოებით ხუთასი ათასს შეადგენდა. ბევრი მიეკედლა ამ ახალ ერთობას, რათა მოეხდინა თავისი სამოქალაქო სტატუსის ლეგალიზება, ელიტური ერის წარმომადგენელი გამხდარიყო და სოციალური პრეფერენციები მიეღო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ „აფხაზი“ ეს ეროვნება კი არ არის, არამედ ეთნონიმია.

„აფსუების“ (ეთნონიმ „აფხაზის“ მიმთვისებელი სხვა ეროვნებების) ენაზე წყლის ძუძუმწოვართა და თევზების სახეობათა – დელფინის, კალმახის, სტავრიდის, კამბალის, ხონთქარას (ბარაბული) აღმნიშვნელი ერთი სიტყვაც კი არ არსებობს. მათ აქვთ ერთი სიტყვა «арыба»“. და საერთოდაც, „აფსუების“ ენა მეტად ღარიბი და უმნიშვნელოა თავისი მოცულობით, მასში ბევრი ნასესხები სიტყვაა მეგრული და რუსული ენებიდან. ქართული ენა კი ეს უძველესი და სილამაზით მდიდარი ენაა, ეს მეცნიერების, კულტურის, პოეზიისა და ლიტერატურის ენაა. ქართული ენა ოდითგანვე ღვთისმსახურების ენაა ამ მიწაზე. ეკლესია ჯერ კიდევ IX საუკუნეში გამოეყო ბიზანტიის ეპარქიას და აფხაზეთის კი არა, სრულიად საქართველოს ეკლესია გახდა.

ქართული კულტურის უძველესი ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო ქართული ქალაქი ქუთაისი. „აფსუები“ არასდროს ყოფილან ქრისტიანები და კულტურის, არქიტექტურის, დამწერლობის არანაირი ძეგლი არ შეუქმნიათ.

სულ ცოტა ხნის წინანდელ მაგალითს მოგიყვანთ: ბოლო ოცი-ოცდაათი წელია აღშფოთებას გამოხატავდნენ, სასამართლო დავას აწარმოებდნენ ევროპულ სასამართლოებში, ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანა მაკედონიას არ აქვს უფლება ეს სახელი ეწოდებოდეს. მაკედონიელები ეს ისტორიულად ბერძნული ეთნოსია და არა სლავური. და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც თავისას – მაკედონიას ჩრდილოეთ მაკედონია ეწოდა.

თანამედროვე „დამოუკიდებელ აფხაზეთს“ არც ისტორიული, არც იურიდიული უფლება არ აქვს სხვისი ისტორიული სახელი ჰქონდეს. აფხაზები ეს ქართული ეთნოსია, ამ მხარეს კი უნდა ერქვას „დროებითი აფსუა“. ამ ეთნოსის წარმომადგენლები ისტორიულად თავს „აფსუებს“ უწოდებენ, თავიანთ ქვეყანას კი „აფსნის“ და არა „აფხაზეთს“. საქართველოს პარლამენტარებს ვთავაზობ, განიხილონ და დაამტკიცონ ამ ტერიტორიის ოფიციალურ სახელწოდებად „დროებითი აფსუა“ და არა აფხაზეთი.

„აფხაზი“ ხალხი ეს გამოგონილი ხალხია, მეფის რუსეთის ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში ბოლშევიკების დამკვიდრებული.

თქვენ, ქართველები რატომ იჩენთ ასეთ სასტიკ გულგრილობას საკუთარი ისტორიისადმი და წინაპართა ხსოვნისადმი? რატომ დაუშვით უცხო ხალხისთვის „აფსუებისთვის“ აფხაზები ეწოდებინათ და კვლავაც ასე უწოდებთ, ხოლო ომით წართმეულ თქვენს ისტორიულ ტერიტორიებს, საიდანაც იარაღის ძალით გამოდევნეს ასი ათასობით ქართველი, ათი ათასობით კი დახოცეს და დახვრიტეს, – აფხაზეთს!

რატომ არ აღშფოთდებით, რატომ არ მოითხოვთ, რატომ არ ჩივით იმის გამო, რომ „აფსუას“ ხალხის ახალი დამწერლობა, რომელიც მხოლოდ 1954 წელს შექმნა ქართული გვარის კაცმა გულიამ (ქართულად „გული“ ნიშნავს „сердце“), აფხაზებს მიაწერეს? 1954 წელს გაჩნდა „აფსუების“ პირველი სკოლა და მას „აფხაზური“ უწოდეს. ბოლშევიკებმაც შეგნებულად ბევრი შეცდომა დაუშვეს ქართველი ხალხის ისტორიაში ეთნიკური კუთვნილების დაცვის საკითხში. ახლად მოვლენილ დამწერლობას უნდა ეწოდებოდეს „აფსუა“ და არავითარ შემთხვევაში „აფხაზური“. ეს ფაქტი ხომ კულტურული დრამაა და ფსიქოლოგიური დივერსიაა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აფხაზები, ანუ ქართველები თავიანთი დამწერლობით IV საუკუნიდან, ხოლო მეორე ვერსიით – ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან სარგებლობენ.

თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ და სამართლებრივ დიალოგებში საქართველო არ ავლენს ჯეროვან თანამიმდევრულობას, მკაცრად არ იცავს თავის ისტორიულ ტოპონიმურ, ჰიდრონიმურ, ეთნოტოპონიმურ საკუთარ სახელწოდებებს!

კოლხეთი, ადრე ბერძნების მიერ კოლონიზებული, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს მოიცავს, ასევე მუდამ ქართველ ხალხთან იყო დაკავშირებული და არა „აფსუებთან“. იმ ეპოქის არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს, საპირისპიროს რომ ამტკიცებდეს.

ბერძნებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ერის – მეგრელების, სვანების, გურულების, იმერლების, აჭარლების, ლაზების და სხვათა ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ფაზისად (ბერძნულად „მარად ცოცხალს“ ნიშნავს) წოდებულ კოლხეთის პორტს, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში სახელი გადაერქვა და დღემდე ფოთი ეწოდება, რაც ბერძნულად ნიშნავს პონტოს – შავ ზღვას. XI საუკუნემდე საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულ და ქართულ ენებზე იყო, შემდგომ – მხოლოდ ქართულ ენაზე. ღვთისმსახურება დღესაც ძველ ქართულ ენაზე წარმოებს. ყველა ქრისტიანთა წმინდა წერილი – ახალი აღთქმის 27 წიგნი დაწერილია როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ენაზე.

ვიკიპედიაში აფხაზეთის შესახებ ინფორმაცია ხშირად ფეიკია, მოგონილია. ფეიკების ერთ-ერთი ცნობილი შემთხზველი გახლავთ რუსი კონსტანტინე ზატულინი და სხვა „ისტორიკოსები და განმანათლებლები“: ასლან ავიძბა, ერმილე აჯინჯალი, შალვა ინალ-იფა, გივი სმირი, ომარ მაანი, რომლებიც სამეცნიერო და ისტორიულ წიგნებში, ჟურნალებში, ინტერვიუებში ყალბ ფაქტებს ავრცელებენ. მათი განცხადებები ეს ბოდვაა, ეშმაკისეული და თავხედური მტკნარი სიცრუეა. ხოლო ე. აჯინჯალის ციტატა „...აფხაზეთში სახელმწიფოებრიობა შესაძლოა იესო ქრისტეს დაბადების პირველივე საუკუნეებში ჩამოყალიბდა...“ – ისტორიული მოსაზრება კი არა, სრული ნაყალბევია, ფეიკია. ეს შეიძლება სიმართლე იყოს მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში და არა აფსნისთან (აფსუა, აფხაზეთი), ის კი აფსუას გულისხმობს.

რატომ არ უპირისპირდებით თქვენი ეროვნული და საერთაშორისო იურიდიული ინსტანციებით ამ მავნებელ მთხზველებს, რომლებიც თავიანთი ყალბი ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ მოაწყვეთ დამოუკიდებელი სამართლიანი გარჩევა და სასამართლო დევნა არ წამოიწყეთ ფაქტების დამახინჯების, ქართველი ხალხის მიმართ წინასწარ განზრახული პოლიტიკური ცილისწამებისა და გენოციდის ბრალდებით?

ბევრ აფხაზს (ნამდვილ ქართველს) ხოცავდნენ ერთადერთი მიზეზით: „თუ ქართველი ხარ, მაშ, მიიღე შუბლში ტყვია!“ ათი ათასობით ადამიანი დახოცეს – მკვლელების ცნობიერებას სეპარატისტების მაამებელ ყალბ კომენტატორთა სიცრუე აყალიბებდა.

1992-1994 წლებში ქართველთა (აფხაზთა) გენოციდის საზარელი ფაქტი მსოფლიოს საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის საკმარისად არ არის ცნობილი და სუსტადაა დეტალურად გაშუქებული. ეს თქვენი ბრალია, საქართველოს საჯარო პირნო! ეროვნული ისტორიის განმავლობაში უძველესი დროიდან მეზობელ ქვეყნებს – რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, სპარსელებს, თურქებს და სხვებს არაერთგზის დაუპყრიათ თქვენი მიწები, რათა დაემონებინათ ქართველი ხალხი, მაგრამ ახერხებდით თქვენი ტერიტორიების და კულტურის აღდგენას. ამიტომაც შეგარქვეს რამდენიმე ათასი წლის წინათ სპარსელებმა „გურჯები“, თქვენს ქვეყანას კი „გურჯისტანი“ უწოდეს, რაც სპარსულად „მგლების ქვეყანას“ ნიშნავს. ახალი ერის დაწყებიდანვე თქვენი ხალხი მსოფლიოში ცნობილია ენერგიული ცივილიზაციური წინსვლით, საქართველო მუდამ იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მდიდარი კულტურის არსენალი.

დიდი იმედით ველი, რომ უახლოეს ხანში დაიცავთ და ქართველ ხალხს დაუბრუნებთ თავის ადრინდელ ტერიტორიებს.

„დროებითი აფსუას“ დამოუკიდებლობისთვის 1992-1993 წლების საომარ მოქმედებებში დაახლოებით 3000 უცხოელი მოხალისე მონაწილეობდა. უცნობი თვითმფრინავები ბომბავდნენ, „გრადები“ ესროდნენ, ტანკები ანგრევდნენ ქალაქ სოხუმს და „აფხაზეთის“ სხვა დასახლებულ პუნქტებს, რომ ქართველები გამოედევნათ. 300 ათასზე მეტი მოქალაქე სიკვდილის შიშით იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური კერა, 40 ათასზე მეტი დახვრიტეს და დახოცეს.

ამასთან, 247 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა ლეონის ორდენით (1992 წელს შემოიღეს განსაკუთრებული სიმამაცის, გმირობის, წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის). რამდენად უნდა ყოფილიყო გახრწნილი და დამახინჯებული ამ ფეიკური იდეების ავტორთა ცნობიერება, რომ ქართველი ხალხის მკვლელობისათვის ქართველივე მეფის ლეონის სახელობის ორდენი შემოეღოთ ჯილდოდ.

„აფსუების“ ტომის ისტორიაში არაფერი არ არის: არც კულტურა, არც ენა, არც ძეგლები – მხოლოდ ყურით მოთრეული ამბიციები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „აფსუები“ არ აღიარებდნენ ქრიატიანობას და შორს იყვნენ მართლმადიდებლებისთვის კანონიკური წმინდა წიგნებისგან, ასევე, ქრიატიანული მოძღვრების სხვა წყაროებისგან. ადრე, საუკუნეთა განმავლობაში, „დროებითი აფსუას“ ტერიტორიაზე მოქმედებდა 140-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი, რომლებიც გამოირჩეოდა საქართველოსთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილით, აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებული დეკორითა და ფასადური პლასტიკით. ახლა მხოლოდ 15 ტაძარი და 2 მონასტერი მოქმედებს. ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას ეროვნული თავისებურება ახასიათებს. ყველა ტაძარი და ეკლესია ქართველი ოსტატების აგებულია და დუბლირებულია ქვეყნის სხვა რეგიონებში.

მე, და საქართველოს მრავალი სხვა გულშემატკივარი, გთხოვთ დაიცვათ ევროპის უძველესი სახელმწიფო. VI-X საუკუნეების ევროპაში სულ ოთხი სახელმწიფო არსებობდა: გერმანელი ერის წმინდა რომის იმპერია (დედაქალაქი ახენი), ინგლისის სამეფო (დედაქალაქი ვინჩესტერი), რუსეთი (დედაქალაქი კიევი) და აფხაზეთი (დედაქალაქი ქუთაისი, მხოლოდ ქართული ეთნოსი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა – ქართული, რელიგია – ქრიატიანობა, მართლმადიდებლობა).

ჩვენ ყველა, ვისაც გვიყვარს საქართველო, მისი ხალხი და კულტურა, თქვენგან აქტიურ მოქმედებას ველით!

თქვენ კი, „აფსუა“ ხალხო, თქვენი ჯიუტი და აშკარა მცდელობა, მიიწეროთ საქართველოს მაღალი ცივილიზაციური კულტურა, სხვადასხვა ფრაგმენტებშია გამოხატული.

„აფსუას“ ეთნოსი სარგებლობს სხვისი მემკვიდრეობით და მონაპოვრებით, გვარებიც კი მიითვისეს, რადგან თავისი არ ჰქონდათ. თქვენს ტომს საკუთარი სახელები არ ჰქონია. ისტორიული ფესვების რეალობას ეტიმოლოგია ადასტურებს.

თანამედროვე „დროებითი აფსუას“ – ისტორიულად ქართული „აფხაზეთის“ – მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტმა მიისაკუთრა ნაცნობების, მეზობლების და ყველა გარშემო მცხოვრების წმინდა ქართული სახელები და გვარები. ეს აქცია ეხმარებოდა მათ საკუთარი თავის ლეგალიზაციაში, ახალი წარმონაქმნის – ბოლშევიკური აფხაზეთის სოციალურ ლანდშაფტში თავიანთი ხალხის ინტეგრაციაში. თქვენ სრულიად მოურიდებლად მიითვისეთ ქართული გვარები, თუმცა თავს ისევ „აფსუებს“ უწოდებთ.

მოგიყვანთ რამდენიმე ასეთ გვარს: კაკალია (მეგრული „კაკალი“), ლომია (ქართული „ლომი“), მიმინოშვილი (ქართული „მიმინო“), თოფურია (მეგრული „თოფური“, ქართულად ნიშნავს „თაფლს“), ბედია (ქართული „ბედი“), ჯიქია (ქართული „ჯიქი“), ქობალია (მეგრული „ქობალი“,ქართულად ნიშნავს „პურს“), ძიძარია (ქართული „ძიძა“), ცაავა (ქართული „ცა“ და „ავა“), მელია (ქართული „მელა“),

ღვინჯილია (მეგრული „ულრანი ტყე“), ზარანდია (მეგრული „ზარი“ და „დია“, ქართულად „დიასახლისი“), ჩემია (ქართული „ჩემი“).

„აფსუების“ 630 გვარიდან 500-ზე მეტი ასეთი გვარია, მათი საკუთარი გვარები კი 100-ზე ნაკლებია. 500-ზე მეტ გვარს ქართული ძირი აქვს.

არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებსაც კი ქართული გვარები აქვთ. და ამასთან, ქართველებს მტრებს უწოდებთ! თქვენ გადამთიელების და ომის დახმარებით ისტორიული მიწებიდან, მამაპაპისეული სახლებიდან გამოყარეთ ძირძველი მოსახლეობა, ნაწილი კი დახვრიტეთ. მაგრამ აფხაზეთის მთელი მიწა-წყლის მრავალათასწლოვანმა ისტორიამ შემოინახა ქართული ტოპონიმები – ჰიდრონიმები, ოიკონიმები, ორონიმები.

„აფსნის“ მთავრობის ზოგიერთ წევრთა გვარები: ანქვაბი (ქართული „ქვაბი“), ბჟანია („ბჟა“ მეგრულად „მზეს“ ნიშნავს), კვიციინია (ქართული „კვიცი“), ქაჯაია (ქართული „ქაჯი“), ჯინჯოლია („ჯინჯი“ მეგრულად „ფესვს“ ნიშნავს), ბებია (ქართული „ბებია“), გაბლია (მეგრულად „გავლენას“ ნიშნავს), გუნია (მეგრულად ნიშნავს „ჰგავს“).

აკადემიური მეცნიერების ცნებების საყოველთაო მნიშვნელობა:

ტომი – ეთნოსის ყველაზე ადრეული ფორმა. მის წარმოქმნას წინ უძღოდა ადამიანთა გაერთიანება ოჯახებად, საგვარეულოებად და კლანებად.

ეროვნება – ეთნოსის შედარებით განვითარებული ფორმა, რომელმაც ჩაანაცვლა ტომი. ტომისგან განსხვავდება იმით, რომ მოიცავს ადამიანთა დიდ რაოდენობას; მისი წარმოქმნა უკავშირდება სახელმწიფოს წარმოქმნას, რომელიც ერთ მთლიანობად აერთიანებს დიდ ტერიტორიებს; ადამიანთა გაერთიანებას საფუძვლად უდევს არა მარტო ნათესაურ-გვაროვნული კავშირები, არამედ ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური და კულტურული ნიშნებიც.

ერი – ეთნოსის ტიპი, ადამიანთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო ინსტიტუტებითა და ფასეულობებით. ერის ნიშნებია: ერთიანი ტერიტორია, ერთიანი ენა; საერთო ეკონომიკური სისტემა; ერთიანი ეროვნული ხასიათი, სოლიდარობის გრძნობა.

P.S. ამ მიმართვაში მოცემულ ჩემს მოსაზრებებში ყველაზე ნაკლებად ქართული წყაროები დავიმოწმე და არგუმენტაციისა და დასკვნებისთვის რომაული, ბერძნული, ევროპული, თურქული და სპარსული მასალები გამოვიყენე.



დავით თედორაძე

კავშირი გულთა შორის

სასიამოვნო ცნობა მოვიდა სომხეთიდან. სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრანტ მათევოსიანი და ქალაქ გიუმრის (ლენინაკანი) პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი ჰორიკ არუთუნიანი სომხეთში მეგობრული ვიზიტით იწვევდნენ აჭარის კულტურის მინისტრს, მწერალს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს თეიმურაზ კომახიძეს. ვიზიტი უკავშირდებოდა თეიმურაზ კომახიძის წიგნს „მეგობრობის გზით“, რომელიც სომხურ ენაზე გამოიცა და რომელშიც მადლიერების გრძნობით საუბარია საქართველოში მოღვაწე სომეხ მამულიშვილებზე. თავიდანვე ვიტყვი: წიგნმა სომხეთში დიდი ინტერესი გამოიწვია და ავტორს სთხოვეს შევსებული და სრულყოფილი ვარიანტი წარედგინა ხელმეორე გამოცემისთვის, ბატონმა თემურმა მათი თხოვნა სიამოვნებით შეასრულა და წიგნის ახალ გამოცემასაც მალე ვიხილავთ.

და აი, 2000 წლის 2 სექტემბერს, დილით 9 საათზე, ბათუმიდან გავედით თეიმურაზ კომახიძე, ნარგიზ აბაშიძე, დათო კომახიძე და დავით თედორაძე, ამ სტრიქონების ავტორი. მძღოლმა – ავთანდილ სიხარულიძემ პირჯვარი გადაიწერა, ბედნიერი მგზავრობა ვუსურვეთ ერთმანეთს და მერსედესით გეზი თბილისისკენ ავიღეთ. გულთბილ, გულწრფელ საუბარში გაილია გზა სურამამდე. სურამში თემურისა და ნარგიზის ნაცნობებთან დუქანში ვისადილეთ, თითო გრაფინი ღვინო დავლიეთ და თბილისისკენ გავეშურეთ.

ნარგიზი

ნარგიზი ნამდვილი ქალბატონია. მისთვის ღმერთს გულუხვად უბოძებია სულისა და ხორცის მშვენიერება. ბუნებით ამაყი, ისეთი სათნო და კეთილშობილია, ძნელად თუ იპოვით მსგავსს. ყოველთვის მზად არის თანადგომისა და დახმარებისთვის. გაჭირვებულთა და მიუსაფართა შემწედ და მხსნელად მოვლენილი ნამდვილი ანგელოზია. რაც უფრო ახლოს ეცნობი, მით უფრო გხიბლავს და გიზიდავს. იგი ბრწყინვალე დედა, ჩინებული ბებია, ერთგული მეუღლე და კეთილის მსურველთა შეუპოვარი დამცველი და მეგობარია. თუმცა აქვს შესანიშნავი ალღო ბოროტისა და კეთილის გასარჩევად. თავად უკეთილშობილესს, ყველა კეთილი ჰგონია. ხასიათით მამას, ყველასთვის საყვარელ

და პატივსაცემ მამულიშვილს – იბრაიმ აბაშიძეს ჰგავს, სიმტკიცით – დედას, ქალბატონ შაესტერს. ნარგიზი საინტერესო და მიმზიდველი მოსაუბრეა, იცის დინჯად, აუჩქარებლად თხრობა. წერს ლაღად და თავისუფლად, თემურთან ერთად სამი წიგნის ავტორია: „აჭარელი ქალები“, „იბრაიმ აბაშიძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები“, და „ეპიზოდები ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრებიდან“. ფანატიკურად უყვარს ძმა, შვილები და შვილიშვილები. იგი კარგი ხელმძღვანელია, თანამშრომლები პატივს სცემენ და მისი დიდი რიდიც აქვთ.

თემური

თითქმის სამი ათეული წელია ვმეგობრობ თემურთან. ვადევნებ თვალყურს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. იშვიათი ბუნების ადამიანია: გულწრფელი, გულთბილი, გულალალი, გულზვიადი, გულფიცხი, გულგახსნილი. მას რომ კარგად იცნობდე, მისი მეგობარი ან ახლობელი უნდა იყო. ვინც მას არ იცნობს, ნუ შემომედავება ამ სტრიქონების გულწრფელობაში! ვინც იცნობს კარგად, მედავოს რამდენიც უნდა. თემური ყოველთვის უშურველად იხარჯება. შეუძლია მეგობრისთვის თავის გაწირვა. ყოველთვის მზადაა კედლად დაგიდგეს. ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, ცოტანი არიან. ნიჭი განგებამ გულუხვად უბოძა და მანაც ეს ნიჭი სამშობლოს, ხალხის სამსახურში ჩააყენა. წლების განმავლობაში ინდუსტრიულ ტექნიკუმს ხელმძღვანელობდა ღირსეულად. მანამდე სამშენებლო ტრესტში დიდი სკოლა გაიარა მირიან უსტიაშვილის ხელმძღვანელობით და ქალაქს რამდენიმე შესანიშნავი ნაგებობა დაუტოვა. ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა მისი დირექტორობით გაშალა ფრთები. იმ დროს სასწავლებლების კურატორი გახლდით და არ მახსოვს ერთი შემთხვევაც, მის შესახებ საჩივარი დაწერილიყოს. ქებისა და მადლობის სიტყვები კი ბევრჯერ მომისმენია.

ქველმოქმედება და მეცენატობა კომახიძეებს სისხლში უზით. თემურისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია: ისე უხმაუროდ, ისე ჩუმად აკეთებს ამას, თითქოს მწყურვალმა ჭიქა წყლით წყურვილი დაიამა. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ისტორიაში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მავანნი ცდილობდნენ კიდეც, ხელი შეეშალათ, ჩაეგდოთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ნიჭს წინ ვერაფერი ეღობება. 30-მდე წიგნის ავტორია თემური, ოცდახუთამდე გამოცემული აქვს, ხუთი მზადაა გამოსაცემად და მათაც სულ მალე იხილავს მკითხველი.

კომპიუტერული მეხსიერება აქვს. მე არ შემხვედრია მსგავსი ადამიანი. რაც წაუკითხავს, უნახავს ან მოუსმენია, სულ დეტალურად ახსოვს. ამიტომაც უადვილდება წერა უაღრესად შრომისმოყვარესა და მომთხოვნს საკუთარი თავისადმი.

ვფიქრობ, აქ უნდა შევჩერდე. წინ დიდი გზა და მრავალი საინტერესო შეხვედრა გველოდება. თემურზე კი საინტერესო წიგნის დაწერა შეიძლება.

დათო

დათო ნარგიზისა და თემურის მესამე შვილია. მასზე ვერავინ იტყვის – ნაბოლარაა და განებივრებულიო. პირიქით, ცოტათი მკაცრადაც ექცევიან. იგი მეტად ნიჭიერი, ნაკითხი, ნათელი გონების ყმაწვილია, არ უყვარს თავის გამოჩენა, ჩუმი და მოკრძალებულია. აქვს ანალიტიკური აზროვნების უნიკალური უნარი. უბანშიც ყველას უყვარს ხელმოკლეთა განმკითხავი და მომფერებელი. გარეგნობით მიმზიდველს, გულიც მიმზიდველი აქვს და ადამიანს უცებ აყვარებს თავს.

* * *

თბილისში, თემურის ბინაში, სამი დღე დავყავით. პირველ დღეს ღვინით წავუქეიფეთ. შემდგომში ლუდს მივირთმევდით და როგორც ჩვენში მიღებულია, ფლიდის, მაიმუნის, ქლესას, მოღალატის, უმადურისა და არაკაცის სადღეგრძელოებს ვსვამდით, რა თქმა უნდა, გულში გვარიანი შეკურთხებით.

სამ სექტემბერს თემურმა რუსეთის საელჩოში დარეკა წიგნის – „არდავიწყება ღვაწლისა“ – გამოცემის თაობაზე. ამ წიგნში გულთბილად, მადლიერების გრძნობით, ამაგის დაფასებით მოთხრობილია იმ არაქართული წარმოშობის ადამიანების შესახებ, ვისაც აჭარაში უმოღვაწია და ჩვენი კუთხის აღორძინება-დაწინაურებაში წვლილი მიუძღვის, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსებიც არიან.

შეხვედრა დაინიშნა 4 სექტემბერს, 11 საათზე. დანიშნულ დროზე მივედით საელჩოში. ჭიშკართან შეგვხვდა ელჩის მრჩეველი გენადი ანატოლის ძე პავლოვი. რუსეთის ელჩი იმ დროისთვის შეცვლილი იყო და ახლის ჩამოსვლამდე მოვალეობას ასრულებდა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე შარონოვი. იგი დერეფანში შეგვეგება, მიგვიწვია კაბინეტში, გულთბილად გვიმასპინძლა და საუბარიც სასურველი მიმართულებით წარიმართა. თემურმა ჩვეული შემართებით ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, წიგნის მნიშვნელობაზე, იმ ადამიანების ღვაწლზე, რომელთა შესახებაც მოთხრობილია ნაშრომში და შესთავაზა მთლიანი წიგნის გამოცემა, და არა ისე, როგორც სომხეთმა გამოსცა. მან თავიდანვე აღნიშნა, რომ ის პოლიტიკოსი არ არის და პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს, ხოლო წიგნი სასიკეთოდ წაადგება ჩვენს მომავალ ურთიერთობასო.

შეხვედრის დასასრულს, თემურმა რამდენიმე საკუთარი წიგნი გადასცა საელჩოს. გამოსაცემად შეთავაზებული წიგნისადმი უაღრესი ინტერესი ვიგრძენით, პასუხისთვის 8-10 დღე ითხოვეს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი: სომხეთიდან ხუთი დღის შემდეგ მობრუნებულებს წიგნის წაკითხვით გამოწვეული აღტაცება და მოსკოვში გამოცემაზე დადებითი პასუხი დაგვხვდა.

ხუთ სექტემბერს, დილით, ცხრა საათზე გავემგზავრეთ სომხეთისკენ. წინ გასაცილებლად მიგვიძღოდა თემურის თბილისელი მეგობარი ბადრი ვადაჭკორია. იგი თბილისის გასასვლელთან დაგვემშვიდობა, ბედნიერი მგზავრობა გვისურვა და უკან გაბრუნდა. გზა სიარულმა უნდა დალიოს. ჩვენც მივდივართ, გზას კი დასასრული არ უჩანს, რადგან ავთოს არაერთხელ შეეშალა გზა (ისედაც უკიდურესობამდე მისული და დამტვრეული) და სადახლოს ბაზარში აღმოვჩნდით. ბაზარიო, ვამბობ, თორემ იქ რომ სიბინძურე და ქაოსი ვნახეთ, ბაზრობის პირობაზეც კი აუტანელია.

საზღვარზე, ჩვენს მხარეს, შეგვიმოწმეს პასპორტები, გაგვიხსნეს შლაგბაუმი და სომხეთიდან ფელიქს ბახჩინიანის სიხარულით აღსავსე თვალ-სახემ შემოგვანათა.

ფელიქსი

მისი სახელი ქართველთათვის კარგადაა ცნობილი. სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე საერთაშორისო ჟურნალის „ჰაოს-ქართლოსის“ მთავარი რედაქტორი და ფრიტიოფ ნანსენის ფონდის გენერალური მდივანია. მისი ღვაწლი ორი მოძმე ერის კიდევ უფრო დასაახლოებლად მისაბაძია. მას უყვარს საქართველო და ქართველები.

ფელიქს ბახჩინიანი დაიბადა სომხეთის სოფელ ალავერდში. დაამთავრა ეჩმიაძინის კულტურის ტექნიკუმი, ვანაძორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა.

მუშაობდა გაზეთების – „ლორისა“ და „აიასტანის“ (სომხეთი) რედაქციებში. იყო ალავერდის აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე, სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანაშემწე, ლორეს ოლქის გუბერნატორის მრჩეველი.

იგი ავტორია წიგნებისა: „ახლოა ნემანი და არარატი“, „მზის საზომი“, „ვარსკვლავთა აღსარება“, „ჯვარცმულისთვის სიკვდილი არ არსებობს“, „ჩეჩნეთის დღიური“, „წერილები სომხეთიდან“, „ჩემი ხართ“, „საიდან იწყება საქართველო“. მის მიერვე სომხურად ითარგმნა ლიტველ მწერალთა ნაწარმოებები.

ფელიქსის ქცევაში და გამოსვლებში ვერასოდეს შეამჩნევთ არტისტიზმსა და მის მიერ გაკეთებული საშვილიშვილო საქმეებით კეკლუცობას. ჰყავს უამრავი მეგობარი სომხეთში, საქართველოში, ლიტვაში, რუსეთში და კიდევ სად არა. იცის მეგობრის სიხარულისა და ჭირის გაზიარება. მუდამ მზად არის რაღაცით გასიამოვნოს. ვერ ეგუება უსამართლობას. ფიცხი და პირდაპირია. თუ რამე არ მოსწონს – ბავშვივით იბუტება. ვერ იტანს უპატივცემულობას. მოკლედ, სხვისი ფასიც იცის და საკუთარი თავისაც.

* * *

„ევროპის მწერლებს – ავად თუ კარგად, თითქმის ყველას ვიცნობთ, ან ვცდილობთ გავიცნოთ, ამ დარგში ჩამორჩენა სამარცხვინოდ მიგვაჩნია, საკუთარი ლიტერატურის უცოდინარობა კი – არ გვეთაკილება. მით უმეტეს, არ ვიცნობთ ჩვენი კარის მეზობლებს, რომელნიც გეოგრაფიულად თუ ისტორიულად, ასე ახლოს არიან ჩვენთან“, – ასე წერდა იოსებ გრიშაშვილი მის მიერვე ნათარგმნი ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების წინასიტყვაობაში. სხვისი არ ვიცი და მე კი ნამდვილად მრცხვენია, რომ დიდი ვერაფერი ბედენა ვარ სომხური ლიტერატურის ცოდნაში. სამწუხაროდ, ვერც სომეხ მწერალთა დიდი ნაწილი დაიკვეხნის ქართული ლიტერატურის ცოდნას. სამაგიეროდ, ქართველი ხალხისა და სომეხი ხალხის მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია რომ აქვს, ეს ყველამ იცის, მწერალმაც და არამწერალმაც, დიდმაც და პატარამაც, საქართველოშიც და სომხეთშიც. მაგრამ ყველამ როდი იცის ჩვენი ხალხების ისტორია რომ მდიდარია მაგალითებით, როცა ისინი ერთად გმირულად იბრძოდნენ გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ. როცა ერთს საფრთხე დაემუქრებოდა, მეორე მაშინვე მხარში ამოუდგებოდა და მამაცურად ეკვეთებოდნენ საერთო მტერს. ამის შესახებ უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებთ. ახლა კი ისევ ლიტერატურას დავუბრუნდეთ. ვიცი, რომ მე-17 საუკუნის სომეხმა პოეტმა იონათან ნაყაშმა ხოტბა შეასხა საქართველოს მშვენიერ ქალებს. მოვიყვან ამ ლექსის ნაწყვეტს, იოსებ გრიშაშვილის მიერ თარგმნილს.

საქართველოს ტურფებს

მინდა ვაქო მხიარულის გულითა,
ქამანჩითა, სიმღერითა, კულითა,
მშვენივრობენ სილამაზით სრულითა
საქართველოს მშვენიერი ქალები.
ყალამ წარბი შვილდობს, როგორც კამარი,
თვალში მზე აქვთ, ვახ, რა კარგი რამ არი,

შემოუკრავთ ტანს მურასა ქამარი,
საქართველოს მშვენიერი ქალები.
ტანთ ჩაცმაში მათ იციან ფარეზი,
უკან დასდევთ მოახლე და ფარეში,
კეკლუცობენ მწვანე არემარეში.
საქართველოს ხალხი ღონიერია,
სხვა მილეთზე უძველესი ერია,
უხვი მტერი ბევრჯერ მოიგერია,
გულადობა მათი ყველგან სწერია...
მე, ნაყაში, ცოდვილი ვარ, ბრალი ვარ,
ქართველ ქალის სიყვარულით მთვრალი ვარ,
მინდა ვაქო, მაგრამ ვაი, მთვრალი ვარ,
საქართველოს მშვენიერი ქალები.

სომეხ მწერალს – რაფის მოთხრობაში „დაუდბეგი“ მოქმედ პირად გამოუყვანია ქართველი. ვახტანგ მეფეს „ქილილა და დამანას“ თარგმანში სომეხი სწავლული ეხმარებოდა. მკურნალმა ბასტამიანმა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში სომხურად პირველმა თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

გაბრიელ სუნდუკიანცი, ოვანეს თუმანიანი, შირვანზადე, ისააკიანი, ბაშინჯალიანი, აკაკი წერეთელი, ვასო აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ბაქრაძე და სხვები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა განმტკიცებულიყო მეგობრობა ამ ორ ერს შორის.

აკაკი წერეთელი გაბრიელ სუნდუკიანცს თავის „უფროს ძმას“ უწოდებდა და სამი ლექსი უძღვნა სომეხთა დრამატურგს. აი, ერთ-ერთი ლექსი.

გაბრიელ სუნდუკიანცს

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!

კავკაზმა დიდმა და ქედმაღალმა
გაადიადა შენი ბუნება,
და ამ მიდამომ, ყვავილოვანმა,
აგიფერადა საამოდ ვნება.

ფერად-ფერადი ვნებათაღელვა
შენს თხზულებაში უხვად ჩაქსოვე,
და უკვდავება საშვილიშვილო
შეისისხლხორცე და მოიპოვე!

ამ ურიცხვ ხალხის გრძნობას და სურვილს
მეც შევუერთებ ამ ჩემს გულისთქმას,
და თაყვანსა გცემ, დიდო მოღვაწევ,
როგორც უმცროსი თავის უფროს ძმას.

თბილისელი სომხები კარგად ფლობდნენ ქართულ ენას, რაც ხელს უწყობდა ქართველი და სომეხი მოწინავე მწერლების მტკიცე კავშირს. გაბრიელ სუნდუკიანცმა თავისი პიესა „პეპო“ თვითონვე თარგმნა ქართულად. მისი პიესები „ხათაბალა“, „პეპო“, „დაქცეული ოჯახი“ თბილისში სომხურის პარალელურად ქართულადაც იდგმებოდა. საყოველთაოდაა ცნობილი, რაოდენ დიდ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე სუნდუკიანცის შემოქმედებას.

მეფე ერეკლეს კარის აშუღი საიათნოვა ხალხის წიაღიდან ამოტყორცნილი მგოსანია. მას არავითარი დიდება არ იზიდავდა. იგი ბოლომდე მომღერლად დარჩა.

დიდი სომეხი პოეტი ავეტიქ ისააკიანი თავისი პოემის „აბულ ალლა მაარის“ წინათქმაში ამბობს: „ჩემი პოემა დაიწერა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ ზეგავლენით, ბარათაშვილის ლექსი გახდა ჩემი შემოქმედების ბრწყინვალე წყარო“.

ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ აღუნიშნავს სომხეთის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის. „ჩვენ კარგად ვიცით, – წერდა ილია, – წინანდელ საქართველოს უძლურობა დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კი პირქვე დაემხო – ეს ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. საქართველოს რომ თათრობა მოესეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომაც ჩვენი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ“.

ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის მნიშვნელობა. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული ამ ორი მეზობელი ერის მეგობრობის როლი ორივე ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აყვავების საქმეში. ახლა, ალავერდისაკენ მიმავალს, თვალწინ ბუმბერაზი ილია მიდგას, მე კი ჩემდაუნებურად გულში ვიმეორებ: წინ, ილიას აზროვნებისაკენ...

გიუმრისკენ მშვენიერი გზა მიდის. ცოტა გავივაკეთ და ერთბაშად კლდეების, ლოდებისა და ქვის მთების სამეფოში აღმოვჩნდით. ლაღად მოედინება მდინარე დებეტი. სასურველი და სასიამოვნო ამინდია. სად არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი რამ არსად მინახავს. ვერ წარმოვიდგენდი ქვის მთების ხეობას ასეთი სილამაზე თუ ექნებოდა. მასპინძლის თხოვნით ცოტა ხნით შევიარეთ ალავერდის პოლიციის განყოფილებაში. იქ გველოდნენ, თბილად მიგვიღეს, ყარაბახელი პოლიციის უფროსის ერევნელით შეცვლის პროცესი მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მაინც მოიცალეს. ყარაბახელი რვა წელი ჯარში ყოფილა სტეპანაკერტში. იქ მიმდინარე ბრძოლების აქტიური მონაწილეა. გვიყვება მრავალ მისთვის საინტერესო ამბავს, ხაზს უსვამს ქართველებთან განსაკუთრებით კარგ დამოკიდებულებას და თვალსაჩინოებისთვის თანამშრომელი – ქართველთა სომეხი სიძე შემოჰყავს კაბინეტში. ყავითა და წვენებით გამასპინძლების შემდეგ ვემშვიდობებით და გზას ვაგრძელებთ, უფრო სწორად, ეს ჩვენ გვგონია ასე, თორემ ფელიქსს სულ სხვა ჩანაფიქრი აქვს. ვჩერდებით მდინარის პირას მოწყობილ მშვენიერ რესტორანში. სუფრას, შეიძლება ითქვას, ჩიტის რძეც არ აკლია, გარემო მიმზიდველია, განწყობილება – ბრწყინვალე. ფელიქსი თამადობს. ეტყობა, ქართული სკოლა რომ აქვს გავლილი. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ შემოგვიერთდნენ გიუმრის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ორიკ არუთუნიანი და ლორეს გუბერნატორის მოადგილე თანმხლები პირებითურთ, ბოდიში მოიხადეს დაგვიანებისთვის და გაჩაღდა სიყვარულით სომხურ-ქართული ლხინი. პერსონალური სადღეგრძელოები ოფიციალურითა და ზოგადით იცვლებოდა. განსაკუთრებული სიყვარულით შეისვა საქართველოს, ქართველი ხალხის სადღეგრძელოები.

გზა გრძელდება. ხელმარცხნივ სომხური სოფლებია, აშკარად შეიმჩნევა მიწის სიმწირე, დუხჭირი, აუტანელი, გაუსაძლისი ცხოვრება. ფელიქსი არ მალავს, რომ ბავშვები სკოლაში ვერ მიდიან ტანსაცმლის უქონლობის გამო.

აი, სპიტაკიც – თითოეულ ჩვენგანში ძველი ტკივილი და სევდა იღვიძებს. საშინელი მიწისძვრის მეორე დღესვე, ქართველი მაშველები იყვნენ ძმებთან ჩასულები. სამაშველო შტაბს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ნ. რიჟკოვი ხელმძღვანელობდა. უზარმაზარი ქვეყანა დაირაზმა, ერთ მუშტად შეიკრა, რათა რაც შეიძლება სწრაფად ეშველათ, გადაერჩინათ ნანგრევებში ცოცხლად ჩამარხულნი, გაეპატიოსნებინათ და დაეკრძალათ მიცვალებულნი, რომელთა რაოდენობა სომხეთში 25000-ს აღწევდა. აეშენებინათ უსახლკაროდ დარჩენილთათვის დროებითი თავშესაფარი, ბინები, სახლები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები. სომხეთში ფიქრობდნენ და ახლაც ფიქრობენ: საბჭოთა კავშირი თუ მართლა რუსეთის იმპერია იყო, განა მსოფლიო ისტორიაში რომელიმე იმპერია ზრუნავს მის მორჩილებაში მყოფ ხალხებზე და ქვეყნებზე ისე, როგორც რუსეთის იმპერია? რამდენიმე წელს რომ არ დანგრეულიყო საბჭოთა სახელმწიფო, მიწისძვრის შედეგები მთლიანად აღმოიფხვრებოდა, ახლა ამისთვის აღარავის სცალია. არადა, მიწისძვრამ სომხეთში 500 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დატოვა. მთლიანად დაინგრა ქალაქი სპიტაკი, ნაწილობრივ – ლენინაკანი, კიროვაკანი და 60-მდე სოფელი.

ქ. გიუმრში გერმანელების მიერ აშენებულ მშვენიერ სასტუმრო კომპლექს „ბერლინში“ მოგვათავსეს. დასასვენებლად და მოსაწესრიგებლად ორი საათი დაგვითქვეს და ზუსტად დათქმულ დროზე გავედით ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. საერთოდ, სომხეთში მრავალ ტკივილთა შორის განსაკუთრებით ორს გამოყოფენ – გენოციდსა და მიწისძვრას.

ოსმალთა იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდი ბევრი ქვეყნისა და ხალხების სერიოზული მსჯელობის საგანია დღესაც. ეს პრობლემა დაწვრილებით შუქდებოდა მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა გამოკვლევებში და წერილებში. სომეხთა გენოციდზე წერდნენ და წერენ რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, იტალიის და მრავალი სხვა ქვეყნის ისტორიკოსები, მწერლები, პუბლიცისტები, მეცნიერმუშაკები. წერდნენ თვითმხილველები ამ სისხლიანი ტრაგედიისა და მაინც ეს თემა ამოუწურავია.

ორიკი

ორიკი 1997 წლიდან გიუმრის (ყოფილი ლენინაკანის) პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია. იგი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორია. დამთავრებული აქვს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის განყოფილების ფილოსოფიის ფაკულტეტი და მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. ეწევა საინტერესო, ნაყოფიერ მოღვაწეობას, ტკბილმოუბარია, უყვარს მეგობრებთან ყოფნა, დაუსრულებლად შეუძლია ისაუბროს სომხეთის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.

ორიკი ახლა გიდის მოვალეობას ასრულებს. ჩვენც ბეჯითი მოსწავლეებივით ვცდილობთ არაფერი გამოგვრჩეს, ყველაფერი დავიმახსოვროთ.

1989 წლისთვის სომხეთის მოსახლეობა შეადგენდა 3305 ათას ადამიანს. ეროვნული შემადგენლობა ცალსახოვანია: 95,66 პროცენტი სომეხია. ცხოვრობენ, აგრეთვე, რუსები, უკრაინელები, ქურთები, ბერძნები და ასირიელები. მთლიანად საბჭოთა კავშირში 1979 წლის აღწერით ცხოვრობდა 4151 ათასი სომეხი.

1981 წელს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა განყოფილება, რომელიც სწავლობს სომხურ დიასპორას ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნებში. სურათი მეტად საინტერესოა და ვფიქრობ მკითხველის ყურადღებასაც მიიპყრობს.

ბულგარეთში სომეხთა რაოდენობა 25000 აღწევს, უნგრეთში – 1000, დიდ ბრიტანეთში – 12000, საბერძნეთში – 10000, იტალიაში – 2000, კვიპროსზე – 2000, შვეიცარიაში – 5000, შვეციაში – 2000, საფრანგეთში – 350000, იერუსალიმში – 2000, ინდოეთში – 1000, ირანში 180000, სირიაში – 120000, ლიბანში – 25000, ეგვიპტეში – 12000, ეთიოპიაში – 2000, ავსტრალიაში – 25000, ამერიკის შეერთებულ შტატებში – 800000, კანადაში – 110000, ბრაზილიაში – 22000, ურუგვაიში – 14000, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა სხვაგანაც ცხოვრობდნენ სომეხთა ოჯახები, მაგრამ სიმცირის გამო ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდებიან. საყოველთაოდ ცნობილია დიასპორების სიმდიდრე და სიძლიერე და თუ დღეს მნიშვნელოვანი რამე კეთდება სომხეთში – კეთდება მათი დახმარებით. როცა ჩემს კოლეგას ალბერტ ისოიანს ვკითხე, თუ რა სახსრებით გამოსცა პუშკინის საკმაოდ მოზრდილი წიგნი, პასუხმა დამაფიქრა: მივედი კათალიკოსთან, ეჩმიაძინში, ვუთხარი, ამ წიგნის გამოცემა ახლა აუცილებელია და უნდა დაგვეხმაროთ-მეთქი. რა დაჯდებაო, მკითხა კათალიკოსმა. ათი ათასი დოლარი-მეთქი, ვუპასუხე, მან იხმო ხაზინადარი და უთხრა, ბატონ ისოიანს მიეცი ათი ათასი დოლარიო. კათალიკოსი რა შუაშია, ან ეკლესიას საიდან აქვს ამდენი ფული-მეთქი, ალბერტმა გაიღიმა, – როგორ თუ საიდან, საზღვარგარეთიდან, სომეხთა დიასპორების მიერ გამოგზავნილ თანხებს ეკლესია განაგებს, სხვას არ ენდობიან, ყველაზე პატიოსნად ეკლესია გაანაწილებსო.

ვახშამმა გვიანობამდე გასტანა. ბრწყინვალე იყო ნარგიზი, თემური ენამჭევრობდა და მასპინძლებს სომხეთის ისტორიის ცოდნაში ტოლს არ უდებდა. დათო და მე გულიანად ვქეიფობდით. ავთოს ვიდეოკამერა მოემარჯვებინა. რესტორნის მომღერლები ჩვენს პატივსაცემად ქართულ სიმღერებს მღეროდნენ, დათომ ცეკვითაც გამოგვაჩინა.

საუბარი სომხეთის ძველ დედაქალაქზე – ანისზე ჩამოვარდა, ორიკი შეგვპირდა ხვალ დილით წაგიყვანთო. ანისი მეც ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ თემურის ჰობი ციხე-ქალაქები, ტაძრები და სიძველეები რომ არის, ეს ორიკმა არ იცოდა და ისე, სხვათა შორის თქვა – ანისის სანახავად წაგიყვანთო. სუფრასთან ნათქვამი დილისთვის არც მე მახსოვდა და იქნებ არც ორიკსა და ფელიქსს გახსენებოდათ, თემურს რომ არ ემარჯვა და გამარჯობის თქმამდე არ შეეხსენებინა ანისში გამგზავრების ამბავი.

დილითვე დავათვალიერეთ გიუმრის ღირსშესანიშნაობანი, გეგმა ითვალისწინებდა თემურის შეხვედრას პეტროპავლოვსკში, გადასახლებაში გარდაცვლილი პოეტის, მიქაილ ნალბანდიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან. შეხვედრა შედგა. ბევრი კარგი და დასამახსოვრებელი სიტყვა ითქვა თემურზე, მის წიგნზე, აჭარაზე, საქართველოზე.

სადილის შემდეგ ბახუსშეპარებული, ისტორიის სიღრმეებში მცოცავი პატრიოტები ანისისკენ დავიძარით.

„...და მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმა და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი სპერამდის და, რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო.

და აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა და მესამესა დღესა სამოცი ათასი მხედარი წინაშე უდგა. წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი.

და დაიპყრო არფასლანიანნი და ამოსწყვიდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა საყდარი და ქალაქი მოერწყოთ. იმუქაფა ღმრთის მოყუარემან დავით, უსჯულოთა სისხლით ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა...“ („ქართლის ცხოვრება“).

რა თქმა უნდა, ამ ტექსტის ზეპირად ცოდნას თემურის მეხსიერება სჭირდებოდა. სამაგიეროდ, მე ჩვენი სასიქადულო პოეტის მურმან ლებანიძის პოემის ნაწყვეტებს ვკითხულობ და ჩემს თვალწინ ის ათას ხუთასი ქართველი რაინდი დგას, ანისის აღებას რომ შეეწირა.

ამ პოემაში ამბავი ხდება,
არა, არ მკითხო, რატომ და რისთვის, –
ათას ხუთასი ქართველი კვდება
არა თავისთვის, არამედ – სხვისთვის!

შეეწებება ბალახი ბალახს,
დაემსგავსება მინდორი რიყეს –
ქართველთა მეფე სომეხთა ქალაქს
ქართული სისხლით სომხისთვის იღებს!

ქართულ კოჰორტას სომხეთში დაფლავს,
მოიხდის ჩაჩქანს, იყუჩებს დიდხანს,
ემთხვევა სომხის დედოფლის საფლავს
და ღირსსახსოვარს წარმოთქვამს სიტყვას.

სელჯუკიანი გარბის მკვეხარა,
ქრისტეს ტაძრებში ზარები ჟღერენ,
„მიეპატრონა სომხის ქვეყანას...!“
სხედან ვარპეტნი და წიგნებს წერენ...

დიდ მოედანზე იყოფენ ალაფს,
ქართველი სომხის იმედებს ანთებს:
„ათინა – ბერძენს! ბაღდადი – არაბს!
ანისი – სომეხს! თბილისი – ქართველს!“

„ჯან, დავით მეფევ!“ – სომხეთი გრგვინავს,
ჯაჭვის ზარადი უხდება ლომებს...
და მეგობრობის ყვავილი ბრწყინავს,
სისხლისფერი აქვს ფურცელი რომელს!

ანისში მისვლამდე იმდენჯერ შეგვეშალა გზა, არა მგონია, ჩვენი მასპინძლები ოდესმე თუ იყვნენ ანისის მისადგომებთან მისულები. სომეხთა ძველი დედაქალაქის – ანისის ნანგრევები თურქეთის ტერიტორიაზეა. გამოღმიდან კარგად მოჩანს ციხე-ტაძართა ნანგრევები: გალავნები, სამზირები, საგუშაგო კოშკები. უწყლო, უნაყოფო ბორცვებზე დაგვყვება რუსი მესაზღვრე, რომლის ხელფა-

სიც 80 ამერიკული დოლარის ეკვივალენტია, ისიც სამი თვეა არ აუღია და მაინც გულმაგრად სდარაჯობს სომეხთა საზღვარს, ჩვენც გულთბილად გვმეგზურობს. როცა გაიგებს ჩვენს ბათუმელობას, ასლან აბაშიძის ნაჩუქარ საათს გვიჩვენებს და გვეუბნება, – ორი წლის წინათ აჭარაში, ანუ სამოთხეში ვმსახურობდიო.

ავთოს დაუდევრობით ჩვენი მანქანა სერიოზულად ზიანდება. დაფაცურდნენ მასპინძლები, მაგრამ ახლომახლო სოფლებში მისი შემკეთებელი მოხელე არ აღმოჩნდა. მერსედესი ორიკის ვოლგით სადღაც წაათრიეს. ვდგავართ გაგანია სიცხეში, უდაბნოსმაგვარ მთაში, მწყურვალენი, მძღოლზე აღრენილები და თავბედს ვიწყევლით. ნარგიზი, ეს უკეთილშობილესი ქალბატონი თემურს ამშვიდებს, აწყნარებს, ავთოზე ცუდი რამე არ თქვაო. ჩვენ კიდევ ნარგიზზე ვდარდობთ და ასე გადის საშინლად გაწელილი დრო. ვიღაცამ წყალი მოგვირბენინა, მაგრამ ისეთი თბილია დალევა შეუძლებელია. წყალს აქ ვაგონ-ცისტერნებით ეზიდებიან, მერე ორთვალებით მიაქვთ მცხოვრებლებს სახლებში და ისევ ელოდებიან წყლით სავსე ვაგონების გამოჩენას. ეს ყველაფერი მონღოლეთში, გობის უდაბნოში ჩემს სამხედრო სამსახურს მახსენებს. მერე ჩვენს დალოცვილ, წყალუხვ მხარეს ვნატრობ და თემურს ვეუბნები – მადონა უნდა აცხოვრო აქ, ბათუმში ერთი საათით წყლის შეწყვეტა ქვეყნის დაქცევა რომ ჰგონია-მეთქი.

ღმერთმა დალოცოს კავკასიური სტუმართმოყვარეობა და სითბო. ამ სიდუხჭირეში მყოფმა ხალხმა სახლში შეგვიპატიჟა და გვიმასპინძლა როგორც შეეძლოთ.

საღამოსთვის მანქანა შეკეთდა და ფელიქსთან ერთად გავუდექით ერევნის გზას. ორიკი თავისი მეგობრებითურთ გიუმრში წავიდა.

დაქანცულს ისევ მურმან ლებანიძე გამახსენდა:

ბრუნდებოდა, სპა ანისით ბრუნდებოდა,
სად მახვილით სამართალი ვყავით.
ოცდაათი წელიწადი სრულდებოდა,
აზიაში ხრმალს იქნევდა დავით.

ღმერთს ჭეშმარიტს და ერთადერთს მსახურებდა,
შავს ჰუნეზე ქვიშისფერი ჩაჩქნით,
ჯდა და ბორცვებს სომხეთისას გაჰყურებდა,
დამძიმებულს საქართველოს ლაშქრით.

მივდიოდით ერევნისკენ ქვებში გაჭრილი შარაგზით. ჩამავალი მზის სხივებით შემკრთალ ქვის ბორცვებს გავყურებდით და ალბათ ყველას გულს გვიკორტნიდა ძველისძველი სევდა, ათას ხუთას რაინდს გამომშვიდობებული, ანისიდან სამშობლოსკენ მომავალი ქართველი ლაშქრისა.

* * *

სომეხ მწერალთა კავშირი.
დავით თედორაძეს, საკუთარ ხელში!

დედაისტორია გვაუწყებს: სწვევია ნიკოლოზ I ერევანს... მაგრამ ვერა და ვერ ნახა არარატი. გამგზავრებისას, გულში წამოიძახა: „მერე რა, რომ ვერ გიხილე, არარატო! სამაგიეროდ, ვერც შენ დამინახე მე...“

ეს – განსჯისთვის!

ახლა კი საქმის შესახებ. ოცი წლის განმავლობაში დავეძებდი ცნობებს ბათუმელი გმირი ქალის შესახებ, რომელსაც, პირველს რუსეთში, წილად ხვდა უდიდესი პატივი – დაჯილდოვდა „გიორგის ჯვრის“ უმაღლესი სამხედრო ორდენით. რუსეთში მას „ბათუმელი არწივი“ უწოდეს, საფრანგეთში კი მის შესახებ გამოთქვეს: „არწივი მხოლოდ მართვებს შობს“. მეფის რუსეთში წერდნენ, თითქოს მან გაიმეორა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში გამორჩეული ნადეჟდა დუროვას გმირობა. მე ჩემი მოთხრობით მკითხველი დავარწმუნე, რომ ჩვენმა გმირმა ქალმა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გმირობა ჩაიდინა – დუროვა ქალწული იყო, ჩვენი ელენა კი ორი ბავშვის დედა.

მოკლედ, მხატვრული დოკუმენტური მოთხრობა, ძირითადი პერსონაჟების სურათებითურთ, თითქმის მზად არის. საჭიროა ათობით ჩანახატის ერთად შეკრება და საქმეც მოგვარდება. შენ რას იტყვი ამაზე, ძველო ჯარისკაცო? თუ თანახმა ხარ, პასუხი შემატყობინე ჩემი დისწულის – არუთის მეშვეობით.

მართლა, თუ ეს სიძნელეს არ წარმოადგენს, მეგობრული ხელი გაუწოდე ჩემს დისწულს. თავად იცი, სიკეთე არასოდეს იკარგება.

ჰო, არუთუნ ოვანათანმა წამიკითხა შენი ლექსების თარგმანები. ძლიერია!!!

ასევე გააგრძელეთ, ბატონო ჯარისკაცო!

პატივისცემით – ძველი ჯარისკაცი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, სომეხ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – ჰაიკ არშაკის ძე აირაპეტიანი.

P.S. *ჩვენი კავშირის შესახებ გავრცელებული მონაჩმახი წმინდა წყლის პროვოკაციაა. სწორედ ჩვენი კავშირი გაერთიანდა ოთხი წლის წინ მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის შემადგენლობაში...“*

* * *

...1972 წლის ოქტომბრის ბოლოს ჯარში გამიწვიეს. სამედიცინო კომისიას კომისია ცვლიდა. თავდაპირველად ბათუმში შეგვამოწმეს გულდაგულ, მერე – ქუთაისში, მერე კიდევ – თბილისში და სრულიად ჯანმრთელი 30 ბიჭი რაღაცისთვის მისაღებად ჩაგვთვალეს. და ეს ყველაფერი ისე საიდუმლოდ კეთდებოდა, ოცდაორი წლის უმაღლესდამთავრებულ ჭაბუკებს კი არა, აღმოსავლეთმცოდნეებსაც აზრად არ მოუვიდოდათ, რას გვიპირებდნენ.

ჯარში გაწვეულები ჯერ თბილისში ჩაგვიყვანეს. რამდენიმე დღე ნავთლუღში დავყავით. თბილისიდან მატარებლით ისევ ბათუმისკენ გამოგვისტუმრეს და მოლოდინად ქცეული ბიჭები ქობულეთში, ჩოლოქისპირას საგანგებოდ გაშლილ კარვებში შეგვრეკეს. ერთი კვირის შემდეგ ბათუმიდან მატარებლით გავემგზავრეთ ჩვენთვის გასაიდუმლოებული სამხედრო ნაწილისკენ. მიგვაცილებდნენ იმ ნაწილიდან ჩვენს წასაყვანად საგანგებოდ ჩამოსული ორი ოფიცერი და ერთიც ზემდეგი – კავკასიური გარეგნობის მეტად სიმპათიური ახალგაზრდა. იგი რატომღაც ჩვენთან კონტაქტში შემოსვლას გაურბოდა. ხარკოვში სხვა მატარებელზე გადაგვსვეს და როცა აღმოსავლეთისკენ ავიღეთ გეზი, ოცნებას გერმანიაში, პოლონეთში ან ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო სამსახურის გავლის თაობაზე ერთბაშად მოეკვეცა ფრთები. ფულიანმა ბიჭებმა მშრალი საკვები არ ვიკადრეთ, უცებ გავანიავეთ და დღეებს ვაგონ-რესტორანში ვატარებდით. რამდენიმე დღეში ფული შემოგველია. მშივრებმა მშრალი საკვები მოვითხოვეთ, მაგრამ ვინ მოგვცა. რაც გერგებოდათ წესდებით, ყველაფერი მიღებული გაქვთო. ზურაბ ჯაფარიძემ, ახმედ ბაკურიძემ, თემურ ვარშანიძემ, რეზო აბუსე-

რიძემ და მე ხუთიოდე მანეთი ხურდა ფული შევაგროვეთ და იმხანად კურგანში ექიმად გამწესებულ ჩემს ძმას ვიღაც რუსის ხელით დეპეშა გავუგზავნე – საღამოს ცხრა საათზე ჩვენი მატარებელი კურგანში ათი წუთით ჩერდება და ფულით მნახე-მეთქი, – ვთხოვდი. ოთარს შემთხვევით შეევლო ბინაში, დეპეშით გახარებული გამოვარდა სადგურში, მაგრამ თან ას მანეთზე მეტი არ ჰქონდა. ბინა არ არის საიმედო და სალაროში ვინახავ ფულსო. მშიერი ბიჭებისთვის ასი მანეთიც დიდი შვება იყო, თუ დავზოგავდით, გვეყოფოდა კიდეც. დიდი ხნის უნახავი ძმები ერთმანეთს ვეხვეოდით და ვტიროდით. უკვირდათ ბიჭებს – ამ დასაკარგავში რა უნდა შენს ძმასო.

მატარებლის დაძვრისთანავე ისევ ვაგონ-რესტორანს მივაშურეთ და სამოცდაათმა მანეთმა „შემდგომი ტარებისგან“ გამოგვათავისუფლა, ხოლო დარჩენილი ოცდაათი კიდევ ორ დღეს ვიკმარეთ. თემურ ვარშანიძემ მზვერავის ალღო გამოიჩინა და სამხედრო საიდუმლოს ფარდა ოსტატურად ახადა: მონღოლეთში მივყავართ, ოფიცრის სამივლინებო ბარათს მოვკარი თვალიო. მონღოლეთის რესპუბლიკა, დაბა ჩოირი, ასე ეწერაო. თემურის ფანტაზია რომ ვიცი, მონღოლეთს მოიგონებდა ჩვენდა შესაშინებლად, მაგრამ ჩოირის მომგონი ეგ არ არისო, თქვა დინჯმა და ჭკუასაკითხავმა ზურაბ ჯაფარიძემ.

როგორც კი მონღოლეთის საზღვარი გადავკვეთეთ, გაგვიშინაურდა მიუკარები და ცივი ზემდეგი. ლევონ აირაპეტიანი გახლავართო, მეორე წელია ვმსახურობ იმ პოლკში, სადაც თქვენ უნდა იმსახუროთო. ნურაფრის შეგეშინდებათ, თქვენს გვერდით ვიქნებიო.

ნაშუაღამევს ჩავედით ჩოირში. შეგვრეკეს თავისუფალ კაზარმაში, სადაც არც საწოლები იყო და არც სკამები, დილამდე ასე უნდა გაძლოთო. ახლა კი გაბრაზდა ჩვენი ლევონი; ბიჭები მშივრები არიან და რას ჰქვია, არ ავახშმებთო, ან „მატრასები“ რატომ არ დაარიგეთო. რომ ვერაფერს გახდა, სადღაც დარეკა: – მამა, ბიჭები ჩამოვიყვანეთ, მშივრები არიან. აქ კიდევ ძალიან ცუდად დაგვხვდნენო. ნახევარ საათში ვახშამიც მოგვიმზადეს და ლეიბებიც დაგვირიგეს. „პოლკოვნიკი თუ არა, მაიორი მაინც იქნება მამამისი“, – ლოგიკური მსჯელობის დასკვნა გაგვიმხილა ახმედ ბაკურიძემ და თითებით ულვაშები ჩამოივარცხნა.

ლევონის მამა პოლკოვნიკი აღმოჩნდა, ოღონდ ძალიან დიდი თანამდებობის – დივიზიის შტაბის უფროსი ჰაიკ არშაკისძე აირაპეტიანი. მიუხედავად ამისა, ახმედს მაინც აქილიკებდნენ, – შვიდიანში მოარტყიო. – ათიანში თქვენ მოგერტყათ, თქვე მართლა აბდლებო და ბრიყვებოო,– ბრაზობდა ახმედი.

ჩოირი გობის უდაბნოშია. ამერიკელები სამი წელი ემზადებოდნენ იმისთვის, რომ ექსპედიცია მოეწყოთ აქ 1921 წელს. ჩვენ კი – რამდენიმე სამედიცინო კომისიის მიერ სრულიად ჯანმრთელებად მიღებულნი, საქართველოს ზღვისპირეთში გაზრდილი ბიჭები 30 გრადუსი სითბოდან 30 გრადუს ყინვაში, სადაც ჟანგბადის უკმარისობაც საგრძნობლად დიდია, ცხვრებივით შეგვრეკეს.

დაუვიწყარია ქართველი ბიჭებისთვის ჰაიკ აირაპეტიანის ამაგი. ყველას ეხმარებოდა, ურთულეს პირობებში სამხედრო სამსახურს რაღაცით უადვილებდა. ახმედი ლევონს მათემატიკაში ამეცადინებდა, ზურაბი დივიზიის შტაბის შენობაზე მიშენების პროექტს აკეთებდა მთელი წელი, რეზო ოფიცრების სასტუმროს მორიგე „მიმღებად“ გაფორმდა, მოკლედ თბილი სამსახურის გარეშე არავინ დარჩენილა, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვაცხადებ: ეს ყველაფერი ჩემი მეშვეობით ხდებოდა, რის გამოც ბიჭებმა „ქირვა“ (ნათლია) შემარქვეს, ჰაიკ არშაკისძემ თავდაპირველად მე დამიახლოვა. საათობით ვისხედით მის კაბინეტში დივიზიის შტაბის უფროსი და ჯარისკაცი. ვისხედით და ვსაუბრობდით საქართველოსა და სომხეთის ისტორიაზე, მწერლობაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე. მიკვირდა, სამხედრო პირმა ასე კარგად რომ იცოდა არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მეზობელი ერის ისტორიაცა და კულტურაც. რომ გაიგო ლექსებს ვწერდი და ვიბეჭდებოდი,

კიდევ უფრო გამიხსნა გული და „გამიმხილა“, თავადაც რომ წერდა, ოღონდ არ დაუკონკრეტებია – რას, არც წასაკითხად შემოუთავაზებია რაიმე. ჩემს გამო ამაყ პოლკოვნიკს რამდენიმეჯერ გენერალთანაც (დივიზიის მეთაურთან) ჰქონდა უკმაყოფილება და შელაპარაკება. მაშინ ალბათ ვერც ჰაიკ არშაკისძე და ვერც მე წარმოვიდგენდით, რომ სამი ათეული წლის შემდეგ იგი სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იქნებოდა, ხოლო მე – „გამომცემლობა აჭარის“ დირექტორი და ის მთხოვდა თავისი წიგნის ბათუმში გამოცემას.

ჰაიკ არშაკის ძის წერილი სომხეთში ჩვენი მოგზაურობის შემდეგ მივიღე. ერევანში მისი ნახვა არ მოხერხდა. ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სომხეთში ჩვენ მიწვეულები ვიყავით გრანტ მათევოსიანის მიერ. ოფიციალური მთავრობა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ მათევოსიანს სცნობს, ხოლო მათ შორის არასახარბიელო დამოკიდებულებაა. ამის გამო კაცი, რომლის ნახვაც გულით მინდოდა, ვერ ვნახე.

ცოტათი მოვლენებს წინ გავუსწარი. ერევანში ჩასვლამდე რამდენიმე საათი გვჭირდება. მძღოლზე განაწყენებული თემური თავად ჯდება საჭესთან. მგზავრებს მეტი რა საქმე გვაქვს და ვყვები მონღოლეთში გატარებულ სამხედრო სამსახურზე, ჰაიკ აირაპეტიანზე, მის ვაჟზე ლევონზე, ვიხსენებ კურიოზებს და ვიცინით. ფელიქსი მპირდება – აირაპეტიანს უთუოდ შეგახვედრებო.

ერევანში გვიან ჩავედით. ჩვენთვის შეკვეთილი სასტუმროს თანამშრომლებმა ნანატრი სტუმრებივით მიგვიღეს. ფელიქსმა დაგვაბინავა, მასპინძლებს გადაურეკა – ჩამოვედით, ყველაფერი რიგზეაო და დაგვემშვიდობა.

დილაუთენია დაგვადგა თავზე გრანტ მათევოსიანი მეუღლესთან – ვირჟინიასთან და ვაჟთან – დავითთან ერთად, ალბერტ ისოიანი მეუღლით და ქალიშვილით. ფელიქსიც დროულად მოვიდა და საუზმის შემდეგ გაგვაცნეს გეგმა, თუ რისი ნახვა შეგვეძლებოდა ხუთის დღის განმავლობაში. ჩვენ ხუთი დღე სამამდე შევამცირეთ და ვთხოვეთ, ჩვენი სტუმრობა უფრო საქმიანი ყოფილიყო, მოვრიდებოდით სადილ-ვახშმობებს რესტორნებში. საქმე იმაში გახლდათ, რომ ჩვენს მგზავრობამდე ცოტა ხნით ადრე, ფელიქსის მეცადინეობით ბათუმში ისვენებდნენ გრანტ მათევოსიანი და ალბერტ ისოიანი ოჯახებით. თემურმა და ნარგიზმა მათთვის ჩვეული გულუხვობით, გულთბილობითა და ინტელექტით მოხიბლეს სტუმრები და ისინიც ახლა აპირებდნენ სამაგიეროს გადახდას.

საბჭოთა სკოლის ფენომენზე ბევრი რამ დაწერილა და ბევრიც დაიწერება. წლების განმავლობაში პარტიის ხაზით ვკურირებდი აჭარის განათლების სისტემას და საკმაოდ კარგად ვერკვეოდი ამ სფეროში. ძლიერი, მოქნილი, გააზრებული სისტემა იყო. რა თქმა უნდა, ნაკლოვანებებიც ჰქონდა და დახვეწასაც საჭიროებდა, მაგრამ არა ისეთს, თავს რომ მოვიხვიეთ.

დღეს კი გაუგებარი რეფორმების ჭაობშია ჩავარდნილი ჩვენი სკოლები და დროზე თუ არ ვუშველეთ, ყველას მოგეხსენებათ ჭაობის მიზიდულობის ძალა...

საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლოვანება ის იყო, რომ ისტორიის სწავლებისას სასწავლო საათების ძირითადი ნაწილი რუსეთს ეთმობოდა, მოკავშირე რესპუბლიკების ისტორიას თითქმის არ ასწავლიდნენ. ამ პრობლემას ვერაფერს შველოდა ის რამდენიმე საათი, ნაციონალურ სკოლებში საკუთარი ქვეყნის ისტორიის შესწავლას რომ ეთმობოდა.

სომხეთის ისტორიაში პირველად ჰაიკ აირაპეტიანმა ჩამახედა. იგი საათობით მესაუბრებოდა სომეხი ხალხისა და სომხური სახელმწიფოს წარმოშობაზე. არტაშესიდების დინასტიაზე, ტიგრან დიდის მმართველობის პერიოდზე. სომხეთში ქრისტიანობის გავრცელებაზე, სახელმწიფოს დაყოფა-დაშლაზე რომისა და სპარსეთის მიერ, ბაგრატიდთა დინასტიის მიერ სამეფო ძალაუფლების მოპოვებაზე. მე-5 საუკუნის უდიდეს მეცნიერსა და განმანათლებელზე, ეროვნული დამწერლობის შემქმნელ მესროპ მაშტოცზე, ვარდან მამიკონიანზე, რომლის ბრძოლის დევიზად იქცა ბრძნული

სიტყვები – „შეგნებული სიკვდილი – თავად უკვდავებაა“, სომეხთა მარცხით დამთავრებულ ავარაირის სახელგანთქმულ ბრძოლაზე, დავით აღმაშენებლის მიერ ანისის გათავისუფლებაზე, თურქ-ოსმანთა იმპერიისა და სპარსეთის მიერ სომხეთის საბოლოო განადგურებაზე და სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებზე.

...სომეხი ერი თანამედროვე ხალხთა შორის ერთ-ერთი უძველესია. ის მოსულია საუკუნეთა იმ სიღრმიდან, როცა არა მარტო არ არსებობდა თანამედროვე ევროპელი ერები, არამედ ეს-ესაა ყალიბდებოდა ანტიკური ხანის ხალხები – ელინები და რომაელები.

ქვეყნის – arminya და ხალხის – armina სახელწოდება თავდაპირველად გვხვდება სპარსეთის მეფის, დარიოს I-ის (ძვ. წ. 522-486 წ.წ.) ლურსმულ წყაროებში. ამ წარწერების მიხედვით არმინები (ჰეროდოტესთან არმენებად მოხსენიებულნი) წარმოადგენენ ინდოევროპულ ხალხს, ევროპიდან მცირე აზიის გავლით გადასახლებულს ახალ სამშობლოში. ძვ. წ. დაახ. XII საუკუნეში თანამედროვე სომხების ინდოევროპელი წინაპრები თრაკიიდან მცირე აზიაში გადასახლდნენ და თითქმის 600 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ხეთების გვერდით. შემდეგ ისინი დაიძრნენ აღმოსავლეთით და ფეხი მოიკიდეს სომხეთის მთიანეთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

არმენები, ჰომეროსის „ილიადაში“ არიმებად წოდებულნი, ამ ჰეროიკული პოემის შექმნის დროისათვის (ძვ. წ. IV-VIII ს.ს.) დასახლებულნი იყვნენ კილიკიური ტავრიის მიმდებარე რაიონებშიც.

სომეხთა თვითწოდება – ჰაი (HAI) წარმოდგა ხალხის სახელწოდებისაგან – ჰაიოსი. ჰაიოსის ქვეყანა და ხალხი მოიხსენიება ძვ. წ. II ათასწლეულის თიხის ხეთურ ფირფიტაზე, რომელიც ნაპოვნია ხეთური სახელმწიფოს დედაქალაქის – ხათუშაშის გათხრების დროს.

ძვ. წ. II ათასწლეულში ძველი სომხეთის ტერიტორიას ასირიელები „ნაირის ქვეყანას“ უწოდებდნენ. ძვ. წ. I ათასწლეულში ასირიულ წყაროებში უკვე საუბარია ურარტუს შესახებ, ვინაიდან IX ს. დასაწყისში „ნაირის ქვეყნის“ ტომების გაერთიანების შემდეგ წარმოიქმნა ურარტუს მძლავრი სამეფო დედაქალაქით – ტუშპა (ვანი). ურარტუს შემდეგ ამ მიწაზე ისტორიის ესტაფეტა სომხეთის სამეფოს გადაეცა...

სომხეთის ისტორიაზე საუბრისას ჰაიკ არშაკის ძეს თვალებში ხან სევდა ჩაუდგებოდა, ხანაც ბუხარივით აგიზგიზდებოდა და მე მასში ვხედავდი ავარაირის ბრძოლის ველზე ხმალშემართულ, მრისხანე ვარდან მამიკონიანს, რომლის სათნო, უსპეტაკესი და მამისებრ უტეხი ასული შუშანიკი ქართველთა რძალი და დედოფალი იყო. ჰგავს ხომ საქართველოს ისტორიას სომეხთა ისტორია? – მკითხავდა შტაბის უფროსი და დასძენდა: – საქართველოსა და სომხეთს ერთმანეთის წინააღმდეგ არასდროს უბრძოლიათ, დახმარებით კი ბევრჯერ ეხმარებოდნენ ერთმანეთს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიო.

...ერევნის დათვალიერება სამხატვრო გალერეით დავიწყეთ. ბაშინჯაღიანის, მელიქიანის, სარიანის, აივაზოვსკის, შლდიანის, ავეტისიანის, კალენცის, აკოპიანის და სხვა მრავალთა ნახატებით სული გავიმშვენიერეთ და ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის სანახავად წაგვიყვანეს. სომეხი ხალხის ამ დიდ პოეტს, საქართველოს საუკეთესო მეგობარს, მეზობელ ერთა შორის სოლიდარობის წმინდა მოციქულს, თბილისში დაღვინებულს, ქართული მიწით ნასაზრდოებს იოსებ გრიშაშვილის თარგმანებითა და წერილებით საკმაოდ კარგად ვიცნობდი. მისი „ერთი წვეთი თაფლი“ ზეპირადაც ვიცოდი და გულახდილად ვამბობ: ცოტათი გული დამწყდა, მუზეუმში საქართველოსთან დაკავშირებული მასალები რომ ვერ ვიხილე.

მუზეუმის დირექტორმა, გრანტის მეუღლემ, ქალბატონმა ვირჟინიამ თავის კაბინეტში მშვენიერი „ალაფურშეტი“ მოგვიწყო. აქ კი ნარგიზს ნამდვილად არ ჰყავდა ბადალი.

მანქანით თუ ფეხით დავდიოდით ერევნის ქუჩებში და ვტკბებოდით ქალაქის არქიტექტურით, ტაძრებით, ძეგლებით, სისუფთავით, ერთი სიტყვით, ქალაქის მშვენიერებით.

სომხები უდიდეს პატივს მიაგებენ თავისი ქვეყნის ისტორიას, ამას ყოველ ნაბიჯზე გრძნობს იქ ჩასული სტუმარი. ისინი ხაზგასმული სიამაყითა და აღმაფრენით საუბრობენ ქვეყნის წარსულზე, მის ისტორიულ გმირებზე. ამასთან, თავს მოვალედ თვლიან სტუმარს აჩვენონ ერის დიდების ნიშანსვეტები – იქნება ეს მესროპ მაშტოცის საფლავი სოფელ ოშაკანში თუ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი ეჩმიაძინში. არც თანამედროვე აღმშენებლობის მიღწევებს ივიწყებენ – ერთი მათგანია სამთო კურორტი ცახკაძორი, სადაც მე-11-12 საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლების გვერდით დგას მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა სახლი – დასასვენებელი კომპლექსი, რომლის მსგავსიც, სამწუხაროდ, ქართველ მწერლებს არ გააჩნიათ.

* * *

მიჩნეულია, რომ ისტორიას ხალხი წერს, თუმცა ასე არ არის – ეს დრო ქმნის ისტორიას საუკუნეთა კალმით და მის ქვებზე ტოვებს ჩანაწერს თაობების შესახებ.

სომხეთის ისტორია ერთგვარი საგანძურია, რომლიდანაც წარსული საუკუნეების უდიდესი ადამიანებითა და უმნიშვნელოვანესი მოვლენებით დაინტერესებულთ შეუძლიათ მასში შენახული საუნჯის ამოკრება და შეთვისება. ზოგს სამეცნიერო პრობლემები იზიდავს, ზოგს კიდევ წარსულის დრამატული მომენტები და ამ ხალხის გასაოცარი ბედი.

ჩვენი თვალით დანახული სომხეთის შორეული წარსულიცა და აწმყოც საქართველოს ბედის მოზიარე ხალხის ისტორიაა. არცაა გასაკვირი. ამ ორი ერის ერთად გამოტარებული ათასწლეულები გარანტია იმ სიყვარულისა, რომელიც ამ მგზავრობიდან მივიღეთ და რომელსაც, ვიცი არც არასოდეს ექნება დასასრული.

2000



ავთანდილ ყურაშვილი

* * *

მადლობა, ღმერთო,
რომ მაძლევ სიტყვას,
რომ მაძლევ ძალას, სიტყვით ვიხარო,
რომ ჩემი მტერი, თავში თუ მირტყამს,
არ შევიძულო და შევიყვარო...

ძვირფასო ძმებო,
ცრემლით ვწერ სტრიქონს,
ნუ დააყოვნებთ, მოდით, ვუგალოთ,
ვუყვარვართ უფალს,
სხვას არას ითხოვს –
გულით ამოთქმულს,
წრფელს და უბრალოს..

მშობელი იგი, მშობი ყოველთა,
ნათლისმფრქვეველი უღრან ღამეშიც,
თუ გიპოვიათ, ჩვენ, უპოველთა
შეგვინაწილეთ ამ სიამეში...

უფუარობის დღეების სიბრძნე
არ ანაღვლებდა, თურმე, ჰეროდეს,
უბრძანა: „პეტრეს მიეგოს ციხე,
იუდეველნი ხვალე მელოდენ“...

ვივიწყებ მრავალს, რაც უკან დარჩა,
არ ველტვი იმას, რაც ჩემს წინ არი! –
სამარის მიწა, ლაჟვარდის ფარჩა,
საფლავის ქვა და ირიბი ჯვარი...

თუმცა, არ მთავრდება ამით ყოველი,
ის, უცნაური, უჩინარი და აუხსნელი,
ხელშეუხები, მიწისპირზე ჯერ უპოველი
და ცვლილებების
ცვლილებობით მარად უცვლელი
სულის გზა მელის,
წინ გიზგიზებს სვეტი ცხოველი...

წუხილი

გადიან თითო-თითოდ
ანგელოზები ცისა...
რა უნდა შემოგფიცო,
რა ფიცი უნდა გითხრა;

ვერ ამოუველ სევდას,
გული თოვლივით დნება, –
ჩაშლილი ხავერდებად
წყვდიადი მელოდება...

ოდესმე ღრუბელ-ღრუბელ
ჩამომატარებს ქარი...
ნეტავი, დაგიბრუნდე
სინათლედ ამომსხლტარი...

უენო ფიქრმა შემძრა, –
მივსცად-მოვსცადე ყველა,
ველარ ვუჯერებ ჩემს თავს,
არც აღარავის მჯერა...

რა მოგდის, ცრემლის შვილო, –
მღერი თუ სტირი?! ვხვდები,
(არა, დღეს არ მიტირო),
ხვალ ან ზეგ მოგიკვდები...

გადიან თითო-თითოდ
ანგელოზები ცისა...
ღმერთი ღმერთისას ითხოვს,
სატანა სატანისას...

ხელ-გული გაიშალა,
რტო – ფოთოლს დაბლა ხრიდა,

გამოანათებს ჩალა
ზვინად აქნილი ხიდან;

ცალ მხარზე უზის ყანჩა
და სულს უბერავს ველებს...
ვაი, რა ლურჯი ცა ჩანს
ბროლის ჭალების მერე;

შენ მაცოცხლებ და შენ მკლავ,
შენი ვარ სამარეშიც;
სვავმა ულხინოს ჩემს ძვალს,
სული ცას, მიწას – ლეში!..

* * *

მე მჯერა, წუხელ ამოჰყე მთვარეს,
მსუბუქი რხევით ჩემთან დაფრინდი;
რისგან გამოგჭრეს და გამოგთალეს
ასე ნაზი და ასე ნატიფი...

შენ, მდუმარეო, შენ რას მიელი,
რა შადრევნების მსხვრევა გიტაცებს;
რისთვის ჩამოდნი ცვარი ციერი
ენა-ყბად ქცეულ დედამიწაზე;

რაა მშიერი ეს დარბაზები,
ყველგან ყოველთვის რისთვის დაგეძებ;
ან შენი მხრების რბილი ხაზები
რად მიმრავლებენ შუბლზე ნაკეცებს;

ან შენი თმების მღვრიე ვარდნილი
რა სევდით ამტვრევს
სპილოს ძვლის თითებს...
ხარ მარგალიტი ამოვარდნილი
შემთხვევით ჩვენთან მომარგალიტე;

რისთვის შემყარე მე ამ სიმძიმილს,
რისთვის ამკიდე ვეება ლოდი;
მე ვკვდები, ვკვდები! ჩემი სიკვდილით
გშორდები, ვერ კი მოგიახლოვდი.

თეთრო ქალავ!

ქალაქს გადირკალავს
წელი მდინარისა...
ვაი, თეთრო ქალავ,
გაუცინარისავ!
იქნებ ზღაპარიდან,
იქნებ იგავიდან,
ნავენახევიდან,
ნასათიბარიდან...
მიმოითოვლები,
მიმოედინები,
მწიფვა ბაღებისა,
მწიფვა ჯეჯილების.

ქალაქს გადირკალავს
წელი მდინარისა...
ვაი, თეთრო ქალავ,
გაუცინარისავ!

მღვრიე სიზმარი

მურმან ლებანიძე დამესიზმრა,
სიზმარში ვნახე ლებანიძე,
შუქი მოუძღოდა, გადმოცდა კარის ღიობს –
„დასტური მითქვამს, ყმაწვილო, კიო,
ლექსი, დიაცივით, ღალატს არ გპატიობს!“

ფიჩხივით იყო – მჩატე და მშრალი,
იფიქრებდი, ჩიტიაო, სკვინჩა...
მე მისი ხილვით ვიყავი მთვრალი –
მუხის რკოსავით ერთი ბეწო,
სულ ერთი ფინჩხა;

მერე ის მოხდა,
სამოთხის ქარებს ამოუვარდი უბიდან,
ვარსკვლავთა ქოხთან,
ბრმა დამიძახონ,
ყრუდაც მომნათლონ თუ გინდა,
შენთვის ვეძებდი
ფეროვან სიტყვებს, საქებს...

ვეძებდი, თურმე,
ჩემთვის თოკ-საბელს, საბელს...

ამ ცეცხლის ძვრამაც ჩაიარა,
შანთების ენაც უკან დარჩა,
არ ვისაკლისებ...
კაცმა არ იცის,
სად და როგორ პოვოს ნუგეში...
არა საყდრისკენ,
შენთან მინდა, მაგ შენს უბეში –

თუმცა, ეს სიტკბო შაქარმოყრილი შხამია...
დიდი ხნის წინათ,
ჯერაც კვერცხში რომ არ ვიჯექი,
იმაზე ადრეც, როცა მოვწყდი ზეცას ნამიანს,
და მიწისკენ წვეთად მოვქროდი,
სიკვდილმა გვერდი ამიარა, ახლაც ამიარს,
არ მომიგია მისი გული რამე ოქროთი...

დე, იბრიალონ ვარსკვლავებმა,
ღამის კედლებში იპარპალონ,
გამოხრან ბნელი –
საღმრთო მცვრევისთვის ცა გამოცელონ...
თუ მიხარია – ვხუმრობ, ვიცინი, ვმღერი,
თუ მიხარია, ლექსი რად უნდა ვწერო.

* * *

ამ უსურვილო
ღამეების ბნედითი ბნედა
განმეორდება
ისევ ისე ცეცხლისფენებით,
ამოტანჯულხარ ჩემს თვალებში
და თვალთა ზედა
უსამოსელო, სამოსელით მოიმტვერები;

მოიმტვერები,
იაგუნდის მკერდს მოიბნელებ,
რა მშვენიერი,
რა ლამაზი იცი სიკვდილი,
ერთხრლ გიხილე,
ამოჰყევი ვარსკვლავთა ღელეს
უსახურობით სახიერი და ფერმიხდილი;

ლაჟვარდებიდან ამოჰყევი ვარსკვლავთა ღელეს,
შეღონებული, ნათლიერი,
ნათლით ნათლული,
და თითქოს შროშნებს,
ყელმოწყვეტით მიქნევდი ხელებს,
აქაფებული წყვდიადიდან ზეაღმართული...

რა დამღლელია
უკვდავების უსასრულობა,
უძირობიდან
წამოსული შუქის მორევით...
ახარბებული,
დაქსაქსული დაქსასულობით,
უბადრუკია
ჩემი ლტოლვა განმეორებით;

უბადრუკია
სული ჩემი მარად მგლოვარი, –
მოძრაობიდან
მოძრაობის იქეთ მეგულვი...
განკაფულია
თვალი თვალით ნაკლულოვანი,
განკაფულია
გული გულით გაქვავებული.

* * *

ხელაღმართული
კაენს უხმობს ისევ კაენი,
შუბლგახეთქილი
ენარცხება მიწას აბელი...
კვლავ გაჰყვირიან
სისხლის ტბაში მობანავენი,
კვლავ აღმა-დაღმა
თარეშობენ მობადრაგენი...

მინახავს ბევრი უღმერთობის ღმრთობით მგმობელი,
ბევრიც ღვთისპირის –
ღვთისმოძულის ენით მქებელი;
მზაკველთ
მზაკვრული მისმენია საგალობელი,
დიდ-დიდ საქმეთა
შემხვედრია განმქიქებელნიც...

ძნელია, იყო
ამ უგულო და უჟმურ ხალხში,
ძნელია შესძრა...
სიტყვით შესძრა, უფრო ძნელია,
ვიდრე ააღო თავი,
ჩადგე მძარცველთა დახლში,
ხვანჯო ხლართები,
ილაქუცო და იმელიო.

ვაშა, მაგონებთ
გალიიდან გამოყრილ მხეცებს,
მაინც მიყვარხართ,
ეს სისუსტე ჩემი ძველია...
თოფი გავმართე,
ხმალი მიჭრის, მახვილი ვლესე, –
ვერ გაგიმეტეთ,
სიკვდილისთვის ვერ შეგელიეთ...

ან ვით აღვაგო
სიძულვილის მღვრიე ტაძარი,
ან ვით ვატარო
დაფლეთილი ათასგზის გული, –
ჩამორღვევული,
მთის თხემივით უზარმაზარი,
ეგ თქვენი ცოდვა –
უნაპირო, ბნელი და კრული;

მაგრამ მწამს ერთი
(მორწმუნენი ნეტარ არიან),
სათნოთა შორის
უსათნოესს აღემატება:
მოყვასი თვისი, ვისაც უყვარს და უხარია,
კაცში, კაცშიგან
რომ ამოდის ღმერთის ხატება!

* * *

აღარ დავრბივარ მინდორში, დედი,
აღარც ქუჩებში დავთარაყანობ...
ქაღალდზე ვწვები, ქაღალდზე ვდგები,
ქაღალდში ვწუხვარ, ქაღალდში ვხარობ;

ქაღალდის ჭიად გავმხდარვარ ლამის,
ნეტავი, დედა, ერთხელ განახა,
ჩემი ბიბინა ქაღალდის ზვარი
და შენი შვილი შიგ მევენახე...

საქმედ ვიქციე სიტყვასთან ბრძოლა,
სიტყვასთან შეყრა, ჭიდილი ბნელთან..
ქაღალდის დიაცს დავისვამ ცოლად
და ქაღალდისშვილს გავაჩენთ ერთად;

ხო, დედი, დედი, უთხარი მამას,
რომ საქმე აქეთ გართულდა უფრო,
რომ სიზმარ-ცხადის უენო ყმა ვარ,
ულუკმაპურო, უფულო, უფრთო...

თუმც, ეს ქონება რაში მჭირდება, –
აღარც შენახარ, არც მამა მიმზერს
და ჩემი ბედიც დაეკიდება
იმ ჩემს ფურფუტა ქაღალდის შვილზე.

* * *

მოულოდნელად ვარსკვლავი წყდება,
თითქოს, ცა ვიყო, გადამიარა...
ვუწუხ ზესთაზესს: რად ამაყბედა,
თანაც – ამ უგბილ ადამიანად?!..

„ფლიდი ხარ, ფლიდი!“ –
ყოფით ვბრუვდები,
ლაფში, ტალახში თანაზიარი,
იმ ერთადერთი თავისუფლებით
სიკვდილში როა დიდზე დიადი...

გამოშრა წყარო, გახმა ღრუბელი,
ხვატი შემომწყრა, გვალვა მეწვია
და მე არაფრად ქნას ვუბრუნდები,
ვერადა, თავი ვერ დავაღწიე;

ვერ ავიცილე, უკვდავი სნება –
ვარსკვლავები როს ბნელს დააცრიან,
ვერ გამოვიცვლი, არ გაიხდება,
– მიმაქვს ეს მიწა, ზედ რომ მაცვია...

ნებული

შენი თმებივით
შოლტა წვიმა მოდის, ნებული,
მახსენებს წარსულს,
სიჭაბუკემ ჩამოიმღერა...
კვლავ მენატრება, უპირობო და უნებური,
ჩვენი შეხვედრა,
ჩვენი კრთომა და შენი ცქერა.

სადა ხარ ახლა, ვისი კერის ღადარს აფიცხებ,
ვის შესციცინებს ბუხულია შენი თვალები...
თუ წამით მაინც
გყვარებივარ, იმ წამს გაფიცებ,
გჯეროდეს,
მუდამ მიყვარდი და სულ მეყვარები.

სხვა რაღა გითხრა, სანუგეშო, რაც მაბადია,
სიზმრად გნახულობ,
სამწუხაროდ, არა ყოველთვის,
ის ხილვასავით, უსათუო დიდი მადლია, –
მხოლოდ
სიზმართა სიგიჟეში ცხოვრობს პოეტი;

ჩამოგიქროლებ
მთვარის ეტლში შებმულ ცხენებით,
აგიბრიალებ
ვარსკვლავების ყვითელ კოცონებს...
წარსული ჩემი ჭრილობაა მოურჩენელი,
დავრჩი დამთმობი და მეოცნებე.

ჯოკონდას ღიმილი

1.
შუბის პირივით
ბნელში ენთო თეთრი ასული,
ვის, ვის ტიროდა თეთრი ასული?!
მრუმე ღამეთა მობოლავს სევდა, –
ფრთამოშრიალე ჭალებიდან, თითქოს, ჩალაზე
გადაიარა მდინარემ ქართა...

შენღა გაქვს, ჩემო, სინაზე მწუხრის,
შენს მარადიულ წვასა და წუხილს
საუკუნეთა მრავალწერტილი
აღუმართია მძიმე სვეტივით...

2.
დასაბამიდან ამ ღიმილის უცოდველ ფერის
იყო წეროთა დიდი მოწყენა
და ულურჯესი ცის მიმოფრენა...
მერე მორბოდნენ
ამწვანებულ ფეხისგულებით,
რომ უფრო ახლოს დაენახე
მთელი სიცხადით.
ჩემი სამყაროც
ფრთაახვეულ თეთრი მტრედივით,
როგორც ღრუბელი
თვალსველი და ტანდაფლეთილი,
შენი სიშორის
მისდევს ისევ ლურჯ მდინარებას.
და ვით ჭადრაკის პრიალა დაფა,
აჭრელებული დინოზავრთა ნატერფალებით
გამოჩნდა მიწა,
რომელზედაც შრიალებს დაფნა
და უნაზესი ნიავქარები
ანათრთოლები
უფსკრულების და ნაპრალების
მოსალოდნელი ნიაღვარებით...

3.
ან ცა მომეცით, ან მითხარით, რა არის ჩემი,
რა სიღრმისაა ეს მდინარება,
ლურჯი ქსოვილით
ახვეული თვალების მიღმა.
მთვლემარე ფიქრის მშვიდი ფრინველი
ვინ შეაჯახა სივრცეს პირველად
და დიუნების ყვითელი ქერცლით
გადაეფარა წარსულის ლიბოს;
ვის დაუნთია ისეთი ცეცხლი,
რომელიც მზეზე მაღალი იყოს...

4.
ჰგავდნენ დღეები იმ შემჭკნარ თევზებს,
მებადურმა რომ გაჰკიდა მზეზე

და ტრამალების ღია თვალების,
ქუთუთოებზე თარეშისგან განაწამები,
გარდასულ ქართა უსახური ყრია გვამები;
შორეულია შორეულზე შორით ოცნება,
რაც, შეიძლება,
მაპატიონ მხოლოდ მგოსნებმა;
და ლაჟვარდოვან რკალთა ჭიუხი,
და ოცნებების
ღვართქაფივით მზარდი სიუხვე,
ლერწმოვანებში
ჩაფრენილი ტბათა თმენანი
ისევ ეძახის და უხმობენ მძიმე ზარებით...
მე გადავრბივარ
შენი ზეცის ქვიშისფერ ტანზე,
მაგრამ მიწაზე
ძლივს მივათრევ სხეულს წვალებით, –
ვინ დამიბედა მდინარეთა ლიბრი სისველე,
ვინ დამიმსხვრია
და ამივსო რწმენა ბზარებით?!

5.
საგალობელი სიმწუხარეში
იყო საოცრად ნაცნობი და გაუბედავი.
იდგა თაღედი ჩაძირული
ჩრდილთა თარეშში,
ვით ფრთაწაჭრილი თეთრი ქედანი;
ვიღამ გაჰფინოს
გადაუხნავ სივრცეებს მკერდზე
აატმებული ფერის მისნობა...
და ამ შეწყვეტილ სიმღერის ბედით
შეწუხებულა ჩემი სულის მარადისობა.

დედამიწელი პოეტი

ვნახე, გორი-გორ
გადმოლახა ტყემლების თოვლი,
ღარიბი მწვანე
მზეჩანთებულ არეებს მისდევს...
და სოფლის ყელზე
გვირილების თვალღია მოლი
კუბოს უმჩატებს
დედამიწის ამ საწყალ ხიზნებს;

ის იქ გასრულდა,
იმ ვენახში, ვაზი რომ ტირის;
ის აქ ცოცხლდება, ამ კორნაპზე,
სივრცეს რომ ერწყმის, –
სადაც მარადი ყოფაა და მარადი ლხინი,
სადაც უკვდავი სიტყვაა და უქრობი ცეცხლი.

გიზგიზებს მნათი,
ჩამავალი მზე ზღვაში იწვის;
ამოდის მნათი, შორი შუქი ცაში ინთქმება –
მარადიული თანამგზავრი სამშობლო მიწის –
მიდის პოეტი თავისთავის დასავიწყებლად;

მაშინ შეტოკდა,
შებარბაცდა სივრცე, ვიგრძენი, –
იგი აპრილის
მოხშირებულ სუნთქვაში თვლემდა...
მოკვდა გიორგი კაპანაძე?! დედამიწელი
პოეტი, – ქართულ ენაზე წერდა.

ჭკნება საღამოც. გრილი ბინდი ჩამოებურა,
ძირს,
კუდიანი ვარსკვლავისქვეშ ცერად შეყრილი
ფუთფუთებს სვირი
და ღამეში – უკუნში, ბნელში
ვიხილე იგი, გააბიჯა სამყაროს ყელში;

გადაიარა ცასავალი გზა-ქარაფები, –
სინათლის გარდა არაფერი, სულ არაფერი;
მხოლოდ დაფნები
შეურხევლად იდგნენ ზეთავთან,
შუქის დაფნები, ვარდისა და იის კარებთან...
ზოდიაქოთა ეთერული მაჯა ფეთქავდა
და ლაჟვარდების ბინულები მოღვარღვარებდა;

ხოლო, სულ ახლოს
ვარსკვლავების ბონდი ირწევა...
და ბინდებს როცა შემოაწვა საღამოს სევდა,
ვნახე, გიორგი კაპანაძე –
დედამიწელი პოეტი როგორ გაცისიერდა.

ედგუჯა თავგერიძე

ბალიასტომის ქვეყანა

(ავტობიოგრაფიული ნოველები)

იანვრის თოვლში

თოვლში ჩაყურსულ სოფელში სახლების პირველი სართულები მხოლოდ ზოგან ჩანდა, მიწამდე დაწვენილ ხის ტოტებს ვიღაცები ფერთხავდნენ, ვიღაცები არც ამისთვის იწუხებდნენ თავს. ხეებს რას დაეძებდნენ, ის აშფოთებდათ, გადათოვებას რომ არ აპირებდა, მოყინავდა, დაათოვდა, ისევ მოყინავდა, ისევ დაამატებდა. ამ მატება-მატებაში იმოდენა დადო, საგონებელში ჩააგდო დიდ-პატარა. დღე-ღამეში ხანდახან თუ გადაითოვებდა, ეგ იყო და ეგ, ან თოვდა, ან მოსაყინად ემზადებოდა, ან ყინავდა. ბუხრებიდან, ღუმელებიდან, გააჩნია, ვინ რითი თბებოდა, ამობოლქვილი კვამლით წამიერად მუქფერდებოდა სითეთრე. საწოლიდან გამოყოლილსითბოშერჩენილები დილაუთენია ცეცხლს ანთებდნენ, მერე ბოსლამდე, საქათმემდე, საღორემდე, ნალიამდე, ჩამოხურულამდე, ზამთარზაფხულ ათასი ხიბაკი, ზოგიერთს ნახშირი და მოსანთები შეშაც რომ ეყარათ შიგ, მისასვლელ გზაწვრილებს ასუფთავებდნენ. აქეთ-იქით ყრიდნენ დაზვამპულსა თუ აფურფუტებულ თოვლს. წყაროზე, ნამქერდაჩვეული ხევის ბოლოში რომ იყო, სიზმარში თუ ჩავიდოდნენ, თორემ ცხადში რას ჩააღწევდნენ. თოვლს ადნობდნენ, დასალევად, სხვა რამეებისთვისაც თოვლის წყალს ხმარობდნენ.

– არც რეცხავს, არც ხარშავს... – ბუზღუნებდნენ ქალები.

– გაიხედეთ გარეთ, საცაა, თოვლში დავიმარხებით... – კბილებს აღრჭიალებდნენ კაცები.

საუბნო შარაც, ორღობეებიც თოვლს ამოევსო, მაგრამ სკოლაში მაინც დავდიოდით. წინ მშობლები, იმჯერზე სოფელს შემორჩენილი ჯანიანი სამი კაცი მიგვიძღვოდა. ხვნეშით მიიქვარქნებოდნენ წინა დღით საგულდაგულოდ გაკვალულ, მაგრამ მაინც კაიხელაზე აზურგულებულ თოვლში. იმათ ბაბუაჩემი ყარამანიჩი, ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, მაშინ ასე ერქვა, ედგა კვალში, ბოლოს თავპირშეფუთნული მოსწავლეები, ასე ათი-თორმეტი წლის შვიდი ბავშვი მივფაფხურობდით.

– გესმის შენ, სოსია, ასეთ თოვაში გაკვეთილის უცოდინარი მოწაფე რომ მოგივა სკოლაში... – წამოიყვირა ყარამანიჩმა და აღარ დაბოლოვა, თვალებდაქაჩულმა გაიხედა იმათკენ, ვის უცოდინრობაშიც ეჭვი არ ეპარებოდა.

– ერთი-ორია ამგენში სწავლის მოწადინე, – ხელთათმანიანი მარჯვენა ხელის მტევანი გაა-

ქან-გამოაქანა, თან უკან გამოგვხედა ყარამანიჩის წინ მიმავალმა იოველმა.

– გესმის შენ, ბებიას შვილიშვილი ასწავლიდაო, ასეა სწორედ, კვახივით მძიმე თავებს დააგორიალებენ.

თითქმის ყველა წინადადება – გესმის შენ, ან გესმის თქვენ-ით იწყებდა, თან ნათქვამში მძიმეს ჩართვა ჩვეოდა სასწავლო ნაწილის გამგეს. ვიღაცა დაქორწინდაო, ყარამანიჩს ის ვიღაცა გულზე თუ არ ეხატებოდა, – გესმის შენ, მძიმე ამბავიაო, თუ მოწონდა, გესმის შენ, მძიმე საქმე მოულევიაო. ხანდახან მძიმეზე მძიმეს დაუმატებდა: დედამიწისთვის მძიმეზე მძიმე შეიქნა თავის ღერძზე ტრიალი, გესმის შენ, ისეთ უცხო სარტყელში მოვხვდით, ზაფხული ზაფხულს, ზამთარი ზამთარს აღარ ჰგავსო.

რაიმეს დაწერას რომ მოგვთხოვდა, მძიმეს იქაც არ ივიწყებდა:

– მძიმეს დააკვირდით, გესმის თქვენ, მძიმე უბრალო სასვენი ნიშანი არ გეგონოთ, – მძიმემ, შეიძლება, მძიმეზე მძიმე გადაწყვეტილება მიაღებინოს კაცს, მძიმეა, რაცაა, ცვლის აზრსო, – დაიბუბუნებდა და წინადადების დასაწერად გაალაჯებდა დაფასთან.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება ეპატიოს! თუ არ შეიძლება-ს მერე დავწერთ მძიმეს, კაცი გადარჩენილია, თუ არ დავწერთ, თუ არ დავწერთ... – ხანდახან სამჯერაც იმეორებდა, – თუ არ დავწერთ, გესმის თქვენ, სიკვდილით ისჯება. ხედავთ, რამხელა მნიშვნელობისა ყოფილა ერთი უბრალო სასვენი ნიშანი, სახელიც მართებული ჰქვია, – მძიმე.

წინ მიმავლები გრძელ ნაბიჯებს ადგამდნენ. ვერ ვეწეოდით, რას დავეწეოდით სამი ჩვენხელა თოვლში. თავზე დიდყურაქუდჩამოფხატულებს ცხვირ-პირი კაშნეთი გვქონდა შეფუთნული, სუნთქვა გვიჭირდა, სკუპსკუპით რომ გვევლო, რომელი კურდღლები ჩვენ ვიყავით, მაინც თოვლში ჩავრჩებოდით. ამიტომ გვიბღვერდნენ... ვფაფხურობდით თოვლში, წინ, გითხარით უკვე, მეწინავე რაზმივით, ბიძაჩემები მიდიოდნენ, უკან ამრეზით იხედებოდნენ, ვერა და ვერ ვუწყობდით ფეხს. მამაჩემი ზესტაფონში ჩარჩა, რას ამოვიდოდა?! მანქანას კი არა, ტანკს გაუჭირდებოდა იმხელა თოვლის გატეხვა.

– რა ისწავლა მამაშენმა ასეთი, სოფელს რომ აღარ ეკარება? – აბუზღუნდა ის, ბიძად რომ მერგებოდა და სულაც რომ არ მინდოდა მისი ბიძობა, მაგრამ რა მექნა?! იმოდენა ხელები უფრო მაღალ კაცს დაშვენდებოდა. უნდოდა, დაემალა, სად წაიღებდა ამიტომ აქეთ-იქით აქნევდა, ფრთხილად თუ არ იქნებოდი, შეიძლება სახეში მოერტყა, თვალებს ქურდივით აცეცებდა, გეგონებოდა, ვიღაცას რაღაცაში ეტოქებაო. ხასიათაქოთებულს, ვერ იტყოდი, სტუმარი არ უყვარსო, პირიქით, შორებელსაც, ახლობელსაც ალალად უმასპინძლდებოდა, ოღონდ ეგაა, გამომშვიდობებისას, შენთან როდის ვიქეიფოთო – ცალთვალმოჭუტული მიაჩერდებოდა, შორებლები მხრებს იჩეჩდნენ, შინაურები არ ეპუებოდნენ, პირში ახლიდნენ: შემარგე ნასვამ-ნაჭამიო. შენი პატრონი ქვეყანა, შენი პატრონი ქვეყანა, ჩემთან ქორივით მოფრინავ, შენთან ჯინჭველასავით მოჩოჩებასაც მიშლიო, – ადუდღუნდებოდა იოველი.

ზურგზე შემისვა იმ ბიძამ, ზამთარ-ზაფხულ რომ შრომობდა. კალატოზის საქმე შემოელეოდა, ზამთარში ვინ აშენებდა რამეს, ღობეს დაანგრევდა, ზევიდან ქვევით ჩააჩოჩებდა, გავიდოდა ორი კვირა და, ჩაჩოჩებულს ქვევიდან ზევით ამოიტანდა. შინ ყველაფერს იწყებდა, ვერაფერს აბოლოვებდა, სხვასთან, იცოცხლე-თქვა, კიდეც იწყებდა, კიდეც ამთავრებდა. იმ თოვაში ღობე კი არა, სახლებიც ბინდბუნდად ჩანდა და მოცლილი იყო, მიტომ წამოგვყვა, ისე ვინ გაუბედავდა, მოწაფეებისთვის სკოლამდე მისასვლელი გზა გაეკვალა.

ზოზინმოძულე სულ ჩქარობდა, კეთებისას თვალები უციმციმებდა, უქნარობისას ირეოდა, აქით-იქით დადიოდა. იმხელა თოვლში ვერ მიგვატოვებდა, თორემ თვითონ ან თოვლზე ზემოდან გადაივლიდა, ან, რაღაცას მოიფიქრებდა.

კალატოზი იყო, დელეგატს ეძახდნენ. დელეგატი რას ერქვა, მაშინ არ ვიცოდი, მიკვირდა,

კალატოზი დიმიტრი ბიძია რატომ, რისთვის გახდა დელეგატი? ნათლიობის მიზეზი დიდობაში გავიგე. ჭალაზე დიმიტრის ცოლის ტყუპისცალი თათუშა ცხოვრობდა. ჩასიძებულ ქმარს ის და დედამისი, ღრმად პატივცემული სიდედრი დიმიტრისი, დღეც ეჩხუბებოდნენ, ღამეც. მათი სიძე ხუტა ჭანტურიძე – არაქელა კაცი, სიდედრის საყვედურებს ერთ, ცოლისას – მეორე ყურში უშვებდა. ხანდახან ცოლ-სიდედრი ისე შეუბერავდნენ, რომ ძუსაგაღმა საქონელივით გადენიდნენ. გაალაჯებდა მდინარის გაღმა, თავისიანებში, უხერხულ ადგილას, ესეც მერე გავიგე, მოიკიდებდა ხელს, ეგი მოვიტანე, ეგივე მიმაქვსო. გავიდოდა ორი-სამი თვე, ჩაუღამდებოდა თათუშას თვალები, კაცის საქმე დააწვებოდა კისერზე დიმიტრის სიდედრს – პოპასპორტუ მაკრინე რომ ერქვა, ისე შინაურობაში დომნას ეძახდნენ. მოაკითხავდნენ სიძეს, არიქა, გვიშველე, გადი ჭანტურიძეებში, იქნება შემოგვირიგდეს ჩვენი ხუტიკოო. გუშინ მიწაში დებდით, ახლა ჩაგეხუტოთო, – იბღვირებოდა ფოთოლას ქმარი, მაგრამ რა ექნა. გავიდოდა ძუსაგაღმა, გამოყავდა ხუტა და ახუტებდა თათუშას, – რაც გაღმა გევიტანე, იგივე შემევიტანე გამოღმაო – იღრიჯებოდა სირბილივით სიარულს დაჩვეული, შერიგებულზე – ხუტიკო, წაჩხუბებისას – ხუტა სასიკვდილე. ორ, ჰა და ჰა, სამ თვეს გასტანდა სიამტკბილობა, პირველად დომნა არატრატდებოდა, აყვებოდა თათუშა, გადენიდნენ ძუსაგაღმა საზიზღარ სიძეს, მერე ისევ გაგზავნიდნენ დიმიტრის ძუსაგამოღმა მის გამოსახმობად.

ამიტომ შეერქვა დიმიტრის დელეგატი.

დომნას ბრალია ყველაფერი, ძუსაზე ადრეა დაბადებული, ხან იმასავით გადეირევა, ხან თავს მოისაწყლებს, უნდა – კრავია, უნდა – მგელიო.

დიმიტრი ბიძიას ფართო მხარბეჭზე შემოსკუპული მეწინავეებში ჩავეწერე. მე რომ არა, თოვლში ჩაიჩუმქრებოდით-მეთქი თვალებით ვეუბნებოდი უკან მომავალ თანატოლებს. უფროსები ორღობეში ახორხოლებულ თოვლის ნამქერში ეფლობოდნენ და რაღაცას უაზროდ ყვიროდნენ, ამოფორთხდებოდნენ და იმ ადგილს შორიდან უვლიდნენ.

კიწავების გარემოს ბოლოში გავლა ქარში გვიჭირდა, ქარ-თოვაში რა დაგვემართებოდა. ოთხმოცი, ჰა და ჰა, ასი მეტრი იქნებოდა, მაგრამ ყველა მხრიდან ნამეტანი ჯოჯოხეთურად ატრიალებდა თოვლს, თვალებს ძლივს ვახელდით, სანახევროდ თვალდახუჭულები თოვლის კედლებს ხან აქით, ხან იქით ვეხლებოდით. თუ თოვდა, იქაური ქარბორია სახეში ფიფქებს ტყვიასავით გვიშენდა, გადათოვებულში მოყინულ ფიფქებს წაღმა-უკუღმა ისე ოსტატურად ატრიალებდა, თავბრუდამხვევი კარუსელი გეგონებოდათ.

– ომალიას დედა მომკვდარა – კიწავების ჯოჯოხეთი რომ გავიარეთ, მაშინ უთხრა ყარამანიჩს იმან, ბიძად რომ მერგებოდა და სულაც რომ არ მსიამოვნებდა მისი ბიძობა. ყარამანიჩის ბაბუობა მეამაყებოდა, ამის ბიძობა მესირცხვილებოდა. მამაჩემზეც, სხვებზეც აგდებით ლაპარაკობდა, სულ იმას ლამობდა, ვინმე გაეკილა. სხვისი დაცინვის მოწადინე ხშირად თვითონ ხდებოდა დასაცინი. მან, უფრო მისმა ცოლმა აიჩემა – გინდა, არ გინდა, ქალაქში უნდა გადავსახლდეთო. ჩემი იოველი ვისზე ნაკლებია, ვერ ჩავკლავ საზანოს ტალახშიო.

ქალაქში ცხოვრება სოფელში ცხოვრებას ჯობია, მაგრამ რომ დაკრა ფეხი და წახვიდე, მიწის ნაკვეთის, მთლად უკეთესი, სახლის შესაძენი ფული მაინც ხომ უნდა გედოს ჯიბეში. იოველმა მოუფიქრებელი მოიფიქრა: ადგა და ჭალის მშვენიერი სავენახე ადგილი სამხარაძის კაცს შედარებით პატარა, ოღონდ ზესტაფონისკენ, რასაკვირველია, ქალაქისკენ უფრო მიახლოებულ ნაკვეთში გაუცვალა. ერთ კვირაში ისიც გაცვალა, დევიძის კაცი შეაცდინა მისი ჭკუით, სინამდვილეში იმან ზესტაფონისკენ მიახლოებულ მიწის ნაკვეთში ხუთასი კვადრატული მეტრით მეტი აართვა. ვერ გეტყვით რამდენ ხანში, მაგრამ ისიც მოცვალა, მოცვლა-მოცვლაში იოველის ნაკვეთი პატარავდებოდა, მაგრამ დაპა-

ტარავებას რას ჩიოდა, მთავარია, ზესტაფონს უახლოვდებოდა. ქვედა საქარამდე ჩააღწია. იქ კაციშვილი ვერ მონახა, გაცვლა-გამოცვლაში დაპატარავებული, მაგრამ მაინც კაიხელა მამული ციცქნაში მაინც რომ გაეცვალა.

სიჭაბუკეში მეწისქვილედ იდგა უზნაძის წისქვილში. ყველა მეათედს რომ თხოულობდა მინდად, ეს მეხუთედს არ უცვლიდა თურმე ფეხს. თავიც ამიტომ მოიკლეს ქვედა საქარლებმა, არც კაი, არც გლახა პირობით გოჯი მიწაც არ შესთავაზეს. ზესტაფონში ცხოვრებას დანატრებულ იოველს სახლი საზანოში დაურჩა, დაპატარავებული სახნავ-სათესი – საქარასთან ახლოს, ჭალატყეში. დასახნავ-დასათესად წელის თრევით მიდიოდა, მოსავლის ასაღებად თვალებდაპრაწული გარბოდა, მაგრამ რაც არ დაუთესავს, რას მოიმკიდა: ომალია კუპატაძის მეზობლისგან რკინის ხელობა ისწავლა, რკინა მარჩენს, რკინას თასმასავით ვატრიალებ, ჩემი ოსტატი ლავრენტი გაანათლოს ღმერთმაო – იცოდა თქმა. ომალიას დედის სიკვდილსაც პირველი ის გაიგებდა, აბა, რა იქნებოდა, იმ ქუჩაში შინაურ კაცად ითვლებოდა.

– გესმის შენ, ამ თოვლ-ყინვაში სიკვდილიც მძიმეა, დაბადებაც, – ამოიქშინა ყარამანიჩმა – რამდენი იწვალა საწყალმა, – ლოყები მოისრისა.

– არც სიკვდილს, არც დაბადებას გვეკითხება გამჩენი... – ჩაიბურდღუნა იოველმა.

– დაიბადოს და, რას ჩავჯდები ბუხართან, თუ გინდა, ცა ჩამოსულა ციდან, იქიდან ვერავინ ამგლიჯოს. ღვინო იმდენი მაქ ამოღებული, ნახევარ სოფელს ეყოფა... – ჩაიდუდუნა მეოთხე შვილის მომლოდინე სამი გოგოს პატრონმა მამაჩემის ალალმა ბიძაშვილმა, აღდგომის კვერცხივით სახემოღაჟღაჟე სოსიამ. წითურს წითელი წარბ-წამწამი, წითელივე წვერ-ულვაში ეშმაკს დაამგვანებდა, მაყვალივით შავი თვალები, ჩამოქნილი ცხვირი და მოხდენილად წაგრძელებული სახე რომ არ ჰქონოდა. ის და მისი ცოლი – გულთამზე – სოფელში იმით იყვნენ სახელგავარდნილები, რომ ჭიშკარში შეჭვრეტილ გადამთიელსაც ღვინიანი დოქით, პურ-ყველითა და მჟავით სავსე თეფშებით მეზობლის ღობემდე მისდევდნენ.

– ძაღლი უფრო შორს მიდენის, ესენი იაკინთეს მესერთან შეშდებიან, – თვალებში ნათელი ეფინებოდა დიმიტრის.

– გესმის შენ, გახედე ერთი, გაღმა, რაღაცა მძიმედ არ მოძრაობს?! – ბიჭის მომლოდინეს ხმამაღლა შეეკითხა ყარამანიჩი.

– კაცმა რომ გკითხოს, ვერ ვხედავო, – შუბლი შალის ქუდის მოუხდელად მოიფხანა, – თვალს დამაკლდაო და იმ სიშორეზე თუ იყურები, მეტი რაღა გინდა! – გაყინული ხელი თვალებზე მოისვა, – გონია, მართლა ქანაობს რაცხა, რაფრა დეინახე?!

– შორს კარქა ვხედავ, ახლოში მიჭირს, გესმის შენ, უაჩკოდ ვეღარ ვკითხულობ... – მძიმე რატომღაც აღარ დაატნია.

– შენ კი არა, შენი შვილის ტოლაა შალვოვიჩი და იმასაც ჭირდება აჩკები... – მამაჩემზე თქვა იმან, ზესტაფონამდე ადგილების მოცვლით რომ ვერ ჩააღწია.

შავი რაღაცა გაღმა, ჩვენ გამოღმა ვმოძრაობდით, ჩვენ – აქითა, ის იქითა სერს ამოათავებდა და თუ კაცი იქნებოდა, სკოლასთან შევხვდებოდით, თუ ქაჯი – მანამდე გაქრებოდა.

– რაღაცა მართლა მოდის, მაქედან დავლაძეების ბოვშები თოვლში კი არა, კაი ამინდში აღარ დეიარებიან – ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

– ქარიშხალმა ხომ არ მოგლიჯა რამე? – დამაჯერებლად თქვა სოსიამ.

– შეიძლება... – გაუაზრებლად დაეთანხმა იოველი.

– რას ბჟუტურობთ, ქარის საპირისპიროდ მოდის, მოგლეჯილს საკვირაოს ეკლესიისკენ წაიღებდა... – ორივე დაიფრინა დელეგატმა.

– მართალი ხარ, აქეთ ნიავი, იქით მძიმე ქარი უბერავს... – დაარტყა ბეჭედი ყარამანიჩმა.

ამ ლაპარაკში სკოლასთან მივედით. უფროსებმა, შავად მოსიარულე ადამიანს თუ ქაჯს რომ მიახლოებოდნენ, გზა განაგრძეს.

ომალიას, დევივით კაცს, ბაწრებით გაკოჭილი კუბო გაედო საბეჭურგაკეთებულ მხარზე

და თითქოს თოვლყიამეთი კი არა, გაზაფხულის დარი მდგარიყო, ისე მოჰქონდა.

– კი მაგრამ, კაცები გაწყდნენ იმ ქუჩაში?!

– ამ მეორედ მოსვლაში ვის გამოდენი გარეთ! – ხმები მესმოდა, ვერ ვარჩევდი, ვინ ამბობდა.

– თუ გინდა, გამოდენე, მაგენის ქუჩაში მძიმედაა საქმე, ორ ადამიანს ვერ ნახავ იმნაირს, ერთმანეთს არ ემდუროდნენ.

– აბა, გამხდარა ლუბას საფლავი ჩვენი გასაჭრელი!

– ერთმანეთს მშვენივრად უთხრიან საფლავს, კეთილი ინებონ, ლუბაც არ დატოვონ მიწის ზეით.

ომალია შეჩერდა. კუბო ძირს დაუშვა, უფროსები მივიდნენ, ხელი ჩამოართვეს, რაღაც უთხრეს, ვიფიქრეთ, მიუსამძიმრეს, ბავშვები მანამდეც განზე ვიდექით.

ომალია ახლა უფრო დიდი მომეჩვენა. მართლა დევს, ზურგზე სახლმოკიდებულ დევს ჰგავდა. ისე ახლოს კუბო პირველად დავინახე, შემეშინდა. ყარამანიჩმა შემატყო, სკოლისკენ წამაჩაქჩაქა. მივყვებოდი სასწავლო ნაწილის გამგეს და იმის მაგიერ, გაკვეთილზე მეფიქრა, არ მშორდებოდა განცდა, როგორ შეიძლება, შვილმა დედას ისეთი რამე მიუტანოს, საიდანაც ვერასდროს ამოვა, ვერ გაცოცხლდება?!

ნათლიის წყაროსთან

წლებმა დამაძაბუნა, ბებია, თვარა, ყმაწვილქალობაში ქარს ვეჯიბრებოდი. საშინაო საქმეებში თუ საგარეოში მჯობნი არ გამომჩენია. პურის დაცხობა იყო და, სხვა რომ ერთ თონეს ამოყრიდა, მე ორს ვასწრებდი, ვენახი იყო და, სამი დღის გასაკეთებელს ერთ დღეში ვილევდი. სიბერეს, ბებია, დაუფიქრებლად გავყიდდი, მარა, ვინ იყიდის, თავისიც ოხრად რჩებათ. ოთხმოცი წელი უცოდველად მოვაპირთავე. ამ ხნობაში კერკელიძეების მეტი არავინ დამიწყევლია. წყევლა ცოდვაა, – მეუბნებოდა ცხონებული დედაჩემი – ვისაც წყევლი, ჩემო სიმწრით გამოზრდილოო, ასე იცოდა თქმა, ისიც ცოდოა, რა იცი, იმ უბედურს სად მიეწევა შენი ნაქოთქოთები და შენც, შვილო, ენას იბალნიანებ, გული გემჭვარტლება. ჭვარტლიანი გულით, დამიჯერე, ცხოვრება გაგიჭირდება. თუ დასასჯელია ი შავ ვარსკვლავზე დაბადებული, მამაზეციერი თვითონ დასჯის, ღმერთის დაუნახავი არაფერია ქვეყანაზეო...

ამ შეგონების მერე დამჩემდა, წყევლის საღერღელის აშლისას ტუჩებზე მარჯვენას ვიფარებ, მეშინია, ბაგეებს საწყევლი არაფერი დასცდეს. გულით, ისე მე გევიხარო, ბევრი ვინმეს დაწყევლა მდომებია, მარა თავი მომითოკავს. ზებედოსანებზე ვერ ვუერთგულე საწყალი დედაჩემის დარიგებას – იმათ გვარ-ჯილაგს, ბებია, ნათლიის წყაროსთან, სამების მხრიდან, ხო იცი, ჩვენებური სიმართლის ვარსკვლავი იმ კიდიდან ამოდის, ხელებატოტინებული ვწყევლიდი. მაშინ უკვე ხატი აღარ ესვენა სამებაში, თვარა ხატზეც გადავცემდი. რაფერ არ დამეწყევლა, მაგენმა არ გეიხარონ, მაგათ მეინელეს ჩემი შალიკო. სავენახე ადგილებზე ჯავრმა ჩამომიდნო ხეთაოდენი ვაჟკაცი. წელები გადაეხლართა თუ ბრმანაწლავი გოუსკდა, ისიც ვერ გევიგეთ. ვინ კვდება, ბებია, ახლა ბრმანაწლავით, დავაწვინეთ ურემზე, მიგვყავდა ზესტაფონში, მარა, მერკვილაძეების შეღმართზე დალია სული.

მზისგულა სავენახე ადგილების ჩამორთმევის ამბებს იმიტომ გიყვები, შენ კარგად დეიმახსოვრებ, სხვებს რა ველაპარაკო, სასაცილოდ არ ყოფნით ჩემი გულის დუღილი. ეჰ, თამროს წუთისოფელი ენახათ, მერე ვნახავდი, თუ დამცინებდნენ. კუჭგამომხმარმა კერკელიძეებმა წაგვართვეს მამაპაპისოული ადგილები, ჩვენი ნაოფლარი ვენახები უკუღმართი სამართლით დეიმისეს. ვაი, იმისთანა სამართალს! ჩვენსას ისინი დეეპატრონენ, შალიკო, ე, იმ ფხეკზე გადმოაგდეს – თუ ჭკუით არ იქნები, დანარჩენსაც

ჩამოგაჭრითო. სულ გვაჭრიდენ და გვაჭრიდენ – ჩვენი ეზო-გარემოს ჩამონაჭრებია, ბებია, ღურღველას გაღმა-გამოღმა რაც ადგილებია. მწიფე ბროწეულივით რომ იფშხალებიან ახლა ყურძნით სავსე ჯინებს გადამხობილი კერკელიძეები, ტყემალი რო ტყემალია, იმითი მუცლის ამოყორვა ენატრებოდათ. ფეხების ხლართვით მობანდალე ზებედო ზამთარ-ზაფხულ მდივნების ნაჩუქარი ნაბდით დეეთრეოდა. გატეხილი სააღდგომო კვერცხივით შეწეულ-ამოწეულ თავს უდღეური წიწილივით დააღირღიტებდა. ზღარბივით თმები ბალიშაფეთქებულს მიუგავდა, კოლექტივს კი არა, უხსენებელს მიეტმასნებოდა, აბა, რა თავის ხეთქვას იზამდა. შინელი მოახურეს, რეზინის ჩექმები ამოაცვეს, მისი დღე და მოსწრება ერთხელაც რომ არ გამაძღარა, სამ თვეში ისე მოასუქეს, ღაბაბი ჩამეეკიდა. კი მოასუქეს მარა, კაცს მაინც ვერ დაამგვანეს, უშნო სიარული ვერ მოაშლევინეს, რას მოაშლევინებდენ, აკვანი მაგათ არ ენახათ ბავშვობაში, საწოლი კიდო დიდობაში. ზებედო სულწაწყმედილს ფეხები შეიძლება ქეც მოტეხოდა, მე შენ გეტყვი, ისე კაის ჭამდა, ძვალი გოუმაგრდებოდა. ბოლშევიკებმა ერთგულ ძაღლად გამოზარდეს. ბომბორებს, დეიმახსოვრე ბებია, ყურებში კარგად არ ესმით, ფინიები აფხიზლებენ. იმათ, ფაჩუნი რო ფაჩუნია, ისიც არ გამოეპარებათ, მაშინვე აწკავწკავდებიან. ძაღლის გაგდებული ზებედო ძაან ფხიზელი ფინია შეიქნა. საავკაცოდ გაჩენილისთვის ჭკუა დეეკლო გამჩენს, სიმაღლე მეემატებინა. ორ მეტრამდე აწოწილი ზევიდან დაყურებდა ყველაფერს, ვერავინ ვერაფერს გამოაპარებდა. ქარიც, ნიავიც, პირველად იმას ხვდებოდა. ჩვენი მამულების დანახვაზე ხომ დეევსებოდა, თანაც ნამეტანი ი დაბლეტილი თვალები. აზნაურს არ ექნებოდა იმოდენა საყანე თუ სავენახე ადგილები, ჩვენ რო გვქონდა. დაადგა უბედურმა თვალი: კოლექტივის ნორმაზე მეტი გქონიათ, ჩამოჭრას ექვემდებარებაო. ვინ დოუშლიდათ, ჩამოგვაჭრეს, ჩამოჭრილი ზებედოსანებს დოურიგეს. გვიან გევიგე, ჩემი საწყალი შალიკოს დაჭერაც დომებია. შინსახკომელ ბურდუკოს ეთქვა, შალიკო რომ დევიჭირო, ჩემ მკვდრებს რა პირით შევხვდე საიქიოშიო. ყველას ჯერა, ბებია, რომ საიქიოში მოხვდება, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგათთვის იქ ადგილი იშოვებოდეს. ჩემი საწყალი ქმრის დაჭერის ამბავი რომ გამეგო, იმ უბედურს ადრე გამოვასალმებდი სიცოცხლეს. გვიან მითხრეს, გვიან, თორემ უეჭველი რაღაცას მოვწევდი. იმ ქვეყანაში გადაბარგებული ზებედო რო ენახა შალიკოს, შეიძლება კიდე ქე ეცოცხლა კაი ხანს.

წელებზე ფეხი დევიდგით, ფხეკზე ვენახი გავაშენეთ. ჩემი ქმარი მაგენივით უწიგნური კი არ ყოფილა, ჩიკვაიძის სკოლა ქონდა გათავებული. ქვეყანა ეირია, ბებია, თვარა, გიმნაზიასაც დაძლევდა. ეგერ, ნაგუთზე რო გორაკია, იმნაირი აქეთაც იყო, დავადექით მე და ჩემი ქმარი, დღეც, ღამეც ვიმუშავეთ, გავავაკეთ. ჩავყარეთ იმ გავაკებულში ვენახი, ისეთი ამეიყლორტა, ავ თვალს არ ენახვებოდა. მეოთხე წელიწადს ძველ-ახალი ვენახებიდან მოკრეფილი ყურძნით ოთხმოცდაათფუთიანი ჭური გავაცოცმანეთ. ჩამოჭრამდე ორ იმნაირს რომ გავავსებდით, კიდევ გვრჩებოდა მუხის კასრების სამყოფი. კასრებიც, ოთხმოცდაათფუთიანებიც ჩემმა მამამთილმა იმ წელს მეიტანა, პატარძლად რო შემევედი ამ ოჯახში. მამაშენის ბაბუა, ჩემი მამამთილი ვასილა და ყარამანა სამი დღე-ღამე ორი ურმით მოაჩოჩიალებდნენ შროშიდან, – კი მარა, ერთი დღის საგზალი მეითხოვეთ, სამი სად დეიკარგეთო, – უწყრებოდა ჩემი დედამთილი ალვასია. ცხონებულზე მერე გეტყვი, იმნაირი ქალი ამ ეზორიადაგეზე არ დეიარებოდა.

– ჯერ ჭურებს შეხედე, – სახეზე ნათელი ეფინებოდათ, – მერე გვისაყვედურე.

ზებედოს გოუგია, ოთხმოცდაათი ფუთი ღვინო რომ ჩავასხით, უჩივლია, ამდენი ღვინო შალიკოს რაში ჭირდება, კულაკია, გაყიდვას აპირებს უეჭველად, თორე ოთხმოცდაათი ფუთი ღვინო რომ დააქციო, ჯობია, წიაღელე გაჩნდებაო. ამოგვიტანეს ერთ დილით ამბავი – ამაღამ მოვლენ, ჭურებს ნახავენ, აპა, თქვენ იცით, რაცხა მეიფიქრეთ, იმათ წაღებას, სხვას გაატანოთ

ან დააქციოთ, თუ არადა, მთლად უკეთესი, გადამალეთო. ოთხმოცდაათი ფუთი ღვინო მაგათ ორი ჩარექი ხო არ ჰგონიათო, – სიმწრით ჩაიცინა ჩემმა შალიკომ. მერე ჩაფიქრდა: თამრო, ვიცი, არ მომეშვებიან, რასაც შეძლებენ, ამაღამვე წეიღებენ, დარჩენილს ხვალ მოაკითხავენ, გზადაჩვეულები ზეგაც მოვლენ და მერეც, სანამ უღვინოდ არ დაგვტოვებენო.

– აბა, რა ბუჯას მივცეთ თავი?! – შევჩივლე.

– დავცალოთ, – მითხრა და, გვერდზე გაიხედა. თვითონაც არ ჯეროდა, ოთხმოცდაათი ფუთი ღვინის გადამალვას თუ მოვახლაფორთებდით.

– დავცალოთ, შალიკო, – დავცალოთ, – კი არ ვუთხარი, შევძახე. მოვიფიქრე, რა რაფრად მეკეთებია, დევიარე ნახევარი ქუჩა, ვისაც რა ჭურჭელი მოეძევებოდა, დიდი, პატარა, საშუალო ზომისა – გამოვართვი. ბეგლარას გაახარებს ღმერთი, ორმოცდაათფუთიანი ჭური დარჩენოდა ცარიელი, ორ საათში, მეზობლობა ამას ჰქვია, ბებია, გაგვირეცხა, პირველად ის გავავსეთ, თვრამეტლიტრიანი საწყაოთი გადაგვქონდა ღვინო, სავსე ჩაფს, კერკელიძეებს რომ არ დეენახათ, ზემოდან თავშალს ვაფარებდით, ვედრო იყო თუ ტაშტი, პატარა თუ დიდი ქოცო, ყველაფერი დავავსეთ. მაინც ვერ ამოვლიეთ. ავდექით, ნაწილი ბოცებში, მაშინ ვინ ასხამდა ბოცებში ღვინოს, ჩავასხით. სავსეები ზვინებში დავმალეთ. ძალიან ცოტა, ერთი-ორი ჩაფი ჩარჩა ჭურში, დაგვაღამდა, თვარა, იმასაც დავაბინავებდით. იმ ღამეს არავინ მოსულა, ვაითუ ტყუილად ამოვცალეთ ამოდენა ჭურიო, ჩამოყარა შალიკომ ყურები. მეორე დღეს კაი მოთენებულზე ზებედო მისი ძმაკაცებით, შინსახკომელ ბურდუკოსთან ერთად, შემოვარდა ეზოში შალიკო, ქვეყანა კულაკებს ებრძვის, შენ ხელახლა კულაკდები, ბლომად ღვინო დაგიყენებიაო. ჩემმა ქმარმა იუარა – ღვინოს მართლა ვაყენებდი, ოღონდ მაშინ ღურღველას გაღმა-გამოღმა ვენახები ჩემი იყოო. – არც ახლა გაქ ბეღურის ნისკარტისხელა, ერთი გლეხის ბარობაზე მაინც მსუქნად გამეიყურები, – წაუწუნკლა ბებედომ. გამოდო ბურდუკოს მარჯვენა მკლავი და ჭურისთავისკენ წაიყვანა. პირველად ცარიელს მიადგა, ღვინის დაცლის მერე ბაბუაშენმა განგებ გადააცალა მიწა უღვინო ჭურს, მერე ისე შეახვირიფა, რომ ჭური ახალმოხდილი გეგონებოდათ. მოტყუვდნენ, თავები გადააქნიეს. მეორის მოხდა უბრძანეს შალიკოს: – ესეც ცარიელია, რას მაწვალებთ, – უთხრა, თან ზებედოს მიჩეჩებული ბარი ხელში გაუშეშდა.

– გკითხა ვინმემ, ცარიელია თუ სავსე?! – დაიყვირა ბურდუკომ – მოხადე ჩქარა!

– ლაპარაკს თავი დაანებე, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე – დაამატა უშნოდ აწოწილმა ზებედომ.

შალიკო ისევ ისე იდგა გამეხებული. მივარდა, წაართვა ბარი, დააგდო ძირს, თოხს ეცა, აყალოს შეხვირიმებული მიწა ააცალა, თვალის დახამხამებაში სარქველი გამოაჩინა, ამოაძრო... – ჭიჭკვა ვაშლთან ვიდექი, იქ მეცა, ბებია, ღვინის სუნი. შიგნით ერთი-ორი ფუთის მეტი არ იქნებოდათქვა, ქე გითხარი, მარა, სუნი გაბობორიქინებულა. ჯერ ზებედო, მერე ბურდუკო, ბოლოს სამი დაგვალული გადაემხნენ ოთხმოცდაათფუთიანს.

– ამაში ღვინოა ნამყოფი – დაიძახა ბურდუკომ – ეს კიდევ გვეუბნება, არაფერი მომსვლიაო – გეიღრიჯა ზებედო.

– თქვი, ხომ იცი, ჩემ თვალ-ყურს არაფერი გამეეპარება, – დაუყვავა ბურდუკომ – თქვი, სად გადამალე, ნაწილს დაგიტოვებთ, ნაწილს ღარიბებს დოვურიგებთ.

– რაც არ დამიმალავს, რა ვთქვა, – ამოიბურდღუნა შალიკომ.

– გავარდი ერთი, შენ გაზრდას, ჩეირბინე ეგერ, ბრეკში, წეიღე ტომარა, ქვები ამომირბენიე – უთხრა ზებედომ ახალგაზრდა დაგვალულს.

– ქვები რად გინდა? – შეეკითხა ბურდუკო:

– ღვინოს ისევ ამ ჭურში ჩაასხამს, აბა, სად წეიღებს, – ჩაიცინა – ხოდა, დევინიშნავ, თუ ამევიდა სასწაული სითხე მიწიდან, ხო კაი, თუარადა, იყოს დანიშნული. ჯერ ერთი ტომარა ქვა

ჩააპირქვავა დღლუმპდღლუმპით ჭურში, მერე ქვების ჩაბუყბუყება მეეწონა, თუ რა ჯანდაბა მოხდა მის თავს, არ ვიცი, მეორე ტომარაც ჩაცალა. მესამედან სათითაოდ ამოიღო კაიხელა რიყის ქვები, ორი-სამი მეტრით უკან დაიხია და იქიდან ისროდა. ბოლოს ოთხმოცდაათფუთიანს გადაემხო, ეიღებდა ერთ ქვას, ჭურში ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ჩაისროდა, მაშინ ჩეიფშვნა, ბებია, ის ჭური.

წევიდენ თუ არა, ნათლიის წყაროსთან გადავედი, სამების მაცხოვრის წინ დამდგარმა ხელები ავატოტინე და ვწყევლე და ვწყევლე კერკელიძეები.

იმ ღამეს მესიზმრა, სამების კედელთან ვიდექი, ჩამეეშვა ციდან სიმართლის ვარსკვლავი, წეიღო ჩემი ჩივილი... მეც რო წევეყვანე, ბებია, მალე დადგებოდა განაჩენი. დეიმახსოვრე ჩემი ნათქვამი, როიცხა იქნება, მოხდება მოსახდენი, გეირკვევა მტყუან-მართალი. შენ არ გეცოდინება, კოტელას გაღმა გურტიძეები ცხოვრობდნენ. ერთს მეორისთვის ფული უსესხებია. კაი ხნის მერე პატრონს უფიქრია, გადაავიწყდა ალბათო, მისულა, ჩამასესხეო. იმას თვალები დაუპრაწია, ხომ მოგიტანე, ამდენ ხანს ნასესხებს რავა შევირჩენდიო. თუ დამიბრუნე, მაშინ სამების სიმართლის ვარსკვლავმა გაარჩიოს მტყუან-მართალიო. წასულან. სიმართლის ვარსკვლავისთვის მტყუან-მართლის გარჩევის თხოვნამდე, იმ კაცს ფული ჩანთაში ჩაუდევს, პატრონისთვის უთქვამს, ჩანთა დამიჭირე, დავიჩოქებ, ისე შევთხოვო.

დაუჩოქებია, უთქვამს, ამ კაცისგან ფული ვისესხე, მალევე ჩავასესხე, გაგვიჩინე სამართალიო. ჩამოსულა ციდან ვარსკვლავი, წაუღია ამ კაცის ტყუილი საჩივარი. გურტიძეებმა, მათიანის უპატიებელი დანაშაული რომ გაიგეს, აქედან აიყარნენ.

სიმართლის ვარსკვლავს მეც რომ წევეყვანე, ბებია, მალე გამოიტანდა განაჩენს, იგვიანებს, მარა, შეუძლებელია, ოდესმე სიმართლე არ გეირკვეს.

* * *

კერკელიძეების ზებედოსეული შტო ომამდე უმემკვიდროდ გადასახლდა იმ ქვეყანაში. ომის მერე სხვები მიყვნენ.

ზებედოს ცოლიდის შვილთაშვილისგან ვიყიდე ბაბუისსოული ღურღველას გაღმა-გამოღმა სავენახე მიწები.

ნაყიდში მსხლებს ხომ არ დავრგავდი, ვაზი გავაშენე.

ვწევარ ახლა მწკრივში, – ჯერ კიდევ დაუვაჟკაცებელ ვაზზე ქარვასავით მიყრილ მტევნებს გავცქერი. ესეც ბებიამ დამაჩვია – შვილო, ვენახის სილამაზე თუ გინდა დეინახო, რაღაც სხვა სიტყვას ამბობდა, ვერ ვიხსენებ, რთველზე, მწკრივში, მწკრივს ნაღდად წკაპს ეძახდა, გაწექი, გახედე, უკეთესს ვერაფერს დეინახავო...

კაი ხანია, ბებიაჩემი აღარაა ამქვეყნად. ცოცხალი რომ იყოს, შევეხვეწებოდი – კერკელიძეებიც არ დაწყევლო, ბებია, წყევლა ცოდვაათქო...

ნათლიის წყაროსთან გაცრეცილ ბინდბუნდში მილიონჯერ გადავსულვარ, ერთხელაც არ ჩამოშვებულა ციდან სიმართლის ვარსკვლავი, შეხედვით თუ შევხედავდი, თორემ საჩივილო არაფერი მქონდა...

ღლავის ანკესი

ბავშვობაში დაგვალული ვიყავი, დიდობაში კი ავიყარე ცოტათი ტანი, მაგრამ არც იმხელა გავმხდარვარ, წინანდელი ტანმორჩილობა დავიწყებოდათ. მერვე კლასში ჩემი ტოლები იმხელები გახდნენ, მეტი აღარც წასულან სიმაღლეში. იმათთან, როგორც ბუზი სპილოსთან, ისე არა, მაგრამ ნამეტანი პატარა ვჩანდი. მაშინაც მერვე კლასში ვიყავით, ფიზკულტურის ქალაქელი მასწავლებელი, მაღალი, შავტუხა კალენიკე შფოთარაშვილი პირველად რომ შემოვიდა გაკვეთილზე, საკლასო ჟურნალი, ვინმეს დედას რომ შეაგინებ, იმნაირი სახით დააგდო მაგიდა-

ზე. რა ვიცი, ძმაო, რა ოხრობა ჭირდა, გაკვეთილი რა დარდის ამოსაფრქვევი ადგილი ნახა, გულის ამოტანებით ამოიხვნეშა, დადგა ჩლიპიჭურ დგომში და ეს ფიზიკურად მოსხლეტილი კაცი, თეძოებზე ხელებშემოწყობილი, საფრთხობელას დაემგვანა. ბავშვები ახარხარდნენ. მიიხედ-მოიხედა და მეოთხეკლასელს აქ რა უნდაო?! – გველნაკბენივით დაიძახა. პასუხს კი არა, იმას დაელოდა კიდე, მეცა მკლავში, ისე მაგრად მიჯლიქვა, საშობაო არდადეგებამდე შალით მქონდა გაკოჭილი მარჯვენა ფერდი. მიმიყვანა კართან, ისაა, გარეთ უნდა გამისროლოს ბურთივით, რომ ფხალომ, ჩემმა კლასელმა, მურმანია ფხალაძემ, დაიძახა:

– ჩვენთან სწავლობს, მასწავლებელო.

დამცინავად გახედა, იფიქრებდი, ფხალოს გალახავსო, მაგრამ კაი ჩატონტორებულს ეგრე იოლად ვერაფერს დააკლებდა.

ეს ღლავის ანკესი, ეს სწავლობს თქვენთან?! – ბრაზიანად ჩაიღიმა, – ეს ღლავის ანკესი, – სიცილ-ბრაზი ერბო-კვერცხივით ადღვიბა. რას მეუბნებით, ეს ღლავის ანკესი თქვენთან სწავლობს?! – მესამედ რომ იკითხა, დიახ, პატივცემულოო, დაიძახეს აქეთ-იქიდან. შეძახილმა მეც გამაგულადა:

– რას მერჩით, მასწავლებელო?! – ამოვიკნავლე, თან მკლავის გამოგლეჯა მოვინდომე. გიჟივით შეიქნა ოხერთ-ოხერი:

– რას გერჩი და, რო დავამცხიკვო, მაგ ვალინკებში ვინაა შენი მომძებნი! – ჩაიხვიხვინა ცხენივით. ისედაც დალეული, სულ დავილიე, მთლად ჩემ სიგრძე არა, მაგრამ არც ნაკლები სიმაღლის ვალინკებში იანვრის ყვავილივით ჩავიფშუტე. გამოაღო კარი, მკრა ხელი, მეგონა, ამით დამთავრდებოდა ამბავი, არ გეტკინათ არაფერი, მარჯვენის ხუთი თითი უფრო მაგრად მომიჭირა, დერეფანში ორი-სამი მეტრი ასკინკილით გამარბენინა, გამოაღო მეოთხეკლასელების ოთახის კარი, მკრა მუჯლუგუნი, – დეიბრუნე შენი ღლავის ანკესიო, – დაუღრიალა ვიღაცას და ბურთივით შემაგდო შიგნით. იმათი მასწავლებელი – მოტკარცალე მედული, მაგიდასთან მოსწავლეების სიას კითხულობდა. დაბალ კლასებში დრო გაყავთ ამით, თორემ მაღლებში ვინ გაცლის სიის ამოკითხვას, კიდეც რომ გაცალოს, ვარო, რომელი ერთი დაიძახებს. მედულის ბომბის შეგდება არ შეაშინებდა ისე, ფაშატს ჩამორჩენილი კვიცივით წამოხტა ფეხზე:

– რა იყო, რა მოხდა, კალენიკე?! – იმ დროს მიაძახა, იმან კარი რომ მიირაჯგუნა. მერე გავიგე, შეიძლება, სხვებმა მაშინაც იცოდნენ, სოფლელობას უწუნებდა მედულის თურმე კალენიკე შფოთარაშვილი, თორემ გულში კი ჩავარდნოდა. რა ჭირდა დასაწუნი, ნიავივით დაშრიალებდა სკოლის დერეფანში, იმნაირად ტკარცალებდა, მკვდარს გააცინებდა. ორ წელიწადში გადათქვა დაწუნება კალენიკემ და მათი ჩუმჩუმა მოწონება ქორწინების სახლში ხელმოწერით დამთავრდა. ახლა მედული მეცა, ერთი-ორჯერ დამატრიალა, მე შენ გეტყვი, გოუჭირდებოდა, გამოაღო კარი, მკრა ხელი, კალენიკეზე ძლიერად მისროლა დერეფანში. წინწიბურით გამარბენია კაიხელა გზა, რატომ მომეჩვენა იმჯერზე იმხელა, არ ვიცი. გამოგლიჯა ჩვენი კლასის კარი და ბადროს ბურთივით მტყორცნა შიგნით. ამ გაგდება-შეგდებით გვერდები კი მიმებეჟ-მომებეჟა, მაგრამ მაგას რას ვჩივი, მაშინ დამერქვა ღლავის ანკესი. ერთ-ორ წელიწადში ცოტათი ავიყარე ტანი-მეთქი, გითხარით, წელშიც გავსწორდი, მაგრამ, ნადიმის აღარავინ მეძახდა. შემრჩა ღლავის ანკესი. დიდი, პატარა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აგრონომი თუ ბრიგადირი ღლავის ანკესს მეძახის. რაიკომიდან მოგზავნილმა კაცმაც ასე დამიძახა ამწინეებზე, იმ ჩემი ცოდვით სავსემ მაინც საიდან იცოდა?! გაგეგონებათ, რაც გეზარება, ის გეძალებაო, სასწაულია პირდაპირ.

ღლავის ანკესი რანაირად ვარ, ჩემო ძმაო, სათევზაოდ მიდღემჩი არ ვყოფილვარ, ისე კი, ცოცხალი რომ ვარ, ამ ჩემი დაგვალულობის ბრალია. მაშინაც მერვეში ვიყავი, ძუსაში რომ ჭურებისკენ გამაქანა წყალმა. რავარც გამაქანა, ისე გამომაქანა. მაღალი, მთლად უარესი, მსუქანი რომ ყოფილიყო ნადიმ ბატონი (რანაი-

რად მინდა, ასე მეძახოდნენ, მარა ნწუ), სადღაც გამჭედავდა, დამახრჩობდა: დამატრიალა, ამომატრიალა, შემაძვრინა, ამომაძვრინა. ის იყო და ის, იმის მერე შიში დამრჩა, წყალი მუხლამდე რომ ამოვა, ვკანკალებ.

თევზაობას კი ვკარი წიხლი, მარა ნადირობას დავეწაფე: მწყერზე, შაშვზე, ბოლოშავზე, ჩხართვზე, ქედანზე, მოლაღურსა თუ ტყის ქათამზე ნადირობით, ჩემო ძმაო კიდეც ვსუნთქავ, კიდეც ვსულდგმულობ.

მწყერზე ნადირობა მასულელებს. სეზონამდე ერთი კვირით ადრე გულაბარძგალებული, თოფს ვწმენდ, გილზებს ვამზადებ, ძაღლს ვგეშავ, მახსოვს, რა დამავიწყებს, ერთხელ ვერც მე, ვერც ბიჭებმა ვერაფერი მოვკალით. მწყერზე სანადიროდ კი ვბრძანდებოდით მარა, ყაბულს ვიყავით, რაც გინდა, ის ფრინველი ჩამოგვეგდო ძირს. ყურებჩამოყრილი სამი მონადირე დავდივართ ხიხაის ყანაში, ხან ფრთხილად, ხან დავშლიგინობთ და მივაშრიალებთ ბალახს. ძაღლები, ჩემი ლივიტა და ტიტიკოს კოსრო, კაიხნის მისულები იქნებოდნენ სახლში. იწვალეს, ცოდვას ძაღლიც მიწყენს და კაციც, ერთი, ორი, სამი, ოთხი, შეიძლება მეტი მწყერიც ააფრინეს, რა ვიცი, ძმაო, გათვალულები ვიყავით თუ რა ჯანდაბა გვეტაკა, ვერცერთმა ვერ მოვარტყით. ერთმა, შეუმზადებლად იმის სახელს ნუ მათქმევინებთ, აქედან და ზორვეთამდე ააცილა. ძაღლი ჭკვიანია, ზოგიერთი ადამიანი ვერ გებულობს მაგისნაირად, მოწყინდათ ჩვენი საცოდაობის ყურება, ჩამოყარეს ყურები და მოკურცხლეს. ის იყო, ნაგვიანევ სიმინდებში შევედი, ერთ-ორს გულმოსულმა გავკარი რეზინის ვალინკები, ხომ გაგიგონიათ, ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირი დაამტვრიესო. დავინახე, ბღუჯა ბალახებიდან მწყერმა ამოყო თავი, არ დავფიქრებულვარ, მონადირისთვის ამ დროს ფიქრი თვითმკვლელობაა, იმწამსვე დავახალე. მივირბინე და რას ვხედავ, ერთი გასროლით ორი მწყერი გამიფართხალებია. მოვარდნენ, შეხედეს, არ დაიჯერეს, დაბმული ხომ არ გყავდა, შე მართლა ღლავის ანკესოო, – გამეღრიჯა ტიტიკო. ხო, წუხელ დავაბი, მეგონა, აიშვებდნენ, ვერ ოუშვიათ საწყლებს და დაბორკილებს მაგიტომ დავახალე ტყვია-მეთქი. ჩემ გვერდით გარონიებული არ გნახო, დამჯდარი მწყერი არ დაინდე, აფრენილს რას უზამო – დამეჩემა მონადირესავით მეტყვილია მოკლედ – სევარა, გრძლად – სევარიონი, ათი მწყერი რომ მოკლას, თხუთმეტს გავაცხებიე სულიო – იტყვის. ის დღე იყო და ის დღე, სათოფეზე აღარ გამკარებია. ხიხაის ყანაში დამინახავს, აბესაძის გარემოში გადავა, იქ დამლანდავს, გაშვებულს მიაშურებს. ტიტიკოს და სევარას მოკლული არ გაიშვა დღეისსწორებამდე. იარონ. მე ჩემი გზა მაქ, მაგათ – თავისი. იმის მოწმეებიც მყვანან, ერთი გასროლით ორი აფრენილი შაშვი რომ ჩამოვაგდე. – გადაირია პალუშა, რანაირად მიადევნე თვალი, მთისხელა, ისემც უცხონდა მაშვალი, ღლავის ანკესოო, შაშვი სწორად არ ფრინავს, ორს როგორ დაუმიზნე, რანაირად გააყოლე თვალი, რომ მოარტყიო. მოვარტყი და, რა ვქნა.

თოფს, მიწაზე რომ არ ეფხოკიალა, ზურგზე გადავიდებდი. შეიძლება მაშინაც მერვეში ვიყავი, რას გადავეკიდე ამ მერვეს, არცერთში, არც დაბალ, არც მაღალ კლასებში სწავლით არ ვიკლავდი თავს. ზამთარია. ერთი-ორი კვირის მოლეულია შობა, კაიხელაზე დევს თოვლი. გავიდევი მხარზე თოფი, შევძვერი სენეფოს საღორეში: გამოვაღე ფორთოჩკა და პირდაპირ კუნელი ამევიღე მიზანში. მოფრინდება ბოლოშავი, ბახ, – ჩამოვაგდებ, მოფრინდება შაშვი, – ბახ, ჩამოვაგდებ. ხან სულ ბოლოშავები, ხან სულ შაშვები, სიცივეა, ყველაფერი გალიგვულია, შიათ საწყლებს, კუნელას შაშვი კი არა, ტიტიკოს პირდაღებული ვახტანგაც არ დეიწუნებს. კაი ბლომად მოვკალი. ნადირობამ შეტყუება იცის, გევერთე, თანაც ძაან. ახალი მოთენებული იყო, ჰა და ჰა, ყველაზე გვიანი, ცხრა საათი იქნებოდა, რომ დავიწყე და სამი სრულდებოდა, ისევ ვუმიზნებდი, ისევ ვკლავდი. შიმშილმა შემახსენა თავი, თორემ დაღამებამდე ისე გევერთობოდი, საღორედან გამოსვლა არ მომაგონდებოდა. მივაწექი კარს – არ გაიღო, ისევ მივაწექი, – ისევ არ გაი-

ღო. ერთი ფიქრი ვიფიქრე, ალბათ მოყინა-მეთქი. ამიტომ მხრით ვუჯიკე, ძვრაც ვერ ვუქენი. არ გამიგია, როდის მომეპარა სენეფო და წინიდან კიდეც გადარაზა, ურდულითაც ჩაკეტა სასროლეთად გადაკეთებული საღორე. ვიფიქრე, ვიყვირებ, მოვლენ, გამიღებენ-მეთქი. მართალია, ტანად პატარა ვარ, მაგრამ, ჭკუაც პატარა კი არა მაქვს. ხვალ მთელ სოფელს ეცოდინება, ღლავის ანკესი საღორეში ჩაკეტილაო. ვაჰ, რა ვქნა, ამტკივდა თავი. მთელი სოფლის დაცინვა რავარი ასატანია?! შეიძლება, თათუშას ლექსიც გამოაცხობინონ, არ დეიზარებს, გამოაცხობს, აბა, დაბერდა და პურის გამოცხობა ვერ ისწავლა – ღლავის ანკესი საღორეში, როგორია?! მივადექი ფორთოჩკას, ძაღლი გაჭირვებით, კატა თავისუფლად გაძვრება. არ ვიცი, რანაირად შევიკუმშე, ისედაც დაგვაჯული კიდევ უფრო როგორ დავიგვაჯე ან ის ფორთოჩკა, კაი, ძმაო, სარკმელი ერქვას, რამხელაზე გავაფართოვე, რომ იმაში გავძვერი. საარაკო შეიქნა ეს ამბავი. კაი სამი დღე ათვალიერებდნენ, აქედან როგორ გაძვრაო. ფაქტია, გავძვერი, ფაქტს თქვე ქინძებო, დაჯერება უნდა, ჩავირბინე ღელისპირზე, ავბოჭე ნანადირევი, მივედი სახლში, ჩემებს, სენეფო დავპატიჟოთ-მეთქი, დავეღრიჯე. რა სენეფოს სიყვარული აგიტყდაო – ჩუმად ჩაიცინეს. მაშინ გავიგე, სენეფო და მისი ორი დამქაში, ისინიც ჩვენიანები, სევარა და მისი ბიჭი ნუგზარა, საღორეში გამაგრებულს ორი საათი მყარაულობდნენ თურმე. შეცივნიათ, წასულან, გაპარვით ვერსად გაგვეპარება, საღორე ჩარაზულიცაა, ჩაურდულებულიცო, აყვირდება, გამოვიდეთ, გავაპამპულოთო. ვერ მივართვი. ხანდახან დაგვაჯულობაც გამოგადგება კაცს.

მონადირისთვის კაი ძაღლი და თვალის სისწორეა მთავარი. ჭკვიანი ძაღლი ნახევარი მონადირეაო, მე კი არა, ბაბუაჩემი ზებედო ამბობდა. იმ სულგანათლებულს მამსგავსებენ, რასაც დაუმიზნებდა, სულს აფრთხობინებდაო. ტყუილა მატოლებენ – იმსიმაღლე ყოფილა, ამ ოთახში არ შემოეტეოდა, მე კიდევ, ღლავის ანკესი, სადაც ვერავინ ეტევა, საიდანაც ვერავინ ძვრება, იქ ვეტევი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გამოვდივარ. რაც მქვია, ქე მქვია, ვიტრაბახებ მაინც.

პოინტერის ჯიშის ლივიტას რომ შეასმენდი, ადამიანს ვერ შეასმენ იმნაირად, რა ადამიანზე მელაპარაკები, ჩემო ძმაო, გულში გაფიქრებული ესმოდა, თანაც, რაც ესმოდა, იმას აკეთებდა. ადამიანი, გინდ ძმობილი, გინდ დობილი იყოს, პირში თუ არ გეტყვის გულში გაფიქრებულს, სხვასთან მაინც დაყაჭავს, ჩაცმას, დახურვას, დალევას, ხანდახან დაულევლობას, ქეიფს, თუ შარიანია, უქეიფობას, ათას სხვა რამეს დაგიწუნებს. ლივიტა არავის არაფერს უწუნებდა, დაწუნებულს მოსაწონს ხდიდა. ავაცდენდი, სხვას ააფრენდა, იმასაც ვერ მოვარტყამდი, კიდევ სხვას ამიფრთხიალებდა ცხვირწინ, ნანადირევის მოძებნა-მოტანას არ იკითხავთ?! რომელი ადამიანი მოგართმევთ ისეთი კდემით, იმნაირი მოლაპარაკე თვალებით, მდაბალი ვარ, ბატონი ბრძანდებით, მიირთვითო. ლივიტას მიზეზით იყო, თუ იყო, შინ ხელცარიელი რომ არ მოვდიოდი. რუსის კაცისგან ვიყიდე, დედამისის სახელი ვკითხე – ლოვიტა ჰქვიაო, – მითხრა. გასაგებია, რატომაც. ჩემ ძუ ლეკვს ლივიტას დავარქმევმეთქი – გაეხარდა. მონადირე ძაღლი ხვადი ჯობიაო, გამიგონია, ნურას უკაცრავად, მდედრის სიფრთხილე, თუნდაც სიფხიზლე ხვადისას ბევრად ჯაბნის. ლივიტა რომ მოვიყვანე, მაშინ მეც სხვებივით ვფიქრობდი, წამოიზრდება, მისივე ჯიშთან შევაჯვარებ, დამაკდება, ერთ ხვადს დავიტოვებ, დედას და დანარჩენს ან გავყიდი, ან გავაჩუქებ-მეთქი. ექვს თვეში შემეცვალა აზრი, სად ხვადი, სად ძუ, სანადიროდ ძუ ჯობია.

მოუნდა ლივიტას სწორფერი. გავიკითხე, გამოვიკითხე, ჯგილათში ჰყავს მაგ ჯიშისა ჯიხვაშვილის კაცსო, მითხრეს. სხვას რას ვიზამდი. მოვკიდე ლივიტას ხელი და გავუყევი გზას. ახლოსაც არაა, კაი თორმეტი კილომეტრი იქნება, მივდივართ ნელა, ერთი-ორჯერ საჭმელი შევაძლიე, პირი არ დააკარა, ხვადი ჭირია, ჯერ ხვადი, იმასთან საქმის მოლევა, მერე – ჭამა.

გადაშუადღებულზე შევედით ჯგილათში. ადამიანივითაა ლივიტა-თქვა, გითხარით, თით-

ქოს იგრძნო, გახალისდა, აღარ იქაჩებოდა, მანამდე აქით-იქით იწევდა, იწმაწნებოდა, დამაგლიჯა ხელები, გაიქცეოდა, კაიხელა გზას გამარბენინებდა, შეჩერდებოდა. ხათრს ვერ მიტეხდა, თორემ სულ არ დამემორჩილებოდა. ვიკითხე, სიმონა ჯიხვაშვილი სად ცხოვრობს-მეთქი. მიმასწავლეს. მივედი, დავიძახე. ქალბატონმა გამოიხედა: სიმონა ქვემოთაა, ღელის პირზე, მაგ დაღმართს ჩაყევით, ოღონდ ფრთხილად იარეთ, ჩაათავებთ, დაინახავთო. ძაღლი სადღა წავიყვანო – გავიფიქრე. ქალბატონს ბოდიშის მოთხოვით შევკადრე, თუ შეიძლება, ჭიშკრის იქით დავაბამ-მეთქი. კი ბატონოო. დავუყევი ციცაბოს, მართლა გლახა ჩასასვლელი ყოფილა, ძაღლს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ატეხილ ლივიტასთვის ყველა გზა, ხვადთან მისასვლელის გარდა, საძნელო იქნებოდა. ჯიხვაშვილები ნაქები გვარის ხალხია. ვნახე სიმონა, მოვახსენე ჩემი გასაჭირი, რას ამბობთ, ბატონოო, დატოვეთო, ერთი ლეკვი მერგება, ხომ იცითო, რა თქმა უნდა-მეთქი. ამოვედით ზემოთ. გავხედე სიმონას ჭიშკრის გვერდზე დაბმულ ლივიტას და... ის არ დამენახა, რაც დავინახე და თუ გინდა, თვალები დამფსებოდა, დავყრუებულიყავი, ფეხიც, ხელიც მომტეხოდა, ბოლო-ბოლო მოვმკვდარიყავი. ჩემ სიმწრით ნათრევ ლივიტას ჩვენი მეზობლის უჯიშო კვესია არ მოჯდომია უკან და აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც სიმონას წმინდა სისხლის პოინტერს ევალებოდა. სად იარა, რაფრა იარა იმ დაწყევლილმა ამოდენა გზა, ერთხელაც რომ ვერ დავლანდე!

ვაი და ვუი, დღევანდელის არდაღამება და ხვალინდელის არგათენება შენს ნადიმას! რაღას ვიზამდი, ჩამოვართვი სიმონას ხელი, დავემშვიდობე, ისიც დაიბნა, სახლში არ შევუპატიჟებივარ. ათი ნაბიჯის მერე გავხედე, ულვაშებში იცინოდა ოხერთ-ოხერი. მაგას დეემართოს, რაც მე დამემართა და ვნახავ, რასაც ჩეიცინებს! წამოვედი, მთელი გზა იმის ფიქრში გავატარე, ლეკვები რანაირი ეყოლებოდა, ეზოს ძაღლს დეემგვანება თუ ჯიშიანს-მეთქი... ალბათ – უჯიშოს, აბა, ჯიშიანთან კი მიმყავდა და თურმე ახლოს ჰყოლია რჩეული, არა, ძმაო, ძაღლის საქმეში არ უნდა ჩაერიოს პატიოსანი კაცი.

ახლა ერთი წლის მერე მომხდარზე გეტყვით და მოვრჩები ლაი ლაის.

– რა იყო, ბეგლარა, რა ყვირილია?! – გავძახე მეზობლების ყვირილ-კივილით შეშფოთებულმა.

– სევარას გოგო მოუტაცნიათ.

– რომელი?

– ლამარა.

– ვის მოუტაცნია?!

– ჯგილათელ ჯიხვაშვილსო, ასე თქვეს.

– მოუტაცნია თუ ნებით გაყოლია?

– არა, მოუტაცნია, მოუტაცნია.

– ეეჰ – იმხელაზე დავიყვირე, ბეგლარა შეკრთა. არ ახსოვდა ჩემი ამბავი.

– შეაბეროთ გამჩენმა!

მახარობელი

ჩემ სოფელში გაგონილი ამ ამბის მოყოლა მაშინ ჩავიფიქრე, ოთარ ჩხეიძემ თავის ოჯახში თამადობისას დაახლოებით ასეთი რამ რომ გვითხრა: ვაზის გამშენებელი და ღვინის დამყენებელი უკვდავია, იმიტომ, რომ ვაზია უკვდავი.

სავენახე მიწა მარტომ გადავაბრუნე. ჩემი ძვლების სამიდღემჩიო პატრონს ორი თვე ვეჩურჩულებოდი. იმასაც ხმის გამცემი ენატრება, შვილო, ერთი წუთითაც არ გეივლო გულში, არ ესმისო, მიწას რომ ესმის, ისე, ნეტა, ზოგიერთ ადამიანს ესმოდესო. ვეკითხებოდი, მპასუხობდა, მწკრივის ერთი თავიდან ჩუჩუნით გავდიოდი ბოლოში. ბარის პირველ პირს გევიტანდი, ასე ვეძახით ერთხელ ჩაბარვას, შევისვენებდი, ჩავდგებოდი ნაბარავში, სიხარულით ამიფოფინდებოდა გული, უქმე დრო ამით თავდებოდა. ამოვწმენდდი პირველ ნაბარავს, ისევ ჩევიქოქინებდი, მეორე ბარის პირს გევიტანდი, გითხა-

რით უკვე, ორი თვე აქეთ-იქით ვატრიალებდი მიწის ბელტებს. იქიდან წამოსული სურნელი მიღიტინებდა ცხვირში. მიღიტინებდა და, მიხაროდა. დაღლა მსიამოვნებდა, გადაღლილობას ვერ ვგრძნობდი. რახან დევიწყე, აღარ გავჩერდი. მიწის სიღრმიდან ამოტანილი ბელტები გავაფხვიერე, ცარცით მივხაზ-მოვხაზე, ვენახის ჩასაყრელად გავამზადე მწკრივები, ნადი არ შევიწიე, მარტომ ჩავყარე საგულდაგულოდ შერჩეული ნერგები.

ის დღე არასდროს დამავიწყდება, ვენახის ჩაყრას ვათავებდი, დედაკაცმა, ასე არასდროს დამართნია, იმ დღეს რა ეშმაკმა შეუკოჭა ფეხები, ვერ გეტყვი, სადილი სამხრობაზე მომიტანა. შიმშილით მუცლის კანი ხორხის ძვალზე მიმეკრა, ქამარი გადავწიე ერთხელ, გადავწიე მეორედ, დედაკაცისთვის არაფერი მითქვამს, ორი ლუკმა გავლოღნე და ისევ საქმეს შევები, სახვალიოდ აღარ იყო დასატოვებელი. დაღამებამდე ვიშრომე, მოვრჩი, როგორც იქნა. ვახშამი მადიანად მივირთვი და დავწექი. მაშინვე ჩამეძინა. პირველი მამლის ყივილამდე საბანი აწია ვიღაცამ და შემომიწვა. რამ გადარია ე ჩემი ბებერი დედაკაცი-მეთქი, გევიფიქრე, ქალი მიწასავითაა, შვილო, პასუხს ითხოვს – გადმოვბრუნდი. რომელი ჩემი დედაკაცი, მთვარის შუქზე კარგად გავარჩიე, ვიღაც გრძელწვერებიანი კაცი მიწვა გვერდით.

– ვინ ხარ?! – შევძახე შეშინებულმა.

– სიკვდილის მახარობელი. – მშვიდად მიპასუხა.

მეცეცხლა, მარა, რა მეცეცხლა, ვაი შენს დღეს და მოსწრებას ბეგლარა-მეთქი. გევიტრუნე, სუნთქვა შევწყვიტე. ვიყავით ასე ერთხანს, ვეღარ მოვითმინე და ვკითხე.

– რას მთხოვ?!

– წამოდი, გელოდებიან... – ღვთიური სიმშვიდით მომიგო. – ვააჰ, შენს ბეგლარას, ვენახს მაინც რაღასთვის ვაშენებდი?! დეეეღრიჯე, შენი მუხლების ჭირიმე, სიკვდილის მახარობელო, იწამე ხატი, ჯვარი, ვენახი გავაშენე, ერთი წელი მადროვე, გავახარო, მიწიდან ამოვყლორტო, მობრძანდი მერე და, შენს ნებას ვინ გადასულა, მე რომ გადევიდე, წამოგყვები, აბა, რას ვიზამ!. ერთ წელს ორი თვე გადაშორდა, ვიფიქრე, დავავიწყდი, ამჯერზე გადავურჩი სიკვდილს-თქვა. ერთი მრუმე ღამეა და, ისევ აწია საბანი იმ ჩემი ცოდვით სავსემ და შემომიწვა. უკვე დედაკაცზე აღარ მიეჭვიანია, საწოლში რომ არ შემომიწვეს, ისე ვერ წამიყვანს-მეთქი, გევიფიქრე. ხომ მიხვდით, ვინც იყო და რისთვისაც მოვიდა.

– წამოდი, გელოდებიან! – ახლა უფრო მშვიდად მომეჩვენა ნათქვამი.

ისევ შევეხვეწე, დეეეღრიჯე, კალთაზე ვემთხვიე, – თუკი ეს ერთი წელი მადროვე, ბარემ ორიც დამიმატე, ჩემი გაშენებული ვენახის მსხმოიარობას მომასწარ და წამოვალ.

– მიზეზი არ გამოგელევაო, – შემომწყრა. ვეხვეწე და ვეხვეწე, ბოლოს აღარ მახსოვს, რას ვეუბნებოდი, მოვიხედე, გაპარულიყო.

დავკრიფე ვენახი, კაი რვა საპალნე შუმი ღვინო ჩავასხი. ერთ ბნელ ღამეს ისევ მომაკითხა. მოკრეფაც გადროვე, ჩასხმაც, ღვინის დაყენებაცო.

შე უსისხლო, უღმერთო, სადაც ამდენი პატივი დამდე, ჯერ ერთი, მერე ორი წელი მადროვე, ეს ღვინო რაღატომ ჩავასხი, ბარემ ამის დალევაც... – ენა დამება – შემაძლებინე, სულ იმათ დღეგრძელობაში ვიქნები, ვინც იქ მელოდება, მოდი მერე და, ხელგადახვეული გამოგყვები-თქვა.

იმ ღამის შემდეგ, ყოველ საღამოს ვსვამ. მარტო რა დამალევინებს, ლადიმერას და შალიკოს ვეძახი, ხანდახან ოთხიც შევყრილვართ, ეფრემა დაგვიმატებია, ხუთიც, თუ ცალია, ყარამანიჩს ვუძახით ხოლმე. კაი შეჭუკჭუკებული ვიძინებ, გათენებამდე შიშში მძინავს. გავიდა ერთი, ორი, ახლა მესამე წელი ილევა. ბარე სამჯერ დაღვინდა მაჭარი. იმ ვენახს ერთი იმდენი კიდევ მივამატე, წელს ახალჩაყრილი ვენახის ყურძენიც დავწურე, ყოველ საღამოს თითო ლიტრას ვშუშხავ, მარტო არა, თანამეღვინეებთან. ვიძინებ, ვუცდი მახარობელს, არ მოდის. ხომ არ ეწყინა, სამჯერ რომ გადავაწევიე დრო, შეიძლება, იმის ჭკუით, მოვატყუე, ღმერთო მაპატიე, მინდოდა, ვენახი დამეყენებინა, ყურძენი დამეწურა, დამელია.

ვსვამ, ვუცდი, არ მოდის!

ზეინაბ მეტრეველი

* * *

ისევ ხალვათად მაცმევს სიცივე, ვეღარ ჩათოვლდა ნისლების ხსენი და ოქტომბერში გარეცხილი მზე, თოკიდან დღემდე ვერ ჩამოვხსენი... საცაა დროში ჩავინამქრები, ჩრდილებიც უკვე ხრიან გრძელ კისერს და წამწამების შავი ფანქრები, მიფერადებენ ცრემლის ესკიზებს, დაბერდნენ ჩემი ჭრელი კაბები, ისე უბრად და ისე უბრალოდ, რომ გადავსილი მთვარის აბებით, სულჩაქცეული, გულზე ვმკურნალობ... სამყარო ელდით არის შემკრთალი, მზე გადაფითრდა, მთვარე ჭიანობს, ეზოში ქარებს დავდევ ხელკავით, უჩემობა რომ ვაეჭვიანო... წამომეზარდნენ ბგერები ოხვრის, დანაყრებულნი სიტყვის საგზალით, თრიალეთს თოვლის დახეულ ჩოხით, ქორწილის მაყრად ვეღარ ვაგზავნი, აღარც ჰაერი შემრჩა ფოფინა, მხრებზე ხელს რომ მხვევს, ნერვიც არ მითრთის, მგონი გაიქცა თოვლიც სოფლიდან, იმედგაფლანგულ ემიგრანტივით... ცაზე ღრუბლების ფერი მუქდება, ვზი, კუტი გზების ხვეწნით დაღლილი, ალიკაპიან თავისუფლებას დავასეირნებ სახლის ძაღლივით, ჩემი მონობის ცდა არ მოვაკელ იმას, ღიმილით, ვინც ბრბოდ შეგვკრიბა, თავიც, ისე ვერ გავიქოფაკე, პატრონისთვის რომ ერთხელ მეკბინა... ჰოდა, დავათრევ ძვირფას საყელოს, ჟეტონს – ყველაფრის შემცნობ ნომრიანს და ისღა მრჩება დღეს სასახელოდ, დავიწყებაშიც ვერ მიპოვნიან... ზოგჯერ, რაღაცას ვბუტბუტებ ჩემთვის და თვალებიდან ცრემლი მოღოღავს, მეჩურჩულება შორიდან ღმერთი, „ეგრე რომ ფიქრობ, უფრო ცოდო ხარ“... განვიცდი შიშველ ხეების ურვას, დავცქერ ბალახის მტვრიან გობელინს და კენწეროზე შერჩენილ ხურმას, შეჰყურებს ქარი, როგორც გოგენი.

* * *

სივრცე სიოთიც არ იჩქმიტება, დუმილს ვერ გავხლეჩ ახლა რამის თქმით, ცა მოიპარეს წუხელ ჩიტებმა, შეღერებული ვაშლის კაბისთვის... ვაშლს, კენწეროთი ნისლში გაყოფილს, გუშინ, მარტმა რომ წამოუთოვლა, დღეს, ემბრიონში ცოდვის ნაყოფის მზის ნაბოლარა სხივი უთრთოდა... გახარებული ვიყავ არც ისე, გარდუვალობის წესის ვერმოშლით, ის აპარებდა მზერას კაცისკენ, ზურგშექცევით რომ იდგა ეზოში... მე შორ სივრცეებს ისევ მოვზიდავ, ჩემი თავისგან გაქცევას თუ ვცდი, ამომაქვს ცრემლი გულის კოვზიდან და დაჩოქებულ წამწამებს ვუწვდი, ნაყოფით არა, კვირტში იცნობა ხე, რაიც მიზანს ვერ სტევს კანს შიგნით და მენანება ამ უბიწობას,

როგორ ჩაკბეჩენ ცოდვის ვაშლივით... ყველა თავისი სურვილით სცოდავს და ამ სურვილებს თავად განაგებს, რა ჭირად გინდა ისეთი ცოდნა, სიყვარულს თუ ვერ გახდი გასაგებს... ყველა, ამ დროს ვერდამაწევარი, ვინც ვერ ამოჭრა გული მონეტად, ცხოვრობს პენსიით – ბედის მწერალის და ვერ მუშაობს კარის პოეტად... ვაშლს შურით ვუცქერ, კვირტის შემომცმელს, ამოღამებულ კაბას მიმდნარი, ის კი მიმტკიცებს, „ჯიშით შემცოდველს, ვერ ეყოლება შვილი წმინდანი“... მიცქერს ამაყად და გამომწვევად, ანდა, გულგრილად როგორ ჩავუვლი და ვწუხვარ, ისევ ჩუმი მოწმე ვარ, ჯერ ჩაუდენელ დანაშაულის...

* * *

მკლავს ამ ჰაერის ცივად შეხება, დამდგარა ჟამი ზამთრის სიესტის და გამხდარ ხეებს თავბრუ ეხვევათ, მიმტკნარებულებს თოვლის დიეტით... ნაძვის ხესავით ჩემს თავს აღარ ვრთავ, ან, საზეიმო რაღა მიჩანს რა, და ღამის სევდის ნიჭიც წამართვას, ვიღაც მაძღარმა იანიჩარმა, მთებიც იმგვარი ყინჩით არ დგანან, კეფით მიფლეთდნენ მრუმე ცის ვუალს, სადღაც, ახლოა ალბათ ჯანდაბა, ან, ის მოვა და ან, მე მივუალ... ფიფქი ჟრუანტელს ვიდრე გამოცრის, ბოლო იარაც ეგებ შეშუშდეს, აღარც ღამეა ისე ნაკოცნი, ჩაიაროს და დღეებს შეშურდეს... მოველ და მეც რა უნდა მომქონდეს, გადაბრუნებულ დროთა ურემით, ტუჩებზე ბოლო კოცნის ბოქლომებს, ჩაჟანგებიათ საკეტურები, მზერას არიდებს მდინარე ტირიფს, აღარც ტირიფი აღარ უცილობს და პირაკრულნი იმიტომ ვტირით, ერთმანეთს მზერით რომ გავუცინოთ, მეც მინდა, მაგრამ ვერსად მივდივარ, სისხლიც მჟავდება ჯავრის ტანინით, კაცს თივის ზვინი მოაქვს მინდვრიდან, მობეზრებული ცოლის ტანივით... ჩემს თავს წიგნივით ისევ გადავშლი, ფიქრს რომ შემორჩეს სიტკბო სიყრმიდან, ერთი ნეკნისგან ნაგებ საყდარში, მლოცველი კაცი მუხლს რომ იყრიდა... ახლა, მუნჯ დროსთან ვსწავლობ ლაპარაკს, ზნე შეიცვალა დარდის გვარ-ტომმა და სიბრალულით ვუცქერ შავ არაგვს, თეთრს რომ ერთვის და... მაინც მარტოა... და როცა ფანჯრებს მიეტმასნებით, დრომ რომ კვლავ სივრცე მოისეიროს, მზეს შეუხსენით ღრუბლის თასმები, თოვლის ბალახზე რომ ისეირნოს...

* * *

ზეცას უქრება თვალებში ხიბლი, მთამ ნისლი მუშტით დააგუნდავა, ნიშნისმოგებით უყურებს თრიმლი, ჩემს ტანზე შემჭკნარ ფერთა სუდარას, დღეები მზითაც ველარ თვრებიან, კეფიდან თმებიც უკვე აეშვა და მაინც შევრჩი ქრიზანთემიან შინაბერების ბაღის კაეშანს... საიალაღო ფიქრით შევმძივდი და სულს კედლების სივრცეებს ვაჩვევ, თრიალეთს, ნისლი კოჭლი თერძივით, თოვლის ჩოხისთვის უზომავს მხარბეჭს, საზამთროდ, ისეთ თმენასაც ვერ ვჭედ, ცრემლს არ ვაგდებდე სევდის კუბოზე და პატიმრობამისჯილ ყალბ ბეჭდებს თავისუფლება უკვე ვუბოძე... ეგრეც არ იყოს, ვინ მყავს დამშლელი, ვცურავ გუბეში ჩამხრჩვალ გზის ტივით, ეს დრო მატარებს, როგორც სამშვენისს, წინაპრისაგან ნაჭედ ნივთივით, არც ისარი ვარ ძველი მოისრის და არც ხალიბის ცეცხლის ხელყოფა, რომ არ ვჭერივარ ხელებს ოპიზრის, ალბათ, ისედაც კარგად მეტყობა... და ვერც იმგვარად ვერ ვფაიფურობ, ზედ მახატავდნენ რძისფერ ლოტოსებს, დროა, ეპოქის კარი მივხურო, მიზეზი მაინც მივცე ვერ მომსვლელს... მის სულს, მორჩილად ვინც შერჩა

დრო-ჟამს, ფიქრად არასდროს არ წამოხდია, რომ ქალს ვერასდროს ააგებ კოშკად, ქალი, სატაძრე თეთრი ლოდია, მასზე უმეტესს არც მე ვინდომებ, დამლაშდეს მიწა თოვლის მარილით, ოღონდაც ვნახო ქართლის მინდორზე, ქრისტე ღიმილით როცა ჩაივლის... მერე, ავიკრავ გუდა-ნაბადებს, უკან გავყვები ისე, შორიშორ, ეგებ, ვიღაცამ, მე რომ დამბადეს, დაუბადებლებს მოუბოდიშონ...

* * *

უხმოდ ვსაუბრობ მინავლულ ცეცხლთან, ისე წვიმს, ზეცამ მზე ვერ გაკვნიტა, ნეტავი ახლა მანახა მცხეთა, მღიმარი ბოლო ფოთლის სარკიდან, ირგვლივ სიჩუმეს გული არ უცემს, სისხლს აღარ შველის ჯავრით შეთბობა, დავცქერ კალთაში ლექსებს აუცრელს, ჩემში რომ ვმალავ, როგორც კეთროვანს... დევს მაგიდაზე გაშლილი წიგნი, გულს ვეღარ ვუდებ ფურცელჩაკეცილს და ახლა, წუხილს მარტოდენ ის მგვრის, რომ ვერ გავფინე მზეზე სარეცხი, გავყურებ ფანჯრებს – წვიმების შემშრობს, თვალებმინავლულს სარკეს სითბოთი, ახლა, ოცნებას ტკივილით ვერ შობ, თუ არა, სულის საკეისროთი, გზას ისევ ზღვისკენ მიიკვლევს ღელე, მან ჯერ არ იცის, უკვე ზღვაც მოსრეს, აღარ მარხავენ დღეს თვითმკვლელ ფერებს, ბოლო შედევრის სასაფლაოზე... ვზივარ გადამხმარ სიზმრების ძირას, ცოდვისვაშლიან ტოტით ნაცემი, დაობებული კაბიდან მზირალ ცოლებს ვერ სცნობენ უკვე კაცები, გავცქერი მთაზე ღრუბლების ეკვდერს, ფერდობზე საყდარს – ოდნავ გადახრილს და ჩემს შემყურე მომღიმარ ჩემს მკვდრებს, ეხამუშებათ გულზე ბალახი... მე იმ ჟამიდან ვერ ამომკვეთეს, როცა კილოში ჟღერდა იოტა, ტუჩითნაწებებ ყვითელ კონვერტებს, კოცნის სურნელი რომ ასდიოდათ, სულიც, იქამდე ვერაფრით მიმყვა, მისტერიები სადაც მარხია, ერთმანეთისთვის ნათქვამი სიტყვაც, უკვე მკვლელობის იარაღია... ამძივებია ცას ნისლი ყელთან, ზეცას მღვრიეს და მზეუსაკინძოს, მაინც ლამაზი იქნება მცხეთა, ასეთ წვიმაში ღმერთს თუ მასპინძლობს...

* * *

დედამიწასაც ის ფერი დაჰკრავს, როგორც ლოგინის ბინადრის მომვლელს, ასე მგონია, ეს ჟამი მკარგავს და საპოვნელად ვერასდროს მოვლენ... ღიმილის ეკალს კბილებით ვიღებ და საკუთარი სისხლით დაგეშილს, მგონია, ვგავარ აღებულ ციხეს, სილას რომ აწნავს მარცხი სახეში, აღარაფერი აღარ გაშფოთებს და რაც გაშფოთებს, მასაც ვერ უვლი, დგახარ სამყაროს ძველ ეშაფოტზე, ისევ ოცნებით თვალახვეული... შენს წინ ბავშვივით ჩრდილი მიღოღავს და თვალებს, ზოგჯერ ისე გაფეთებს, ამოგაქვს ბგერა ქართულ კილოდან და უწვდი, როგორც ფოთლის კანფეტებს... ვერას გახდები უკვე დატუქსვით, ხომ ხედავ უკვე გულიც აყალობს, იმედის ბალახს ხელი გადუსვი, იქნება, მერმისს ტანიც აჰყაროს, ხომ ხედავ, ყველა როგორ გავცივდით, დედამიწასაც რა აქვს ნუგეშად, უმუშევარი მამაკაცივით, ქალიც რა უცებ გააუხეშა, დღე ფეხზე ძლივს დგას, ღამე ვერ წვება, უთქმელი, ტყვიად ისევ ხმაში აქვს, იაფფასიან თუთუნს ეწევა, რომ არ გაუტყდეს ძვირფას ხვაშიადს... მე ქალი ვარ და ტუჩის დირედან, ღიმილს გადმოვფენ ეგრე უჩეროს, კუთხეში ცოტას წავუტირებ და... მერე, მთელი დღე ვმღერი „...უშენოდ...“ ცას ისევ მზერით დავაუთოებ, სველი წამწამი ჯერაც მაქმანობს, საჩვენებელ თითს ეკალს ვუტოვებ, რომ

არ წამიცდეს სადმე „აქ ვარ-ო!“ და თუ საწუთროს კარგა ხანს შევრჩი, ვეცდები ქარებს კარში ჩავუდგე, ვიდრემდე, ბოლო ფოთოლის ელჩი, პირველ თოვლს სევდის „ნოტას“ წარუდგენს... ან, როგორ ვიყო დამშვიდებული, როცა ყოველდღე მცემენ ყიჟინად, ღმერთი ჰყოლია გაშვილებული იმ დედამიწას, მე რომ მიშვილა!

* * *

ეს დილა მზერის სატევრით ავქენ, რიჟრაჟებს ისევ ბინდის რული აქვთ, რასაც უბრალო სახელს ვერ ვარქმევთ. რატომ გვგონია, დიდებულია... მეც ღელესავით მაშინ დავმშვიდდი, ზღვის სათავე, რომ არვინ მაჩვენა, „ცაციაობით“ დასჯილ ბავშვივით, მაგრად შეუკრავს მუშტი მარჯვენას, მე ვაფერადებ სხვათა რუხ კედლებს, სამყაროს უყვარს ჭრელი ფასადი და სული, ვისაც წამოვუმხედრე, მომთხოვა სისხლის გადასახადი... და თუმცა სული მექცა ხალიბად, მაინც ხალთაში უნდა ვმალავდე, ქართლის მინდორზე მზე ვერ დამიბამს, გაუძოვიათ ჩრდილი ალანებს... რაა სიცოცხლე, არშობის მგვანი, უბირ ფიქრებში სიტყვაც მუნჯდება, გატყავებული სამშობლოს კანი, ჩამოირიგეს სიგელ-გუჯრებად, ეს არც ცხადია, არც იდილია, რაღაც უცხოა ძვლამდე ჩაზრდილი, ყველაზე მწარე ის ტკივილია, რასაც სახელი არ აქვს ნამდვილი... დრო, საით აღარ შევატრიალე, მაინც მიბრწყინებს ჯიშის სადა პირს, ჩვენი დაქცევის მემატიანეს, ვუხდი ყველაზე მაღალ ჯამაგირს, ისეთი უნდო ფიქრი გვასწავლეს, სიცარიელე დიდხანს გვეყოფა, აზიის გზებზე ბრმად მოწანწალეს, ვერ დაგვეწია, მგონი, ევროპა... უცხო ცეცხლი სწვავს ძირძველ მთა-ველებს, ყველა მტრისათვის ბრმად შეგვინდია და ერთმანეთის ხორცის მჭამელებს, ვერ გაგვიზრდია ერთი მინდია... სადღაც სოფელში, კუნძზე ურთხმელის, იმედის ტოტებს, რომ მხვევდა ერთ დროს, ჩითის ხალათში დარდი უთქმელი ზის და „ჭკვიანი“ ქალივით ყბედობს...

ვაჟა აჯაშიძე

მამა

მახსოვს, მზე სითბოს არ გვაძლევდა – სითბოს გვართმევდა,
მამა გვეწვა,
სხვა სითბო ჩვენ არც გვქონდა საერთოდ.
იყო აგვისტო, დარი გარეთ ღუმელს ანთებდა
და მამის ფილტვში ღუმელივით ანთება ენთო.
საავადმყოფო,
გადასხმები, ჩვენ –
თავთან ახლოს
ვედექით, მას ხომ მომაკვდავი გული უძგერდა.
ისეთი გვალვა ჩამოაგდო ზაფხულმა – მახსოვს,
რომ მამა ფილტვში წყლის გარეშე ვერ გაუძლებდა.
თვალებს ხუჭავდა, მერე თითქმის ვეღარც გვხედავდა,
ალბათ ჩვენს თავზე ფიქრობდა და ამას გვაჩვევდა.
ხომ იცოდა, რომ მიდიოდა,
მიუხედავად
ამისა,
მაინც გვპირდებოდა ჩვენთან დარჩენას.
თვალები მახსოვს,
ის თვალები...
ეეჰ, საწყალი!..
აგვისტოს ბოლოს მოიქუფრა ზეცა უცებ და
აგვისტოს ბოლოს იყო ნისლი, ფილტვიდან წყალი
აორთქლდა, სულიც ნისლებს გაჰყვა და შეუერთდა.

* * *

ტემპერატურა როცა მინუსს ხატავს, უბრალოდ
დააკვირდი ამ ავტობანის მარჯვენა მხარეს.
იქ ერთი ძაღლი ყეფით დასდევს ყველა SUBARU-ს,
რომლის მსგავსიდან გადმოსვეს და გზაზე დატოვეს.

როცა ეს გზებიც იძინებენ, მას ჰღვიძავს ღამით...
სიზმარშიც ხედავს, რომ მანქანები მას უჩერებენ.
ბილბორდზე ნახატ ძაღლს უყურებს და ტკბება ამით
და უხარია, მოციმციმე შუქმაჩვენებელს
(მარჯვენა მხარეს) მატყუარა მძღოლი როცა რთავს.

* * *

გუშინ ჩემებს ჩავუარე.
ბავშვებს ეზოში ბურთი ეთამაშათ.
ღობესთან ეგდო ტალახიანი და დაჩუტული ბურთი.
მზეს შეუხმია ტალახი...
ვერავინ მხედავდა.
იქვე, ღობესთან ჩემი ნათრევი ჩრდილი ამოვსვარე, ტალახში ავზილე, ამოვგრაგნე ბინძური ღორივით, ბურთის ტალახი ზედ დავახრისე და სახლის კარისკენ თვალი გავაპარე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი.
ეზოს თვალი მოვავლე – თვალი გავაძღე.
წამოვიკიდე ჩემი ნათრევი ჩრდილი, მდინარეზე მივიტანე, გულის მხარე, პატარა ადგილი – აი, სამი თითით რომ აიღებს კაცი, იმხელა ადგილი ამოვრეცხე და უკან დავბრუნდი.
სახლში შევიპარე და
ცოლს სარეცხ მანქანასთან გავუგდე.
ყოველთვის გულის მხარეთი უყვარს სამი თითით ტანსაცმლის აღება...
მე უბავშვებო ეზოში „დახუჭობანა“ ვითამაშე, სანამ გაირეცხებოდა ჩრდილი.
გავერთე...
აეღო ჩემი ჩრდილი, ჩემს ქვრივს და ღობეზე გამოეტანა გასაშრობად.
მე მოვრჩი თამაშს.
ჩავიცვი და მოვშორდი იქაურობას.

თმა

ის ბავშვობიდან თმას იზრდიდა...
მისმა ნაწნავმა მიაღწია სადღაც ორ მეტრს და
ასაკმა – ოცს...
ის გაათხოვეს ერთ დღესაც და იმ ერთ დღეს მზიან
დღეს... ანუ, ის შეეჩვია, უფრო საკმაოდ
ისეთ ცხოვრებას, რომ ფეხსაცმლით, ტალახიანით
მიმოდიოდა ქმარი სულში, ოთახში – არა.
მას გაეღვიძა – მარტო იყო, მაგრამ გვიანი
და ერთ კუთხეში დარდი იდგა, დარდი მშიშარა.
მერე ნაწნავი დაიხვია ყელზე და (რადგან)

მაინც გრძლად ჰქონდა, სად წაელო... მერე საეჭვოდ
ადგა, ლურსმანი მიაჭედა ჭერზე და დადგა
სკამზე, ადვილი იყო თავი რომ ჩამოეხრჩო
გრძელი ნაწნავით.

* * *

მე ცხოვრებას უფრო
პერანგივით ვიცვლი,
თითქოს გამიხუნდა,
ძველი იყოს თითქოს.
ტელეფონიც დღეში
ერთხელ მხოლოდ (ისიც,
რაღაც ხათრის გამო)
რეკავს და ფიქრს მიფრთხობს.
სიგარეტის ბოლი
ნისლს ერევა ცაზე
და ჩემს მაგიდაზე
აზრების ბუღია.
რაღაც ფილმი გადის
მიტოვებულ კაცზე,
მაგრამ ფილმი ჩემთვის
არ გადაუღიათ.
მეგობრებიც... უფრო
ნამეგობრალები
მკითხულობენ, მაგრამ
სხვისი პირით უფრო.
ხშირად ვცივდები და
ცოლს კი ვებრალები,
მაგრამ ცოლიც უფრო,
ამინდზე საუბრობს.
და შვილები ჩემზე
მეტად უფრო pubg-ის
უგებენ და ჩემზე
მეტად ენდობიან.
ბიჭი ხარ და მიხვდი,
რა გტკივა და რა გჭირს,
რომ ტკივილში რაღაც
უკრავს მელოდიას!
ნეტა, მვდარი გერქვას
კაცს და იყო მკვდარი –

დამიჯერე, მეტად
მოგიგონებენ და
ვიღაც, ერთის გულში,
რაღაც მძიმე კადრით
ღმერთი გაგიშვებს და
შეგწყვეტს უცაბედად.
(ვიღაც „დივდილაო“)
მე კი, დილდილობით
ყავისფერ ყავას ვსვამ
და ჩემს ბუტაფორულ
ლექსებს ვკითხულობ და
(ადრეც ვკითხულობდი)...
გონებაში მერე
ვესწრები დიდ ფორუმს.
დაწოლამდე მთელ დღეს
პერანგივით ვიცვლი,
თითქოს გამიხუნდა,
ძველი იყოს თითქოს.
ტელეფონიც დღეში
ერთხელ მხოლოდ (ისიც,
რაღაც ხათრის გამო)
რეკავს და ფიქრს მიფრთხობს.

* * *

ამ წვიმებს (ჩემზე მეტად ეჭვიანს)
ვერ გავუძელით წვიმაში ორმა.
მე ხელში შენი ხელი მეჭირა
და ჩემი პულსი სცდებოდა ნორმას.
ცა ისევ სახეს ღრუბლით ინიღბავს,
მე ვრჩები სადღაც ამ ძველ ვაგონთან.
დარჩიო, ღმერთის გატეხილი ხმაც
გეძახდა, მაგრამ ვერ გაგაგონა.
ღამის წკვარამში გვიან ვწვები და
ძილი საერთოდ აღარ მაქვს, თითქმის
და კალენდარი მთელი წელია
უერთმანეთო თარიღებს ითვლის.
სინათლე არ ჩანს ღამის ფანჯრიდან,
ვიარე წლები, წლები – სინათლის.
დგას ჩემი ჩრდილი, შენს მაღალ ჩრდილთან –
ომწაგებულის სინდისის ასლი.

რაც არ მაქვს იმას უფრო დავჯერდი
(აქ, არ გეგონოს, ვფიქრობდე ლუკმას)
და ისე ვდგავარ, როგორც დაგლეჯილ
ფარასთან მწყემსი სალამურს უკრავს.

წუხელ

წუხელის ქარმა დააწყვიტა ხეებს ძარღვები
და სამუდამოდ ეს ფოთლები ხეებს გაცვივდა.
და უშენობა მაწანწალა, ქუჩის ძაღლივით
ნახევარმთვარეს მისტიროდა ჩემი ფანჯრიდან.
ისეც ხდება, რომ ვიღაც მოსვლას დააგვიანებს
და შენ მიმავალ კვლებს უყურებ, როგორ გშორდება.
და ბაგა-ბაღში მიყვანილი იმ სევდიანი
ბავშვივით უმზერ, მშობელი რომ ემშვიდობება.
წუხელის ქარმა დაუარა ქუჩის ნათურებს
და ეს ხეებიც გააშიშვლა, თითქმის მთლიანად.
და ქარმა წუხელ, ის საგზაო ნიშანი თურმე
ჩემს ეზოსკენ რომ მოდიოდა, შეატრიალა.

* * *

დღესაც დავთვერი და ქუჩაში ლოთი მიწოდეს...
გულმავიწყი ვარ გამხდარი და ვუძლებ ცხოვრებას.
ხომ ყველაფერი მავიწყდება, მაგრამ იცოდე,
შენი ფერმკრთალი თითები სულ მემახსოვრება.
დღესაც გიჟურად იწვიმა და ეს საგიჟეთი
აავსო წვიმით, თვალს ვხუჭავ და ვითვლი ასამდე.
თვალს გავახელ და გამოჩნდები, მაგრამ ისეთი
ველარ, როგორიც ერთ დროს მყავდი, ანუ წასვლამდე.
სიზმრებშიც უკვე ვერ გნახულობ, დავრჩით შორიშორს,
არაფერი არ აკავშირებს ახლა ორ სადგურს
და დამიჯერე, ისე ფრთხილად ვსუნთქავ, რომ ვშიშობ,
შენი სახელი არ ამოჰყვეს ჩემს ამონასუნთქს.
ეზოში ჩვენი ჰამაკია, ისიც ძველი და
სახლთან ახალი, მაგრამ სველი კიპარებია.
მე მახსოვს, ისე გაიპარე საძინებლიდან,
როგორც მძინარე ბავშვებს ხშირად ეპარებიან.

სალომე გოგოლაძე

მეძებეთ...

მეძებეთ!..
რომელიღაც ლექსის, რომელიღაც სტროფზე...
თვალხილული ვტოვებ სხეულსა და მიწას,
ეს დაიწყო გუშინ...
12-სა და 20-ზე,
როცა მთვარე ცაში კატასავით იწვა,
სხეულიდან გასვლა უცნაურად მოხდა,
მე დავტოვე ბინა,
მე დავტოვე სახლი,
ჩამესმოდა ქარის წუხილი და ოხვრა...
და ვხედავდი ქალაქს მეძავივით გახდილს,
ამ სრულ სიჩუმეში დარაჯობდა მოკვდავთ,
ღამე მობარბაცე ჩაძინებულ ჩრდილებს,
იდგა მათხოვარი მოქანავე თოკთან,
როგორც მომაკვდავი ღმერთის მომლოდინე.
მე გეძებდი ყველგან, იმ ნაცნობი სუნით,
გზა-გზა ნაფეხურებს ვზომავდი და ვთვლიდი,
იწვა ვიღაც ბნელში იქვე, დაქანცული,
როგორც ბედისწერის ჩახერგილი ხიდი,
ჩამოწურა ზეცამ წვიმის ყველა ცრემლი,
ვერ იძინებს ღამით თმაჭაღარა კაცი,
ის, ვიღაცას უცდის, ის, ვიღაცას ელის,
ხრინწიანი ხველაც შეპარვია ხმაში.
აშრიალებს ქარი ფარღალალა ყუთებს,
დახრა პაპიროსმა ფილტვები და ძვლები,
და დაიწყო ცვენა ფანტელებმა უცებ,
აჭრიალდა მიწა რაღაც აღტაცებით...
მე მოვედი!.. – ყვირის,

მე მივდივარ!... – ვამბობ,
თუ მომძებნით, აქ ვარ, რომელიღაც სტროფზე,
ლექსი?...
მოიცადე!... გაგიყოფდი ამბორს,
სანამ თოვლად მოვალ 12-სა და 20-ზე.

გწერ...

ნოემბერს ვეღარ გადავურჩები,
უკანასკნელი სიკვდილმისჯილი,
გწერ, სიმწრისაგან მითრთის ტუჩები,
გწერ, და შემოდის მთვარე ნისლივით..
სხვა დროს, სხვა მხარეს, სხვა ჰორიზონტებს,
გადავაბიჯებთ ზვირთებს ოდესღაც,
და როცა ხორცის დაგლეჯილ ძონძებს,
პირდაფჩენილი მიწა მოღეჭავს..
მე გამიხსენებ, თვალდახუჭული,
ჩემს სუნს შეიგრძნობ, როგორც ნადირი,
ყველა კუთხე და ყველა კუნჭული,
სავსე იქნება ჩემი წადილით...
გწერ, მაგრამ ვაი ამ ბედისწერას,
რაც წყევლად მექცა, მექცა სიკვდილად,
და როგორც შვილი ისე მიწვება,
ცოდვის პატარა გველის წიწილა...
რადგან ტკივილად დამდიხარ ტანში,
სულს ავუკრძალე ლოცვა ხატებთან,
გწერ, როგორც მამის დასჯილი ბავშვი,
წყალზე, რომ თიხის სურა გატეხა...
გიმალავ, კალმით დასერილ მაჯებს,
გიმალავ, თვალებს ცაში მომზირალს,
და ფასკუნჯივით მოჭრილ ხორცს გაჭმევ,
სანამ სიცოცხლის ძალა მყოფნიდა.
ყეფენ ქარები, ქუჩის ძაღლები,
გწერ, და არ ვიცი ახლა რა დროა,
ცაზე ვარსკვლავთა სხივთა ძაფები
ნოემბრის თვეთა რიბირაბოა.
ჰგვანან ხეები ქვიშის საათებს,
გაცვდა ფოთლების ნაზი ხალიჩა,
ჩამოვარიგებ ძველ მისამართზე:
ქარვას, საფირონს, ფირუზს, ლალის თვალს.
ვირგებ მათხოვრის გაცვეთილ ტოგას,

ვდგები მუხლებზე ხელგამოწვდილი,
იწყება ლექსი, ვით უფლის შობა,
მკვდარი ჩიტების უხმო ქორწილი...
მე ღმერთი უნდა გადავარჩინო,
რაც ჩემში დარჩა კიდევ ღმერთივით,
გწერ, ვერ გიპოვე ჩემო ნაწილო,
და ასე ვრჩები ფრთებდალეწილი.
ვეჩვევი მიწის ვიწრო სარეცელს,
(მიწას რამდენი დარდი ჰქონია)
და შეშლილივით ისევ დავეძებ
შენს ხმას, შენს თვალთა მელანქოლიას,
მოდიან თოვლის თეთრი მედდები,
ავად ვარ, აწი რაღა მომარჩენს...
ღმერთო, ამ ერთხელ შეგევედრები,
ნუ მოკლავ მერცხლებს შემოდგომაზე...
გწერ, ამ წერასაც რაღა აზრი აქვს,
თუკი დამირჩი მაინც მშიერი...
გწერ, და სტრიქონთა შავი ხაზიდან
ამოვლენ თეთრი აკაციები...

ვალაგებ...

ვალაგებ დღეთა ვერცხლისფერ ტყვიებს,
სათადარიგო განწყობის მსგავსად,
შემოხეული გრძნობები ყრია,
ოთახში, შენი პერანგის ნაცვლად...
წევს მარტოობა კატისებრ მშვიდად,
დარაბებს მიღმა კვლავ ცვლიან კადრებს,
ვალაგებ დღეებს, და ცალი წინდა
დაეძებს, თვალით მეწყვილის ლანდებს,
რადგან, ჯერ კიდევ, არ არის გვიან,
არ არის გვიან, მოსვლა თუ წასვლა,
ვეწევი შენი თვალების თრიაქს,
რაც დამრჩა, შენი კოცნების ნაცვლად.
გატეხილ ფინჯანს წააგავს მთვარე,
და შავი ყავის ნალექის წვიმებს,
ხეები სველი ტოტებით სვამენ,
სვამენ, ნელ-ნელა, ხარბად და მძიმედ.
ბეჭდის რკალივით ამოდის მთვარე,
ქალაქში, სადაც არ იცის თოვლი,
და ლამაზ სახლებს იმგვარად რთავენ,

რომ ხალხი ყველა კუთხიდან მოდის.
მოდიან, მოაქვთ ხორაგი მძიმედ,
სოფლის სურნელი გააღებს ფანჯრებს,
შევიხსნი ყელთან შებნეულ ღილებს,
და მტრედებივით გავუშვებ ნატვრებს.
ვალაგებ, ვაწყობ არეულ ფურცლებს,
სარეველებად ამოსულ დარდებს,
კედლებს კი გული იმგვარად უცემს,
რომ ძლივს ვაკავებ გაღეღილ ფანჯრებს...
მიფრინავს ქარში მზისფერი ტილო,
აწვიმს ეკლიან კაქტუსის ყვავილს,
და როცა შენგან გაქცევას ვცდილობ,
ეს, თვითმკვლელობის ტოლია ლამის...

წვიმის ნოქტიურნი

ნუ ტირი, მხოლოდ დროა ასეთი,
დრო დასასრულის, დრო ფოთოლცვენის,
და იუწყება ქარვის გაზეთი,
ველარ ვიხილავთ ზეცას მოწმენდილს..
წვიმს, იმგვარად წვიმს, შემომეზარდნენ,
შენი წყლისფერი წვიმის შვილები,
სულ გალუმპული ვდგავარ ფესვამდე,
მკლავზე ასხმული ბროლის მძივებით...
მე მომწონს შენი რიტუალები,
თმებს, რომ იწეწავ სველი თითებით,
ცდილობ, შეშლილი მგოსნის თვალებით...
მიმოაწერო გზებზე რითმები.
ნუ სწუხ, არ არის ეს დასასრული,
ნელ-ნელა კანი იწყებს დაჭკნობას,
სერაფიტები, მკვდარი ასულნი,
შენ უნდა შობო ზეცის საშოდან.
შემეხე, მინდა გიგრძნო ბოლომდე,
მაგ შენი თეთრი ყელის სურიდან...
ვსვამ, უკანასკნელ წლების მოლოდინს,
როგორც მზეს, მწიფე ბროწეულიდან...
კანზე ქერცლივით ბზინავს წვეთები,
წვიმს და თევზივით ცაში მივცურავ,
ნისლის რძისფერი მინარეთები
ღაწვზე ფიფქივით ჩამოგიცურდა,
ნეტავ, ვიცოდე რას მეუბნები?!..

როცა თითებით მომიკაკუნებ,
და როგორც ძველი პარფიუმერი,
შუბლზე „j'adoris" სურნელს მაპკურებ.
მინდა დავტოვო მკვდარი სხეული,
გამოგეკიდო სადაც შენ წახვალ,
მე მუდამ გეძებ ფიქრმორეული,
ასე მგონია, ვიღაც მეძახდა...
დღეს შოპენს ვუკრავთ, ვალსით ვაცილებთ,
თბილი ოქტომბრის მზიან თარიღებს,
მაგრამ ამ ფოთლებს ისე აცივნებთ,
ჩავიხუტებ და სახლში წავიღებ..
ვავსებ ქარვებით მზისფერ ზარდახშას,
წვიმს, მიმორბიან ცაზე ტიტრები,
შენ წახვედი და მთვარე აქ დარჩა,
ჩემი კეთილი სამარიტელი...

შეყვანა

მიტოვებული სახლის ფიქრები
რა გითხრა შვილო, რით გაგახარო...
ეჰ, წლებმა მტორა დათვის ბრჭყალებით,
რამდენი ცრემლი უნდა მაყაროს,
ცამ უცოდველი ნუკრის თვალებით.
ჩემი ხარიხა დახრეს ქარებმა,
ძვლებში შემიძვრენ ფიქრის მახრები
მალე ფიფქებით დაიფარება,
მოტოვებული სოფლის სახლებიც.
მათრევს ზამთარი ყინვის ჭილოფზე,
ქარი ძაღლივით მიყეფს ღობიდან,
და ღამღამობით მიხვევს ჭრილობებს
მთვარე თივთიკის თეთრი თოვლითა.
დიდიხანია ზეცას ვერ ვხედავ,
სულს მოსდებია აბლაბუდები,
გამოიტირეს მწვანე ვერხვებმა,
ჩამონგრეული ჩიტის ბუდენიც.
მზე მახატია გულზე თილისმად,
ტრიალებს, ბრუნავს ცაზე ბორჯღალი,
მომნატრებია ლხენა, ღვინის სმა,
ხე ვარ, გათლილი და ნაკორძალი.
მიწას ფესვიდან გულში შევიგრძნობ,
ბუხრის ალს ვახვევ კაკლის ფოთლებში,

სად გამიფრინდა ნეტავ ძველი დრო
ხანა სიცოცხლის, ხანა ოცნების.
მივატან ნეტა გაზაფხულამდე?
ვჩხრიკავ ნაცარში ფიქრის კალიებს,
ჩავყვები მიწას სისხლის ხნულამდე
და ცას შევხარი ნატვრისთვალიანს.
მზე ფრინველივით ბუდეს იკეთებს,
დაჩეკავს ჭერში ოქროს წიწილებს,
შემოდი ჩემში, როგორც სიკეთე...
და არასოდეს არ მომიცილო.
ჭრიალებს ცაზე ბედის ბორბალი,
ახსოვს ამ კედლებს თბილი ღადარიც.
ქარი წაიღებს ქარის მოტანილს
და ანაწილებს წელთა თადარიგს.
არ ავიწყდებათ აკვნის ჭრიალიც,
რთავდნენ აივნებს ჭრელი ფარდაგით,
ღმერთს ადიდებდა ადამიანი,
და ცას შვენოდა მთვარე სადაფის.
შემორჩენილა თიხის ჭურჭელი,
ბაღში ცრემლები ვარდის ბაგეზე
და შემოდგომა სველი ტუჩებით,
ეხება ფოთლებს დამჭკნარ მაჯებზე.
გადამიარეს თავზე ღრუბლებმა,
აფრინდნენ ტბიდან ნისლის გედები,
დღეს კვლავ იწვიმებს გადაუღებლად,
და სევდის ზღვაში გადავეშვები.

დაღი თედორაძე

როგორ გაჩნდნენ დევები

(ზღაპარი)

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, ერთ ძლიერ და მდიდარ ქვეყანას, ასევე ძლიერი და სახელგანთქმული მეფე მართავდა. კიდით კიდემდე გადაჭიმული მისი მამულები უხვმოსავლიანი მიწებით და ნოყიერი საძოვრებით გამოირჩეოდა.

მშრომელ და გულმოდგინე ხალხს უყვარდა მეფე, მისი ოჯახი. ხელმწიფე ყურადღებას და პატივისცემას არ აკლებდა თავისი ქვეყნის მაცხოვრებლებს.

მეფე ულამაზეს სასახლეში ცხოვრობდა, რომლის ეზო-კარი შადრევნებით, ეგზოტიკური მცენარეებით, საუცხოო ფრინველებითა და ცხოველებით იყო დამშვენებული, საიდანაც მუდამ მხიარულება და სიცილ-კისკისი ისმოდა.

ცხოვრობდა უსათნოეს ცოლთან და ხუთ უმშვენიერეს ქალიშვილთან ერთად. ერთგული ოჯახითა და მეგობრებით გარშემორტყმული ბედნიერი იყო, მაგრამ გულში დარდი ჰქონდა – მემკვიდრე არ უჩნდებოდა. მის დარდს კარგად ხედავდა მეუღლე და ოცნებობდა უფლისწული გაეჩინა და გაებედნიერებინა.

და აი, ერთ დღეს დედოფალმა ორსულობის ამბავი აუწყა. მეფეს თვალები გაუცისკროვნდა. მთელი ცხრა თვე უფლისწულზე ოცნებაში და ფიქრში გაატარა. ცხრა თვის თავზე, სანადიროდ გასულს, მალემსრბოლმა ვაჟის დაბადება ახარა. მეფემ, სახლში დაბრუნებამდე, შიკრიკები აფრინა სხვადასხვა ქვეყნის მეგობარ მეფეებთან. ცხრადღიანი ქეიფი და მისი ქვეყნის მაცხოვრებლებისთვის ცხრადღიანი ანაზღაურებადი უქმეები გამოაცხადა.

იცლებოდა სასმისები, ხელიდან ხელში გადადიოდა ყანწები და ჭინჭილები. ლოცავდნენ მეფეს და ახლად მოვლენილ უფლისწულს. ყველა სოფელში, ყოველ ღამე, ცამდე აწვდენილ კოცონთან თავშეყრილი ხალხი მხიარულობდა, უსაზღვრო ბედნიერებას უსურვებდა ახალშობილს.

სტუმრების დაშლის შემდეგ, ბედნიერი მეფე აჩქარებული ნაბიჯით გაემართა ნანატრი უფლისწულის სანახავად. ოთახში შესულს დედოფლის შეშინებული თვალები შეეფეთა. გახარებულ მეფეს არც შეუმჩნევია ცოლის გამომეტყველება, სასწრაფოდ გადახადა ვაჟის საწოლზე ჩამოფარებული რიდე და ელდანაცემს ღრიალი აღმოხდა, საწოლში გოლიათი იწვა. ბანჯგვლიანი გოლიათი, რომელსაც უშუბლო სახე, უშველებელი მრგვალი თვალები და თითქმის ყურებამდე ახეული უტუჩო პირი მოუჩანდა. მეფის დანახვაზე თვალები აუციმციმდა და ისეთი ჭყლოპინი და ხელ-ფეხის ცემა ატეხა, სახლმა ზანზარი დაიწყო...

იატაკზე დაცემული, წელმოწყვეტილი მეფე ძლივს წამოდგა, კარებთან თავდახრილ სახლთუხუცეს გახედა და უბრძანა, დღესვე წაეყვანათ ტყეში და ისე, რომ არავის არაფერი გაეგო და მოეკლათ.

დედოფალი ფეხებში ჩაუვარდა. ემუდარა, ეხვეწა, პირობა მისცა, რომ გადახვეწავდა შორს, ოღონდ არ მოეკლა და საშვილიშვილო ცოდვა არ დაედო, მაგრამ მეფემ არც ცოლის მუდარა და არც სახლთუხუცესის შეგონება მოისმინა.

მაშინ, დედოფალმა დიდი ფულის სანაცვლოდ დაითანხმა სახლთუხუცესი, ცოტა ხნით, თავის სახლში გადაემალა.

შუა ღამე გადასულიყო. დედოფალმა ზურგზე თასმებით მოიკიდა შვილი და გლეხის ტანსაცმელში გადაცმულმა ჩუმად დატოვა სასახლე. სახლთუხუცესმა, თავის სახლში, რომელიც სასახლიდან არც თუ ისე შორს იყო, საიდუმლო ოთახში გადამალა ისინი. სისხლით მოსვრილი ბავშვის პერანგი და დედოფლის თავსაბურავი მიუვალ ტყეში დააგდო და დილით მეფეს მათი გაუჩინარება მოახსენა.

მეფეს საიდუმლო ჯარი ყავდა, განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, რომლის არსებობას არავის უმხელდა. განრისხებულმა და შეშინებულმა, რომ მისი ოჯახის შერცხვენის ამბავს ყველა გაიგებდა, ჯარს მათი მოძებნა და დახოცვა დაავალა.

გავიდა დრო. ერთ დღეს მეფეს ჯარის უფროსი გამოეცხადა, სისხლით მოსვრილი ნივთები გადასცა და უთხრა: – სავარაუდოდ, მხეცების მსხვერპლი გახდნენ, მაგრამ გადავქექეთ ყველაფერი და სხვა ვერაფერი ნიშანი ვიპოვეთო.

მეფე საგონებელში ჩავარდა. ეჭვი გაუჩნდა, ცოცხლები ხომ არ არიანო, მაგრამ ქვეყანას დედოფლისა და უფლისწულის გარდაცვალება მაინც ამცნო და გლოვის დღეები გამოაცხადა. უამრავი გაოგნებული და დამწუხრებული ადამიანი მოაწყდა სასახლეს. არ წყდებოდა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული მეგობრების, მოკეთეების თუ არაკეთილმოსურნეების რიგები. მიუხედავად იმისა, მეფეს საიდუმლო ჯარისთვის დავალებული ჰქონდა ყველა შემოსული თუ ქვეყნიდან გასული ადამიანის თვალთვალი, სახლთუხუცესმა მოახერხა და შორს, მიუვალ მთებში, ერთ გამოქვაბულში გახიზნა და დატოვა დედოფალი.

უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა დედოფალი. შრომას, სიცივეს და შიმშილს მიუჩვეველი გახდა, გაჭაღარავდა, თითქოს დაილია კიდეც, მაგრამ ბედნიერი იყო. შვილი, რომელსაც დევი დაარქვა, ცოცხალი და უვნებელი მის თვალწინ იზრდებოდა, იღიმოდა, ცელქობდა, ფეხს იდგამდა, ლაპარაკს სწავლობდა, რა თქმა უნდა, თავისებურად, და უსაზღვროდ უყვარდა დედა, მზის ამოსვლა, ჩიტების ჭიკჭიკი, სავსე, ბრდღვიალა მთვარე.

დედოფალს შიში და დაძაბულობა არ შორდებოდა. ცდილობდა შვილი ახლოს ჰყოლოდა, ვინმეს არ გადაყროდა და მათი საიდუმლო არ გამჟღავნებულიყო. ერთ დღეს დევმა სათევზაოდ წასვლა დაიჩემა. დიდხანს უშალა დედამ, მაგრამ მაინც არ დაიშალა. მაშინ დედოფალმა სთხოვა, მდინარეს ძალიან ქვემოთ არ ჩაჰყოლოდა და აქვე სათავესთან დაეჭირა თევზი. დევმა პირობა მისცა, აიღო ბადე და წავიდა. ბევრი იწვალა, მაგრამ ერთი თევზიც ვერ დაიჭირა. ნელ-ნელა იცვლიდა ადგილს და ისე ჩაუყვა მდინარეს სოფლისკენ, რომ ვერც შეამჩნია.

უცებ, ჟრიამულის, სიცილ-კისკისის ხმა გაიგონა. ისე მოეწონა მისთვის უცხო და ტკბილი ხმები, გადაწყვიტა ენახა, რა იყო, საიდან ისმოდა. მდინარეს კიდევ უფრო ქვევით ჩაუყვა და გაოცდა. ბავშვებს მდინარე დაეგუბებინათ და ჭყუმპალაობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს წყალს ასხამდნენ, კისკისებდნენ. ისე მოუნდა მათთან ერთად ყოფნა, პირდაპირ წყალში გადაეშვა და დგაფანი მოადინა. ბავშვები ჯერ გაიტრუნენ, შემდეგ კივილით აცვივდნენ მდინარიდან. ნაპირთან გაჩერდნენ და გაოცებული, შეშინებული უყურებდნენ მათთვის უცხო არსებას, რომლის უშველებელ და ბანჯგვლით დაფარულ ტანს წყალი წელამდე ძლივს წვდებოდა, დიდ მრგვალ თავზე, ასევე დიდ და საოცრად მრგვალ თვა-

ლებში სიხარულის ნაპერწკლები უციმციმებდა, თავზე პატარა რქებუნები და ტუჩებზე გადმომ-ჯდარი ეშვები უელავდა.

დევმა რომ დაინახა, ბავშვები აღარ გარბოდ-ნენ, გაჩერდნენ და უცქერდნენ, იფიქრა, სათა-მაშოდ გამოვიწვევო და ცალი ხელით მდინარე-ში შემოსვლას ანიშნებდა, ცალ ხელს წყლის ზე-დაპირს ურტყამდა და იძახოდა – მე, დევი, მე... დევი. წყლის დგაფუნმა და დევის ლუღლუღმა ბავშვები ისე შეაშინა, თავქუდმოგლეჯილი ყვი-რილით გაიქცნენ. დევი გაოცებული და გულდა-წყვეტილი იდგა. ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ უცებ ქვა მოხვდა თავში. სისხლმა იფეთქა. თავზე ხელი მოისვა, ვერ მიხვდა, რა მოხდა. ამ დროს ბუჩქებიდან ქვებით ხელში ბავშვები გა-მოცვივდნენ. დევს უმოწყალოდ უშენდნენ და ყვიროდნენ: მახინჯო, ურჩხულო, მოჩვენებავ, დევო... გაეცალე ჩვენს კუთხეს...

დევი გაოგნებული იდგა. თანდათან იზრდე-ბოდა ბავშვების რაოდენობა და ქვებიც უმოწყა-ლოდ ცვიოდა. ზოგი წყალში, უმეტესი კი თავზე და ტანზე ეცემოდა. რამდენი ქვაც მოხვდებო-და იმდენჯერ შეძახილი და სიხარულის ყიჟინა ისმოდა ნაპირიდან. დევს ცრემლები გადმოს-ცვივდა, გულმოკლული მიბრუნდა, ნელ-ნელა ტაატით გატოპა წყალი და შინისაკენ გაუდგა გზას.

ცოტა ხანში მდინარესთან უამრავმა ადამია-ნმა მოიყარა თავი. მორბოდნენ ცულებით, თო-ხებით, ნამგლებით, თოფებით. ყვირილით, ხმა-ურით შეესივნენ ტყეს. უკვე შორს წასული დევი მიხვდა, მას დაედევნა ხალხი და ვიწრო ბილიკე-ბით, რომელიც მხოლოდ თვითონ იცოდა, გაა-გრძელა გზა.

დედოფალი გამოქვაბულთან იდგა და შეში-ნებული აქეთ-იქეთ იხედებოდა, გული ცუდს უგრძნობდა. შორიდან დაინახა დათრგუნული, გასისხლიანებული, ბარბაცით მომავალი შვი-ლი. ელდანაცემს მუხლები მოეკვეთა და იქვე ჩაიკეცა. მიხვდა, რისიც ეშინოდა, ის მოხდა... ადამიანებს შეხვდა ადამიანებისგან გარიყული მისი შვილი...

დევმა დედას კალთაში თავი ჩაუდო და აქ-ვითინებული ემუდარებოდა ეთქვა: რატომ იყ-ვნენ ის ბავშვები ასეთი ლამაზები და თვითონ არა, რატომ დაუშინეს ასე უმოწყალოდ ქვები, მას ხომ მხოლოდ თამაში უნდოდა. რატომ ცხო-ვრობდნენ ცალკე, მარტო და არა ბავშვებთან ერთად... დედოფალი თავზე ხელს უსვამდა, ეფე-რებოდა. ყელში ბურთმობჯენილი უხმოდ ყლა-პავდა ცრემლებს და ფიქრობდა: როგორ აგიხ-სნა, რომ სხვანაირი დაიბადე, რომ ადამიანებს არ უყვართ განსხვავებული ადამიანების ცქერა, მათთან ერთად ცხოვრება. ერთმანეთს ეჯიბრე-ბიან მის დამცირებაში, უარყოფაში, გარიყვაში... როგორ გითხრა, რომ საკუთარი მამას შეეშინდა, რომ შენი გამოჩენით, შენი არსებობით თავზე ჩა-მოენგრეოდა სამყარო, სადაც სახელი და მდგო-მარეობა აქვს და ამიტომ გაგწირა... მე კი სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე შენი გადარჩენისთვის...

ერთმანეთზე მიხუტებულ დედა-შვილს გარ-ეთ, გამოქვაბულის კარებთან, ღია ცის ქვეშ ჩა-ეძინათ.

სასახლეში კი ქორწილი გაემართათ. მეფე მე-ხუთე ქალიშვილს ათხოვებდა მეგობარი ქვეყნის უფლისწულზე. მორთულ-მოკაზმული სასახლი-დან მხიარული ხმები ისმოდა, ეზო და ფართოდ გაშლილი ვერანდები საუცხოოდ გამოწყობილი ქალ-ვაჟებით, ბანოვანი ქალბატონებით და ბა-ტონებით იყო სავსე, რომელთა დაყენებული, მოდუდუნე ხმები აბრეშუმის კაბების შრიალში და მარაოების ფრიალში იკარგებოდა.

ოთახში მარტო იჯდა სიბერეშეპარებული მეფე, რომელმაც, ცოლ-შვილის გაქრობის შემ-დეგ, მოსვენება დაკარგა. არა იმიტომ, რომ სი-ნანულს გრძნობდა მისი უგულობის გამო, არა-მედ დედოფალზე უზომოდ იყო გაბრაზებული და ღალატში სდებდა ბრალს. ამიტომ მთელი ეს დრო მოგზაურობაში, ნადირობასა და გართობა-ში ატარა. ხელი აიღო ქვეყნის მართვაზე, სახ-ლთუხუცესს და მოურავს გადააბარა ყველაფე-რი და თვითონ განცხრომას მიეცა.

ამას მოსალოდნელი შედეგებიც მოყვა. ერთ დროს დიდებული ქვეყანა დაცემის პირას იყო.

მცირდებოდა შემოსავალი, იცლებოდა ბეღელი. შრომისგან ქანცგაწყვეტილ გლეხებს ეზრდებოდათ გადასახადები. წლიდან წლამდე სიმწრით გაჰქონდათ თავი. გაუსაძლისი გახდა დებისა და სიძეების ქიშპი. ყველას უნდოდა ხელში ჩაეგდო ქონება. თავმობეზრებულმა მეფემ, ქორწილის შემდეგ ქალიშვილები და სიძეები სასახლიდან გაყარა. აღარ ღებულობდა სტუმრებს, მეგობრებს. სასახლეში ჩაკეტილმა სმას მიჰყო ხელი.

ამ დროს გავარდა ხმა მთებში საშიში და კაციჭამია დევის არსებობაზე. შეშინებული მოსახლეობა ათასნაირ ამბებს თხზავდა. გმანავდნენ დარაბებს, ადრე აქრობდნენ შუქს, ღამით კი გარეთ საერთოდ აღარ გამოდიოდნენ. მოსვენებადაკარგულები დევზე თავდასხმის გეგმებს აწყობდნენ.

დევი, იმ დღის შემდეგ, მოწყენილი და დათრგუნული იყო. აღარ უხაროდა ჩიტების ჭიკჭიკის სმენა, მზის ამოსვლა, ყვავილების კრეფა და პეპლებთან თამაში. დედას თვალსაც არიდებდა და თავსაც. სანადიროდ წასვლას იმიზეზებდა და დილიდან საღამომდე ტყეში ხეტიალობდა. დედა გამოქვაბულის კართან იჯდა, ლოცულობდა შვილი ცოცხალი დაბრუნებულიყო, ცრემლებს იწმენდდა და გულისყურით უსმენდა თითოეულ გაფაჩუნებას, ყველგან მისი შვილის ფეხის ხმა ეჩვენებოდა.

ერთ დღეს, დაღლილ-დაქანცული დევი სახლში ბრუნდებოდა. გზადაგზა ფიჩხებს აგროვებდა, მალე დაზამთრდებოდა, გამოქვაბულში კი ციოდა. ბევრი შეშა უნდა მოეგროვებინა, თორემ გამხდარ, ფერდაკარგულ დედას მუდამ ციოდა. უცებ, უცნაური ხმაური მოესმა, ყვირილი, შეძახილები. ყური მიუგდო და მიხვდა ხმა გამოქვაბულიდან ისმოდა. ფიჩხები დაყარა, ერთი დიდი სარი აიღო და სირბილით აუყვა აღმართს. გამოქვაბულთან მისულს საშინელი სურათი დახვდა. მისი გამხდარი, გასაცოდავებული დედა, ცულებით, წალდებით, თოხებით შეიარეღებულ ბრბოს ნაწილს შუაში მოემწყვდია და უყვიროდნენ: ალქაჯო, ჯოჯოვ, სად არის დევი, გამოვიდეს! ნაწილი გამოქვაბულში შეჭრილიყო და იქაურობას ლეწავდა. ამის დანახვაზე დევს უცნაური ღმუილი აღმოხდა. უცებ, ბრბო გაიტრუნა, შემდეგ მობრუნდნენ და გაცოფებული დევის დანახვაზე იხუვლეს. გაიმართა ბრძოლა. დევი ცდილობდა შუაში არ მოემწყდევია ბრბოს. იგერიებდა შეიარაღებულ ხალხს, რომლებიც დევის სიძლიერით გაოცებული და შეშინებული თავს ესხმოდნენ, მაგრამ თვალები ტყისკენ ჰქონდათ, რომელიმე გაქცეულიყო, რომ თვითონაც დაჰყოლოდნენ.

უთანასწორო და დამღლელი ბრძოლის შემდეგ, მიხვდნენ – დევს ასე ადვილად ვერ დაამარცხებდნენ და ყვირილით, ლანძღვით და მუქარით, რომ მალე დაბრუნდებოდნენ, ნაცემ-დალილავებული დაეშვნენ სოფლისკენ. არც დევი იყო კარგ მდგომარეობაში, ცხვირ-პირიდან სისხლი სდიოდა, გვერდები სტკიოდა. უცებ, კვნესა მოესმა. ახლა გაახსენდა დედა და გამოქვაბულთან მოსულმა მიწაზე დავარდნილი, ფერდაკარგული დედა დაინახა, რომელსაც საფეთქელთან ახლოს, ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. ფრთხილად აიყვანა, გამოქვაბულში, ბუხართან დააწვინა, ჭრილობა მობანა, ცეცხლი დაანთო, დედის თავი კალთაში ჩაიდო და ცრემლებს ჩუმად ყლაპავდა, დედას რომ არ გაეგო და არ გაღვიძებოდა. სინამდვილეში დედას ეღვიძა, ან რა დააძინებდა. იცოდა, ახლა ეწყებოდა შვილს მძიმე და გაუსაძლისი ცხოვრება.

ცოტა ხანში წამოდგა დედა. დევი ეხვეწა: – დაისვენე, ჭრილობა ღრმაა და სისხლი ისევ წამოგივაო, მაგრამ ხელით ანიშნა გაჩუმებულიყო, რაღაცის თქმა უნდოდა და ბოლომდე მოესმინა მისთვის. მერე შვილის ხელი ხელში დაიჭირა და მოუყვა, რაც გადახდათ თავს, ვინ იყვნენ, სად ცხოვრობდნენ... დევი თვალებგაფართოებული უსმენდა დედას, რომელიც დამჭკნარი, ძარღვებადქცეული ხელებით წამდაუწუმ იმშრალებდა ცრემლებს. ბოდიშს უხდიდა ამ საიდუმლოს შენახვისთვის. ემუდარებოდა – არ გაბოროტებულიყო, შური არ ეძია, ეპატიებია მამისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დევი ბოლომდე ვერ გაერკვა, ვერ გააცნობიერა რა ხდებოდა მის თავს,

დედას პირობა მისცა, ხელები მოხვია, გულში ჩაიკრა და როდის ჩაეძინა ვერც მიხვდა.

დილით უცნაურმა სიცივემ გამოაღვიძა, გააჟრჟოლა. გამოქვაბულის ნაპრალებიდან შემოპარული მზის ათინათი ჩანავლებული ბუხრის ღადარს ელაციცებოდა. დედა, რომელიც ყოველთვის ალიონზე დგებოდა, რატომღაც ისევ იწვა, თავი გვერდზე ედო და ტუჩის კუთხეში მკრთალი ღიმილი შერჩენოდა. დევმა საშინელი სისუსტე იგრძნო, ფეხებმოკვეთილი მიუახლოვდა, გულზე თავი დაადო და ელდანაცემი იატაკზე ჩაიკეცა. დედის გული აღარ ფეთქავდა, დედა აღარ სუნთქავდა. დევის სასოწარკვეთილმა ღრიალმა შეძრა მთები. უკიდეგანო ტკივილმა და მარტოობის შიშმა სასთუმალს მიაჯაჭვა. დედის გულზე თავმიდებული ყოველ წუთს ელოდებოდა გულისცემის გაგონებას. ყველა გაფაჩუნებაზე წამოვარდებოდა და სიბნელეში დედის ლანდს ეძებდა... რამდენიმე დღის უშედეგო ლოდინით, ტირილისა და უძილობისგან ღონემიხდილი წამოდგა. გარეთ გაიხედა და გაოგნდა. მზე ისევ ანათებდა, ისევ ჭიკჭიკებდნენ ჩიტები, ისევ შრიალებდნენ ხის ფოთლები... ეგონა, არა დარწმუნებული იყო, გამოქვაბულივით ბნელი და ცივი, მისი გულივით მკვდარი იქნებოდა სამყარო. კიდევ ერთხელ აღმოხდა სულის შემძვრელი ღრიალი. მერე, შებრუნდა გამოქვაბულში, დიდი წვალებით გამოტეხა კლდე, დედის ნეშტი აკლდამაში შეასვენა, გამოქვაბულის კარი ამოგმანა, ტალახით გაპოხა, კორდი მოთხარა, დარჩენილი ნაპრალები ამოავსო და გზას დაადგა. მიდიოდა, მაგრამ სად, ან რატომ – არ იცოდა.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ ძაღლების ღავღავმა გამოაფხიზლა. სოფელს მიახლოებოდა. ბინდდებოდა. მოშიშვლებულ ბორცვზე შემდგარი კარგად ხედავდა სოფელს, რომლის შუაგულში უშველებელი სასახლე იდგა. ალბათ, ესაო, გაიფიქრა და გული აუჩქარდა. გადაწყვიტა დაბნელებას დალოდებოდა და სასახლეში შესულიყო. რატომ? არ იცოდა, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა იქითკენ ექაჩებოდა.

დაბნელდა. სოფელი მიწყნარდა. დევი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სასახლის გალავანს, გადახტა და მოუვლელ, ფოთლებით და ღორღით სავსე ეზოში აღმოჩნდა. ნელ-ნელა აუყვა საფეხურებჩამომტვრეულ, ფართო კიბეს. სასახლეში ბნელოდა. უშველებელ, ცარიელ ტალანებში ისეთივე სიცივე და სიბნელე იყო, როგორც გამოქვაბულში დედის გარდაცვალების შემდეგ. გააჟრჟოლა. მეორე სართულზე ავიდა. ერთ ოთახში, ღიად დარჩენილი კარის ღრიჭოდან, საიდანაც მკრთალი შუქი მოჩანდა, შეიხედა და ბუხართან მჯდომი მხრებში მოხრილი, წვერიანი მოხუცი დაინახა. აკანკალებული ხელით ძლივს მართავდა ყალიონს. ალბათ, ესაა მამაჩემიო – გაიფიქრა და გულმა ისეთი გამალებით დაუწყო ცემა, თითქოს თავის ტვინიდან წამოსული სისხლი თქრიალით ჩაიქცა ტერფებში. იატაკზე დახედა, სისხლის ტბორს ელოდა, წაიბორძიკა და მოულოდნელად ხელი გაჰკრა კარს. კარი ჭრიალით გაიღო.

მოხუცმა მეფემ მძიმედ მოაბრუნა თავი. კარებში მდგარი დევის დანახვაზე გაფითრდა, აკანკალებულს ყალიონი ხელიდან გაუვარდა, გაჭირვებით წამოდგა, ბუხრის კედელს მიეყრდნო და გაფართოებული, შიშჩამდგარი თვალებით გოლიათს მიაჩერდა. როცა მიხვდა, დევი თავდასხმას არ აპირებდა, დაწყნარდა, დააკვირდა, განსაკუთრებით თვალებს და უცებ, ყბა აუკანკალდა. თვალწინ დაუდგა ის დრო, რამდენიმე წლის წინ, დედოფლის ოთახში შესულმა საწოლს რიდე რომ გადახადა და სიხარულით აჭყლოპინებული გოლიათის დიდ, მრგვალ თვალებს გადააწყდა.

– ის არის, ნუთუ ის არის? – აფიჩფიჩდა მეფე. მუხლები მოეკვეთა და ბუხართან ჩაიკეცა... როცა თავი აიღო, კარებში არავინ იდგა. შვებით ამოისუნთქა.

მიტოვებული, მარტოდ დარჩენილი დევი ცხრა მთას იქით გადაიხვეწა. ერთ დღეს კი ტყეში, ნადირობის დროს ხის კუნძზე მჯდომი ასლუკუნებული გოგო დაინახა. ესეც ჩემნაირიაო, გაიფიქრა. ცრემლები შეუმშრალა, ხელი ჩაჰკიდა და ერთად გააგრძელეს გრძელი და მძიმე გზა.

ნატალი დარასელია

* * *

რაც იყო მორჩა. სულს ვკრავ ტივივით,
ახლა სხვანაირ დღეებს ვუცდი და
სულ სხვანაირი გულისტკივილით
გადმოვიღვრები დედის მუცლიდან.
ვიცი ვინ ვარ და ვიცი რა დრო ვარ,
ვხსნი კედლებიდან ძილის ფიტულებს
დღემდე თუ ცრემლმა მომაჯადოვა,
დღეიდან ვეღარ გამაბითურებს.

* * *

მე დღეს შინ არ ვარ, დღეს გარეთ ვრჩები,
ვით უსახლკარო. ისე აცივდა.
ყრია აქა-იქ ხმელი გირჩები,
გადამსხვრეული ათას ნაწილად.
დღეს უნდა ვიგრძნო ცის ცივი კალთა
და უბუდეო ჩიტის ჭიკჭიკი,
ჩემ მუხლზე ლექსმა მოიკალათა
და ქვა მესროლეს მეც იმ ჩიტივით
ღარებს აცდენილ მარცვალს რომ მისწვდა.
ვისმენ წყვდიადის იდუმალ ბგერებს.
ჩემ დაღლილ სხეულს დღეს ითხოვს მიწა
და ახლებურად გულს ააძგერებს.
ბოლოჯერ, ნეტავ, ვასმინო ხმა ვის?
ჩემი მხრებიდან ღმერთი აფრინდა
და კვლავ სიცოცხლის მბრწყინავი ხმალი,
უნდა გამოვწვა სიარაფრიდან.

დღეს გარეთ ვრჩები. ვუთანაბრდები
ლოცვის ამარა დარჩენილ მრევლს და
ანგელოზისთვის მოპარულ ფრთებით
მაღლა ასასვლელ ნაბიჯებს ვლესავ.

* * *

ჯერაც ვერ ვწვდები საკუთარ კიდეს,
ხელს მიშლის ხან ეს, ხან ის,
რომ ფოთოლივით, ზედ ჩამოვკიდო
ჩემი გამხმარი ტანი.
ქვევით ფსკერია, ქვევით მიცდიან,
ქვევით სიმშვიდე მელის,
ამოსული ვარ დღემდე მიწიდან,
როგორც ცოდვილი გველი.
მიხმობენ უცხო ხმები. მშვიდდება
ჩემი მღელვარე მე და
მენანებიან თეთრი შინდები
სხვა ყველაფერზე მეტად.
ვტოვებ თუ რამ მაქვს, უფრო ცხადია
არაფერი მაქვს კია
და თითებს ახლა, წვერ ბლაგვ წალდიანს
კვლავ თვითმკვლელობა ჰქვია.

* * *

მივდივარ. თავს ვაძლევ ძილბურანს.
ზღვა. ხმები. კენჭები. რამეთუ
გაცემულს უკან ვერ ვიბრუნებ
და ვიწვი – უღმერთო სანთელი.
მიყვება წელი წელს. მოდის კვლავ
ახალი იმედი და ახალს
ნებას ვრთავ ძველი მზე მომიკლას,
რომელსაც ღრუბელიც თან ახლავს.
მე მაინც სხვა არ ვარ და ღია
სარკმელი მეძახის: „შინ წამო“!
რომ დღეებს მოვშორდე დაღიანს
და ღმერთი თავიდან ვიწამო.

* * *

რადგან სიკვდილი თავს გვატყდება მოულოდნელად
და ვერ გავცურე სიმწუხარის შავი მდინარე.
ვწევარ და მკრთალი ანგელოზი მომელანდება.
ვწევარ ცივი და იძულებით პირმოცინარი.
და ანდერძივით, დაიხსომე, როცა ჩემ სხეულს
თეთრი სუდარა შვებასავით შემოეხვევა,
ყელთან შეკრული ცრემლის მძივი ფრთხილად შემხსენი
და დახუჭული თვალებიდან, ვინძლო, ერთხელაც
გითხრა, რომ ჩემი არ წაკითხულ ლექსების სტამბა
ჩემი კუბოა. ააკარი ფურცლები ფიცარს,
რადგან მინდა რომ იმ ქვეყნადაც ტკივილში ვიწვე,
რადგან მინდა რომ ამოვხეთქო ლექსებით მიწა.

მიხეილ გელაძე

გუდამაყარი

(გუდამაყრის ხეობის მოსახლეობისგან დაცლა გულში დარდად ჩამრჩა. რამდენი სოფელი გაუკაცრიელებულა, ზოგში თითო კომლიღა სახლობს. გუდამაყრის სკოლაში 11 ბავშვი სწავლობს. რამდენიმე კლასი ცარიელია).

ჩემი გუდანი,
გუდარახი,
გუდანაბადი,
ჩემი გუთანი,
გუდასტვირი,
გუდამაყარი,
სად გაფრენილა, გაკრეფილა
მართვე, ნაყარი,
საქართველო ხომ მუდამ აქ დგას,
მუდამ აქ არი?!
ვინ დამიცალა
ძველი მუქო,
მაქართა, მუცო,
ჩემი დუმაცხო,
უკანახო,
ჩემი შუაფხო,
რატომ აღარ ჩანს ჩანადირი,
სადა ჰყავს ცხორი,
ხუთი წელია, გარდაცვლილა
თურმე ანზორი,
ვეფხიას ფარეხს ხომ იცავდა
ბომბორა ორი,
სანათას აღარ უწიოკებს

კრუხ-წიწილს ქორი.
რატომ არ ყივის აქ მესერზე
ისევ მამალი,
სად წაუღია თინა ბებოს
წინდა, წამალი?!
მოჩანს ეულად დარჩენილი
ჭალა-ტრამალი,
სად არის შიოს ლურჯა ცხენი,
რაში-ფრთამალი?!
საით წასულა, მითხარ, ძმაო,
ფიცხელაური,
მომნატრებია სალამური მე აქაური,
სად გადავიდა საცხოვრებლად აფციაური,
ვინ გამოკეტა ჩოხელი
და ჩობალაური?!
დადუმებულა ძველი დიხჩო,
ძველი ათნოხი,
მიძინებულა ქვემო ხევი,
ზემო კიტოხი,
ეზოში ყრია დაჟანგული
ნამგალი, თოხი,
მეცარიელა უგოდერძოდ
სოფელი ჩოხი.
ჩამონგრეულა ბექაურის
ფარეხი-ზღუდე,
ხევზე ვინ გადო გაუთლელი
ბოგირი, მრუდე?!
გემუდარები, ძმაო, ისევ
უკან მობრუნდე,
სიცოცხლე მისცე გუდამაყარს,
აღარ მოდუნდე.
გიხმობს გუდანი,
გუდარახი,
გუდანაბადი,
შენი გუთანი,
გუდასტვირი,
გუდამაყარი,
სად ხარ, ქართველო,
შენი ფუძე მუდამ აქ არი,
გმართებს ამ მთების პატრონობა
ვაჟას მაგვარი...

ღები

სამოთხის ბჭე გამოვაღე – ცქერით ველარ ვძღები,
„რაჭა – ჩემი სიყვარული“ – გონა, გლოლა, ღები,
მთებს სხივებად დაფენია ცხრათვალა ჭაღები,
შემომდგარა, დატვირთულა ზვრები და ბაღები.

მწვერვალები დახატული, ძირს იალაღები,
ქართველს ხელში ჩავარდნია ოქროს გასაღები,
ორღობეში ჯირითობენ ცხენებით ბალღები,
მოჩანს გოგო აივანზე ფოტოს გადამღები.

აზვირთული ფერდობები, ვით მწვანე ტალღები,
კაკლის ძირას პურმარილი სტუმრის მისაღები,
ლობიანი, ყველი, პური, ღვინო ქვევრნაღები,
ხარიხაზე ჩურჩხელები – ქალაქს წასაღები.

აივანზე შეკრებილან ბიჭები ლაღები,
გოგონები წინსაფრებით – ბარხატ-ბაირაღები,
ჭიანურის ხმა გაისმა, ახსნა ცას თაღები,
„ტაში, ბოშო, გიორგუნა“ – ყანა ასაღები.

დგას დუროიანი კოშკი – მტრის ბოლოს მომღები,
რაჭველები – ქართველები – ყველა ყოჩაღები,
„ხვანჭკარა“ თუ „იზაბელა“ – მარნის ყონაღები,
„რაჭა – ჩემი სიყვარული“ – გონა, გლოლა, ღები.

ლოდნარის ჩანჩქერი

ლოდნარის კლდეზე მორბის, მოჩქეფს თეთრი ჩანჩქერი,
გვამცნობს კორტოხში, სულ გამდნარა თოვლის ნამქერი,
ჯვარიქეთს შევდექ, კლდის-დუმას და კლდის-კეცს გავცქერი,
ვერ დავიმშვიდე გული ხიბლით, ეშხით ნაძგერი.

წყალი კი არა, დედოფალი სალ კლდით ეშვება,
პატარძალს კაბა, დალალები თეთრად ეშლება,
სურს, დაუკრიფო ყოჩივარდა, რომ იგრძნოს შვება,
ცხრათვალა მზეს თუ არ შესცინე, არ მოგეშვება.

დაყუდებულან მაყრიონად კლდის თავს ნაძვები,
ისეთი ხშირი ბუჩქნარია, ვერსით გაძვრები,

მთის მზეთუნახავს აფაკვლია ლოყა–ღაწვები,
მიეახლები, მის სურნელით ვეღარ გაძღები.

ჩანჩქერს კლდე ღარად შედგომია – მრავალსართული,
აქ ბუნებაა ფიროსმანი – საქმით გართული,
აქ ლოდ-ქარაფთა „ხორუმია“ გადახლართული,
აქ სიმღერაა და ცერებზე ცეკვა „ქართული“.

მოჩანს კორტოხი, დაფარჩული, დაბარხატული,
კლდეთა ღაღადი – დაჩარხული, დახარატული,
თეთრი ჩანჩქერი – დედოფალი, თვალებხატული,
ღირს ქართველ ქალის სიყვარული ანდამატური.

ლოდნარის ლიბოს ოქროსფერი ასდის ალმური,
მის სხივს ირეკლავს დიოკნისი და ეშამური,
შავჩოხა ბიჭის ხმა მომესმა – რა საამური,
მოდგა, კბოდეზე ააკვნესა მთის სალამური.

ლოდნარის კლდეზე გადმოშლილა თეთრი ჩანჩქერი,
გვამცნობს კორტოხში სულ გამდნარა თოვლის ნამქერი,
ჯვარიქეთს შევდექ, მონუსხული არწივს გავცქერი,
მსგავსი წალკოტი არ მინახავს არსად ამფერი.

მე ხულოს მთებმა ამწია ცამდე...

მე ხულოს მთებმა ამწია მაღლა,
სულ საქართველო შემომატარა,
არვის ეგონოს შოთას სამშობლო
ცეროდენა ან ციცქნა, პატარა.

მე ჩემმა ხულომ შემასხა ფრთები,
ვით შევარდენი მხრებით მატარა,
გულში ჩამისვა, მთების სურნელი,
თუ სადმე წაველ, იქ გამატანა.

მე ჩემმა ხულომ ამწია ცამდე,
ცის კაბადონი გადამატარა,
რა სიყვარულით მომეფერა და
თავს ლექს-ვარდები გადამაყარა...

გიორგი ტულუში

უკვდავ საქართველოს

თითქოს არ სუნთქავ, აღარ არსებობ,
აღარ არსებობ კარგა ხანია,
ცრუ მონღოლებმა გული გაგიპეს,
ახლა კი ბილწი რუსის რიგია.

ჯერ პომპეუსმა შეგაზანზარა,
მას აედევნა ვერაგი ლენგი,
გადაიტანე ცუნამი დიდი
და გააოცე, თვით მანგუბერდი.

დაგლიჯეს უფლის ნაზი სხეული,
დაგლიჯეს მგლებმა და ველურებმა,
ვეღარ შეიგნეს ბარბაროსებმა,
რომ შენ გმფარველობს უკვდავი სული.

ვიცი, რატომ ხარ მუდამ სამიზნე,
რატომ გიმეტებს მთელი სამყარო,
კაცობრიობა ვერ ჩასწვდა ვაჟას,
ვერ შეიყვარა ურჩი კაცის ზნე.

გებადა ზღვა და უღრმესი პორტი,
მაგრამ არ გყავდა გიჟი კოლუმბი,
რომ გასულიყო საზღვრების მიღმა,
შეექმნა ბნელი კოლონიები.

ფრანგმა რა იცის შემწყნარებლობა?
შენთვის ღიღინებ, კვლავ იტანჯები,
გამომეცხადა მე სულხან-საბა
და ივირონთან ვღვარე ცრემლები.

მაგრამ მეზმანა, რომ შენ აღსდგები,
მესიზმრა, თავად ჰიპერიონი,
როცა ჰქრებოდა გალაქტიკები,
ლექსს ვწერდით მე და გალაკტიონი!

ნიუ-იორკს

ო, დიდებულო ნიუ-იორკო,
მე შენში მინდა პოეტად მოვკვდე,
მსოფლიო ქალაქების მეფეო,
ჩვენში აღზევდა ულტრაბაროკო...

დაინგრა სპარტა და კართაგენი,
ოცნებად დარჩა კოლოსეუმი,
მაგრამ განკაცნდა მზეებრ როდენი,
არ გადაშენდა ფიდიას გენი...

როცა დასჭექავს ღმერთის დაფდაფი
და შეუტევენ როდოსის კოლოსს,
მაშინ მსოფლიო დედაქალაქი
მოუღებს ურდოს მახვილით ბოლოს!

ო, დიდებულო ნიუ-იორკო...
უნდა მოუგო გობლინებს ომი,
სიბილამ მამცნო, რომ არასოდეს
არ დასრულდება დასავლეთ რომი!

შენს თოვლით მოსილ, ფერად ქუჩებში,
განმეორდება კვლავაც სოდომი...
მაგრამ იცოდე, ვერავინ დაგვსჯის,
რადგან გვმფარველობს ჩვენ ორიონი!

ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
მკვდრეთით აღმსდგარი თანასწორობა,
აღზევდა, როს გერნგუტიორობა,
დასრულდა ლორდთა განავარდება...

გელა ახალაია

თანამედროვე ქართული კონვენციური ლექსი

თანამედროვე ქართველი პოეტების სრული უმეტესობა თავისუფალ ლექსს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა, არიან პოეტები, რომლებიც ძირითადად კონვენციურ ლექსებს წერენ და შიგადაშიგ ვერლიბრებსაც გაურევენ ხოლმე. ასევე არიან პოეტები, რომლებიც თანაბრად იყენებენ ორივე ფორმას, თუმცა, იშვიათია პოეტი, რომელიც ორივე ფორმას ერთნაირი სიძლიერით ფლობს.

ოციანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე, კომუნისტების მხრიდან, ნებისმიერი სახის ფორმალისტური თუ პროსოდიული ძიების, კაპიტალისტური სამყაროს მიერ მოწყობილ, კულტურულ დივერსიად გამოცხადებამ, ქართული ლექსის კონსერვაცია გამოიწვია. ვერლიბრის დასამკვიდრებლად სამოციან წლებში დაწყებული წარმატებული ბრძოლა, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა თავისუფალი ლექსის სრული ლიტერატურული ლეგიტიმაციისთვის, რადგან ინტერნეტსივრცეში დღესაც შეხვდებით კინკლაობას კონვენციური ლექსის და ვერლიბრის აპოლოგეტებს შორის. ეს, ცხადია, ღრმა პროვინციალიზმია, მაგრამ მოცემულობაა.

კონვენციური ლექსის მოძულეთა დისკურსში ყოველთვის საცნაურია ქვეტექსტი მოწინააღმდეგე მხარის განუვითარებლობის, რეტროგრადობის, გოიმობის შესახებ.

თავისუფალი ლექსის მოძულენი კი ავითარებენ ნარატივს, თითქოს ვერლიბრი ადვილია, „მასე ყველა დაწერს“, „უნიჭოთა თავშესაფარია“, „აბა რითმაში და დარდიმანდის ლხინში გნახო ვინა ხარ, ეს ლექსი კი არა, ჩანახატია“ და მისთ. ორივე მოსაზრება, ცხადია, მცდარია.

თუ კონვენციურ ლექს ვერ წერ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კონვენციური ლექსი მოძველდა. ფორმა ნაკლებად ძველდება, ძველდება მხოლოდ პოეტური აზროვნება, პოეტიკა. ფორმები მოძველებულად გამოიყურებიან მოკრძალებული ნიჭის მქონე პოეტის ხელში, თორემ დიდი პოეტი ძველ ფორმას ახალი ინტონაციით ააჟღერებს ხოლმე. ამის დასტურია ოთარ ჭილაძე, რომელმაც ყველაზე გაცვეთილი შავთელური ათმარცვლიანი სრულიად ახლებურად აახმოვანა და მისი ეპიგონების არმია დღესაც მრავალრიცხოვანია. ავიღოთ, თუნდაც, გალაკტიონი, „არსტიტულ ყვავილებში“ შესული ლექსებიდან, უხეში გაანგარიშებით, ოთხმოცდათექვსმეტი პროცენტი უკვე არსებული სალექსო საზომებით დაწერილი ლექსებია.

ამავე დროს, ბევრს ჰგონია, რახან რითმავს, კარგ კონვენციურ ლექსებს წერს, მაგრამ ეს ასე

როდია. მაღალი ხარისხის კონვენციური ლექსის წერას სულ სხვა ნიჭი და პროფესიონალიზმი სჭირდება. ცოცხლებში სულ შვიდიოდე (არც მეტი, არც ნაკლები) პოეტი მეგულება, ვინც კლასიკურ ფორმებს მაღალ დონეზე ფლობს, აქედან ორის პოეზია ჩვეულებრივი პოეტური ეკვილიბრისტიკაა, გამართული ტექნიკით, მაგრამ პოეზიისგან სრულიად დაცლილი, ხელოვნური ტექსტებით. დარჩენილი ხუთიდან სამი ბრწყინვალე პოეტია, ორი კი – დიდი პოეტი.

თანამედროვე ქართული კონვენციური ლექსების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ათიანი-ოციანი წლების მოდერნისტული ქართული პოეზიის ან „სამოციანელების“ გაუცნობიერებელი მიბაძვაა, გადავსებული – არქაიზმებით, გაცვეთილი პოეტიზმებით, ასევე გაცვეთილი ტროპული აზროვნებით, ევფუისტური პასაჟებით და სხვა პოეტური რუდიმენტებით, რომელთა ადგილი თანამედროვე ლექსში არ არის. ყველაზე ნიშანდობლივი გახლავთ დაქტილურ, ჰიპერდაქტილურ და ჰიპერ-ჰიპერდაქტილურ სარითმო წყვილთა ძიებისკენ დაუოკებელი სწრაფვა, რატომღაც გრძელი და შედგენილი რითმები პროფესიონალიზმის უმაღლეს გამოხატულებად ითვლება. სინამდვილეში რითმა უბრალო დამხმარე ინსტრუმენტია, მას სხვა დანიშნულება არ გააჩნია. დიდი პოეტის ხელში გაცვეთილი რითმაც შეუცვლელი იარაღია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისთვის მთავარი არის კონცეპტი, სათქმელი, ამ სათქმელის გადმოსაცემად კი, იქ და იმ წუთას, შეიძლება მხოლოდ ის გაცვეთილი რითმა გამოდგეს, რადგან დიდი პოეტი ყოველთვის სათქმელის პრევალირებას ახდენს და არა – ლექსის გარეგანი სამკაულების. ამიტომ დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, როცა აურაცხელი რაოდენობის ლექსიკური ერთეულია გარითმული სხვათა და სხვათა მიერ, კომიკურია ზოგიერთების მხრიდან თითქოს მათ მიერ მოგონილი, „ორიგინალური“ სარითმო წყვილების ლამის ნოტარიულად გადაფორმების მცდელობა და პრეტენზია ექსკლუზიურ უფლებაზე. იგივე შეიძლება ითქვას გაცვეთილ მეტაფორებზე, რომელთა გამოც მიდის ხოლმე ერთი გაწამაწია და, რომლებიც მანამდე რამდენიმე ასეულჯერ მაინც იქნებიან გამოყენებულნი სხვათა და სხვათა მიერ. სამმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი, ხუთმარცვლიანი და ა. შ. სარითმო წყვილების მოფიქრებას არაფერი არ უნდა, მთავარია სტროფში მათი ერთმანეთთან კონცეპტუალური, აზრობრივი შეკავშირება, რაც, როგორც წესი, იშვიათად ხერხდება ხოლმე და ვიღებთ სრულიად კომიკურ, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ დონის პოეტურ ტექსტებს.

დასასრულს კი, ერთი ჭკვიანი კაცის ჭკვიანური ნათქვამის ვარირება რომ მოვახდინოთ: ჭურჭელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია შიგ უმაღლესი ხარისხის ღვინო ჩავასხათ. თუმცა, ასეთი ღვინის დაყენება ყველას როდი შეუძლია.

დაიწერა ონლაინჟურნალისთვის mastsavlebeli.ge

მაია ჯაღიაშვილი

ახალი დიალოგი დანტესთან

შედევრების ხელახალი თარგმნა, ინტერპრეტაცია აცოცხლებს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო პროცესს. რეალური სამეტყველო სივრცის გათვალისწინებით თარგმნილი ტექსტი უფრო იოლად იკვლევს გზას მკითხველისაკენ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და საგულისხმოა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ახალი პროზაული თარგმანი („ჯოჯოხეთი“), რომლის ავტორები ნიჭიერი სტუდენტი და გამოცდილი მეცნიერი არიან: სანდრო ჩემინავა – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტი; გიორგი ბუხნიკაშვილი – მონრეალის სიკულო-ნორმანული აკადემიის კულტურისა და გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტის საპატიო აკადემიკოსი.

ავტორებმა მოახერხეს და დანტესეული მეტაფიზიკური, ირაციონალური, მისტიკური სამყაროს მხატვრული ექსპრესია, ტროპებში დაქარაგმებული ეგზისტენციალური თემები მკითხველს დახვეწილი, თანამედროვე სალიტერატურო ლექსიკით შესთავაზეს. ისინი შეეცადნენ პროზაულ სიტყვიერ ქსოვილში არ გაფერმკრთალებულიყო ის ნიუანსობრივი ინტონაციები, რომლებიც გამოთქმულ აზრს ნაირგვარ ელფერს სძენენ და პალიმფსესტურობას მატებენ. მართალია, პოეტური ტექსტის ძალმოსილება მაინც სხვაა და კიდევ ბევრი დრო გავა, სანამ ისეთი კონგენიალური თარგმანი გვექნება, როგორიცაა, მაგალითად, დავით წერედიანის მიერ თარგმნილი გოეთეს „ფაუსტი“, მაგრამ ამჯერად ესეც მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯია დანტეს ღვთაებრივი სამყაროს შესამეცნებლად.

ქართველი მკითხველი აქამდე კონსტანტინე გამსახურდიასა და კონსტანტინე ჭიჭინაძის პოეტური თარგმანით ეცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის ამ გამორჩეულ ნიმუშს. ახლა კი მკვლევრებისთვის, მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იტალიურიდან, უშუალოდ დედნიდან ზედმიწევნით ნათარგმნი ტექსტი, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს, დეტალურად გაიაზროს ყოველი სტრიქონი, რომელიც მაქსიმალურად ინახავს ავტორისეულ ჩანაფიქრს. ამგვარად, თანამედროვე მკითხველს საშუალება აქვს, ცოცხალი დიალოგი გამართოს მწერალთან, რომელიც დაეხმარება გაიკვალოს გზა საკუთარი თავისა თუ სამყაროს შესამეცნებლად. დანტეს ურთულესი ტექსტი, დატვირთული კულტურული კოდებით, თანამედროვე მკითხველისთვის დაშიფრული პოემაა. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ის კომენტარები, რომლებიც ტექსტს ახლავს თან. ეს შენიშვნები ხელს უწყობენ მკითხველს, თავისი ინტელექტის, გამოცდილე-

ბის შესაბამისად, გაერკვეს ისტორიულ, თეოლოგიურ, ფილოსოფიურ საკითხებში. ახალბედა, შედარებით გამოუცდელ მკითხველებს კი დაეხმარება ცოდნის გაღრმავებაში, თვალსაწიერის გაფართოებაში, ხოლო თუ ვინმე ბორხესივით გურმანი მკითხველია – კიდევ ერთხელ დაიგემოვნოს შედევრი და ახალი ნიუანსების აღმოჩენით დატკბეს. ბორხესი წერს: „იდეა ტექსტისა, რომელიც მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა, დამახასიათებელია წინააღმდეგობრივი და რთული შუა საუკუნეებისთვის. ამ ეპოქის დანატოვარია გოტიკური არქიტექტურა, ირლანდიური საგები და სქოლასტიკური ფილოსოფია, სადაც ყველაფერი კამათის საგანი იყო. გარდა ამისა, ამ საუკუნეებმა გვიბოძა „კომედია“, რომელსაც გამუდმებით ვუბრუნდებით და გამუდმებით გვაოცებს; იგი ჩვენს ცხოვრებას გასდევს და სცილდება, უფრო გრძელია. მკითხველის ყოველ თაობასთან ერთად სულ უფრო და უფრო მდიდრდება“ (ბორხესი, „ღვთაებრივი კომედია“, წიგნში: „შვიდი საღამო“).

ტექსტის წინათქმაში გიორგი ბუხნიკაშვილი წარმოაჩენს პოემის პოლიტიკურსა და კულტურულ კონტექსტებს, დანტეს ენობრივ სტრატეგიებს, ამგვარად, ნათელი ხდება მკითხველისთვის, როგორ მატერიალურ-სულიერ გარემოში იქმნებოდა პოემა. სანდრო ჩემინავა კი წერილში „მიღმიერი სამყაროს კარიბჭე“ იმ ძირითად საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც მკითხველს დაეხმარება, გაერკვეს დანტეს შექმნილი წარმოსახული განზომილების მრავალფეროვნებაში, ტექსტის სტრუქტურასა და კომპოზიციაში, მთლიანად მხატვრული სამყაროს თავისებურებებში. იგი იმოწმებს ჯაკომო ლეოპარდის თვალსაზრისს: „ეს კლასიკური ქმნილება მხოლოდ პოეზია როდია; ის ჰომეროსის პოემებივით მოიცავს იმ ეპოქის ცოდნას – თეოლოგიას, ფილოსოფიას, პოლიტიკას, ისტორიასა და მითოლოგიას“. ახალი თარგმანის მიზანდასახულობაც ესაა, ტექსტისთვის დართული უმნიშვნელოვანესი კომენტარებით მკითხველმა გზა გაიკვლიოს სიმბოლოებით, ალუზიებით, ინტერტექსტუალური გადაძახილებით დატვირთულ სამყაროში. ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი შრომა გასწიეს, რათა ცხადად, ზუსტად, ნათლად გამოეკვეთათ ურთულესი თეოლოგიური, ფილოსოფიური თუ ისტორიული საკითხები.

დანტეს ეს ახალი თარგმანი დაეხმარება მკითხველს, აღიქვას პოემა, როგორც სამყაროს მწერლისეული მოდელი. თანვე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტექსტის ზედაპირზე კი არ იტივტივოს, არამედ ღრმად ჩაყვინთოს, გაიაზროს არა მხოლოდ ფაქტები და მოვლენები, იმოგზაუროს ტექსტის ვერტიკალურ ხაზზე, რომელიც თავისთავად დრამატული და შთამბეჭდავია, რადგან ჯოჯოხეთის სანახებს მიმოიხილავს, ცოდვების უფსკრულებს ჩასწვდება, არამედ ჯვარსახოვნების პრინციპის გამოყენებით, შეძლებს ფიქრით მოძრაობას ვერტიკალურ ხაზზე, ქვეტექსტებში ჩაღრმავებას, ამგვარად, სულიერი გზის გაკვალვასაც მოახერხებს. ის საბედისწერო ცხოველები, დაწინწკლულქათიბიანი ჯიქი, მძვინვარე ლომი, გაძვალტყავებული, ხარბი მგელი, ადამიანის ცოდვებისაკენ მიდრეკილებებს რომ განასახიერებენ, განცხრომის, ძალაუფლების, ანგარების ჟინითა და ვნებით რომ აბრმავებენ კაცის გულს, სულსა და გონებას, დღესაც თანამედროვე ადამიანსაც ასეთივე გამძვინვარებით ეღობებიან წინ, სიმშვიდეს უკარგავენ, შიშით თრგუნავენ და ღვთისკენ გზას უხერგავენ. თუ დანტეს ვერგილიუსი მოევლინა უღრან ტყეში მხსნელად, თანამედროვე მკითხველს, უფრო მეტად გაუცხოებულსა და იდენტობის საყრდენების ძიებაში თავგზააბნეულს, თვითონ წიგნი ევლინება მეგზურად. ამიტომ სასიხარულოა, რომ ამ ახალი თარგმანით კიდევ უფრო ახლოს მივა მკითხველი წიგნთან და მასთან ურთიერთობაც უფრო ცოცხალი და სულისმარგებელი იქნება.

ჯემალ ქარჩხაძის აზრით, ნამდვილი კლასიკა ყოველთვის იძლევა დიალოგის საშუალებას, ყოველი თაობა მასში რაღაც ახალსა და თავისთვის მნიშვნელოვანს პოულობს. ამ თვალსაზრისს ეხმიანება სანდრო ჩემინავა, როდესაც აღნიშნავს, რომ დანტე ინდივიდუალურად, ყოველ მკითხველთან მართავს დიალოგს: „პოემის პერსონაჟები მუდმივი თანამედროვენი, თანამგზავრნი, თანამოსაქმე-

ნი და თანამოფიქრალნი არიან. ნაწარმოებში არაერთგზის დასტურდება ისეთი ეპიზოდები, როცა გვგონია, რომ რომელიმე მოქმედი პირი „ჩვენ“ ვართ და ყველაფერი, რაც მასში არსებობს, „ჩვენ-შიც“ არის“.

ამას პოემის დასაწყისიც მოწმობს: „ჩვენი ცხოვრების შუაგზაზე, სწორ გზას აცდენილი, ერთ და-ბურულ ტყეში აღმოვჩნდი. ო, როგორ მიჭირს აღვწერო ის ველური და მიუვალი უღრანი, რომლის გახსენებაც იმ თავზარს მიახლებს... იმდენად მწარეს, რომ მასზე საშინელი სიკვდილი თუ იქნებო-და... და ისიც – ოდნავ. სჯობს უკეთესზე მოგითხროთ“. გამსახურდიასა და ჭიჭინაძის თარგმანში კი „ჩვენ“ არ ჩანს და თითქოს ეს კონტაქტი მკითხველთან უფრო გაფერმკრთალებულია:

„უსიერ ტევრში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე
ანაზდეულად გამოვფხიზლდი გზადაკარგული.
ენა ვერ იტყვის, თუ რამდენად იყო ტყე იგი“.

ვფიქრობთ, თარგმანის ღირსებაა ისიც, რომ ავტორები საჭიროებისამებრ მხატვრული ფუნქცი-ით იყენებენ არქაიზებულ მეტყველებასაც, მაგალითად, როცა თარგმნიან ჯოჯოხეთის კარიბჭის წარწერას: „ჩემით შეისვლების ტანჯვის ქალაქსა შინა, ჩემით შეისვლების მარადიულს საწამებელსა შინა, ჩემით შეისვლების დაკარგულს ხალხსა შინა. სამართალმან მოქმედ-ყო უზენაესი მომვლინე-ბელი ჩემი, მქმნა მეუფებამან ღვთიურმან, სიბრძნემან უზენაესმან და სიყვარულმან პირველმან. არაფერი ყოფილ არს ქმნილი ჩემადმდე, თუ არა – ოდენ მარადისობა... და მეც ვარსებობ მარადისსა შინა. მომსვლელნო, აქა დაუტევეთ იმედნი ყოველნი თქუენნი“.

ეს ადგილი შთამბეჭდავად აქვთ ნათარგმნი კონსტანტინე გამსახურდიასა და კონსტანტინე ჭი-ჭინაძესაც:

„ჩემს უკან სუფევს ტანჯვისა და ცრემლთა ქალაქი,
ჩემს უკან სუფევს უნაპირო, უსაზღვრო სევდა,
ჩემს უკან შავი სამყაროა სულთ წარწყმედილთა.
მართლმსაჯულება ფუძედ ჰქონდა ჩემს დიად შემქმნელს,
მე ვარ ნაყოფი ღვთაებრივი ძალმორჭმულების,
უმაღლეს სიბრძნის და პირველი სიყვარულისა.
ჩემს გაჩენამდე წარმავალი არ არსებობდა,
მარადიული ყოფნა არის ჩემივე ხვედრი.
თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დასტოვეთ ყველა!“.

ახალი პროზაული თარგმანი გამოირჩევა ლექსიკური სიმდიდრითა და დახვეწილობით. იმედია, ავტორები შემდეგ ნაწილებსაც, „სალხინებელსა“ და „სამოთხეს“, ასეთივე წარმატებით გადათა-რგმნიან. ვფიქრობთ, კარგი გადაწყვეტილებაა, ძველი ტექსტებისთვის დამახასიათებელი ლაკო-ნიური „ანოტაცია“ თავის დასაწყისში, თუ რას უნდა მოელოდეს, ეს მის ცნობისწადილს გაზრდის, დაძაბულობის ველს შექმნის. მაგალითად, „გალობა I – ა) ღამით უღრან ტყეში მყოფ დანტეს გზა აერევა და ალიონზე მზით გაბრწყინებული მთის ძირას აღმოჩნდება; ბ) სამი ნადირის გამოჩენა; გ) დანტეს ვირჯილიო მოევლინება, რომელიც სამოგზაუროდ იწვევს“ და სხვა.

მკითხველს შეიძლება ეუცხოვოს მთარგმნელთა არჩევანი, ქება, როგორც ეს გამსახურდია-ჭიჭი-ნაძეს ჰქონდათ, გალობად რომ თარგმნეს, ან ვერგილიუსი- ვირჯილიოდ. ხოლო „ოსტატი“, რომელ-

საც დანტე ვერგილიუსს უწოდებს, გადმოაქართულეს, როგორც „მწვრთნელი“. მათ რუსთველის ცნობილი აფორიზმი (ტარიელი რომ ეუბნება ავთანდილს) გაითვალისწინეს: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“. ვფიქრობთ, ეს სიტყვა თარგმანის საერთო ლექსიკური სივრციდან არ არის „ამოვარდნილი“, რადგან ავტორები ხანდახან ფუნქციურად იყენებენ სხვა ძველ ფორმებსაც, რათა პერსონაჟთა მეტყველება განსხვავებული იყოს არა მხოლოდ ზოგადად, არამედ იმის გათვალისწინებითაც, თუ რა თემაზე საუბრობენ.

კარგი არჩევანია, აგრეთვე, წიგნის გაფორმება შესანიშნავი მხატვრის, გუსტავ დორეს, ილუსტრაციებით. წიგნი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის თანადგომით გამოიცა (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2021 წ.).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ ლადარიამ, დანტეს შემოქმედების მკვლევარმა, დოქტორმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, გამოსცა პროზაული თარგმანი დანტეს „ჯოჯოხეთისა“, რომელიც გამოირჩევა თარგმანის მაღალი ხარისხით.

ამგვარად, ქართველ მკითხველს, დიდი არჩევანი აქვს, რომ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მარადიულ მხატვრულ სამყაროს ეზიაროს, თანამონაწილე გახდეს კითხვის მისტიკური რიტუალისა, რომელშიც დრო და სივრცე ქრება, წინაპარი და შთამომავალი ერთმანეთს ხვდებიან იმისათვის, რომ ჭეშმარიტების ძიების ტკბილ-მწარე ბედნიერება განიცადონ.

ცხოვრების გამოცანები

ცხოვრება სავსეა ათასგვარი ხიფათითა და დაბრკოლებით. ბავშვობიდანვე ეჩვევა ადამიანი სამოთხისა და ჯოჯოხეთის ერთდროულ არსებობას. ყველა სიხარული და ტკივილი ილექება ქვეცნობიერში და სხვადასხვა გზით ვლინდება. პიროვნების ჩამოყალიბებაზე კი ბევრი რამ ახდენს გავლენას: ოჯახი, გარემო, პოლიტიკურ-სოციალური თუ კულტურული მოვლენები. გაუცხოება, უსაზრისობა, თაობათა ურთიერთობა, ოჯახი, სიყვარული, მეგობრობა, სამსახური, წარსული, აწმყო და მომავალი – სწორედ ამ თემებს უტრიალებს თანამედროვე ავსტრიელი მწერალი პაულუს ჰოხგატერერი თავის გახმაურებულ რომანში „სიცოცხლის სიტკბოება“. ადამიანის ფსიქიკის ღრმა შრეების მხატვრულ გამოსახვას ისიც უწყობს ხელს, რომ ავტორს ფსიქიატრიული გამოცდილებაც აქვს. იგი რამდენიმე რომანისა და მოთხრობათა კრებულის ავტორია. მისმა ამ რომანმა კი ევროსაბჭოს ლიტერატურული პრემია დაიმსახურა.

რომანს ეპიგრაფად უძღვის ჯონ ლოკის სიტყვები: „რადგან ბავშვებში შიშის გამომწვევი მთავარი მიზეზი ტკივილია, შიშისა და საფრთხის წინააღმდეგ გამოწრთობისა და შეიარაღების საუკეთესო საშუალებაა, შევაჩვიოთ ისინი ტკივილის ატანას“. შიშისა და ტკივილის სპექტრი კი მრავალგვარია. განსაკუთრებით მძაფრი და ამოუხსნელი სიკვდილთან შეხვედრაა. რომანის მხატვრულ განზომილებაში გაშლილია, რეალური და მეტაფიზიკური საფრთხეები რა გავლენას ახდენენ ადამიანის ყოველდღიურ ყოფაზე. სხვადასხვა სიუჟეტური ხაზი, რომლებსაც ავითარებენ და ამდიდრებენ განსხვავებული პერსონაჟები, თავს იყრიან ცენტრალური ამბის, მკვლელობის ირგვლივ.

რომანის პოსტმოდერნისტულობა მჟღავნდება, უპირველესად, ორმაგ კოდირებასა და თხრობის რაკურსთა ცვალებადობაში. ნაწარმოების სტრუქტურა კოლაჟურ-მოზაიკურია, სხვადასხვა პერსონაჟთა ამბების ნაკრებია. რომანს საინტერესო კომპოზიცია და სტრუქტურა აქვს, თავების სახე-

ლწოდებად გამოტანილია რიცხვები – 0-დან 23-ის ჩათვლით, ყოველ თავში განსხვავებული პერსონაჟები ჩნდებიან, თავიანთი ისტორიით, სიხარულითა და ტკივილით, თავგადასავლებით, შეხედულებებით. ისინი თავიანთი გეოგრაფიულ-სივრცული არეალით დაკავშირებული არიან კრიმინალურ დრამასთან. ერთ ეპიზოდში ჩანს, რომ გიმნაზიის მასწავლებელს კლასში 23 მოსწავლე ჰყავს, ყველა ბავშვი სხვადასხვა ბუნების, ინტერესებისაა. არავინ იცის, რა ელით, რა გამოცანებს უმზადებთ ცხოვრება, ზოგი ამოხსნისა და თავისუფლების გზას აირჩევს, ზოგი ვერა და ფსიქოპათად იქცევა. ამ ბავშვებს შორის არიან რომანის უცნაური პერსონაჟებიც: კატარინაც და ბიორნიც. ყურადღებას იქცევს მწერლისეული თხრობის მანერაც: ავტორისეული და პერსონაჟთა თხრობა ერთმანეთს გადაეწვნება და, ამგვარად, მკითხველს მოვლენათა თანადამსწრეობის ეფექტი ექმნება.

რომანი საოცრად კინემატოგრაფიულია, მონტაჟური ტექნიკით, ახლო და შორი ხედების მონაცვლეობით მკითხველი დეტალურად აღიქვამს პერსონაჟთა სახეზე აღბეჭდილ უმცირეს მოძრაობას, ემოციურ განწყობასა თუ გარემოს ცვალებადობას.

მწერალი დეტექტიური ამბის თხრობით, თანმდევი სასპენსებით გამუდმებულ დაძაბულობაში ამყოფებს მკითხველს. გამოძიების პროცესში მკითხველი გრძნობს, რომ პოტენციურად ყველა შეიძლება იყოს დამნაშავე. თან ზედაპირულად და ქვეტექსტურად, ამ „გამოძიებასთან“ ერთად, მკითხველის ფიქრის ნაკადები მიემართება თითოეული პერსონაჟის სულის სიღრმეებისაკენ. მწერალი ახერხებს ყოფითი დრამების ეგზისტენციალურ ჭრილში დანახვასა და გამოხატვას. ამგვარად, იგი თანამედროვე „აბურდულ“ სამყაროში გამძაფრებულ გაუცხოების ტკივილს გამოხატავს. რომანის ერთ ეპიზოდში ვკითხულობთ: „მინდა მოვეხვიო, გულში ჩავიკრა“, – გაიფიქრა ჰორნმა. უკვე იცოდა, რომ ამით დიაგნოზიც დასვა – დეპრესია. ამ დროს პაციენტს წამალს უნიშნავენ. არადა, დეპრესიულის ერთადერთი სურვილია, გულში ჩაიკრან“. ჩახუტება, სითბო, გულწრფელი თანაგრძნობა, სიყვარული აკლიათ ადამიანებს.

რომანი ქალაქგარეთ ოჯახური მყუდრო გარემოს აღწერით იწყება, ეს ერთგვარი პრელუდიაა. 86 წლის ბაბუა და შვილიშვილი, შვიდი წლის გოგონა კატარინა, ერთმანეთს ეთამაშებიან. შვიდი სიმბოლურად ბავშვობის ციკლის დასასრულის მაუწყებელია. მწერალს ბავშვი ამგვარად გამოჰყავს „სამოთხიდან“ და ცხოვრებისეულ ჯოჯოხეთში შეჰყავს. ეს თამაში თითქოს თავიდანვე სიმბოლურად მიანიშნებს ცხოვრებისეულ დიდ თამაშზე, რომელშიც ასევე გაგორდებიან კამათლები, მოთამაშეებსაც ან გაუმართლებთ ან არა, როგორც რეალურ ყოფაში. ეს ერთგვარი ნულოვანი საწყისია, ზამთრის სითეთრის ფონით, საიდანაც შემდეგ სხვა რიცხვები და ფერებად დაშლილი პერსონაჟები წამოიშლებიან. პირველსავე თავში იკვრება თხრობის კვანძი, ბავშვის ოცნებისეულ, ლამაზ, ლაღ, წარმოსახვებით სავსე სამყაროში სიმახინჯე შემოიჭრება. გოგონა ეზოში მკვდარ ბაბუას პოულობს, რომელსაც თავი გასრესილი აქვს. გოგონა მკვლელობის მთავარი მოწმეა, პირველად მან ნახა მოკლული და ამან თავზარი დასცა, დაადუმა.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მკვლელობა 26 დეკემბერს მოხდა, საშობაო დღეებში. ამ დროს ხომ სამყაროში განმეორდა მისტერია, ქრისტე დაიბადა, რათა სამყაროში სიყვარული და სიმშვიდე კვლავ აღორძინდეს, თანამედროვე ადამიანის ქაოსურ არსებობას ცოტა ხნით მაინც აზრი და მნიშვნელობა შესძინოს, ხანმოკლე საშობაო რიტუალებით ადამიანი საკრალურს, მარადიულს აზიაროს. ადამიანებს, ყოფით წვრილმანებში ჩაკარგულთ ხელიდან უსხლტებათ მთავარი. სიმბოლურია კრიმინალური პოლიციელის, კოვაქსის რჩევაც: „გაითავისუფლეთ თავი ფიქრებისგან და, უბრალოდ, დააკვირდით გარემოს. ნურაფერზე გაამახვილებთ ყურადღებას და სწორედ მაშინ დაინახავთ ყველაზე მნიშვნელოვანს“.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ერთი პოლიციელი შემდეგ, მსხვერპლის დანახვისას, იტყვის: „როგორ ჯვარცმულივით წევს“. ყოველი მკვლელობა და სისასტიკე ქრისტეს ჯვარცმის მისტიკური

გამეორებაა, ღვთის წამებაა. კრიმინალურ პოლიციელსაც, ლუდვიგ კოვაქსს, რომელმაც დანაშაული უნდა გახსნას, ჯვარცმული წამებულები გაახსენდა. რამდენიმე ეპიზოდში საეკლესიო სივრცეც იხატება. ადამიანები ღვთის შემწეობას მოელიან, თუმცა სახარებისეული ამბები და ფრაზები თითქოს ცოცხალ ზემოქმედებას ვეღარ ახდენენ ადამიანებზე. თითქოს ღმერთი აკაკუნებს მათი გულის კარზე, მაგრამ ისინი ჩაკეტილან თავიანთი ეგოს სამყაროში და შიშით ვეღარც ამ კაკუნს გრძნობენ და რომც გაიგონონ, გულის კარის გაღებისთვის თითქოს არც ძალა და არც რწმენა არ ეყოფათ.

რომანი მკითხველში ბევრ კითხვასა და დიდ საფიქრალს აღძრავს, პასუხების ძიებაში კი საკუთარი თავის შემეცნების გზაზე დგება და სულის სიღრმეებისაკენ მიემართება. მთავარი ამბები გოგონასა და ამ მკვლელობის გარშემო ტრიალებს. სიუჟეტური თვალსაზრისით, ორ ძირითად კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: რა დაემართა გოგონას, რომელიც ამ ამბის შემდეგ ხმას არ იღებს და ვინ მოკლა მისი ბაბუა, სებასტიან ვილფერტი, ერთი უბრალო მოხუცი, რომელიც არავის არაფერს უშავებდა. თითქოს დროთა კავშირიც დაირღვა, როგორც ჰამლეტი იტყოდა.

მწერალი რომანში ყველა პერსონაჟის გამორჩეულსა და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნის. ერთ-ერთია ზემოთ ნახსენები რომანტიკოსი პოლიციელი კოვაქსი, რომელსაც უყვარს ვარსკვლავებზე ტელესკოპიით დაკვირვება. ერთი თანამშრომელი იტყვის: „ჩემი შეფი ვარსკვლავთმრიცხველი გახდაო“. მისთვის არც ის იყო სულერთი, რომ მისი კოლეგები ამით წამდაუწუმ აღიზიანებდნენ. ერთხელ სტრეკმა ჰკითხა: „მაინც, რისთვისაა კარგი საათობით ტელესკოპში ყურებაო“. მან უპასუხა: „ღმერთს ვეძებ – ამისთვისაა კარგიო“. ყველას ენა ჩაუვარდა. ამის მერე აღარც არაფერი უთქვამთ“. ესეც სიმბოლურად აღიქმება. ღმერთს აღარავინ ეძებს და, რაღა თქმა უნდა, არც მისი სამსჯავროში ეიმედებათ, ამიტომ ადამიანებში გახშირდა მანიაკური დეპრესიები.

თხრობაში ნელ-ნელა იჭრებიან ახალი პერსონაჟები, თავიანთი ყოფით, ფიქრებით. ეს კი ამბებისა და მოვლენების ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ ჭრილებს ქმნის, რომელთა საშუალებით იცვლება მატერიალურ-სულიერი გარემო და დრო. ყველა პერსონაჟს თავისი საფიქრალ-სატკივარი აქვს. ასეა ექიმი ფსიქიატრი ჰორნიც, რომელიც გაუცხოებულია სამყაროსგან, ამბობს კიდეც: „თავს შინ ვერსად ვგრძნობ“. მისი აზრით, მხოლოდ სიყმაწვილეშია ადამიანი ბედნიერი, „როცა შინაგან თავდაჯერებულობას გრძნობს და ჰგონია, რომ რაღაცის შეცვლა შეუძლია“. საავადმყოფოს სივრცე მწერალს იმისთვის შემოაქვს, რომ პაციენტთა ისტორიებით ადამიანური ყოფის სპექტრი გაამრავალფეროვნოს. ეს ათასგვარი ცხოვრებისეული მიზეზით ფსიქიკადარღვეული ადამიანები, უცნაური ვნებით, იდეით შეპყრობილი, ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით გამოწვეული ჰალუცინაციებით გონებაარეული და გაუბედურებული ადამიანები მისგან მოელიან შველას. აქ არის ახალგაზრდა პაციენტიც, რომელიც „ამტკიცებდა, რომ მისი ახალდაბადებული გოგონა ეშმაკი იყო“. სტუდენტი ჰაიდემარია, რომელსაც „დეპრესია უტევს“ და თვითმკვლელობის მეთოდებზე ფიქრობს. „იცით, ყველაზე საშინელება რა არის? – განაგრძო ჰაიდემარიამ ცოტა ხნის შემდეგ, – როცა ადამიანი გრძნობს, როგორ კარგავს თავს. იმას, რაც კარგი გგონია შენში, ბოლომდე რომ გამოგწოვენ. დაბოლოს, ადამიანისგან რჩება მხოლოდ ცარიელი ტომარა, სხვა არაფერი“.

წარსული ტრავმები რომ არ იკურნება, ეს კარგად წარმოჩნდება, მკვლელის ამბითაც. იგი ჰორნის პაციენტთაგან ერთ-ერთია, 77 წლის იოახიმ ფუქსი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. იგი ჯერ ფოსტალიონად მუშაობდა, მერე მეფუტკრეობამ გაიტაცა. ის ჰყვება ამბავს ფუტკრების ტკიპის შესახებ და მერე ამას ასე აზოგადებს: „რაღაც მწერია. კეფაში ჩაგაფრინდება, გამოგწოვს სისხლს და დაგასახიჩრებს, – თქვა იოახიმ ფუქსმა. ძალიან გადაღლილის შთაბეჭდილებას ტოვებდა“. რომანის თავში „„ოცდაორი“ რომ ჰქვია, ფოქსი თვითონ ჰყვება მკვლელობის ამბავს. იგი დაწვრილებით ჰყვება ჩადენილი სისასტიკის შესახებ, რომელიც მისი ძველი ჭრილობის მალამოდ იქცა. როგო-

რც ირკვევა, მეორე მსოფლიო ომის დროს ის პასიურად მონაწილეობდა უდანაშაულო ადამიანების დასჯაში. მისმა ძმამ კი მის თვალწინ, უფროსის ბრძანებით, ერთი ოჯახი დაარბია მხოლოდ იმის გამო, რომ ბავშვის ნახატებს შორის თეთრი დროშა დაინახა. მამა-შვილი ჩამოახრჩვეს. ძმამ ამ ამბის შემდეგ თავი მოიკლა. თვითონაც წლების მერე არაერთხელ სცადა თავის ჩამოხრჩობა. თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებამ აქცია ის ჰორნის პაციენტად: „დიდხანს ვიფიქრე, იქნებ მეც ასე მოვქცეულიყავი. საქმე ისაა, რომ ნახევარიღა დავრჩი. იმის სახე, ვინც ეს ბრძანება გასცა, ყოველდღე თვალწინ მედგა. თანაც ვიცოდი, სად შემეძლო მისი პოვნა. ერთხელაც უკან მივდიე. ვერ მიცნო. მისთვის მხოლოდ ერთი უცნობი ვიყავი, შავი ჩანთით...“. როგორც ჩანს, ის უცნობი ფაშისტი მოკლული მოხუცი სებასტიან ვილფერტი იყო. ექიმს სჯერა, „პოსტტრავმული სიმპტომები შეიძლებოდა ათწლეულების შემდეგაც ამოტივტივებულიყო. თანაც უფრო ძლიერადაც კი“.

მწერლის აზრით, დრო ტკივილს ვერ აქრობს, არსებობს სულიერი ტრავმები, რომლებიც არასდროს იკურნებიან. განსაკუთრებით სახიფათო ძალადობის ეპიზოდებია, რომლებიც ამახინჯებენ სულს, ადამიანში სისასტიკეს ბადებენ. რომანის ერთ ეპიზოდში იოახიმ ფუქსი ექიმ ჰორნს გაყვითლებულ ფოტოს აჩვენებს, რომელზეც ფორმიანი ყმაწვილი ჯარისკაცები აღბეჭდილიყვნენ: „ორი ჯარისკაცი ისე ჰგავდა ერთმანეთს, ტყუპები გეგონებოდათ. ყველას აშკარად ეტყობა, უბედურად გრძნობენ თავს“, – გაუელვა ჰორნს. წინ იდგა ერთი ვიღაც, რომლის სახეც აღარ გაირჩეოდა. მის ადგილას მხოლოდ თეთრი ლაქა ანათებდა. თითქოს ვიღაც ხელს ხშირად უსვამდა იმ ადგილს. ალბათ ფოტოების დათვალიერებისას საკუთარ თავს წარამარა თითებით ეხება და ამგვარად სურს ამ ფოტოდან თავისი სახის წაშლა... ჰორნს ესმოდა იოახიმისა, რატომაც სურდა იმ დროიდან საკუთარი თავის ამოშლა“.

რომანში ეკლესიის სივრცეც იხატება, სულიერი საზრდოსთვის მოცემული ადამიანები მატერიალურს ვერ აღწევენ თავს. „შეხეთ ღმერთის კრავს! იგი საკუთარ თავზე იღებს სამყაროს ცოდვებს“. მღვდელიც ტრავმირებულია, მამამ ბავშვობაში მიატოვა და რელიგიაში იპოვა შვება. ეკლესიაში ჯერ თერთმეტი ადამიანია და მერე მე-12 შეემატება. სახარებისეული ამბები და ციტატებიც ბუნებრივად ქმნიან ახალ სააზროვნო სიბრტყეებს და რომანის ქვეტექსტურ შრეებს აღრმავებენ.

ექიმ რაფაელ ჰორნისა და მოკლულის შვილიშვილის, კატარინას, გზებიც ამგვარად გადაიკვეთება. ჰორნი ცდილობს საუბრებით გოგონა შოკიდან გამოიყვანოს და საბოლოოდ ახერხებს კიდეც ამას: „ბავშვის წინა ვიზიტი გაახსენდა. გოგონა შებოჭილი იყო. ინჰიბიცია – ესაა ფენომენი, რომელსაც ამოუხსნელი გაორება ან შიში იწვევს. შიში ბავშვებში სხვადასხვა სახით ვლინდება. ჰორნმა დაუშვა, რომ თავად იდგა მოხუცის წინ, რომელსაც ტრაქტორმა გადაუარა თავზე და მარტო ამის წარმოდგენამაც კი ენა წაართვა“.

რომანი პოლითემატურია. თანამედროვეობისთვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხთა შორის წარმოჩნდება მოხუცთა თავშესაფრების თემაც, რომელიც ადამიანთა გაუცხოებას უფრო გამოკვეთს: „ავსტრიის მოხუცებულთა სახლები სიმახინჯის განსახიერებაა. კაცი სამართლიანი თუა, უნდა აღიაროს, რომ მოხუცთა თავშესაფრები შვეიცარიაში, გერმანიასა და ნორვეგიაშიც ასეთივე მახინჯია. თავად კი არ უნახავს. ისე, ნორვეგიაში ალბათ ყველაზე ნაკლებ, გერმანიაში კი, სავარაუდოდ, ასეა. უამრავი ჩარაზული აივანია. ეშინიათ, სკლეროზიანი მოხუცები არ გავიდნენ და არ გადახტნენ. შესასვლელში პალმები და უზარმაზარი ფიკუსები დგას, რომლებზეც ჯოხებზე ჩამოცმული ნაჭრის თუთიყუშები დაუმაგრებიათ“.

პერსონაჟთაგან ყურადღებას იქცევს „ღამის მორბენალი“, ბაუერი, რომელიც გარემოს გამძაფრებული აღქმით გამოირჩევა. ის ამჩნევს სირბილისას შემხვედრ და გაელვებულ შენობებს, აბრებს, ხეებს, ფანჯარაში გამკრთალ ადამიანებს, ფიქრებიც ასე თავბრუდამხვევად იცვლებიან. ეს

სირბილი თითქოს თანამედროვე ადამიანის მთავარი განმსაზღვრელია. ამ სიჩქარეში სადღაც ეკლესიის გუმბათიც გაკრთება, როგორც სამყაროდან გასაქრობად განწირული სულიერების სიმბოლო. სტრიქონები სიმღერისა, რომელსაც პერსონაჟი უსმენს („ღამის მამა...“), კარგად ასახავს ადამიანის ბნელ ქვეცნობიერს, სულის უფსკრულებს: „თვალის დახამხამებაში ბილიკი წვრილ-წვრილ, მავთულისებრ ძაფებად იქცა და მის თავში ჩაიხლართა. სულ მალე ისიც კი გადაავიწყდა, რომ ამ შავ უფსკრულში ყველაფრის ნამსხვრევებად მქცეველი ეშმაკი სახლობდა“. ბაუერმა ექიმ ჰორნს უთხრა ერთხელ: „გამუდმებით ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელ სხეულში ასაფეთქებლები მიწყვია და ერთ დღესაც ყველა ერთდროულად აფეთქდება“. კიდევ ერთი უცნაურობა სჭირდა: დღედაღამ დარბოდა და თან თავისი აიპოდით მუსიკას უსმენდა. იგი სხვას ადანაშაულებდა თავის ტანჯვაში. ჰორნმა სცადა წარმოედგინა, როგორ იდგა ბაუერი კლასში და უხსნიდა მოსწავლეებს სივრცეში განზომილებების ამბებს. შიგადაშიგ კი ისეთ რაღაცებსაც ამბობდა, გაკვეთილს სულ რომ არ შეეფერებოდა. ის წარმოსახულ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც არ არსებობდა არანაირი უკმაყოფილება, არანაირი ამბივალენტობა, არანაირი კონფლიქტი“.

რომანში საინტერესო პერსონაჟთაგან გამორჩეულია სულით ავადმყოფი ბიჭი, ბიორნი, ის მშობლებს, გარემოს თავისებურად აღიქვამს. უსიყვარულო გარემოა მათ ოჯახში. მისი ძმა დანიელ გაზელიკი „სიცარიელით ამოვსებულთვალებიანი“ მოძალადეა, რომელიც ბიორნს იარაღად იყენებს. მასწავლებელი ასე იხსენებს დანიელს: „თვალები მხოლოდ მაშინ თუ აენთებოდა, როცა კლასში ვინმე ტიროდა. გაახსენდა, როგორ დაუფლითა გვერდით მჯდომს დანიელმა წიგნები, როგორ ჩალეწა კარადის კარი. მასწავლებლებმა აშკარად შვებით ამოისუნთქეს, როცა მამამ მათი თხოვნით თავისი ვაჟი სასულიერო გიმნაზიიდან საშუალო სკოლაში გადაიყვანა. ახლაც თვალწინ ედგა თორმეტი წლის დანიელი, ერთხელ რომ უთხრა: „ყველა მღვდელი ჯვარს უნდა აცვან. ასე ამბობს მამაჩემი. მეც ასე ვფიქრობ“. დანიელი ფსიქოპათად ჩამოყალიბდა და სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინა, თუმცა ციხეს დაუსხლტა. დედას არ აინტერესებდა ბავშვის სწავლა-განათლება, მამა ფიზიკურად სჯიდა. ეს ოჯახური გარემო ხელს უწყობდა მოზარდში ცხოველური ინსტინქტების გააქტიურებასა და სააშკარაოზე გამოტანას, მგლური კანონებით ცხოვრებას უნერგავდა. „სამყარო უსამართლოა, – თქვა დანიელმა, – სამყაროსთვის აბსოლუტურად სულერთია, მშვიდობისმოყვარე ადამიანი ხარ თუ არა“. ამიტომ, ამ ლოგიკით, თითქოს შურისძიება უნდა მთელ სამყაროზე. ბიორნს დანით მალულად ქათმებს, იხვებს, ზაზუნებს, ზღვის გოჭებს, კატებს ახოცვინებს. ტრაქტორგადავლილი ფუტკრის სკები როცა ნახა კოვაქსმა, თქვა: „ალბათ ის აკეთებს ამას, ვისაც სიცოცხლის სიტკბოება აკლია“.

რომანი ვერდის „აიდას“ ტრიუმფალური მარშის ფონზე მთავრდება. კოვაქსს მობილურის ზარად აქვს დაყენებული ეს მუსიკა. იგი თაფლისფერ ტბას გაჰყურებს და ქარს ელოდება. სიმბოლურად, ქარი სულს განასახიერებს, რომელმაც ადამიანს სიცოცხლის სიტკბოება უნდა განაცდევინოს, რათა დაძლიოს საკუთარ არსებაში ცხოველური საწყისი. თაფლისფერი კი იმ მკვლელ მეფუტკრეს უკავშირდება, იოახიმ ფუქსს, რომელიც გოგონამ იცნო და ჰორნთან საუბარში „თაფლის კაცად“ მოიხსენია. მკითხველს სჯერა, სიცოცხლის ნამდვილ სიტკბოებას მხოლოდ სული შეაგრძნობინებს ადამიანს, სული, რომლის გარეშე ყოველივეს აზრი ეკარგება. სიტკბო და სიმწარე კი ცხოვრების ორი ძირითადი „საყრდენია“.

რომანი შესანიშნავად თარგმნა ამ საქმეში გამოცდილმა მაია პეტერ-მირიანაშვილმა და გამომცემლობა „იბისმა“ გამოსცა (2021 წელი). ქართველ მკითხველს კი კიდევ ერთი შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ტენდენციებს.

ნინა სადღოჯელაშვილი

აველუმ, მშვიდობით!

(ეძღვნება ოთარ ჭილაძის ხსოვნას)

მოცლილო მკითხველო, ვისაც შეურყვნელი ვნებით გიყვარს წიგნი და იქ ნანახ-განცდილით ცხადში ცხოვრება; ვინც ჯერაც ერთგულებ ყველა ამქვეყნიურ კანონზე აღმატებულს და, თუნდაც მსოფლიო უკანონობას – ლიტერატურას; ვისაც გინდა, რომ გადაგხდეს რამე ისეთი, რაც არ შეიძლებოდა სხვას გადახდენოდა ან, გაიგო რაღაც კიდევ მეტი, კიდევ უფრო მეტად გაოცდე – ქუჩაში შენთვის მოხეტიალე, ერთხელაც, პირველივე შემხვედრს გაუჩერდი და თბილად მიეგებე:

– გამარჯობა, აველუმ!

პასუხად ალბათ გემრიელ ლაწანს მიიღებ, მაგრამ, ეს რაა იმასთან შედარებით, რაც შენი შემხვედრის ტვინში გასკდება. ზუსტად ისე, როგორც ბავშვების მიერ სადმე ჩაფლული ტყვია. და, იცი რატომ? იმიტომ არა, რომ სიტყვა „აველუმი“ ჩაესმება უცხოდ და უცნაურად. იმიტომ, რომ სიტყვა „აველუმი“ არავის ახსოვს (ან რატომ უნდა ახსოვდეს), ადამიანებს კიდევ ყველაზე მეტად მივიწყებულის შემოგებება აკრთობთ.

„აველუმი“ შუმერული სიტყვაა და თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. ერთმა მწერალმა, შესაძლოა, სულაც გამოიგონა, თუმცა გამომგონებლობა ხშირად რაღაც ძალზე დავიწყებულის გახსენებას გავს. მითუმეტეს, თუ მას გენიოსი იხსენებს.

თუ გენიოსი მწერალი სიტყვას იხსენებს და, ამ სიტყვით თავის ახლობელს მიმართავს:

– გამარჯობა, აველუმ! – ამ დროს სამყაროში რაღაც მართლა ხდება.

…

1999 წელი. შვედეთში, ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალზე, მსოფლიო გამარჯვებულთა ახალ სახელებს ელოდება. ლიტერატურის დარგში წარდგენილნი არიან: გიუნტერ გრასი, უმბერტო ეკო, ოთარ ჭილაძე(!).. ოთარ ჭილაძე რომან „აველუმით“ და მთელი შემოქმედებით! ნობელს გიუნტერ გრასი იღებს. თუმცა, ოთარ ჭილაძე მთელი ევროპული ლიეტრატურული სამყაროს უდავო ფავორიტია. საქართველოში პოლიტიკურ-სოციალური გარდატეხების დრო დგას, (როდის არ დგას ასეთი დრო!), ეს ფაქტი „ნიუსების“ კულტურის ბლოკის ბოლო ნაწილში, ზუსტად იმ ნაწილში ხვდება, რომელიც, რეალურად მონაცემთა ბაზაში ადგილს უფრო იკავებს, ვიდრე რაიმეს ნიშნავს.

…

წელს, ოთარ ჭილაძის გარდაცვალებიდან 9 წელი სრულდება.

მე კი ცხოვლად მახსოვს ის დრო და ის დღე: 2009 წელი. 4 ოქტომბერი. სამების საკათედრო ტაძრიდან პროცესია მთაწმინდისკენ მიემართება. დიდ მწერალს კრძალავენ. მწერალი – ოთარ ჭილაძეა. ზუსტად ათი წელია გასული. საიდან სადამდე? კაცმა არ იცის. (უხეშად რომ ვთქვათ – ნობელის ამბიდან მწერლის სიკვდილამდე), მაგრამ ვინ დათვალა ეს დრო, ან ვინ შეაფასა, შეაჯერა თავისთავში? საქართველომ ეს ათი წელი ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, ბევრ სხვა ქვეყანას, შესაძლოა, ბარე ორი ათეული დასჭირვებოდა. და სწორედ ეს – დაღლილი, გატანჯული საქართველო მთაწმინდისკენ თავის დიდ შვილს მიაცილებს. „საქართველოში“ შედის ძალიან მცირე ნაწილი ოთარ ჭილაძის თანამედროვე საზოგადოებისა, იმდენად მცირე, რომ ჩამოთვლაც შეიძლება გვარ-სახელის და პროფესიის მიხედვით, (ნეტა, ათი წლის წინ ნობელი რომ მიეღო, მაშინაც ასე ცოტანი იქნებოდნენ „ჭირისუფლები“? ადამიანური ბუნებაა – ჩინი ჩანს და, ამით უფრო აფასებს, ჩინი, ჯილდო, მედალი, ორდენი და ათასი სისულელე)… დანარჩენი „საქართველო“ ალბათ, უხილავად მიჰყვება მას – წინაპართა გამჭვირვალე სულები და სევდიანი აჩრდილები..

ეს სწორედ ოთარ ჭილაძე წერდა ბედნიერ ტანჯულ ერზე, რომელსაც უამრავი პარადოქსი ახლავს თან: უკიდეგანო ქრისტიანობა შეუძლია ასევე ენითუთქმელ ფარისევლობას შეუზავოს, სიბრიყვემდე სიალალით მოყვარე მოიძულოს, მტერი კი გაახაროს. ეს მზით ნაზავი დასაფლავებაც ხომ თავიდან ბოლომდე პარადოქსი იყო: ხალხი, რომელსაც შეუძლია პრეზიდენტის ან, ნებისმიერი მეტ-ნაკლებად ეფექტური ოპოზიციური ლიდერის დაძახილზე ქუდზე კაცით გამოსვლა, ის ხალხი დიდი, ძალიან დიდი მწერლის დაკრძალვაზე არსად ჩანდა.

ან, რა უნიჭო სიტყვაა „ხალხი“ იმასთან შედარებით, რაც არის ქართული სიტყვის საგანძურში თავად ოთარ ჭილაძე. „ხალხი“ აქ ძალიან ცოტას ნიშნავს, აქ – მის შემოქმედებაში – ერთი კონკრეტული ადამიანი უფრო ბევრია.

არასროს დამავიწყდება ცა, რომელიც ოთარ ჭილაძის დაკრძალვის დღეს მთაწმინდის თავზე იდგა. ღრუბლის წყვილი ლიანდაგი იყო გადაჭიმული მთელს ცაზე, უხსოვარი დასაწყისიდან დასალიერამდე, და ისე ჩანდა, თითქოს ეს ლიანდაგი სიშორეში ვიწროვდებოდა, სადღაც სიღრმეში უხვევდა და იქ განაგრძობდა გზას. თვალს ვერ მოწყვეტდი და, თან თუ ოთარ ჭილაძის წიგნებწანაკითხი თვალი გქონდა – მით უფრო გემცნაურებოდა: ცა და მისი შესაყარი დედამიწაზე სწორედ მწერლის სამყარო იყო, მითოსურიც და რეალურიც, უცნობიც და ახლობელიც. ეს ალბათ, ძალიან იშვიათად ხდება, როცა შემოქმედი კვდება და ცოტახნით ყველაფერი მის გარშემო, მისსავე შემოქმედებას ემსგავსება.

…

„ვშორდებით, ყოველ წუთას ვშორდებით
და აკრძალული სევდის ტოტებით
ერთმანეთს ვუმტვრევთ სულის დარაბებს...“

ოთარ ჭილაძე ჩემი პოეტია. იშვიათად მინახავს შემოქმედი, რომელიც ასეთი „მაღალი“, განუზომლად და თანაბრად ძლიერი იყოს პროზაშიც და პოეზიაშიც. თანაც ისეთი ძლიერი, რომ ერთი მისხალითაც არ არღვევდეს არც ერთი ჟანრის კანონებს და თითოეულს ერთგულებდეს მწერლური ვნებით. თუმცა, გამომრჩა! ესეისტიკა! ოთარ ჭილაძის გენიალური ესსეები, ლიტერატურული წერილები, რომლებიც, სულაც რომ სხვა აღარაფერი დაეწერა მას, მარტო ამით დაიგდებდა ღონიერი მწერლის სახელს.

ამხელა ლიტერატურული დიაპაზონი რჩეულობასთან ერთად ტვირთიცაა ალბათ. აბა, როგორი საქმეა, იარო და შენ თავში უშველებელი ტაძარი ატარო.

ჰო, ასეა – ოთარ ჭილაძე ტაძარია. უშველებელი, უმტკიცესი, ჩუქურთმებამღერებული. და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს დრო, რომელშიც ვცხოვრობთ (ეს არაა სიყვარული – შეგუების გამო დაბადებული, ეს კიდეც სხვა სიყვარულია), მაინც მგონია, რომ ოთარ ჭილაძე არაა ჩვენი დროის შემოქმედი. დროზე აღმატებულობას რომ თავი დავანებოთ, ამ თავისი უნივერსალურობით, უკიდეგანო შემოქმედებითი სიმაღლით, ღვაწლით, თავის დიდ წინაპრებს მაგონებს და, იმ საუკუნეს, რომელიც თავადაც ალბათ ძალიან უყვარდა – ფიქრის და განსჯის საუკუნე, მისი უდიდებულესობა: მეცხრამეტე!

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადკაცობრიულ ტკივილებზე წერდა, მისთვის პირველი და მთავარი მაინც ეროვნული ფიქრი და სატკივარი იყო, აქედან ხედავდა და აქედან განიცდიდა. წერდა იმაზე, რაც ჩვენს თვალწინ ელვის სისწრაფით ხდებოდა და, მაშინ როცა ყოველდღიური ჟურნალისტიკა ფაქტების დახვავებას ვერ აუდიოდა, იბადებოდნენ წიგნები, როგორც სარკეები თითოეული ჩვენგანისათვის – უნდა ჩაგეხედა და შიგ შენი თავი, შენს გარშემო სამყაროთი, – დაგენახა.

70 წელი, ვითარცა 7 წუთი... – „ზემოდან“ შესაძლოა ასეც ჩანდეს. ჩვენ კი დღემდე ამ 70-წლიანი ტყვეობის ტყავს ვიძრობთ, ეროვნულობაშიც და მოქალაქეობაშიც ბევრი რამე ამ ტყავის გამო ვერ დაგვილაგებია და, თუკი მწერალმა მაინც სხვების საფიქრალი ფიქრი და სატკივარი ტკივილი იტვირთა, ესაც ხომ წყალობაა! ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედება თავისუფლებაზე ფიქრს ეძღვნება, თავისუფლება კი მისთვის – ბრძოლის უფლებას ნიშნავს.

ტაძარია-მეთქი, – ეს ფრაზა მე კი არა, პოეტმა ლია სტურუამ თქვა ოთარ ჭილაძეზე. ჩვენს სინამდვილეში ცხოვრობდა კაცი-ტაძარი, ფიქრით, აზროვნებით, მოღვაწეობის მასშტაბით, და ისე იდგა „გამჭვირვალე ესთეტიკის“ ეპოქაში, რომ შორიდან ეგებ ვინმეს ქარის წისქვილადაც მოსჩვენებოდა. ტაძრებით დღეს ვიღას გააკვირვებ, მაგრამ ადამიანის სულ-ხორცით ნაგები კიდევ სხვა არის, თანაც ისეთ დროსა და ისეთ რეალობაში, სადაც „კაცთმოყვარული“ მიზნებისათვის, თვით ყველაზე ბრაზიანი შენობაც კი დედამიწაზე, სადაც იარაღიანი პოლიციელები მუშაობენ, – შაბიამნისფერი შუშისგანაა აგებული, მთლად შუშებია ოთხივე კედელიც, ჭერიც და იატაკიც, ანუ ისეთი გამჭვირვვალე, ღია და სანდო, რომ გეშინია, ამდენი სინატიფე ხელში არ შეგაფშხვნეს...

და, ამ დროს – კაცი-ტაძარი, რომელიც დუმდა და ისე წერდა.

როცა გარდაიცვალა, მერეღა მოქექეს ტელევიზიებმა და აღმოაჩინეს, რომ სულაც თითზე ჩამოსათვლელი კადრები ჰქონიათ არქივში, სადაც ამ კაცის დანახვა და მისი სახის დამახსოვრება შეიძლება. ესაც მაშინ, როცა სწორედ ტელევიზორში, პირდაპირ ეთერებში ხდება რევოლუციებიც, ტერაქტებიც.

ოთარ ჭილაძის ერთი ფოტო მიყვარს განსაკუთრებულად. გურამ თიკანაძის გადაღებულია. აი სწორედ ისეთი მინდა რომ დავიმახსოვრო, მეც და, ბევრმა – ძლიერი, ახალგაზრდა, შუბლშეკრული, როგორც ყველა ფარული მეამბოხე. თავისივე პერსონაჟებს გავს, დაუწერელ გმირებსაც კი.

სულ თავში, მისივე სიტყვებით დავიწყე: „მოცლილო მკითხველო“... ეს ალბათ ის მოცალეობაა, რუსთაველი რასაც გულისხმობდა შეყვარებულის (მიჯნურის) მთავარ ათ თვისებათა შორის ერთ-ერთ აუცილებლად. შეყვარებული თუ არ ხარ, ოთარ ჭილაძის ერთ ფურცელსაც ძვრას ვერ უზამ.

შეყვარებულობაც – ბრძოლის უფლებაა. გიყვარს და, გინდა შენს გარშემო სამყარო შეცვალო. ამისთვის იბრძვი. ძნელია აველუმობა. აველუმი ხომ თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს.

თვითონ ასე დაამთავრა:

„გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს,
რითაც დროს ვკლავდით და თავს ვირთობდით,
მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს
კარგად იყავით. გმადლობთ. მშვიდობით.“ (2007)

…

და თუკი მაინც არ მოიშლი შენსას და, ისევ წიგნებით ცხოვრებას გადაწყვეტ, მოცლილო მკითხველო, ადექი და, იმ შენს პირველივე შეხვედრილ თანამგზავრს, ხანმოკლე და უცნაური დიალოგი ასე დაუმთავრე:

– აველუმ, მშვიდობით!

შეიძლება ვერ გაიხსენოს, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგრამ ტვინში ერთი ფიქრი აუცილებლდ საშენოდ გაუსკდება. ბოლოს და ბოლოს, შენც, მეც, შენი თანამგზავრიც და კიდევ ვინ იცის რამდენი ვინმე, – ახლა ჩვენი ფიქრის აღმართ-დაღმართებზე დავხეტიალობთ და ერთ კაცზე ვლაპარაკობთ, ყველას რომ ყველაფერი დაგვავიწყდეს, იმ ერთს ემახსოვრება, რადგან დამახსოვრება, ზოგადად, მისი მოვალეობაა. ის მწერალია – მთავარი აველუმი.

და ვინ იცის, ეგებ მე და შენ კი არ ვლაპარაკობდით ამდენხანს მასზე, არამედ თვითონ ის – თავის მარტოსულ სენაკში იჯდა და ჩვენზე სევდიანი სიყვარულით წერდა. ჩვენზე – მკითხველებზე და მოქალაქეებზე.

და ბოლოს კი მიაწერა: ოთარ ჭილაძე.

1 ოქტომბერი, 2018 წ.

მიხეილ სურგულაძე

ლექსით მოთხრობილი ბიოგრაფია

საქართველოს გასაბჭოებას დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ბევრი ქართველი პატრიოტის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორისაა მიხა ხელაშვილი – პოეტი, ვინც საქართველოს უძღვნა მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება; მიუხედავად ამისა, მიხა ხელაშვილის სახელი და პოეზია ჯერ კიდევ უცნობია ფართო საზოგადოებისთვის. პოეტის ცხოვრება სულ 25 წელს მოიცავს და ეს საკმარისი აღმოჩნდა 250-ზე მეტი პოეტური ქმნილების დასაწერად. მისი ლექსები გამოირჩევა მთის პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმარტივით, მათში ხშირად მწარე სიმართლეა გადმოცემული.

პოეტმა მსხვერპლად შესწირა სამშობლოს თავისუფლებას სიცოცხლე და სიყვარული. მისი ცხოვრება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქვეყნის ბედთან და გასაკვირიც არაა, რომ მის პოეტურ შემოქმედებაში ძირითად თემატიკურ რკალს წარმოადგენს პატრიოტული და სატრფიალო ლირიკა. პატრიოტულ ლექსებში მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ განიცდიდა იგი ქვეყნის აწმყოს, შემოქმედისთვის სხვის უღელში მყოფი სამშობლოს ყურება მეტად მძიმე იყო; ცხადია, იცოდა, რომ ერთი კაცი ბევრს ვერაფერს შეცვლიდა, თუმცა ქვეყნის კეთილდღეობისთვისა და კეთილი მომავლისთვის სხვათა მსგავსად არ დამონდა და ბრძოლა არჩია; ამით მან ერთი აგური დადო დიდი იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ბევრსაც მაგალითად ექცა. წითლების წინააღმდეგ ბრძოლა პოეტს ძვირი დაუჯდა, იგი იძულებული გახდა, კერა მიეტოვებინა და ტყეს შეფარებოდა. მიხა ხელაშვილის გამო ხშირად ავიწროებდნენ პოეტის ოჯახს, მეგობრებსა და მოკეთეებს. არჩეულმა გზამ საბოლოოდ ჩამოაშორა თავის სატრფოს, ვერც დაქორწინება მოასწრო დუდუნა ბაჩიაშვილზე და ამიტომაც, სასოწარკვეთილი, განსაკუთრებული სენტიმენტებით წერს სატრფიალო ლექსებს. სამწუხაროდ, მიხამ ყველაფერი დაკარგა არჩეული გზით: მოუკლეს დედა, სამუდამოდ ჩამოაშორეს სატრფოს და ერთადერთ შვილსაც კი ვერ ნახულობდა. საუბედუროდ, უღალატეს მეგობრებმაც და სწორედ მათი ვერაგული ხელით 25 წლის ასაკში დაასრულა ცხოვრება.

მიხა ხელაშვილს თანამედროვეებმა „ველის პოეტი“ შეარქვეს. მიხას ბიოგრაფია და შემოქმედება (1900-1925) საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი. მანამდე მისი სახელი და პოეტური ქმნილებები მკაცრად იდევნებოდა, რადგან იგი „წითლების“ იდეოლოგიის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა.

მიხა ხელაშვილის ბიოგრაფია, უკანაფშავიდან, მშობლიურ სოფელ ახადიდან იწყება. ახადი გოდერძაულთ თემის სამკვიდრო ყოფილა.

ისტორიულად ამ სოფლის მცხოვრებლებს მრავლგზის გამოუჩენიათ თავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ახადელთა მებრძოლი სულისკვეთება ერთ-ერთ ხალხურ ბალადასაც შემოუნახავს:

ახადს, გოდერძის ციხეო,
მოგადგნენ თენებაზედა,
სიმურტლივ შამაგიარეს,
ცხრაკარ გაგიღეს წამზედა
თუ ეგრე მალე გაგტეხდნენ
ქვამც ნუ გდებია ქვაზედა,
ჩაუჰხდნენ გოდერძის ციხეს
ალი დაჰკიდეს თავზედა.
(ქ.ხ.ს. ქრესტ.,1970: 295)

მიხა ხელაშვილსაც აქვს ლექსი „გოდერძის ციხე," რომელშიც გადმოცემულია ამ თემის ლაშქრის სიძლიერე; ლექსიდან ჩანს, რომ გოდერძაულთ ციხე რვა ნაწილისაგან შედგებოდა და მთელ სოფელს გადაჰყურებდა. ციხის სილამაზე კი ავტორში ედემის ასოციაციას იწვევდა:

რვათვალს ციხესა ესხნიან
შესაზარავნი კლიტენი,
ომს შაიქმოდენ ძრიელსა
ციხისგარშემო კიდენი,
გენახა, გაგაკვირვებდა:
ციხე ნადგომი ვით ხენი.
ციხე გვანილა ალვის ხეს,
ბაღს შიგან დანანერგავსა.

აი, ამ სოფელ ახადში დაიბადა მიხა ხელაშვილი 1900 წლის 25 იანვარს. მამა – ზურაბ ჯუღურას ძე ხელაშვილი იმ ხელას შთამომავალია, რომელიც გამოეყო გოდერძაულთ და რომელმაც ხელაშვილების გვარს დაუდო სათავე. მის საქმიანობას შეწირული.

დედა – თამარ გოგნიას ასული თადიაური გახლდათ, რომელიც 1923 წელს მიხაზე შურისძიების მიზნით მოკლეს; ამ ფაქტს მიხა ეხმაურება ლექსით:

სად არა ვიყავ დედაო,
როცა შენ გაგიჭირდაო,
დაგკრავდნენ, დაიკვნესებდი
და ინატრებდი შვილსაო.

მიხა ხელაშვილს ერთი ძმა და ორი და ჰყავდა – პავლე, სალომე და პელაგია. პავლეც დაჯილდოებული ყოფილა პოეტური ნიჭით, მანაც ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. მიხას ბავშვობამ ახადში გაიარა. წერა-კითხვის სწავლის შემდეგ პატარა მიხა თამარღელის ეკლესიაში ბერმონაზონ ილარიონ მოსანთლიშვილთან დადიოდა საღვთო წიგნების გასაცნობად. ბერმონაზონი მალე მიხვდა, რომ ვეღარ აკმაყოფილებდა სწავლამოწყურებულ, ნაადრევად გონებაგახსნილ ბავშვს თავისი ცოდნით და ზურაბს ურჩია, შვილი სასწავლებლად ქალაქში წაეყვანა. ზურაბმაც გაყიდა ხარები და შვილი მცხეთაში მღვდელს მიაბარა, რათა სასულიერო სწავლებაში დაოსტატებულიყო. მიხას საღვთო წიგნების დასწავლა არ გასჭირვებია, მალე აითვისა საღვთო სჯული, საეკლესიო კანონიკა და რამდენიმეწლიანი სწავლის შემდეგ, 1916 წლის მიწურულს, ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში, გაამწესეს მედავითნედ. აქედან იწყება მიხას დამოუკიდებელი ცხოვრება; ბარისახოს ხანა მისთვის გარდამტეხი მნიშვნელობისა აღმოჩნდა. აქედან დაისახა მომავალი ცხოვრების გზა-ბილიკები, სწორედ აქ ჩამოყალიბდა იგი მეომარ პოეტად.

20 წლის ასაკში მიხა ბარისახოდან დიაკვნად გადადის ჩარგალში, რომელიც ძალზედ შეითვისა და წერდა:

რად შემიყვარდა მეტადა
მე ჩარგლის არემარეო?!

ამ თემში მღვდლად მისი უფროსი დის ქმარი თევდორე ჟამიაშვილი იყო გამწესებული.

ჩარგლიდან იწყება მიხა ხელაშვილის ცხოვრების ახალი ეტაპი, სავსე ტკივილითა და სიყვარულით; აქ იგემა მან პირველი სიყვარული პირმშვენიერი დუდუნა ბაჩიაშვილისა, რომლისადმი ტრფობა და რომლის მომხიბვლელობაც მის პოეზიაში მრავალგზის აისახა:

კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო,
სანთელო ქარაფებისა,
ჩემს გულში ჩემო მნათობო,
მჩაგვრელო ვარსკვლავებისა.

ჭკვიანი, მოსიყვარულე, ღიმილიანი, ვაჟკაცური შემართების მიხა ნანდაურად ნაოცნებარი ვაჟი აღმოჩნდა დუდუნასთვისაც. დაიწყო მიხასთვის ბედნიერი დრო, მალე ისინი ჯვრისწერას გადაწყვეტენ, თუმცა, დუდუნას მამის გარდაცვალების გამო, ჯვრისწერა ერთი წლით გადაიდო; მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ცოლქმრულად ცხოვრობდნენ და შვილიც – თამარი ეყოლათ.

ჩარგალში მიხამ ბევრი მეგობარიც გაიჩინა: ლუკა მარცვალაშვილი, ლევან გარსევანიშვილი, ივანე მთიბლიშვილი, გიორგი ზურაბაშვილი, ლევან რაზიკაშვილი და სხვები.

მალე ქვეყანას ბოლშევიკური ჭირი მოედო და ზოგიერთი მარქსისტული იდეებით მოწამლული ქართველი, სიხარულით შეეგება ქვეყნის ანექსირებასაც. საბჭოეთი აქტიურად შხამავდა ახალგაზრდების გულსა და გონებას. თითოეულ მათგანში ცდილობდა „კაენის სულის აღზევებას.“ ვინც „ახალი წყობილების მშენებელი“ არ იყო, ყველა საბჭოეთის მტრად გამოცხადდა და მათი განადგურება გადაწყდა. ამ დროს დაიწო რეპრესიები; რასაკვირველია, აქტიურად ებრძოდნენ სასულიერო პირებსაც. მიხა ხელაშვილი მიხვდა, რომ სიტყვითა და ქადაგებით საბჭოეთის იმპერიის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა და ხელში იარაღის აღებით გადაწყვიტა ბრძოლა. მაშინდელ ლექსებს თუ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მისთვის სამშობლო „სისხლის მორევში იხრჩობოდა.“

დიაკვნობის მიუხედავად, მიხა იარაღს ატარებდა და სწორედ იარაღის გამო მოხდა მისი პირველი დაპირისპირება ჩარგალში მისულ კომისარ კოლა ჯაგნელიძესთან. მაშინ მიხა, ლევან რაზიკაშვილის რჩევით, დროულად გაეცალა იქაურობას, შემდეგ კი ღიად უპირისპირდება ახალ მთავრობას, ხალხსაც განაწყობდა, რომ არ დამორჩილებოდნენ და ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რის გამოც იგი იძულებული გახდა, ტყეში გასვლით დამალოდა პოლიციას; ხელისუფლება კი გულმოდგინედ ცდილობდა მის შეპყრობას ან მოკვლას, მაგრამ მიხა მოხერხებული და გონიერი მეომარი იყო, მას ვერც სროლას ასწრებდნენ და ტყვიასაც მარტივად უსხლტებოდა. რასაკვირველია, ასეთი ვაჟკაცი მთის ხალხში მალევე გახდა პოპულარული, მით უფრო მაშინ, როცა მიხას სწორედ ისეთი თვისებები ჰქონდა, რაც ასე ძალიან ხიბლავს საზოგადოებას, თემს, რომელიც დაეძებს გმირს, მხსნელსა და გადამრჩენელს.

მართალია, მიხა ხელაშვილი ფიზიკურად გოლიათური აღნაგობისა არ იყო, მაგრამ, თვითმხილველთა გადმოცემით, ელვასავით სწრაფი, უაღრესად გამბედავი, სხარტი ფიქრის უნარით დაჯილდოებული და, რაც მთავარია, იშვიათი „ჩუბინი“ (უცდენლად მსროლელი) ყოფილა.

მიხა მარტოხელა მეომრის ცხოვრებით ცხოვრობდა. 1922 წელს ხმა გავარდა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახით კომუნისტებს მედგარი მეტოქე გამოუჩნდა. მიხა მის გვერდით ბრძოლასა და ყოფნას ნატრობდა, რისი საშუალებაც მალევე მიეცა. 1922 წლის ზაფხულში ქაქუცა თავისი რაზმით ფშავის არაგვის ხეობაში შევიდა. ფშავ-ხევსურეთში უნდა დაწყებულიყო დიდი გამოსვლები, რაც მთელ საქართველოს მოედებოდა. ქაქუცა ფშავში, სოფელ მაღაროსკარში, შეჩერდა, სადაც სამთავრობო ჯარი მოულოდნელად დაესხათ თავს. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც შეფიცულთა რაზმის გამარჯვებით დასრულდა. ქაქუცას მოადგილე ალექსანდრე სულხანიშვილი თავის წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ წერს: „აქ გადაგვხვდა თავს დიდი და ლამაზი ბრძოლა, რამაც დაახლოებით საათნახევარს გასტანა... ამ ბრძოლაში შემოგვემატა სამი ხევსური, რომლებიც გამგელებულნი იბრძოდნენ და რამდენიმე ფშაველი, რომელთაგან ერთი, მიხა ხელაშვილი, მუდმივად დარჩა ჩვენს რაზმში.“ მიხა შეფიცულთა რაზმის წევრი გამხდარა და

აღარც დასცილებია მათ. მიხა ქაქუცასთან პირველი შეხვედრის შემდეგ იტყვის:

დღემდე მარტოკა ვიბრძოდი,
მტერთან არ შავკარ ზავია,
სამშობლოს უნდა შავწირო
სიცოცხლე, ჩემი თავია.

შეფიცულთა რაზმი ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს, თავს აფარებდა დუშეთს, თიანეთისა და კახეთის ტყეებს. ჩეკისტები მათ ასე მოიხსენიებდნენ: „ყაჩაღები," „ბანდიტები," „ჩოლოყაშვილის ბანდები." ამ მიზანმიმართულმა პროპაგანდამ რაზმს სახელი გაუტეხა და ხალხშიც ხშირად ყაჩაღებად მოიხსენიებდნენ მათ. მიხასაც ასე ეძახდანენ, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს მტკნარი სიცრუე იყო. ამაზე მიხა წერს:

ღმერთმა ხომ იცის, ფშავეთში
ვცხოვრობდი სვინდისითაო,
ქურდობით არ გაწუხებდით
და არც არავის ცრცვითაო.

საბჭოთა რეპრესიების გამო ქაქუცამ უაზრო მსხვერპლს გაცლა ამჯობინა და თავისი 150-კაციანი რაზმით ემიგრაციაში წავიდა, კვლავ დაბრუნების იმედით. მიხა ქაქუცას რაზმს არ გაჰყვა, სამშობლოში სიკვდილი არჩია უსამშობლოდ ცხოვრებას. შეიძლება, იმედი ჰქონდა, რომ მეგობრების დახმარებით თავს გაიტანდა, სანამ კვლავ დაიწყებოდა საყოველთაო ამბოხი საქართველოს გასათავისუფლებად. სამწუხაროდ, კი მისი ერთგული მეგობარი, ლევან რაზიკაშვილი, რომელმაც ხელაშვილი რამდემჯერმე იხსნა განსაცდელისგან ბოლშევიკებმა მალევე დახვრიტეს. სხვებზე კი დასძენს:

ნუღარას მკითხავ ამბავსა
მოკეთე-მეგობრებისას.

როგორც მიხას თანამედროვეები იგონებენ, ის სამეგობროს სული და გული იყო. იგი ყოველდღე კარგავდა მეგობრებს, ახლობლებს, თანამოაზრეებს, საქართველოს ერთგულ შვილებს. ფშავში ბევრი მეგობარი დაუხოცეს, რომელთაც ტკივილიანი სიტყვებით ემშვიდობება, მაგრამ უიმედობა კი არა, შურისძიების წყურვილი იპყრობს და მათებრ სიკვდილს ნატრობს; მიხა მხოლოდ სიკვდილის მაცნეს უფრთხის – ძმების სიკვდილის ამბავს ნუ მომიტანენო:

დაიცა, ამბის მომტანო,
სიკდილს ნუ მეტყვი ძმისასა.
დაღალატებით მოკვლასა
ოროლი ძმაკაცისასა...
მისდღემში აუტირები
ცრემლსა ვღვრი თვალებისასა,
აღარ ვახსენებ სახელსა
შინშისა, გიორგისასა
და აღარც რაზიკაშვილსა,
ლუკაანთ ლევანისასა,
აღარც ლოსეურთ ბეწინტურს,
ყმას ამა კოპალისასა,
აღარც გულმაგარ ჯანგირას,
გაზრდილსა ფშავის წყლისასა.
ამაყად ვივლი, არ გიგლოვთ,
სახელს მეტყვიან მიხასა,
მსახურებს გამოგიგზავნით,
უფროსებს მაზრებისასა...

აღსანიშნავია, მიხას მეგობრის – ალექსი მისრიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც თავის მოახლოებულ აღსასრულსაც კი წინასწარმეტყველებს პოეტი:

ამამყრელი ვარ ჯავრისა,
ხელაშვილს მეძახიანო,
მსახურებს გამოგიგზავნი,
ალექსი მოკლედღიანო,
მეც მალე წამოგეწევი,
მოკლენ გზან მამიდიანო.

მიხა ხელაშვილს, ალბათ, როგორც ყოველ ადამიანს, მეგობარიც ბევრი ჰყავდა და – მტე-

რიც, მათ შორის, მეგობრობის ნიღაბს ამოფარებული მტრებიც იყვნენ. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ – ამბობს ვაჟა-ფშაველა. ჩარგლელ მეგობართაგან, ვინც პატრიოტი და ალალ-მართალი იყო, ჩეკისტების მიერ უკვე დასჯილნი იყვნენ. 1924 წლის შემოდგომის მიწურულს მიხას ახლო მეგობართაგან მხოლოდ ისინი იყვნენ დარჩენილნი, ვისაც უკვე იუდასათვის სული მიეყიდა და მიხას სიკვდილზე წილი ჰქონდათ ნაყარი: ისინი მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდნენ, რათა ისე მოეწყოთ მკვლელობა, რომ სიმართლე ვერავის გაეგო და თან ეშინოდათ, განზრახვა არ შეეტყო მათთვის მიხას, რადგან კარგად ახსოვდათ, რომ მიხა მილიციის სამოცკაციან რაზმსაც არ შეუშინდა, მარტო დაესხა თავს, კომისარი მოკლა და რაზმი განაიარაღა. ამას პოეტიც ადასტურებს თავის ერთ ლექსში:

ხელაშვილი ვარ მიხაი,
კომუნისტების მტერია,
საცა კომუნისტს შევხვდები,
უნდა გამოვჭრა ყელია!
შავვარდი მაღაროსკართა,
როგორც მშიერი მგელია,
სამოცი დამხვდა კაძახი,
სამოცივ კავალერია,
სამოცსაც თოფებ ავყარე,
მაუკალ კამისარია...

ლექსში მოხსენიებულ შეტაკებაზე არსებობს ამბის მონაწილისა და თვითმხილველი მილიციელის – იოსებ ბოძაშვილის ლექსიც:

მაღაროსკარს ვმსახურებდი
ერთ დროს მენაცაო,
მამაძაღლმა ხელაშვილმა,
დახე, რა გვიყვაო:
ჩვენი კოლა კომისარი
კარზე მოგვიკლაო...

მტრებმა მიხას საფიცარი დედა მოუკლეს. დედა ყველა შვილისათვის ძვირფასია, მაგრამ დედაშვილური სიყვარულის სიტყვით გამოხატვა, ალბათ, ბევრს არ შეუძლია. მიხამ კი ამ ყოვლისმომცველ გრძნობასაც უძღვნა ლექსი, რომელიც შემდგომში ხალხში ძალზედ პოპულარული გახდა:

...დედის მეტს ჩემი სიკვდილი
არავის აატირებსა,
სუ იმის გულში ვიქნები,
ძილსაც ვერ დაიძინებსა.
ვენაცვლე ძუძუთ გამზრდელსა,
გულით ის დამიტირებსა.
დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს უფალი,
სუ მუდამ გვაცოდვილებსა...

ზეპირგადმოცემით, ხალხს ახსოვს მიხას დედის მკვლელობა: მიხას დედა ხშირად იყო ჩარგალში, ქალიშვილის ოჯახში. ახადში კი მამა და უმცროსი და-ძმა რჩებოდნენ.

სალომეს (უფროსი დის) ოჯახს წამდაუწუმ აწიოკებდნენ: „გვითხარით, მიხა სად არისო“. ერთ დღესაც თამარმა სახედარს ქსოვილები აჰკიდა, უნდოდა მეზობლებთან გადაემალა, მაგრამ შემთხვევით გზად მიხას საძებნად წამოსულ რაზმს გადაეყარა. თამარმა გზიდან გადაუხვია, რომ არიდებოდა, მაგრამ შეამჩნიეს, სროლა აუტეხეს და მოკლეს, ქსოვილები კი მიითვისეს.

მიხას დედის ბარბაროსულმა მკვლელობამ მთელი ფშავი ააფორიაქა და დაამწუხრა. სოფელი დიდად შერცხვა. ქალის მკვლელობა ზოგადად ყველგან, განსაკუთრებით მთაში, გაუგონარ სისასტიკედ და ლაჩრობად ითვლებოდა. მიხამ წერილი მისწერა ოსა ზურაბაშვილს, რომელიც სოფლის თავკაცად ითვლებოდა, რომ დედამისი ეკლესიის გალავნის შიგნით დაეკრძალათ, როგორც ეს სასულიერო პირის ოჯახის წევრს ეკუთვნოდა. სოფელმა შეასრულა შვილის მოთხოვნა. მიხამ, კბილებამდე იარაღასხმულმა, დედა დაიტირა და შემდეგ ისევ ტყეს

შეაფარა თავი. მან დედის ტრაგიკულ აღსასრულს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა, რომლებშიც კარგად ჩანს, როგორი მძიმეა მისთვის მშობლის ვერაგული მკვლელობა:

შავტირებ მთებსა მაღლებსა,
წინ ცრემლის გუბი მიდგაო,
სისხლი მწყურიან მტრებისა,
ჯავრის ამოყრა მინდაო...
მუდამ წამს სევდიანი ვარ,
სევდის ლოგინი მიდგაო,
დავწვები, ვერ დავიძინებ,
შიგ ნარ-ეკალი მიგაო...

მიხა ხელაშვილის მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა, მტერი მრავლდებოდა, სიკვდილი ახლოვდებოდა, მაგრამ სიკვდილზე მძიმე ასატანი იმ ხალხის ღალატი გამოდგა, ვისაც თავისიანად თვლიდა; ამგვარ ვითარებას პოეტი ბიბლიურ ეპიზოდს – კაენის მიერ აბელის ვერაგულად მოკვლას ადარებდა:

კაენმა მოკლა აბელი,
იტვირთა სისხლი ძმისაო.

ძნელი შესამჩნევი არ იქნებოდა კაენის სულის ტრიალი მის ირგვლივ...

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ მომავლის ის იმედიც დაასამარა, ქართველ პატრიოტებს რომ ასულდგმულებდა. დახვრეტებმა სისტემური ხასიათი მიიღო, ქვეყანა ნელ-ნელა კარგავდა რჩეულ ადამიანებს, აღარსად ჩანდა ძალა, რომელიც ქვეყანას თავისუფლებას მოუტანდა, არადა ქვეყნის თავისუფლებაზე ოცნებობდა მიხა ხელაშვილი:

ჩემთვის არც მთაა და არც ბარი,
და არც ამ ქვეყნად თავშესაფარი...
...ოჰ, რა კარგი ხარ, თავისუფლებავ,
თავისუფლებით ილხენენ მკვდარნი...

თავისუფლება პოეტისთვის აუხდენელი ოცნებაა, რომელსაც ადამიანი ცოცხალი კი არა მხოლოდ მკვდარი თუ მოიპოვებდა. პოეტებს ხშირად თან დასდევთ სიკვდილის ლანდი, ხშირად წერენ მასზე და ხშირადაც წინასწარმეტყველებენ კიდეც; გამონაკლისი არც მიხაა. ბოლო წლების ლექსებში იგი მრავლად ახსენებს სიკვდილს, გრძნობს მის სიახლოვეს, მაგრამ კი არ უფრთხის და გაურბის, თითქოს მისკენ მიისწრაფის:

თავს დამტრიალებს ყორანი,
მუდამ დამყვება მხრითაო.
რას დამყეფ, შავო ყორანო,
გრძნეულო სიკვდილისაო,
შავი ტანსაცმლით მოსილო,
მოტრფიალეო მკვდრისაო!
იქნებ მემდური, ყორანო,
თავ რო არა მაქვს ცდისაო,
ვეღარ გაჭმიე, ოხერო,
სისხლ-ხორცი ჩემის მტრისაო...

თითქოს ყველაფერმა დაკარგა აზრი... ქვეყანას მაინც აღარაფერი შველოდა. შეფიცულთა რაზმი ემიგრაციაში იყო, ძველი თანამებრძოლნი აღარ შემორჩენოდა, მათთან ლექსით საუბრისას კი თითქოს ბოდიშს იხდის, რომ თავად ისევ ცოცხალია:

მეც მალე წამოგეწევით,
მოვდივარ თქვენის გზისასა,
მოგნატრით თქვენსა სიკვდილსა,
სიცოცხლეს მოკლე დღისასა.

მას ყველაფერზე აქვს ნაფიქრი და ლექსებში გადატანილი; იმაშიც დარწმუნებულია, რომ თავისიანი მოკლავს:

ყველაზე მეტად ის მეძებს,
ვინც არის თავისიანი,
მე მომკლავს, ძმისა მამკლავებს
მიუვა სახელიანი.

იმასაც წინასწარმტყველებდა, რომ სამარეც არ ეღირსებოდა და დაუტირებელი დარჩება:

გაქრება ჩემი არსობა,
დიდ უფსკრულს მივებარები,
უფსკრულს ისეთას, რომელსაც
არა აქვს ძირი, კარები!

საყურადრებოა, რომ მიხა ხელაშვილს არ დაუფლებია სინანული განვლილი ცხოვრების გამო, რომელმაც გარდაუვალი გახადა პოეტის ადრეული სიკვდილი. იგი დარწმუნებული იყო არჩეული გზის სისწორეში; იმას კი ეჭვობდა, რომ მისი სიკვდილი ბევრს გაახარებდა:

რომ მოვჰკვდე, ყველასთვისაცა
იქნება გასახარია,
საფლავიც არ მეღირსება
ძმებისგან განათხარია.

ის საბედისწერო დღეც დადგა – 1925 წლის 25 იანვარი. ამ დღეს მიხას 25 წელი შეუსრულდა. იგი ძმაკაცთან, ლუკა მარცვალაშვილთან, აფარებდა თავს (დის სახლში ვერ მიდიოდა, რადგან მათ სახლს მუდმივად ზვერავდნენ). იმ დღეს მიხამ ლუკას წვერი გააპარსინა, როცა ნიკაპს პარსავდა, მიხას უთქვამს: „ხომ ვიცი, ჩემს მკვლელს დიდ ჯილდოს ჰპირდებიან, რაღა სხვამ ისარგებლოს, ბარემ შენ დაგრჩეს, მაინც ძმაკაცი ხარ, გამომისვი ეგ სამართებელი და მომკალიო“. ლუკა ატირებულა: „მაგას როგორ მეუბნები, მე ძმასავით მიყვარხარო“. მიხას კი დაუმშვიდებია – გეხუმრეო... შემდეგ მათ ლევან გარსევანიშვილიც შეუერთდა. ამბობენ, რაღაც ნიშნებით აცნობეს ერთმანეთს მიხას იქ ყოფნაო.

კარგად მოილხინეს, მიხას სასმელს აძალებდნენ. როცა დაღამდა: „უნდა დავიძინო, ხვალ მთები მაქვს გადასავალიო“, – თქვა მიხამ და საბძელში წავიდა დასაძინებლად. ლუკა და ლევანი ალიბის შესაქმნელად მეზობელთან გადასულან. შუაღამისას მიაკითხეს საბძელს, მიხას გულიანად ეძინა. ლუკასა და ლევანს წილი ჰქონდათ ნაყარი – მკვლელობა ლუკას ერგო, ლევანი კი დამხმარედ ეყოლებოდა. ვახტანგ რაზიკაშვილი (ვაჟას გერი) თავის სახლში ელოდა შედეგს. მძინარე მიხასთვის ლუკას თოფი რომ დაუღერებია, ხელი აჰკანკალებია, ლევანს თოფი აუგლეჯია და თავში უსვრია...

მიხას სიკვდილი ვახტანგ რაზიკაშვილს აცნობეს, ისიც მაშინვე მოახტა ცხენს და მაღაროსკარიდან მილიციელები მოიყვანა, რომლებმაც სროლა ატეხეს, რათა ხალხს მიხა მილიციელების მოკლული ჰგონებოდა (ერთ-ერთი ვერსიით კი მიხასთვის ტყვიის სროლა ვერც ლუკამ და ვერც ლევანმა შეძლო და ხელაშვილი ვახტანგ რაზიკაშვილმა მოკლა, რომელსაც ძალიან სძულდა მიხაც და ლევან რაზიკაშვილიც. მას შურდა მათი ვაჟკაცობის).

მიხას ცხედარი დუშეთში, მილიციის ეზოში დააგდეს და ყარაული დაუყენეს, რომ არავის მოეპარა და დაემარხა, რათა მაგალითი ყოფილიყო სხვებისთვის მიხას სასჯელი; აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

საფლავიც არ მეღირსება,
ძმებისგან განათხარია,
არც მიწა თავის სამშობლოს,
მკვდარს გულზე დასაყარია.
მარტო ყორნები მომივლენ,
ტანზე ემოსის შავია,
სვავებიც მოფრინდებიან,
მხრებმ მიაყოლოს ქარია...

პოეტის კიდევ ერთი ნათქვამი იქცა სულისშემძვრელ სინამდვილედ...

მიხას უფროსმა დამ, სალომემ, ხევსური მილიციელის – ტუჩა ქეთელაურის დახმარებით, რომელიც ადრე მიხას მეგობარი ყოფილა, მოიპარა ძმის სხეულის ნაშთები, ხურჯინში ჩაალაგა და ღამე აიტანა ჩარგალში, სადაც ეკლესიის ეზოში, დედის საფლავის თავთან დამარხა.

მიხას მკვლელებს სიცოცხლეშივე მიეზღოთ. ლევან გარსევანიშვილი მიხას მკვლელობიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა უშვილძიროდ და უსახელოდ. მისი სიკვდილის შესახებ სხვადასხვანაირად ყვებიან: ზოგი ამბობდა, მოწამლეს

და მოკვდაო, ზოგი კი ამტკიცებდა, მოურჩენელი ჭირი შეხვდა და ზეზეურად დალპაო. ხელაშვილის დის თქმით, მეორე მკვლელი – ლუკა მარცვალაშვილი შირაქში მოკლა გოგია ჭიჭოშვილმა. რაც შეეხება ვახტანგ რაზიკაშვილს, რომელიც მიხას მეგობარი და ბავშვის ნათლია იყო, მიხამ სიცოცხლეშივე დასდო ბრალი „მირონის ქოთანი გატეხეო.“ ვახტანგმა, მართლაც, ბოლომდე დაამსხვრია „მირონის ქოთანი,“ რადგან მიხას სიკვდილის შემდეგ მან ცოლად შეირთო მიხას ქვრივი და თავისი ნათლულის მამინაცვალი გახდა; მას დუდუნასთან ვაჟიშვილიც შეეძინა.

მიხა ხელაშვილის ცხოვრება გმირობის, ვაჟკაცობის, თავდადებისა და პატრიოტიზმის უბადლო მაგალითია და სასიხარულოა, რომ მისი სახელი, პოეტის სურვილისამებრ, ხალხში გავრცელდა და პატივისცემით იხსენიება:

ნეტავი, ჩემო სახელო,
დიდხანამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქვამო სიტყვაო,
შენამც კი გაჰქვეყნდებოდე...

მიხა ხელაშვილს არც დრო და არც შესაფერი განათლება ჰქონდა იმისათვის, რომ ლექსის ვერსიფიკაცია ზედმიწევნით აეთვისებინა. როცა მისი განსწავლის დრო უნდა ყოფილიყო, მაშინ ის იარაღით ხელში ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოდა, ხოლო 25 წლის ასაკში, როცა გენიოსებიც კი ამ დროს იწყებენ შედევრების შექმნას, მიხა ხელაშვილი, ტვინდათხეული, დუშეთის მილიციის წინ იხრწნებოდა დაუმარხავი.

მიხას ლექსებიდან მხოლოდ ისინია შემორჩენილი, რომლებიც 17 წლის ასაკიდან აქვს შექმნილი. უფრო ადრეული ლექსები მისი სახლის არაერთი დარბევისას განადგურდა. მან 19 წლის ასაკში დაწერა „ლექსო, ამოგთქომ“ – ეს კი საკმაოდ ახალგაზრდა ასაკია მსგავსი პოეტური ქმნილების შესაქმნელად. მიხას შემოქმედებითი ცხოვრება სულ რვა წელს მოიცავს. ამ დროში მან მოახერხა ორას სამოცამდე ლექსის დატოვება. ეს რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, მისი ყველა ლექსი რომ შემორჩენილიყო, მაგრამ რაც გადარჩა, მათ შორის საკმაოდ ბევრია ისეთი, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად რომ ჩაითვლება. მათი თემატიკა ღმერთი, სამშობლო, გმირობა, ბუნება და სიყვარულია.

მკვლევარ გიგი ხორნაულის თქმით: მიხა ხელაშვილს თავისი ნაწერები სალომესთვის (დისთვის) დაუტოვებია და უთქვამს „თუ ვინიცობაა მომკლეს, ეს ნაწერები ვანო ხორნაულს ჩააბარეო.“

ვანოს (გიგი ხორნაულის მამას) ეს ხელნაწერები შეუხვევია გასანთლულ ტილოში, შემდეგ ჩაუდია მილში და სახლთან ახლოს კლდეში დაუმალავს. სამწუხაროდ, ავტორსავით ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა მიხას შემოქმედების ბედიც – ზოგი მათგანი გახალხურდა და ასე შემორჩა დღევანდელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ.ხ.პ., 1978 – „ქართული ხალხური პოეზია,“ ტ. VI, თბილისი;
2. ქ.ხ.პ., 1980 – „ქართული ხალხური პოეზია,“ ტ. XII, თბილისი;
3. ხელაშვილი, 2013 – მიხა ხელაშვილი „სიტყვა ლექსებად ნაქარგი,“ (კრებულის შემდგენელი ვანო ბერიძიაშვილი, რედაქტორი ტრისტან მახაური), თბილისი;
4. ჰიპერბმული 1;
5. ჰიპერბმული 2.

ციცა ბარბაქაძე

ლიტერატურული ფრაქტალები და ფრაქტალური ლიტერატურა

> ჩუან-ძის დაესიზმრა, რომ იყო პეპელა და როდესაც გამოეღვიძა, ფილოსოფოსი დიდხანს ვერ მიხვდა, ვინ იყო – ჩუან-ძი, რომელსაც დაესიზმრა, რომ იყო პეპელა თუ პეპელა, რომელსაც დაესიზმრა, რომ იყო ჩუან-ძი.
>
> რაღაც მომენტში ცუი პენს უნდა ეთქვა: „განვმარტოვდები, რათა წიგნი დავწერო“, მეორე მომენტში კი: „განვმარტოვდები და ლაბირინთს ავაშენებ“. ყველამ ორი პროექტი წარმოიდგინა და არავის მოსვლია აზრად, რომ წიგნი და ლაბირინთი ერთი და იგივეა.
>
> **ბორხესი, „განშტოებულ ბილიკთა ბაღი“**

რა არის ფრაქტალი? რაკი ამ შემთხვევაში ფრაქტალს მეტაფორულად განვიხილავ ლიტერატურულ ტექსტებზე, შევეცდები, მრავალი განმარტებიდან შედარებით მარტივი და გასაგები ავარჩიო: ფრაქტალი არის უსასრულო „თვითმსგავსი“ გეომეტრიული ფიგურა, რომლის ფრაგმენტი (სიმრავლის ნაწილი) „იმეორებს“ სიმრავლის ფორმას უფრო მცირე მასშტაბით. ტერმინი **ფრაქტალი** ბენუა მანდელბროტმა შემოიღო. ფრაქტალის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია **მანდელბროტის სიმრავლე**, რომელსაც სახელი მკვლევრის პატივსაცემად ეწოდა. მანდელბროტი მათემატიკის ახალი მიმართულების – ფრაქტალური გეომეტრიის ფუძემდებელია.

ფრაქტალს აქვს დასაწყისი, მაგრამ ეს არის სტრუქტურა, რომელიც არასდროს სრულდება. ფრაქტალები წამოიქმნება უსასრულოდ. ამ პროცესს თვალსაჩინოდ დაინახავთ ამ ვიდეოში:

ფრაქტალის იდეასთან ახლოს არის სტივენ სპილბერგის ეს სიტყვებიც: „ადამიანებს დაავიწყდათ, როგორ მოჰყვნენ ამბებს. ამბავს არა აქვს დასასრული, არსებობს მხოლოდ დასაწყისი, რომელიც არასდროს სრულდება...“

ალბათ სწორედ ამის გამო გვხიბლავს დაუსრულებელი ამბები – ლიტერატურაში, კინოხელოვნებაში და საზოგადოდ, ხელოვნებაში; დაუსრულებლობა ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებას გულისხმობს. რაც უფრო დიდია ხელოვნების ნაწარმოები, მით უფრო დაუსრულებელია; რა სასრულადაც უნდა გამოიყურებოდეს „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტი, ის ერთი ნაწარმოებიც კი არ არის

მაშინ, როდესაც მას 100 მკითხველი კითხულობს, რადგან კითხვის პროცესი – ეს არის მაგიური სინერგია ტექსტისა და მკითხველის ცნობიერებისა, თითოეული მკითხველი კი ყოველთვის განსაკუთრებულია და უნიკალური.

ფრაქტალური გეომეტრია ჩვენი ცნობიერების სტრუქტურაა, სემიოტიკური მოდელი, რომელიც თანაბრად ვრცელდება როგორც ბუნების მოვლენებზე, ასევე კულტურასა და სოციალურ ცხოვრებაში; არსებობს ფრაქტალური არქიტექტურა, ფრაქტალური პროგრამები, ფრაქტალური ფილმები, ფრაქტალური ლიტერატურა და ლიტერატურული ფრაქტალებიც.

დეტალი, რომელიც კვლავწარმოებით ქმნის უნიკალურ და დაუსრულებელ სტრუქტურას.

მაგალითად, 70-იან წლებში 30-წლიანი კვლევის შედეგად ამერიკელმა მწერალმა და ჟურნალისტმა კრისტოფერ ბუკერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებობს 7 არქეტიპული სიუჟეტი, რომელთაგანაც შეიძლება ნებისმიერი ამბავი განავითარო. ეს სიუჟეტებია: ურჩხულზე გამარჯვება, ტრანსფორმაცია, თავგადასავალი, გასვლა და უკან დაბრუნება, ტრაგედია, კომედია, აღდგომა (აღორძინება).

წარმოიდგინეთ, რომ თითოეული სიუჟეტი ფრაქტალია და მისგან იწარმოება უამრავი ამბავი, რომელიც ამ სტრუქტურაში „ჩაჯდება“; რაღაც, რაც თითქოს სასრულია, განმეორებით ქმნის უსასრულობის ციკლს. ამ გაგებით, ენაც ფრაქტალური წარმონაქმნია, ერთი ანბანით (33 ასო-ბგერა) იწარმოება უამრავი სიტყვა, ფრაზა, წინადადება, ტექსტი. ცოცხალი ენა არის ტექსტის კვლავწარმოების ამოუწურავი წყარო.

ალიტერაციაც ფრაქტალურია, ფრაზათა გამეორებაც, სტრუქტურების გამეორებაც... ფრაქტალურობა უნივერსალური მოდელია, რომელიც შეიძლება ყველგან აღმოვაჩინოთ.

ფილოსოფოსისა და პეპლის ამბავი ფრაქტალურად ასეთი იქნებოდა: *ჩჟუან-ძის დაესიზმრა, რომ იყო პეპელა, რომელსაც დაესიზმრა, რომ იყო ფილოსოფოსი, რომელსაც დაესიზმრა, რომ იყო პეპელა, რომელსაც დაესიზმრა, რომ იყო ფილოსოფოსი, რომელსაც დაესიზმრა, რომ იყო პეპელა... და ასე შემდეგ, უსასრულოდ.*

ფრაქტალურობის საუკეთესო ნიმუშად ხალხური პოეზიიდან მახსენდება სიმღერა **„მოდი, ვნახოთ ვენახი“:**

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა;
მიველ, ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.
მგელმა – თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი;
მიველ, ვნახე ჟანგი, მიწამ ჭამა ჟანგი.

მიწამ – ჟანგი, ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ, ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა – მიწა, მიწამ – ჟანგი, ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ, ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ – თაგვი, თაგვმა – მიწა, მიწამ – ჟანგი, ჟანგმა – თოფი, თოფმა – მგელი, მგელმა – თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

ფაქტობრივად, ეს სიმღერა დაუსრულებელია, რადგან შეგვიძლია გავაგრძელოთ და ისევ თავიდან დავიწყოთ. ლექსიკური ფრაქტალურობა განსაკუთრებით დამახასიათებელია სიმღერებისა და საბავშვო პოეზიისთვის.

ფერდინანდ დე სოსიური, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ანალოგიის მოვლენები, აღნიშნავს: ანალოგია ფსიქოლოგიური რიგის მოვლენაა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ფონეტიკური მოვლენებისგან მის განსასხვავებლად, რადგან ეს უკანასკნელნიც შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ფსიქოლოგიურნი. საჭიროა, უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ, რომ ანალოგია გრამატიკული რიგის მოვლენაა.

სოსიურმა აღმოაჩინა აგრეთვე ლექსის წყობის განსაკუთრებული, ანაგრამული პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ „ყოველი პოეტური ტექსტის აგება დამოკიდებულია საკვანძო სიტყვის ბგერით შემადგენლობაზე. ტექსტის დანარჩენი სიტყვები შეირჩევა ისე, რომ მათში გარკვეული კანონზომიერებით განმეორდეს საკვანძო სიტყვის ბგერები“.

ანალოგიის კანონი, ანაგრამის თეორია – ფრაქტალურობის საფუძველია!

ფრაქტალურობა ლიტერატურაში ამგვარი მეტაფორით შეგვიძლია გავიაზროთ: წარმოიდგინეთ, რომ არსებობს ერთი წიგნი, რომლისგანაც ყველა სხვა წიგნი იბადება და გამომდინარეობს.

ფრაქტალურობა – ეს არის დერვიშების თავბრუდამხვევი ცეკვა.

ინტერტექსტუალობაც ფრაქტალურია, რადგან ხდება ერთი და იმავე აზრის, ზოგ შემთხვევაში – იდენტურად და ზოგჯერ – განსხვავებული ლექსიკით, ტრანსლირება სხვადასხვა მწერალთან. ეს პროცესი ზოგჯერ ცნობიერია, ზოგჯერ – სრულიად არაცნობიერი.

პროფ. გუჩა კვარაცხელიას საინტერესო ანალოგიები აქვს დაძებნილი პოეზიაში, მაგალითად, ასეთი:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ჩემთ მეგობართ“ არის ასეთი სტრიქონები:
„სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს“ (1841).

ისინი მოგვაგონებენ ა. პუშკინის ტაეპებს: „Смешон и ветренный старик, Смешон и юноша степенный“ (1817) (გ. კვარაცხელია, ტექსტურ გადაძახილთა მრავალფეროვნება, https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/03/Kvaracxelia-G._14Tomi_56-79gv..pdf).

ბორხესის წიგნში „განშტოებულ ბილიკთა ბაღი“ ყველა ფიქციაში ადამიანი ხვდება მრავალგვარ ალტერნატივას, რომელთაგან ერთს ირჩევს, სხვებს კი უკუაგდებს. ფაქტობრივად, გაუხსნელი ხლართის – ცუი პენის თხზულებაში პერსონაჟი ერთდროულად ყველა ალტერნატივას ირჩევს. ამით ის ქმნის „რამდენიმე მომავალს“, რამდენიმე დროს, რომლებიც თავად მრავლდებიან და გა-

ნიტოტებიან. პარალელური მომავლები, არჩევანთა ერთობლიობა – ფრაქტალური წარმონაქმნია. სუპერპოზიციაში ჩვენ ვფლობთ ყველა შესაძლო მომავლის სიმრავლეს. რეალურ ცხოვრებაში – ვირჩევთ ერთ გზას, მაგრამ ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წახვედით ყველა გზაზე, რომელიც არ აგირჩევიათ... და, იმავდროულად, სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ეს არა მხოლოდ რიზომატული და დაქსელილი სამყაროა, არამედ უამრავი სამყარო.

ახლა კი – დავალება მასწავლებლებისთვის: თუ თქვენს მოსწავლეებს სხვადასხვა ავტორთან (ამასთან, დროსა და სივრცეში დაშორებულებთან) აღმოაჩენინებთ მსგავს ფრაზებს, სიუჟეტებს, მეტაფორებს, სიმბოლოებს, პერსონაჟებს და ასე შემდეგ, დაეხმარებით მათ სამყაროს ერთიანი და მრავალფეროვანი სურათის გააზრებაში და, ამავე დროს, დაარწმუნებთ, რომ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია.

ᲛᲐᲛᲘᲐ ᲤᲐᲦᲐᲕᲐ
ᲗᲘᲜᲐ ᲨᲘᲠᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲠᲗᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲤᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲝᲣᲠᲘ „ᲥᲝᲚᲝᲪᲐᲡ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ შემუშავებულ და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში წარმოჩენილ იდეურ-ესთეტიკურსა და ზნეობრივ ტრადიციებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია შრომითი ტრადიცია. ძველ ბერძენთაგან „Georgia“-დ წოდებულ საქართველოში შრომისმოყვარეობა იმთავითვე უმაღლეს სათნოებად, ადამიანთა ზნეობრივი და ფიზიკური სრულყოფის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

შრომითი ტრადიციის ჩამოყალიბებაში განუზომელია ქრისტიანობის როლი, რაც სათანადოდ აისახა ქართული ფოლკლორის ყველა ჟანრში, განსაკუთრებით კი – სასულიერო ლირიკასა და შრომის პოეზიაში.

პავლე მოციქულის ცნობილი შეგონება „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (პავლე მოციქული, 1989: 1177) ძველთაგანვე ქართველი ხალხის ღირსსახსოვარი სენტენციაა, რომელიც ხალხურ ანდაზად ჩამოყალიბდა: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“. ამ დიდებული პარემიის ღრმა სოციალურმა შინაარსმა განაპირობა, რომ მისეული დევიზი ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა და იდეოლოგიისათვის მისაღები აღმოჩნდა.

ქრისტიანული კონცეფციიდან გამომდინარე, ქართველთათვის შრომა და შრომის ნაყოფი “სულიერ შესაწირად“ („უსისხლო მსხვერპლად“) მოიაზრებოდა, რაზედაც მეტყველებენ უძველეს ტაძართა წარწერები, ჰაგიოგრაფიული და საისტორიო თხზულებანი თუ სხვადასხვა ხასიათის სიგელ-გუჯრები (სირაძე, 2000: 26).

შრომითი ტრადიციების ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში უდიდესია ქართველ მეფეთა ღვაწლი, რასაც მაგალითის დანიშნულება ჰქონდა ხალხისათვის. როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, „...თვით მეფეებიც კი, როგორც მაგალითად დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, რომელთაც არც დრო, არც გარემოება ხელს არ უწყობდა, მაინც იმის ცდაში იყვნენ, რომ მათი ქველმოქმედების წყარო „მამულით“, „ხელოსანთაგან მორთმეულით“ ან სახელმწიფო საჭურჭლითაგან კი არ ყოფილიყო წარმომდინარე, არამედ – საკუთარის მარჯვენით შენაძენი; თვით საქართველოს დიდებული მეფე თამარიც თავის ხელსაქმეს ჰყიდდა და ამნაირად შეძენილ ფულს ღარიბ-ღატაკთა დახმარებას ანდომებდა“ (ჯავახიშვილი, 1956: 142).

შრომისადმი, სიბეჯითისადმი, მოვალეობისადმი ქართველთა გულისხმიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს მნათობთა კულტის ამსახველი უძველესი ქართული მითოსი მზისა და მთვარის დაბადებაზე და მათთვის ფუნქციების განაწილებაზე (კოტეტიშვილი, 1961: 382), რაც იმის დასტურია, რომ „სამყაროს შეცნობის ადრეულ საფეხურზევე ჩვენს წინაპრებს კარგად ჰქონიათ შეგნებული, რომ შრომისადმი კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის გამოჩენა, მათი სოციალურობა ყველაზე უკეთ ვლინდება შრომით საქმიანობაში და ეტაპობრივად ყალიბდება მოქალაქეობრივ ნორმებად“ (შიოშვილი, 2002: 295).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შრომის ღირებულებათა ყველა (ეკონომიკური, ზნეობრივი, ინტელექტუალური, ესთეტიკური) ასპექტია წარმოჩენილი და გაცხადებულია, რომ შრომა უმაღლესი სიკეთეა, ადამიანად ყოფნის აუცილებელი პირობაა.

საქართველოში, რელიეფის ნაირგვარობის შესაბამისად, შრომის მრავალი სახეობა ჩამოყალიბდა და, ამდენად, საუკუნეთა განმავლობაში, ხანგრძლივი ისტორიული ყოფისა და შრომის პროცესში შემუშავდა და განმტკიცდა მდიდარი შრომითი ტრადიციები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული სიფაქიზითა და დიდებულებით გამოირჩევა მევენახეობის არქაულ სახესთან დაკავშირებული რთვლობის („სთვლობის“) დღესასწაული, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ქართულ სავენახო ფოლკლორში, რომელიც ძირითადად კოლექტიური შესრულებისაა, უდიდესი სიყვარულით არის ასახული „შვილივით ნაზარდი“ ვაზის კულტი, მისი მოვლის ყველა ეტაპი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გამორჩეულია რთვლის (ყურძნის კრეფის) თემატიკის ლექს-სიმღერები, რომლებიც სრულდებოდა ყურძნის მოსავლის აღებისა და დაბინავების დროს, რაც გრანდიოზული სახალხო ზეიმი იყო ძველ საქართველოში. ცნობები ამ არქაულ ტრადიციულ დღესასწაულსა და მასთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებაზე დაცულია უძველეს წერილობით ძეგლებში, „ძველი აღთქმისა“ და „ახალი აღთქმის“ წიგნების ქართულ თარგმანებში და სხვა.

დავით აღმაშენებლის ძის – დემეტრე მეფის საგალობელში „ქება ღვთისმშობლისაი“ („შენ ხარ ვენახი“) „განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სიმბოლურ-ალეგორიული კავშირი საქართველოს მფარველ მარიამ ღვთისმშობელსა და ვაზს შორის...“ (ალიბეგაშვილი, 1992: 218).

ქართული ტრადიციული შრომითი დღესასწაული „რთვლის ჩამოლოცვა“ უდიდესი სიხარული იყო მშრომელებისათვის. ამ დროს ისინი ხარობდნენ შრომის ნაყოფით, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ გამრჯე ადამიანებს, ლოცავდნენ და მადლობას სწირავდნენ ნაყოფიერების ღვთაებებს. ამგვარი საწესო-რიტუალური დღესასწაულები, რომლებშიც საუკეთესოდ ჩანს ქართული ხასიათი, შრომისადმი დამოკიდებულება და მისი შედეგით კანონიერი სიამაყე, გარკვეული შრომითი აღზრდის სკოლებიც იყო; ამავე დროს, ვაზი, ვენახი გლეხის იმედიც იყო, მისი ჭირისა და ლხინის აუცილებელი ატრიბუტი; ამიტომაც უმღერის ვაზს უდიდესი სინაზითა და სიყვარულით ქართველი გლეხი:

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
მოვკვდები მე შენ ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი,
იმედით გასაჭირშია.
(ქ. ხ. პ., 1983: 137)

რთვლობას ქორწილები, ახალი ოჯახების შექმნა, ნათლობა და სხვა ტრადიციული წვეულებები მოჰყვებოდა და, ბუნებრივია, მშრომელი ადამიანისთვის ზოგადად მოსავლის აღება და მით უფრო ყურძნის კრეფა უდიდესი დღესასწაული იყო საქართველოს ყველა რეგიონში.

რთველისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ: რეცხავდნენ ქვევრებს, წნავდნენ გოდრებს, ეპატიჟებოდნენ ნათესავ-მოყვრებს, იწვევდნენ ნადს. ეს სამზადისიც და უშუალოდ ვენახის კრეფაც საზეიმო ელფერს ატარებდა; მხიარულობდნენ, მღეროდნენ; პირველ აჭრილ აკიდოს თუ ჩხას აუცილებლად ეკლესიაში წაიღებდნენ (არქაიკაში, ალბათ, ნაყოფიერების ღვთაებას შესწირავდნენ); იცოდნენ მსუქანი ბავშვის ვენახში გადაგორება, რასაც პროფილაქტიკურ-მაგიური დანიშნულება ჰქონდა. მოსავლის აღების დასასრულს კი იშლებოდა სუფრა უშუალოდ ვენახში; დალოცავდნენ ამ წლის მოსავალსა და მომავალ წელს უკეთესს ისურვებდნენ. სიდამონ ერისთავის მიერ კახეთში, სოფელ ველისციხეში, ჩაწერილი ლექს-სიმღერა, რომელიც კახეთში ბოლო დრომდე მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული, სართვლო ლხინში ნაშრომით გახარებული გულსავსე გლეხის ამონამღერია:

დამდეგ ენკენისთვისასა
ვენახში გორავს კალათა;
დაუთრობელი არ წავალ,
თუგინდ გამაგდო ძალათა!
(ქ. ხ. პ., 1983: 139)

ერთ კახურ ლექსში „...რთველი გაჩაღდა სოფელში...“ მშვენივრად არის გადმოცემული სართვლო სამზადისი, უშუალოდ მოსავლის აღების სიხარული, ნადის მოწვევის ტრადიცია და ლხინი:

რთველი გაჩაღდა სოფელში,
ყველამ გარეცხა ქვევრიო,
ყურძენი ღვივის საამოდ,
ყურძენი ქარვისფერიო...
დღე და ღამ ლხინი არ წყდება,
ყველა ზეიმობს, ლხინობსო.
მომეხმარენით, ბიჭებო,
თორემ დაკრეფა გვიჭირსო!
რთველში ბევრ ხალხს ვარ ჩვეული,
ცოტასთან ყოფნა მიჭირსო...
დღე და ღამ ლხინი არ წყდება,
ყველა ზეიმობს, ლხინობსო.
მომეხმარენით, ბიჭებო,
გასმევთ მაჭარს და ღვინოსო!
(ქ. ხ. პ., 1983: 143-144)

რთველში აუცილებლად იკვლებოდა შესაწირავი – ძირითადად მამალი თხა (მოგვიანებით, ზოგჯერ კლავდნენ ცხვარსაც), რომელიც ნაყოფიერების ღვთაების ზოომორფული სახეა; მას ვენახში დაკლავდა მამაკაცი (აბაკელია, 1987: 51, 54)).

რთველში თხის, როგორც საკრალური ცხოველის, დაკვლა დიონისურ დღესასწაულებთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც მკვლევარი ნინო აბაკელია მიუთითებს, ვენახი იგივე საკრალური ბაღია, რომელიც დიონისეს უკავშირდება, ხოლო ყურძნის დაწურვა, დაჭყლეტა, დანაწევრება დიონისურ „ვნებად“, ანუ საკრალური ლიბაციის სახეობად, არის მიჩნეული (აბაკელია, 1997: 54).

აღსანიშნავია ისიც, რომ დიონისე სხვადასხვა ცხოველის სახეს იღებს და მათგან ერთ-ერთია თხა (ვაცი); ლეგენდის თანახმად, დიონისოს პირველად თხა შესწირა ათენელმა იკაროსმა, რადგანაც დიონისომ გაანდო იკაროსს მევენახეობა-მეღვინეობის საიდუმლოება; შეწირული თხა თვით დიონისეს განასახიერებდა. ყოველივე ამან კი საფუძველი დაუდო დიონისურ დღესასწაულებს, რომელთა დროსაც მთავარი ადგილი უკავია სიმღერებსა და ცეკვებს (ფერხულებს). თხა (ციკანი), რომელიც ახალგაზრდა ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოა, ყურძნის მოსავლის აღებისას (რთველში) ყოველწლიურად იკვლებოდა, „მსხვერპლი იწირებოდა ბუნების სიკვდილ-აღორძინების საკულტო სიმბოლიზაციის საჩვენებლად, რომელსაც რთველში ჰქონდა ადგილი“ (აბაკელია, 1997: 55).

საყურადღებოა, რომ რთველში დაკლულ თხის ტყავსა და ძვლებს უფრთხილდებოდნენ, არ გადაყრიდნენ; ეს ჩვეულება წარმართული ეპოქის კოლხური დარგობრივი ღვთაებების – მესეფეების კულტს უკავშირდება: მესეფეები, რომლებსაც ამინდის მართვა-გამგეობისა და ჭირნახულის სიუხვის ფუნქცია მიეწერებათ, ხალხის რწმენით, კარგი მონადირეებიც არიან; ისინი მათ მიერ მოკლული და შეჭმული ნადირისა თუ შინაური პირუტყვის ძვლებს აგროვებენ და ისევ აცოცხლებენ, რათა შემდგომში კვლავ განაახლონ მათზე ნადირობა (თანდილავა, 1996: 128; შიოშვილი, 1987: 122).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, სრულიად მართებულად მიგვაჩნია მკვლევარ ნინო აბაკელიას დასკვნა რთვლის დროს ვენახში თხის დაკვლის არქაულქართული ტრადიციის თაობაზე: „...შესაძლოა, ვენახში ადგილი ჰქონდა იმგვარ ქმედებას, რომლის დროსაც მოსთუელნი ეზიარებოდნენ ტოტალურ ეპიფანიას მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგენადი ღვთაებებისას, რომლის ზოომორფულ ემბლემას – თხა, ხოლო მცენარეულს – ვაზი წარმოადგენდა“ (აბაკელია, 1997: 55).

საქართველოს ისტორიულ კუთხეში – ტაოში, რომელიც მე-16 საუკუნიდან დღემდე, სამწუხაროდ, ჯერ ოსმალეთის, ახლა კი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ბოლო დრომდეა შემონახული ყურძნის კრეფის დღესასწაული „ქოღოცა“ („ქოღოცა“ ოქტომბრის თვის სახელწოდებაა სომხურ ენაზე,“ქოღოცას“ დღესასწაული კი იგივე რთვლობასთან, მოსავლის აღებასთან არის დაკავშირებული).

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ წითლევკარში (და სხვა ქართულენოვან სოფლებში) ყურძნის მოსავლის აღება ბოლო დრომდე სახალხო დღესასწაულია: ყურძენს კრეფენ, საღ მტევნებს ბაწარზე ასხამენ და ისე ინახავენ, დანარჩენს წურავენ, ადუღებენ ტკბილ წვენს („ბექმეზს“), კლავენ პირუტყვს, ამზადებენ სხვადასხვა კერძებს, ცეკვავენ ფერხულს, მხიარულობენ, მღერიან, რაც ძველი ქართული ტრადიციული რთვლობის („სთვლობის“), იგივე ყურძნის კრეფის და ზოგადად მოსავლის აღების დღესასწაულის ისტორიული მეხსიერების გამოვლინებაა; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მას სომხური სახელწოდებით მოიხსენიებენ. აღსანიშნავია, რომ ნაირგვარრელიეფიანი ტაოს ქართულენოვანმა მოსახლეობამ, ბუნებრივია, თავის დროზე ჯერ წარმართული ღვთაებებისადმი მიძღვნილი, ხოლო შემდეგ იესო ქრისტეს სახელით შექმნილი სხვა მრავალი შრომითი ტრადიცია (ნადები, თესვასა და მოსავლის აღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დღესასწაულები) ვეღარ შემოინახა, რასაც, რელიგიურ ფაქტორთან ერთად, ხელი შეუწყო ურბანიზაციის პროცესმა და მშობლიური ქართული ენის მილევადმა რეჟიმმა.

1917 წლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პარხლის ქვემოთ მდებარე ქართულ სოფლებში დაფიქსირა წარმართობისდროინდელი შრომის დღესასწაული, კერძოდ – რთვლის დადგომასთან დაკავშირებული მაგიური სახალხო კარნავალი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა მიიჩნია „აგუნას“ რიტუალის გამოვლინებად: „ძველი, წარმართული კულტის გადმონაშთს წარმოადგენს რთველის დღესასწაული: ტანგახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ მდებარე სოფლებშიღა შემორჩენილა, თვით პარხალში კი მოლები უკრძა-

ლავენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ“ (თაყაიშვილი, 2016: 394;).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ტაოს ქართულენოვან სოფლებში მოწყობილი ექსპედიციების დროსაც დადასტურდა, რომ ტაოელ ქართველთა შორის ბოლო დრომდე შემორჩა ყურძნის კრეფის დღესასწაული (ტაო, 2020: 1062; ფაღავა, 2021: 295). როგორც ექვთიმე თაყაიშვილისეული ცნობით, ასევე ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის პროფესორის – მამია ფაღავას მიერ სოფელ წითლევკარში ზულფიქარ თურგუთისაგან 2017 წელს ჩაწერილი ნარატივის თანახმად, „ქოღოცას“ დღესასწაულს აუცილებლად ახლავს ფერხული, რაც თავისთავად არქაულ საფერხულო სიმღერათა შესრულებასაც გულისხმობს.

ქართული ტრადიციის თანახმად, ფერხულის ცეკვა და საფერხულო სიმღერების შესრულება პროფილაქტიკურ-პროდუქტიული მაგიის გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რადგანაც, ხალხის რწმენით, მისი შესრულება გავლენას ახდენდა მოსავლიანობის სიუხვეზე. ამ ჩვეულებაზე მიანიშნებს არქაული საფერხულო მითოპოეზიის არაერთი ნიმუში (ქ. ხ. პ., 1972: 358-360). ფერხულებში შესასრულებელი რიტუალური ტექსტების ერთ-ერთი გუდამაყრული ვარიანტი, რომელიც პროფესორმა ელენე ვირსალაძემ ჩაიწერა 1950 წელს, ბოლო დრომდე ორპირული შესრულებისაა, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს:

წმინდა გიორგის კარზედა
ხე ალვან ამოსულიყო,
თავში დაესხა ყურძენი,
საჭმელად ჩამოსულიყო,
იმის უჭმელი ქალ-რძალი
უდროოდ ჩამოშლილიყო.
(ქ. ხ. პ., 1972: 359)

როგორც ჩამწერი მიუთითებს, ეს რიტუალური საფერხულო სიმღერა შემდეგნაირად სრულდება: „ფერჴისაში შეკრული მომღერალთა წრე პირობითად ორი გუნდისაგან, ორი ნახევრისაგან, შედგება. თითოეულ ნახევარწრეს თავისი დამწყები ჰყავს, რომელსაც გუნდი მიჰყვება...“ (ქ. ხ. პ., 1972: 359). მსგავსი ვარიანტები გასულ საუკუნეში დაფიქსირებულია ფშავშიც და თუშეთშიც, რომელთა თანახმადაც, ყურძნის უჭმელი ქალ-ვაჟი „უდროოდ დაშაულიყო“, რაც აშკარად მიუთითებს არქაულ რწმენა-წარმოდგენაზე, რომელთა თანახმადაც ყურძნის „ხმევას“, მასთან ზიარებას არქაიკაში სასიცოცხლო ფუნქცია ენიჭებოდა. სწორედ ეს ფუნქცია შემდგომმა რელიგიურმა კონფესიამ – ქრისტიანობამ ზიარების რიტუალში გამოიყენა, ვითარცა მაცხოვრის სისხლთან ზიარება.

უფრო არქაული ელფერის მქონე ვარიანტებში წმინდა გიორგის ნაცვლად მოიხსენიება „ბატონი“ („ჩვენი ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო“), რაც იმის დასტურია, რომ წარმართული ეპოქის ღვთაებები ქრისტიანულმა წმინდანებმა ჩაანაცვლეს.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, ტაოში, პარხლის ქვემოთ მდებარე სოფლებში, შემორჩენილი რთვლის დღესასწაულის დროს ვაჟები შიშვლდებოდნენ, ყურძნის მტევნებს აისხამდნენ და ისე ცეკვავდნენ ფერხულს. ეს, ბუნებრივია, შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მოსავლის აღებისას (მკაში და რთველში) აგრარულ მაგიასთან დაკავშირებული ეროტიული ხასიათის ლექს-სიმღერების შესრულების ტრადიციას ჩვენამდე მოღწეული ფოლკლორული ტექსტებიც ადასტურებს; ამასთან, საწესჩვეულებო და, ამ შემთხვევაში შრომის, ანუ მოსავლის აღებასთან დაკავშირებული, პოეზიის

ორგიასტულ-მაგიურ საწყისებს ყველა უძველესი კულტურის მქონე ხალხში ჰქონდა ადგილი და, ბუნებრივია, არც საქართველო იქნებოდა გამონაკლისი. ამ თვალსაზრისით რთვლის, დამწიფებული ყურძნის მოსავლის აღების, სადღესასწაულო რიტუალის კავშირი დიონისურ დღესასწაულთან თუ დამოუკიდებელი, ქართულ-კავკასიურ აგრარულ-მაგიურ რწმენაზე აღმოცენებული „სთვლის“ დღესასწაულის ეროტიული ხასიათი, მიძღვნილი ნაყოფიერების, სიუხვის, მოსავლიანობის არქაული დარგობრივი ღვთაებებისადმი, სრულიად კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო ძველ საქართველოში. სართვლო ფერხულში შიშველი ჭაბუკების ცეკვის ტაოური ტრადიციაც, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა დააფიქსირა 1917 წელს, სწორედ ამ რწმენა-წარმოდგენების გამოძახილია. ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის მეცნიერებმა ეს არქაული მაგიური დეტალი და მასთან დაკავშირებული რაიმე ნარატივი, სამწუხაროდ, ვერ დავამოწმეთ, რადგანაც, როგორც სხვა შრომითი დღესასწაულები, რთვლობის („ქოღოცას“) ტრადიციაც ბოლო ხანებში დესაკრალიზებულია. ამდენად, ე. თაყაიშვილის ამ ცნობას განსაკუთრებული ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭება. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ბოლო დრომდე საწნახელში შიშველი ფეხებით ჩამდგარი, ერთმანეთის მხრებზე ხელებგადაჭდობილი ჭაბუკების მიერ ყურძნის დაწურვისა და სიმღერის ჩვეულება, რაც ფერხულის ერთგვარი იმიტაციაა, შესაძლებელია, სწორედაც არქაული რიტუალური ფერხულის გამოძახილი იყოს.

ტაოურ „ქოღოცას“ დღესასწაულზე, როგორც წითლევკარელები მოგვითხრობენ, შესაწირავ პირუტყვსაც კლავენ („პირტყვები (აქ: წვრილფეხა საქონელი – ავტ.) ვჰკლავთა“), თუმცა ეს შესაწირავი რომ მაინცდამაინც მამალი თხა უნდა იყოს, არ ადასტურებენ; ქართული ტრადიციების თანახმად, თხა მრავალი რიტუალის მონაწილეა და მათ შორის – მოსავლის, ჭირნახულის აღების შრომითი დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტი, როგორც მოსავლიანობის დარგობრივი ღვთაების ერთ-ერთი ზოომორფული სიმბოლო. საყურადღებოა, რომ რთვლის ტრადიციული ქართული შრომითი დღესასწაული ბოლო ხანებში თვით საქართველოშიც დესაკრალიზმებულია და რა გასაკვირია, რომ საუკუნეთა განმავლობაში თურქულ გარემოცვაში მცხოვრებმა და მუსლიმური ტრადიციების მსახურების ერთგულმა ტაოელებმა წარმართული მაგიური რიტუალების მრავალი კომპონენტი მიივიწყეს; სამწუხაროდ როგორც აღვნიშნეთ, თვით დღესასწაულსაც სომხური სახელით („ქოღოცა“) მოიხსენიებენ, თუმცა ტერმინი რთველი („თველი“) მათ მეტყველებაში დღემდეა შემონახული, ოღონდაც არა კონკრეტულად მხოლოდ ყურძნის მოსავლის აღების სახელწოდებად, არამედ – ზოგადად მოსავლის, ყოველგვარი ჭირნახულის აღების დროდ. 2018 წელს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიშნარხევში 63 წლის ქალბატონის – ნაჯიე გიულისაგან ჩაწერილ ერთ სატრფიალო ლექს-სიმღერაში ნათქვამია:

რა მალე თველი მოვდა,
ვერ მევტანე ნეკერი...
(ტაო, 2020: 909)

ახალ კულტურულ გარემოში ტაოელ ქართველთა შორის შემორჩენილმა „ქოღოცას“ დღესასწაულმა შინაარსი იცვალა, კიდევ უფრო გაღარიბდა, ვიდრე ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობისას (1917 წ.) გამოიყურებოდა; როგორც ჩანს, რელიგიური აღმსარებლობის ცვლილებამ ღვინისა და მარნის ძველქართულ დღესასწაულს დააკარგვინა არქაული, საკრალური გაგება, რაც ტრადიციულად დიონისურ დღესასწაულებს, მომაკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ წარმართულ ღვთაებებს, უკავშირდებოდა; სახელი კი („ქოღოცა“), რომელიც სომხურ ენაში ოქტომბრის თვის აღმნიშვნელია და კალენდარულად თანხვდება მოსავლის აღება-დაბინავებას („სთველს“), ტაოში ძველთაგან მობინადრე სომხებისაგან უნდა იყოს შეთვისებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პავლე მოციქული, 1989 – პავლე მოციქული, „პირველი თესალონიკელთა მიმართ“, – „ბიბლია“, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი;

2. აბაკელია, 1997 – ნინო აბაკელია, „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში“, თბილისი;

3. ალიბეგაშვილი, 1992 – გიორგი ალიბეგაშვილი, „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, თბილისი;

4. თანდილავა, 1996 – ზურაბ თანდილავა, „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“, ბათუმი;

5. თაყაიშვილი, 2016 – ექვთიმე თაყაიშვილი, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. – ე. თაყაიშვილი, „თხზულებანი“, ტ. I, თბილისი;

6. კოტეტიშვილი, 1961 – ვახტანგ კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“, თბილისი;

7. სირაძე, 2000 – რევაზ სირაძე, „ქართული კულტურის ქრისტიანული საფუძვლები (ძირითადი პრობლემები)“. – „ქართული კულტურის საფუძვლები“, თბილისი;

8. ტაო, 2020 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე, „ტაო“,თბილისი;

9. ფაღავა, 2021 – მამია ფაღავა, „ტაოური ჩანაწერები“. თბილისი;

10. ქ. ხ. პ., 1972 – ქართული ხალხური პოეზია, I, თბილისი;

11. ქ. ხ. პ., 1983 – ქართული ხალხური პოეზია, X, თბილისი;

12. შიოშვილი, 1987 – თინა შიოშვილი, „თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა“, ბათუმი;

13. შიოშვილი, 2002 – თინა შიოშვილი, „შრომის ზნეობრივი ასპექტი“. – „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, ტ. I, ბათუმი;

14. ჯავახიშვილი, 1956 – ივანე ჯავახიშვილი, „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“. – „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, თბილისი.



ნატო ბერძენიშვილი

„თევზის ფირილი“ – ადამიანად ყოფნის სევდა

„პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ დიდი ტვირთიც არისო“ – წერდა ილია ჭავჭავაძე. აი, ამ მადლით, ნიჭითა და ტვირთით დაჯილდოებულია ქალთამზე ანა სურმანიძე.

„მზერწყულის“ დაბადებას კარგა ხანია ველოდებოდით პოეზიის სიყვარულით შეპყრობილი ადამიანები. საოცარია განცდა, რომელიც ამ „ახალშობილის ხელში აყვანამ“ და ანას პოეტურ სამყაროში ჩაძირვამ შეიძლება მოუტანოს მკითხველს.

ისეთი მძაფრი და შთამბეჭდავია მოგზაურობა „მგზავრის“ კვალდაკვალ, სად არ გაგაქროლებს, სად არ გადაგჩეხს, ხან რეალურსა და ხანაც ირეალურ სამყაროში გამოგზაურებს. ავტორის ფიქრების დრო-სივრცითობა უსაზღვროა, ამ ქრონოტოპში მოგზაურობა მას ერთი ჯადოსნური მოქმედებით შეუძლია: „მერე ვხუჭავდი თვალებს ძლიერ, იმდენად ძლიერ, რომ ტკივილისგან ვარსკვლავები თვალებში მენთო“, ან „ჰამაკში ვწევარ... ვისვენებ და შევცქერი ზეცას... ღმერთო! ზეცაში ფილმად ვნახე ჩემი წარსული“...

არა მხოლოდ წარსულის მძაფრი განცდები და განცდილში კვლავ, რაღაც ჯადოსნური ძალით მოგზაურობა, არამედ ამ მეტაფიზიკურ ქრონოტოპში ასახულია მოვლენების ავტორისეული ხედვა, ხედვა მომავლისა... ეს ის ლექსია, რომლიდანაც იღვრება გემო, იფრქვევა სუნი, კაშკაშებს ფერი... ასეთი მძაფრი შეგრძნებები, განცდები გეუფლება, როდესაც კითხულობ სტრიქონებს:

„შენს თითებს, შვილო, ჟოლოს გემო ექნება, ალბათ...
პაწია ტუჩებს, ლოყებს, სახეს – სუნი ვანილის,
დასაბამიდან შენს არსებას ფიქრებში ვლამბავ,
ფიქრის ძაფები ამოვავლე თაფლში და დალბა...
შენ ხარ ვარსკვლავი, ჩემი ციდან ამოყვანილი“...

ეს ის პოეზიაა, სადაც პოეტი ცდილობს შეაღწიოს პოეზიის იდუმალ სამყაროში, ცხადად წარმოგვიჩინოს ლექსის დაბადების პროცესი, რომელზეც ილია წერდა: „პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელიო“. ბესიკ ხარანაული კი წერს: „ლექსები გულის მარაოა, რომლითაც ცეცხლს ვინელებთ და დარდებს გადავიყრით“. ავტორის „გულის მალამოები“ კი ასე იბადებიან:

„დალოცა და გამოცალა
ღმერთმა პირმშოს ფიალა
და ფეხმძიმე პოეზიამ
ლექსი იმშობიარა“.

გიყვარდეს, ნიშნავს სიკვდილისათვის იყო მზად. უნდა გიყვარდეს ყველაფერი, რადგან ამქვეყნად მოსვლის ერთადერთი, მარადიული მისიაა სიყვარული. მზით მორწყულ სამყაროზეა გამიჯნურებული მგოსანი. ყურადსაღები და გულთან მისატანია ის ტკივილი, რომელიც ხშირად ეუფლება სამშობლოს ავბედითი ყოფით შეპყრობილს, თუმცა, როგორც ზვიად რატიანი ამბობს: „ეს ქვეყანა ხშირად გვაძლევს შესაძლებლობას გიყვარდეს იგი, იშვიათად – კიდეც სარგებლობ“.

საქართველოს ისტორიული წარსულის გახსენებით („ბანა“), ქართული ენის სიყვარულით („ენა ქართულო“), აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილის წარმოჩენით („შარბათსიზმარი“), ავტორი გვაძლევს საშუალებას კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ ზემოთ ხსენებული მისიის აუცილებლობაში:

„ქართული სუნი სდიოდა ყველას,
აფხაზურ სახლებს, მზეს და ბალახებს...
ღმერთო, მაღალო, შარბათსიზმარი
ოღონდაც, ცხადში კვლას დამანახე!“

ამ ლექსების კითხვისას მკითხველი გვერდს ვერ აუვლის მარადიული მონატრების (ნეტავი, ამაღამ როგორა ხარ, გული თუ უჩემობას დანებდა?); მარადიული ზრუნვისა (ო, ღმერთებს, დაგიცვან – უთხარი) და მარადიული ლოდინის (ჩემეულ საზღაპრეთს ვუბრუნდები, იმ ზღაპრებს ერთი შევრჩი გოგოღა...) შერწყმა. ეს არის სამყაროს მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშეც ამ სამყაროში გადარჩენა, „თვალში გაჩხერილი ბეწვისა და დირეს ამოცლა“, სიმშვიდისა და ბედნიერების ჭარბი ემოციური წვდომა, მხოლოდ ერთმანეთისთვის „თვალში ყურებას შეუძლია“:

„გადავარჩინოთ ერთმანეთი...
მიყურე თვალში,
ამომაცალე გაჩხერილი ბეწვი ან დირე,
რაც უნდა ზეცამ იხვართქალოს –
ქოლგას ნუ გაშლი,
გადამაფარე გამჭვირვალე გულის მანდილი“...

სითბო, უანგარო სიყვარული, იღვრება მშობლებისადმი მიძღვნილ ლექსებში. ეს ის ლექსებია, რომლებსაც სულის შეკუმშვამდე მოაქვთ ტკივილის, მონატრების, მშობლიურთან საოცარი ჩაჭიდებისა და შენივთების განწყობა:

„მე ახლა ვფიქრობ, რამ შემატა ჩემს თმებს მზის სითბო,
მზის ელვარება,
მზის ნავარდი დალალებს შორის?
და გამახსენდა,
მთელი ბავშვობა, ჩემს თმას შენი თითები წნავდა“...

დაბოლოს, თქვენ გინახავთ თევზის ტირილი გაბმული გვალვებისას?!

კრებულში წარმოჩენილია სამყარო, რომელშიც ადამიანის ამ ქვეყნად მოვლინების, ადამიანად ყოფნაზე ფიქრისა და სამყაროს, როგორც უსიერ ტევრად წარმოსახვის შესაძლებლობა გაქვს. ადამიანები თევზები – გაბმული გვალვებისას (სამყაროში შექმნილი წინაღობებისა), ატირებულები და დაბნეულები; ადამიანები მწვერვალები – რძის (იმედის) გაშრობით ტყეგაჩეჩილები; ადამიანები მდინარეები – ფსკერზე ყვავილებამოწვერილები (სიცოცხლის სიყვარული), იმედს არ კარგავენ. ამ სამყაროში ცხოვრებაც ხომ ამ იმედის ძიებაა, რომელიც უფალს გვაპოვნინებს, ამოიყვანს „ჭიდან მზეს“ და „ააქროლებს ქარებს“, მიგვაახლოებს უფალს, რომელიც შორს გვგონია და თურმე რა ახლოს გვყავს:

„ღმერთო, რა ახლოს მყოლიხარ,
მეგონა შორზე, შორ იყავ.....
...თურმე, რა ახლოს ყოფილხარ,
თურმე, რა ჩემთან ყოფილხარ,
თურმე, რა ჩემში ყოფილხარ“...

ქალთამზე ანა სურმანიძის პოეზიაში საინტერესო იქნება ლექსის ტიპების კვლევა, ვინაიდან კრებულში ტრადიციულ-კონვენციურ ლექსებთან ერთად გვხვდება: ვერლიბრი, თეთრი ლექსი, ჰაიკუ, ტანკა, რობაი... მინიმალისტური პოეზიის საოცარი ნიმუშები.

ლექსის ტიპებთან ერთად, ლექსის ვიზუალზე დაკვირვებაც გვაჩვენებს, რომ ავტორს მხოლოდ შინაარსზე კი არ აქვს აქცენტი გადატანილი, არამედ თვალსაზრისაცემია კომპოზიციურ აგებაში გამოყენებული დეტალები, ფორმობრივი მახასიათებლები. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ლექსი „ჯონათან“:

„თვალები. მზე. წყალი. ტირიფი.
ტალღები. სილურჯე. კვალი.
თოლია.
ფიქრები.
საზღვრები.
გაფრენა.
გარღვევა.
ხვალე.
მორჩილნი. ჯგუფები. საკვები.
თევზები. ბრბო. ბნელი. სონატა.
ძიება.
შეცნობა.
ამბოხი.
იფრინე.
იფრინე.
ჯონათან!“

ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ და სხვა მიმართულებით ქალთამზე ანა სურმანიძის პოეზიაზე დაკვირვება.

ჰერმან შრაიბერი

მარტო ცხოვრების საფრთხეებსა და შანსებზე

(ჰერმან შრაიბერის ინტერვიუ მწერალ პეტერ ჰანდკესთან)

– მარტოობა ცენტრალური თემაა მრავალ და არამარტო თქვენს ერთ წიგნში, ბატონო ჰანდკე. „მსოფლიოს წონა“ ამ თემას ეხება და „ცაცია ქალიც“ ხომ სწორედ ამაზეა. რატომ არის მწერალი პეტერ ჰანდკე მარტოობის თემით ასე დაინტერესებული?

– რადგან ეს ცხადი გახდა, რადგან ეს ეგზისტენციის შუაგულია.

– არსებობის შუაგული?

– ამაში ახლა ფილოსოფიურს არ ვგულისხმობ, არამედ – სათხრობს. მომხდართა მსვლელობაში იქამდე მივედი, რის გარეშეც ეს ჩემი მიზანი იქნებოდა, რის გარეშეც ჩემთვის ეს რელიგია ან ფილოსოფია იქნებოდა. და ახლა არის ეს ის, რაც სინამდვილის გაძლიერებულ ფორმას ნიშნავს.

– ასე აღმოჩნდა თუ, მარტო რატომ ცხოვრობთ?

– არსებობს ერთი არსებითი მიდრეკილება. ყოველ ცოცხალ არსებას აქვს არსებობის კულმინაცია, როცა ის ვერ ეთანხმება საზოგადო ანთროპოლოგიას. ეს დისპოზიცია და ერთი გარეგნული საბაბი თანხვდებიან და მარტო ცხოვრება განისაზღვრება.

– ფიქრობთ რომ მარტოობისადმი კეთილგანწყობილნი უნდა ვიყოთ?



პეტერ ჰანდკე

– დიახ, არსებობს თავიდან ერთგვარი დისჰარმონია, „მე“-სა და თანამეგობრობის სამყაროთა შორის, ერთი ონტოლოგიური ბზარი ზოგიერთ ფიგურასა და ისტორიას შორის.

– შეიძლება ონტოლოგიური ბზარი ადამიანთა ისტორიის დარღვეულ კავშირად თარგმნო?

– არა მარტო კაცობრიობის ისტორია, თანაცხოვრების დეკრეტი ბრძანებაა ჰარმონიის, ეს ისტორიითაც ასეა ფორმულირებული.

– ეს ბრძანება, თუ ამას გულისხმობთ, სწორედაც რომ ძველია, ბიბლიაშიც ასეა: „და თქვა უფალმა ღმერთმა, არ არის კარგი, რომ ადამიანი მარტოა...“ ამას გულისხმობთ?

– დიახ.

– და დარღვეული კავშირიც ამ დეკრეტთან უნდა არსებობდეს, თუ ადამიანებს მარტო ცხოვრება ურჩევნიათ?

– მწამს, არ შეიძლება, მარტო ცხოვრება გადაწყვიტო. რაღაც სახის კატასტროფა უნდა შეგემთხვას, რაღაც უნდა აფეთქდეს წინასწარ დადგენილ ბიოგრაფიაში. ეს იძულებითი გადახვევაა ნაოცნებარი ცხოვრებიდან.

– თავის არიდება როდემდე?

– ეს ძალიან ადრე იყო, ყოველ შემთხვევაში ჩემთან, ერთი სახის მტკიცე რწმენა, რომ მომავალში, როგორც ზრდასრულს, ადამიანებთან ერთობა მექნებოდა: ბავშვობის იზოლაცია შეწყდებოდა, ერთი ქალი გამოჩნდებოდა...

– ქალიც ხომ მოგეცათ?

– მაშინ არსებობდა ქალი, ანდა – ქალები, მაგრამ, რაც ბავშვობაში განკურნების იდეად ჩანდა, ილუზია აღმოჩნდა. არსებობდა ერთი გარკვეული პერიოდი მოწიფულობის, როცა ვფიქრობდი: ახლა იმას მივაღწიე, რაც მისაღწევად მეჩვენებოდა და, იქ იწყებოდა ობიექტური კატასტროფა.

– რას ეძახით თქვენ ობიექტურ კატასტროფას?

– ილუზიაა, გჯეროდეს, ეს ეხება ადამიანს, რომელსაც ამ ბზარის ამოვსება შეუძლია. ეს ხდება ყოველთვის მხოლოდ უცაბედად.

– აქ თქვენ ობიექტური კატასტროფიდან საუბრობთ: რატომ გწამთ, რომ თანდათან მეტი ადამიანი დარჩება მარტო?

– რადგან ეს ასეა. ვაღიარებ, რომ ძალიან ბევრისთვის ეს მყუდროების სიყვარულიდან მოდის, გატაცების ნაკლებობიდანაც, მაგრამ უმცირესობისთვის ნამდვილად ონტოლოგიური უთანხმოებიდან და, გარდა ამისა, საშიშია, თუ იტყვიან: თანდათან მეტი ადამიანი იცხოვრებს მარტო. თითქოს ახლა სხვა იდეალია ნაპოვნი! მარტო ცხოვრება, როგორც იდეოლოგია, არაფრამდე არ მიგვიყვანს. თუ ამას გაუწევენ პროპაგანდას, ეს მხოლოდ თვითრეკლამირება იქნება. ეს არ გადაითარგმნება, რადგან ძალიან გადამდებია.

– ამას თქვენ პროპაგანდად მიიჩნევთ, როცა მარტო ცხოვრებას „ახალი თავისუფლება“ ჰქვია, როგორც ჩვენ ეს „შპიგელის“ ქვესათაურში გავაკეთეთ?

– იქ სამივე სიტყვა მცდარია: „Die-ც“, „Neue-ც“ და „Freiheit-იც“.

– რატომ გგონიათ, რომ „თავისუფლება“ მცდარი იქნება?

– რადგან ეს აქტიური თავისუფლება არ არის, რადგან ამას გამბედაობასთან არაფერი ესაქმება, რადგან ეს ტვირთის არიდებას უფრო ჰგავს. მე მხოლოდ ერთი სახის თავისუფლება ვიგრძენი, რომ ვინმეს წინაშე პასუხისმგებელი ვარ, ამიტომაც ვარ მარტოობის იდეოლოგიისადმი ასე სკეპტიკურად განწყობილიც. მე რომ ბავშვი არ მყოლოდა, არ ვიცი, შევძლებდი თუ არა მარტოობაში მოწყობას.

– გამოდის, თქვენ პრინციპულად არ გამორიცხავთ სხვა ადამიანებთან, სწორედაც ქალთან ერთად ცხოვრებას?

– ვფიქრობ, ეს იშვიათი კითხვაა, რადგან ამას თავს არასდროს ვკითხავ. ჩემი ყოფნის მანერამ, რომელსაც ექვს წელზე მეტია ვეწევი, ჩემთვის უბრალოდ ეს ცხადი გახადა და ამავე დროს აბსურდიც. აბსურდი იმდენად, რომ ზოგჯერ წარმოუდგენელი მგონია, მარტო ვიყო, უკეთ რომ ვთქვა: ცალ-ცალკე, არა – ორად. ამას არ ვჩივი, რადგან მგონია, ეს რატომღაც კომიკურია, მარტო დაწვე დასაძინებლად. თითქოს არ იყოს ეს, რელიგიურად რომ ვთქვა, იმის მაჩვენებელი, რომ ერთ ლოგინში ერთმანეთს გადაჭდობილნი არიან, როგორც ეული არსება. თითქოს, ნამდვილად მარტო იყოს ერთ სივრცეში ადამიანი – საცოდაობის ეს მცირე გროვა, სიტყვა „საცოდაობაში“ ვგულისხმობ უცხოობას.

– აქ ახლა მაინც უნდა გაჩნდეს „მაგრამ“...

– დიახ: რადგან მარტოობა, სხვა მხრივ, ამ წლების გამოცდილებით ისე ცხადი გახდა, რომ ეს ცხოვრებისეულ ფორმად გადაიქცა, რომ ვეღარავინ შემაცდენს სხვა ცხოვრების ფორმით; არავის შეუძლია ჩემი შანტაჟირება ორად ცხოვრების ბედნიერებით.

– იღებთ იმ მოსაზრებას, რომ მარტო ცხოვრება მხოლოდ ექსპერიმენტია ერთად ცხოვრების ალტერნატიული ფორმების. ცდა, მცდელობა სხვებთან ერთად ყოფნისთვის მოემზადო, როგორც აქამდეც სცდიდნენ?

– მჯერა, ცხოვრების ფორმებით ექპერიმენტები შეუძლებელია. მარტოობაში, განცალკევებაში წარმოიშვება გაუგონარი წესრიგი,

ერთი სახის ჰარმონია – თუ ეს გამოვა. ამ ყოფაში არის ერთი განჭოლა მე-სა და სამყაროსი შესაძლებელი, რაც ამ ინტენსიობასა და სისუფთავეში ორად ყოფნის დროს საერთოდ წარმოუდგენელია, მაგრამ ამასთან წარმოუდგენელი კონცენტრირებაა საჭირო; აქ ექსპერიმენტის უფლება არ გაქვს. ყველაფერი, რაც ამ წესრიგს ოდნავ მაინც შეცვლის, ქაოსს შექმნის. „პარტნიორობაში მე მხოლოდ ორ ცრემლს ვხედავ მოგზაურობის“.

– მარტომყოფთა უმეტესობა ხომ ინტიმური კავშირების გარეშე არ არიან, ურთიერთობის განსხვავებულ ფორმებს სცდიან და, სანამ ასე მოქმედებენ, სცდიან აშკარად მაინც პარტნიორობას, რაც მათ ჯერ კიდევ შესაძლებლად მიაჩნიათ იმის ფონზე, რაც გადაიტანეს და, რაც აღარ უნდათ.

– მაგრამ: პარტნიორობა მაინც უვარგისი ტერმინია, ალბათ, ამაში დამეთანხმებით. თანაცხოვრება ცხოვრების ერთ საბრალო მხარეს აჩვენებს.

– ასე ცუდი რა არის ამ ტერმინში?

– ის მომავლის ყოველგვარ წარმოდგენას ანგრევს ბუნებაში ორი პერსონის თანაცხოვრებაზე. ჩემთვის ეს სათავგადასავლოს განეკუთვნება, სიძულვილითა და სიყვარულითა და უპატიობით; რომ ყველაფერი შესაძლებელია. პარტნიორობაში მე ნამდვილად მხოლოდ ორ ცრემლს ვხედავ მოგზაურობაში, სადაც თითოეული თავის ინსტინქტებში იმალება. მარტოობა რომ ამგვარ ტექნიკურ ფორმებამდე შეიძლება მივიდეს, ეს ამ საუკუნის მოვლენაა. რომ ვაღიაროთ, არსებობს უარესიც!

– და სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს მარტოობამ?

– რუსომ ეს „მარტოსული მოსეირნის ოცნებებში“ ორი საუკუნის წინ აღწერა: როგორ აღმოაჩინა შინაგანი სამყაროს ღირებულებები. ამ შინაგანი სასუფევლების აღმოჩენა პირადად ჩემთვისაც საკუთრივ ჩემეული სინამდვილის ბედნიერებაა, რასაც მხოლოდ მარტოობაში გამოსცდი.

– შეძლებ აღწერო, რა არის სინამდვილის ბედნიერება?

– რაც უნდა ამაღელვებელი იყოს – უნდა მუდამ ვიმეორო: რომ ყოველი ადამიანის მარტოობაში არის ჩემი აზრით ის, ფილოსოფიურად რომ მივუდგეთ, ნივთები ხელშესახები ხდებიან: მისაწვდომი გახდება ხე, მისაწვდომი გახდება ცა, მისაწვდომი იქნება ბახი. რაც წინათ, წყვილად ცხოვრებაში მხოლოდ შემთხვევით, ანდა ოცნებაში ხდებოდა, ახლა ეს საკუთარ სამყაროდ იქცევა. ეს კი მხოლოდ ხანგრძლივ, დამქანცველ მარტოობაში განიცდება და ეს არის კიდეც მათი შანსი.

– არის კი საერთოდ შესაძლებელი წყვილად ცხოვრება?

– როგორც ჩანს, დგება მომენტი, როცა ის საზოგადოებისთვის საბოლოოდ იკარგება, მაგრამ ამავე დროს სხვა საზოგადოებისთვის იძენს ძალას.

– როგორი სხვა საზოგადოება შეიძლება იყოს?

– ეს გამოიხატება, რაც ჩვეულებრივია ასეთ პროექტებში, უპირველესად, უარყოფაში. იქმნება წარმოდგენა, რომ ესა თუ ის სახე თანაცხოვრების საზოგადოებას არცერთ შემთხვევაში მოთმენა აღარ სურს. ეს არ ნიშნავს, რომ ბერბიჭად იქცე, თუ ამ მარტოობაში გამობრძმედილს, სხვა ადამიანებისადმი მხოლოდ გულქვაობა გაკავშირებს. „ბედს იღებენ დღევანდელობაში დიდი ხნის მარტოობით“.

– ეს ასე სახარბიელოა? ეს საშინელების ერთ-ერთი სახე არ არის?

– ზოგჯერ საშინელებაც არის ამაში, მაგრამ, სხვა მხრივ, მარტოობით შეიძლება ფაქიზი იუმორის მიღწევა, რომელიც გულქვაობას სხვა ადამიანების მიმართ ისევ გააწონასწორებს. ჩემთვის ეს ის ორი მონაპოვარია, რომლის დათმობაც არ მინდა. ეს სულიერი თავგადასავლები, რომელსაც იქ მოიპოვებ, არის ჩემთვის, რომელზეც ვწერ ბოლო ექვსი წლის მანძილზე.

– იყო ეს ის მოგზაურობა, რომელმაც თქვენ იქამდე მიგიყვანათ, რომ მარტო რჩებით?

– ამას მე უფრო ყოყმანს დავარქმევდი. ეს ყოყმანი გრძელდება.

– მაგრამ თქვენ აშკარად გულისხმობთ ერთ გზას, რომელიც თქვენ ასევე ყოყმანით გაიარეთ. რა გზა იყო ეს?

– დასაწყისში წარმოუდგენელი იყო: ვიღაც, როგორც მე, როგორც კაცი, როგორც მწერალი, ორი წლის ბავშვით, ერთ სამაგალითო დასავლეთ-რესპუბლიკის დასახლებაში... ამას ვერ ვიფიქრებდი. პირველი თვეები ნამდვილად გადიოდა მხოლოდ დილა – საღამოს მონაცვლეობით და გარკვეული ენერგიით სამწერლო რუტინისადმი; სიხარულითაც, რომ მე ახალ წიგნზე ვმუშაობდი: „უნდომი უბედურება“. დიდი სიძნელეები იწყებოდა კითხვით: როგორ არიან ბავშვთან მარტო?

– ბავშვი ხომ არ აძლიერებს მარტო ყოფნის განცდას?

– ნამდვილად. მე მარტო... ეს ცუდი არ იქნებოდა. შემეძლო განზე გავმდგარიყავი. თუ მე მოძრაობა შემიძლია, უპირატესად, ადამიანთა შორის, რომელნიც არ მიცნობენ, თავს არასდროს ვგრძნობ მარტო, მაგრამ ბავშვით არ შეიძლება წასვლა. ვალდებული ხარ, შინ დარჩე, დღისით და ღამით. და, თუ ვინმე ბავშვით მიდის, მას აქვს სულ სხვა მოძრაობის რიტმი; ფრთხილად უნდა იყო; ეს ხანდახან უარესია, ვიდრე საერთოდ არ იმოძრაო. ბავშვთან ერთად შეიძლება დადგეს მომენტი, როცა მარტოობა ერთი ხარისხის სულიერი სიბნელის ნაირსახეობად შეიძლება იქცეს.

– თქვენი გამოცდილებით ეს უფრო ძნელია, თუ უფრო ადვილი, იყო მარტოხელა, როცა ბავშვი გყავს?

– უფრო ძნელია, მაგრამ გარეგნულად ეს მარტოობას ბრწყინვას მატებს. როგორც აწმყო, ეს მთლიანობაში უძნელესია, თუმცა, როგორც ცხოვრების განცდა, ამ მძიმე აწმყოს ამსუბუქებს. ამაშია პარადოქსი. სხვათა შორის, არსებობს აზრი, რომ ეს კარგი იყოს, თუ კაცი ბავშვთან მარტო ცხოვრობს. მე ეს არ მჯერა: ამ აზრს არ ვიზიარებ, ჩემთვის თავისთავად მისაღებია, როცა ბავშვი მამასთან და დედასთან არის, როგორც ბიბლიურ წარმოსახვაში.

– შეგიძლიათ დაეთანხმოთ თეზას, რომ მარტო მცხოვრებ კაცებს ბავშვებით უფრო ნაკლები სიძნელეები აქვთ, ვიდრე – მარტოხელა დედებს?

– ეს არ მჯერა. მხოლოდ ქალების მაგალითზე იკვეთება ცხადად, ეს რა ძნელია. მაგრამ ქალები ამით ნაკლებად არიან განებივრებულნი: მაშინ ისინი მართლა მარტონი უნდა იყვნენ; ვიდრე – კაცები განაზდებიან. ძალიან დიდი სიმპატია მაქვს ასეთი ქალებისადმი, თითქმის ვაღმერთებ მათ, მაშინაც კი, თუ ისინი ჩემთვის გამოცანას წარმოადგენენ. არაფერი მაქვს საერთო მარტო-მცხოვრებ უბავშვებო ქალებსა და კაცებთან.

– თუმცა ეს ადამიანებიც მარტო ცხოვრობენ?

– დიახ. უფრო სიამოვნებით ვარ ცოლ-ქმართა საზოგადოებაში, რომელნიც უკვე დიდი ხანია ერთად ცხოვრობენ. აქ სრულიად უნებურად გაიელვებს ფილემონისა და ბაუსიკის მითი. ამას მართლაც ხშირად იმასთან აქვს საქმე, რომ ეს წყვილი ძალიან ძნელად შეეთვისა ერთმანეთს. დღევანდელობაში უმეტეს წყვილებს ისტორია აღარ აქვთ, ისტორია, რომელმაც ისინი ერთად შეყარა. არაფერია იმაში შთამბეჭდავი, თუ როგორ იქცნენ ისინი წყვილებად.

– მაგრამ, თუ თქვენ ამგვარ უისტორიო წყვილებს შეხვდებით, არ გაქვთ გრძნობა, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ ერთად ცხოვრების ამ ფორმით თავი აღარ აიტკიო?

– ვაღიარებ, მაგრამ ეს უბედობა, ასე ვიტყოდი სიამოვნებით – ჩვენ ყველას გვაქვს, რომლებიც 50-მდე ვართ. როგორ შეიძლება შექმნა ჩვენი ბედი? არ შეიძლება კატასტროფა, ანდა ომი წამოიწყო ბედის შესაქმნელად, მაგრამ ბედს ქმნის დიდი ხნით მარტოობა. ეს 6 წელი ბავშვით მარტო – სიტყვა, რაც ახლა აზრად მომდის, არის: მე მაქვს ახლა ბედისწერა.

– როდის, ან როგორ უნდა მიიღოს მარტოობამ იმ მოგზაურობაში, რაც თქვენ გაიარეთ, ხარისხი, ბედისწერა რომ ეწოდოს?

– ეს დაიწყო იმ მომენტში, როცა მე მოვახერხე, ბავშვით მარტო ვყოფილიყავი და, მიუხედავად ამისა, მემუშავა, პასუხისმგებლობა შემენარჩუნებინა და თან ნაწარმოები გამეგრძელებინა. ამ მომენტში ვიგრძენი ბედისწერის სიამაყე.

– „ცაცია ქალიც“ ხომ მარტო ცხოვრობს ბავშვთან და, ამასთან, იძულებულია, იმუშაოს. მაინც რატომ სურს, ქმარმა მიატოვოს?

– ვფიქრობ, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მას გარედან იძულების გარეშე, სრულიად თავისუფლად, გადაწყვეტა შეუძლია. ეს მისტიური მომენტია. იციან: თუ მე, ახლა, ამას და ამას გავაკეთებ, შევძლებ ჩემი ცხოვრება შევცვალო, მაგრამ უმეტესმა ადამიანებმა, რომელთაც მე ვიცნობ, ეს მომენტი ჩაატარეს. მსურდა, ერთი ადამიანის ისტორია დამეწერა, რომელიც ამ მომენტს სწორედაც არ გაუშვებს ხელიდან, როგორც – ქალი ამ ისტორიაში. მქონდა მოთხოვნილება, ისეთი ქალი დამეხატა, რომელიც ძალიან ძლიერია მარტო.

– და ეს ის არის? მარტო ნამდვილად უკეთესად გრძნობს თავს?

– ეს ყოყმანია, როგორც ვთქვი.

– შეგრძნებათა ეს გაორება, რომელსაც „შპიგელის“ კვლევაში ყოველთვის ეჯახები ხოლმე, ძალიან კარგად მოერგებოდა ჰანდკეს ციტატები. „მსოფლიოს წონაში“ აღწერთ თქვენ „უდიდეს გრძნობას, ისე იცხოვრო, როგორც ცხოვრება მსურს“. სხვანაირად, „ცაცია ქალში“ მარტოობა განაპირობებს „ყინულოვან, მტრულ ტკივილს უარსობის“. ნამდვილად უარსობის?

– მარტოობა სიცოცხლისთვის საშიშია, სრულიად ნათელია... რადგან საჭიროა, სულ ცოტა დღეში ერთხელ მაინც, მიღებული იყო, ყურადღება იგრძნო. და ეს მარტოობის სიკვდილის საფრთხეც არის: სახლთან დაკავშირებული იყო, და არავინ არაფრად გაგდებდეს.

– მაშასადამე, ვისაც არ მიიღებენ, ის იქნება საბოლოოდ ილუზორული?

– უარსობის ნაცვლად შეგვეძლო გვეთქვა: აუტიზმი. ეს არის უსაშინლესი ტკივილი. არსებობს რაღაც უარესი, ვიდრე შიში, ვიდრე გულისრევა...განცდა არანამდვილობის. და ეს წარმოგვიდგება, თუ ვინმე განცალკევებაში რეალობას მოსწყდა და, სადღაც შორს იძირება, საიდანაც თვითონ დაბრუნება აღარ ძალუძს. თუ მარტომყოფი თავის სულიერ აწმყოს კარგავს, იბადება საფრთხე, რომ ის ნამდვილად ერთ გაძვალებულ ბერბიჭად იქცევა.

– შესაძლებლობა ერთად იცხოვრონ, მაგრამ სივრცობრივ დისტანციაში, გაყოფილ ბინებში, აშკარად ბევრი მარტოხელასთვის ეს გამონათება იქნებოდა.

– თუ ეს მარტოხელანი ამას, როგორც თანაცხოვრებას აღიქვამენ, ამას ვერ დაუპირისპირდები. მე ეს შესაძლებლობა აღარ მაღელვებს. რადგან თავს ვეკითხები, როგორ შეუძლია ვინმეს აქ თავგადასავლების შექმნა, რაც თანაცხოვრებას ეკუთვნის; როგორ შეიძლება მაშინ სიყვარულში ცხოვრება. რადგან სიყვარული უკვე უნდა იყოს. „სიყვარული შემიძლია მხოლოდ ჰეროიკულ დისტანციაზე წარმოვიდგინო“.

– თუ სიყვარული უკვე უნდა იყოს --- მაშინ როგორ ძლებთ სიყვარულის გარეშე?

– ამას მე ვერ გავუძლებდი. სიყვარული არის ცხადია რაღაც, რაც იშვიათად აალდება – მაგრამ მხოლოდ მაშინ ამჩნევ, რომ ცოცხალი ხარ. ეს რომ ასე არ იყოს...

– და, თუ ეს ასეა, ამას თანაცხოვრებამდე არ მივყავართ?

– იდეალი იქნებოდა, ვინმესთან იცხოვრო და, ამასთან გამბედაობა, რომელსაც მარტო ცხოვრების თავგადასავლებით მიაღწიე, შეინარჩუნო და მასთან ჰარმონიას მიაღწიო. და სიყვარული, რომელიც იმაში მდგომარეობს, რაც მამაცს ხდის ადამიანს და იმავდროულად დისტანციაზე რჩება, ამით მე სივრცობრივ დაშორებას კი არ ვგულისხმობ, არამედ – დისტანციას, რომელიც სხვას ღირსებას უტოვებს. სიყვარული მხოლოდ ამ ჰეროიკულ დისტანციაზე შემიძლია წარმოვიდგინო... რომელიც ერთგვარი პატივისცემაც არის ერთისა მეორისადმი და იმავდროულად – ერთგვარი სიმკაცრე.

– მაშინ ეს მარტოობის დასასრულიც არ იქნებოდა?

– სრულიად სამართლიანი ხართ: თუ „წყვილთა შემთხვევა“ განხორციელდება, მაშინ ეს სრულიად ნათელია, რომ ერთად ცხოვრობენ. ეს შემთხვევა იმიტომაც არის, რომ ეს სოციოლოგიის ტრივიალურ პესიმიზმს უპირისპირდება.

– მითხარით, რა უარყოფს იმას, რასაც თქვენ სოციოლოგიის ტრივიალურ პესიმიზმს ეძახით?

– სპირიტუალობის ერთი აქტი. სოლჟენიცინმა თავის ჰარვარდის საუბარში, დასავლეთში სულიერების ნაკლოვანებაზე ილაპარაკა. მე სულ სხვა შთაბეჭდილება მაქვს: რომ მარტოობის ეპოქალური პროცესი, ეს უკვე სხვა ეპოქალური სვლაა, რომელიც მრავალი კერძო შემთხვევიდან ერთ გარკვეულ საზოგადოებრივ რეალობად იქცევა, რომ მარტოობის ამ სრულიად არასასურველი პროცესიდან სწორედ სპირიტუალობის ფაქიზი ძალა წარმოიშვება ყველგან და, რომ აქედან სხვა წყვილები საპირისპიროს დაამტკიცებენ. წყვილი ისევ შესაძლებელი გახდება.

– ერთი სხვა საზოგადოება, რომელიც სხვა წყვილებისგან შედგება? რას ჰქვია: სხვა?

– არსებობს გაბატონებული აზრები, მაგალითად, წყვილი აღარ არის შესაძლებელი. ამ გაბატონებულ აზრებს თავისი გამართლება აქვს, რადგან არსებობდა ურთიერთობათა ისტორიები, რომლებიც აქამდე მივიდნენ. მაგრამ შემდეგ მას მომენტი ეძლევა და თავს ეკითხება: რატომ არ შემიძლია წყვილად ვიცხოვრო? ვინ ამბობს იმას, რომ აღარ იქნება შესაძლებელი, ორმა ერთად იცხოვროს? და უცებ წყვილი საფიქრალია, როგორც განცდილი იდეა.

– და ასე იწყება სხვა, ახალი კავშირები?

– დიახ. აქ ორნი არიან, რომელთაც ერთნაირი ისტორია აქვთ, რომელთაც თავისი პესიმიზმი აქვთ, თავისი – უილუზიო ყოფა; მათ საკმაოდ დიდხანს ინებივრეს მარტოობაში, და უცებ დგება მომენტი, ერთი ეუბნება მეორეს: რატომ გვწამს საკუთრივ, რომ არაფერი გამოვა? ჩვენ ხომ უკვე გამოვცადეთ მარტოყოფნა, ერთი ბედისწერა გვაქვს და შეგვიძლია რაღაც გავბედოთ – ასე წარმომიდგება. შეიძლება ეს სრულიად ბავშვურად გამოვხატოთ; რომ ერთი მეორეს ეუბნება: „შენ და მე. ახლა. აქ“. და ასე იწყება ახალი.

– სერიოზულად გჯერათ, რომ ამ ორს, როგორც წყვილს, უკეთესი შანსი ექნება?

– ასეთ დროს ამას აღარ იკითხავენ. ამ მომენტში მთავრდება ძველი სკეფსისი. მაგრამ ვფრთხილობ, ასე წინასწარმეტყველურად ვისაუბრო. მე უფრო იმაზე ვსაუბრობ, როგორ შეეძლოთ ეოცნებათ, მაგრამ გამოცდილებით, რეალობით.

ინტერვიუ ჟურნალ „შპიგელიდან“ თარგმნა **ხათუნა პატაშურმა**

ჭოროხი 1 2022

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2022 malkhaz.pagava@gmail.com